

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

მარიამ ჯიქია, ნათია კინწურაშვილი,
ლარა ნაჭყებია, ქეთევან გუგუჩია, ნანა შამატავა

შესავალი საერთაშორისო სამართალში

მეორე გამოცემა

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტის გამომცემლობა

უკ (UDC)341
შ-52

მარიამ ჯიქია, ნათია კინსურაშვილი,
ლარა ნაჭყებია, ქეთევან გუგუჩია, ნანა შამათავა
შესავალი საერთაშორისო სამართალში, *მე-2 გამოცემა*
დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023

Mariam Jikia, Natia Kintsurashvili,
Lara Nachkebia, Ketevan Guguchia, Nana Shamatava
INTRODUCTION TO INTERNATIONAL LAW, *2nd EDITION*
Prince David Institute for Law
Sulkhan-Saba Orbeliani University Press, 2023

სამეცნიერო რედაქტორები: მარიამ ჯიქია, პაატა ჯავახიშვილი
Academic Editors: Mariam Jikia, Paata Javakhishvili

რეცენზენტები: ქეთევან ჯინჭარაძე, მაკა აბულაძე
Reviewers: Ketevan Jincharadze, Maka Abuladze

© ავტორები, 2023

© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2023

ISBN 978-9941-8-5385-2

შინაარსი

თავი I. საერთაშორისო სამართლის ცნება და განვითარების

ებჯვბი	1
1. საერთაშორისო სამართლის ცნება	1
2. საერთაშორისო სამართლის განვითარების ეტაპები	5
3. შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის თანაფარდობა	13

თავი II. საერთაშორისო სამართლის წყაროები

1. საერთაშორისო სამართლის წყაროს ცნება	17
2. საერთაშორისო ხელშეკრულებები	18
3. საერთაშორისო ჩვეულება	21
4. ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული ზოგადი პრინციპები ...	27
5. საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების გადაწყვეტილებები	29
6. წამყვანი მეცნიერების ნაშრომები	32
7. სხვა წყაროები	33
8. ნორმათა იერარქია	38
9. “SOFT LAW” და “HARD LAW” საერთაშორისო სამართალში	39

თავი III. საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები

1. ზოგადი დახასიათება	47
2. სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა	50
3. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა	54
4. საზღვრების ურღვევობა	57
5. სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა	58
6. ძალით დამუქრების ან ძალის გამოყენების აკრძალვა	62
7. საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოგვარება	66
8. ხალხთა თანასწორუფლებიანობა და თვითგამორკვევის უფლება	69
9. ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა	76

10. საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება.....	79
11. სახელმწიფოთა თანამშრომლობა	81
თავი IV. საერთაშორისო სამართლის სუბიექტები	87
1. საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ცნება	87
2. სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.....	88
3. სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი ცნობა	92
1.1. სახელმწიფოს წარმოშობა და გაქრობა	96
1.2. სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობა	99
3. საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტები	103
4. ფიზიკური პირი, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.....	109
თავი V. საერთაშორისო ორგანიზაციები.....	113
1. საერთაშორისო სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებში განვლული და მათი ძირითადი ფუნქციები	115
2. უნივერსალური და რეგიონული ორგანიზაციები.....	120
2.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.....	120
2.2. ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო).....	126
2.3. ევროკავშირი.....	131
2.4. ევროსაბჭო	140
2.5. უსაფრთხოების რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაცია (ეუთო)	142
თავი VI. საერთაშორისო ხელშეკრულებები.....	144
1. საერთაშორისო ხელშეკრულების არსი და მნიშვნელობა საერთაშორისო სამართალში	144
2. ხელშეკრულების დადების პროცედურები.....	149
3. საერთაშორისო ხელშეკრულების ამოქმედების ვადები და პროცედურები	152
4. საერთაშორისო ხელშეკრულებათა ტერიტორიული, დროითი და შინაარსობრივი ფარგლები.....	153
5. დათქმები (რეზერვაციები).....	154
6. საერთაშორისო ხელშეკრულებათა ბათილობისა და მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები	157

თავი VII. სახელმწიფოს ტერიტორია და მისი

სამართაშორისო სამართლებრივი რეგულირება160

- 1. ტერიტორიის კონცეპტი საერთაშორისო სამართალში 160
- 2. სახელმწიფოს ტერიტორიის შემადგენლობა..... 162
- 3. სახელმწიფო საზღვრები..... 163
- 4. ტერიტორიის მოპოვების ფორმები..... 164
 - 4.1. აკრეცია..... 164
 - 4.2. დათმობა 165
 - 4.3. ოკუპაცია TERRA NULLIUS 166
 - 4.4. დაპყრობა..... 168
 - 4.5. ხანდაზმულობა 170
 - 4.6. თანხმობა დუმილით, აღიარება და ესტოპელი 170
- 5. ტერიტორიაზე უფლების განსხვავებული რეჟიმები..... 172

თავი VIII. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საერთაშორისო

სამართალში174

- 1. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ცნება და ბუნება..... 174
- 2. სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის სახეები..... 182
 - 2.1. რეპარაცია..... 182
 - 2.2. სატისფაქცია..... 185

თავი IX. საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა188

- 1. ზოგადი დახასიათება 188
- 2. უშუალო მოლაპარაკებები 192
- 3. კეთილი სამსახური..... 196
- 4. შუამავლობა200
- 5. საერთაშორისო საგამოძიებო და საშემთანხმებლო პროცედურა204
- 6. საერთაშორისო არბიტრაჟი.....209
- 7. სასამართლო განხილვა 214
- 8. დავების გადაწყვეტა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში 219
 - 1.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 221
 - 1.2. არაბულ სახელმწიფოთა ლიგა.....224
 - 1.3. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია226

1.4. აფრიკის ერთობის ორგანიზაცია	227
1.5. დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა ევროპაში	230

თავი X. ადამიანის უფლებათა დაცვის

საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები	236
1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარების ტენდენციები	236
2. ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური მექანიზმები	240
2.1. ადამიანის უფლებათა კომიტეტი	242
1.2. რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი	245
1.3. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი	247
1.4. წამების წინააღმდეგ კომიტეტი	249
3. ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონული მექანიზმები	250
1.1. რეგიონული ორგანიზაციების ზოგადი დახასიათება	250
1.2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია და სასამართლო	251
1.2.1. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის ზოგიერთი ასპექტები	251
1.2.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფორმირების წესი და ფუნქციები	260
1.3. ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია, პანამერიკული კომისია და სასამართლო	263
1.4. ადამიანის უფლებათა აფრიკული ქარტია, კომისია და სასამართლო	266
ბიბლიოგრაფია	270
სამართლებრივი აქტები	275
საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებები და ანგარიშები	278
სასამართლო პრაქტიკა	278
ინტერნეტრესურსები	280

თავი I.

საერთაშორისო სამართლის ცნება და განვითარების ეტაპები

1. საერთაშორისო სამართლის ცნება

ტერმინი „საერთაშორისო სამართალი“ პირველად ჯერემი ბენტამმა გამოიყენა 1780 წელს თავის ნაშრომში,¹ 1840 წლიდან კი ამ ტერმინმა ინგლისურ და რომანულენოვან ლიტერატურაში შეცვალა ტერმინი „ხალხთა სამართალი“.²

საერთაშორისო სამართლის კლასიკური განმარტების შესაბამისად, საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოებისგან შექმნილ სისტემად განიხილება, რომლის სუბიექტებიც მხოლოდ სახელმწიფოები არიან. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი კი ავტორთებს სუბიექტების წრეს და მასში სახელმწიფოების გარდა საერთაშორისო სამართლის სხვა აქტორებიც მოიაზრებიან.

გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ურთიერთობებმა მეტი მნიშვნელობა და კომპლექსური ხასიათი შეიძინა, რამაც გავლენა მოახდინა საერთაშორისო სამართლის განვითარების პროცესზეც. იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა პრობლემის ეფექტურად მოგვარებისთვის მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოს შიდასამართლებრივ დონეზე განხორციელებული ქმედებები არასაკმარისია, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არეგულირებს არაერთ ისეთ სფეროს, რომელიც წარსულში მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის რეგულირების სფეროს განეკუთვნებოდა.³ შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სამართლის

¹ მალანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, პირველი ქართული გამოცემა, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2005, 15.

² Law of nations; Droit de gens.

³ მაგ., ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, დანაშაულთან ბრძოლა და ა.შ.

რეგულირების სფერო დღითიდღე იზრდება და ფართო მასშტაბებს იძენს. იგი თანაბრად ეხება ისეთ საკითხებს როგორცაა: სახელმწიფოს სტატუსი, მისი სამართალმემკვიდრეობა, მშვიდობა და უსაფრთხოება, ომის წარმოების მეთოდები და საშუალებები, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, გარემოს დაცვა, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა.

განასხვავებენ საყოველთაო საერთაშორისო სამართალსა და რეგიონულ საერთაშორისო სამართალს. საყოველთაო საერთაშორისო სამართალი მოიცავს იმ წესებსა და პრინციპებს, რომლებიც ჩვეულებით სამართალს ან მრავალმხრივ ხელშეკრულებებს ემყარება.⁴ ნორმები, რომლებიც საერთოა კონკრეტული გეოგრაფიული არეალისთვის ან კონკრეტული რეგიონისთვის, ცნობილია რეგიონული საერთაშორისო სამართლის სახელით.⁵ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელი არ არის სრულად მთელ კონტინენტს მოიცავდეს ეს უკანასკნელი, სავსებით შესაძლებელია ის კონკრეტული სახელმწიფოებისთვის სპეციფიკურად დამახასიათებელ თავისებურებებს ატარებდეს. რაც შეეხება ლოკალურ საერთაშორისო სამართალს – ეს არის იმ წესების ერთობლიობა, რომელიც მხოლოდ ორი ან რამდენიმე სახელმწიფოსთვის არის სავალდებულო შესასრულებლად.

საერთაშორისო სამართლის უნივერსალურობას სხვადასხვა პერიოდში რამდენიმე გარემოებამ შეუქმნა საფრთხე: რეგიონალიზმმა, საერთაშორისო სამართლის კომუნისტურმა თეორიამ და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, დეკოლონიზაციის პროცესმა. თანამედროვე პოლიტიკურ რუკაზე არსებული სახელმწიფოები განსხვავდებიან ერთმანეთისგან პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო სიძლიერით, ტერიტორიის სიდიდით, მოსახლეობის რაოდენობით, პოლიტიკური რეჟიმით, კულტურული და იდეოლოგიუ-

⁴ მალანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, პირველი ქართული გამოცემა, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2005, 16.

⁵ მაგ., ევროკავშირის სამართალი.

რი ღირებულებებით. სწორედ ეს განსხვავებები ახდენენ ზემოქმედებას საერთაშორისო სამართლის ინტერპრეტაციაზე.⁶

თანამედროვე განმარტებით, საერთაშორისო სამართალი იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა, რომლებიც საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის ურთიერთობას არეგულირებს, განსაზღვრავს მათ უფლებებს და მოვალეობებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია თვით სუბიექტების მიერ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად.

საერთაშორისო სამართალი მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც მას განასხვავებს ნაციონალური სამართლებრივი სისტემისგან. ამ მიმართულებით, პირველ რიგში საინტერესოა სამართლებრივი ნორმების შექმნის პროცესი. ეროვნული სამართლის ნორმების შექმნაში უმთავრესი მნიშვნელობა საკანონმდებლო ორგანოს ენიჭება, ხოლო საერთაშორისო დონეზე კი მსგავსი ფუნქციის მქონე „მსოფლიო საკანონმდებლო ორგანო“, რომელიც მიიღება და საერთაშორისო სამართლის ნორმებს – არ არსებობს. ამრიგად, საერთაშორისო სამართლის ნორმების შექმნა, ეროვნული სამართლებრივი სისტემისგან განსხვავებულად, ძირითადად, საერთაშორისო სამართლის სუბიექტების მიერ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება. ასევე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, სამართლებრივი ნორმების შექმნისას, აღნიშნული ნორმებისთვის იურიდიულად სავალდებულო ძალის მინიჭებით თვითონვე უზრუნველყოფენ მათ შესრულებას.

არსებობს განსხვავება საერთაშორისო სამართლის სუბიექტებსა და ეროვნული სამართლის სუბიექტებს შორის. თუ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმები განკუთვნილია მისი მოქმედების ფარგლებში არსებული ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების ადრესატებს სახელმწიფოები და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტები

⁶ McWinney E., *United Nations Law Making: Cultural and Ideological Relativism and International Law Making for an Era of Transition*, Holmes&Meier Publishing, 1984.

წარმოადგენენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამართალში სამართლებრივი ნორმის შემქმნელებიც და ადრესატებიც თავად სუბიექტები არიან.

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი თავისებურება სამართალაღსრულებას უკავშირდება. როგორც ცნობილია, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემაში სამართლის აღსრულების უზრუნველყოფა ხელისუფლების მხრიდან, სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების საშუალებით ხორციელდება, საერთაშორისო სამართალში კი მსგავსი ტიპის მექანიზმები არ არსებობს. ეროვნული სასამართლოებისგან განსხვავებით, საერთაშორისო სამართლოს გადანეყვებილებას სავალდებულო ხასიათი მხოლოდ მაშინ აქვს, თუ მხარეებს წინასწარ აქვთ აღებული ვალდებულება აღნიშნულის აღსრულების შესახებ. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის აღსრულების მექანიზმები არ არის ისეთივე მოქნილი და ეფექტური, როგორსაც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემაში ვხვდებით.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საერთაშორისო დონეზე არ არსებობს არა მხოლოდ „მსოფლიო საკანონმდებლო ორგანო“, არამედ არც „მსოფლიო მთავრობა“, არც „მსოფლიო სასამართლო“ და არც „მსოფლიო პოლიცია“. საერთაშორისო სამართალი სუბიექტების მიმართ ჰორიზონტალურად მოქმედებს (*jus cogens*-ის გარდა) და ნაციონალური სამართლისგან განსხვავებით, მას არ გააჩნია ვერტიკალური სტრუქტურა.

საერთაშორისო სამართალი დინამიკურობით ხასიათდება და არ არის სტატიკური. შესაბამისად, მისი არსის უკეთ გასაგებად, მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართლის განვითარების სხვადასხვა საფეხურის შესწავლა და დაკვირვება.

2. საერთაშორისო სამართლის განვითარების ეტაპები

სამეცნიერო ლიტერატურაში საერთაშორისო სამართლის წარმოშობის შესახებ გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.⁷ თეორეტიკოსთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, საერთაშორისო სამართლის წარმოშობა იმ პერიოდს უკავშირდება, როდესაც სახელმწიფოებმა ერთმანეთთან ურთიერთობის დარეგულირების მიზნით კონკრეტული ნორმების შემუშავება დაიწყეს (ადრეული პერიოდი).⁸ სხვა მოსაზრების თანახმად, საერთაშორისო სამართლის წარმოშობა, შუა საუკუნეებში, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების განვითარებამ განაპირობა. ყველაზე გავრცელებული შეხედულების მიხედვით კი საერთაშორისო სამართლის წარმოშობას ვესტფალიის ზავის (1648 წ.) დადებას უკავშირებენ, რომლითაც „ოცდაათწლიანი ომი“ დასრულდა.⁹

კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ხალხთა ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმებს ცივილიზაციის პირველი ნიშნების ჩასახვის ადგილზევე (ტიგროსი და ევფრატი, ნილოსი, ეგეოსი, ხმელთაშუა ზღვა, ჩინეთი და ინდოეთი) ვხვდებით. ისინი ომის კანონებს, ასევე ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ წესებს, ჩვეულებებს, უცხოელთა სამართლებრივ რეჟიმს და სხვა საკითხებს ეხებოდა.

ამ მიმართულებით ერთ-ერთი უძველესი წყაროა მესოპოტამიის ქალაქ-სახელმწიფოების ლაგადაშასა და უმმას მმართველებს შორის დადებული ხელშეკრულება. ამ დოკუმენტით, აღნიშნულ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის საზღვრების დადგენა მოხდა.

ასევე, მნიშვნელოვანი დოკუმენტია ჩვ. წ. აღ-მდე დაახლოებით 1278 წელს ხეთებსა და ეგვიპტეს შორის დადებული ხელშეკრულება

⁷ Greve W.G., *Epochen der Volkerrechtsgeschichte*, Nomos Verlag, Baden-baden, 1984, 19-25.

⁸ Preiser W., *History of the Law of Nations: Ancient Times to 1648*, EPIL, 1995, 716-749.

⁹ მალანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, პირველი ქართული გამოცემა, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2005, 23.

საუკუნო მშვიდობისა და მეგობრობის შესახებ. ამ დოკუმენტში, სხვა საკითხებთან ერთად, მხარეებმა თანხმობა განაცხადეს აგრესიის შეჩერებაზე და საზღვრების ურთიერთპატივისცემაზე.¹⁰

მსგავსი ტიპის წყაროებს მრავლად ვხვდებით ანტიკურ საბერძნეთშიც. ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობისთვის ხშირად დებდნენ ხელშეკრულებებს. ამ პერიოდში ჩამოყალიბებული სამართლებრივი მიდგომები შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის, უცხოელთა შესახებ კანონებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პრინციპებს (მაგ., გაერთიანებული შეიარაღებული ძალების არსებობა დელფის დასაცავად).¹¹

ადრეული რომის სამართალი მხოლოდ რომის მოქალაქეებზე (*jus civile*) ვრცელდებოდა, თუმცა იმპერიის ზრდის შემდგომ დღის წესრიგში დადგა დაპყრობილი ხალხებისათვის სამართლებრივი ნორმების შექმნის საკითხი. ჩამოყალიბდა ხალხებს შორის სამართალი (*jus gentium*), რომელიც არეგულირებდა რომის მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის ურთიერთობებს.¹²

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ძველი ეპოქის მოაზროვნეთა როლი საერთაშორისო სამართლის განვითარებაში:

- ციცერონი ომს ჰყოფდა ორ კატეგორიად: „სამართლიანად“ და „უსამართლოდ“. იმისათვის, რომ ომი სამართლიანად ჩათვლილიყო, იგი აუცილებლად უნდა ყოფილიყო წინასწარ გამოცხადებული, ან რაიმე წყენის საპასუხო ქმედება.
- ასევე საინტერესოა ისაია წინასწარმეტყველის მოსაზრება ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ხელშეკრულება აუცილებლად უნდა შესრულდეს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა იგი მტერთანაა დადებული.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

¹² Cassese A., *International Law in Divided World*, Oxford University Press, 1986, 37-38.

უძველესი საერთაშორისო ურთიერთობების მაგალითების კონტექსტში საინტერესო წყაროებია შემორჩენილი ძველ ინდოეთსა და ჩინეთში. ასევე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია ისლამური რელიგიის როლიც. მუსლიმური სამართლის მიხედვით, რომელიც ყურანს ემყარებოდა, ყველა არამაჰმადიანი უცხოელად ითვლებოდა. ყურანის მიხედვით, სიტყვის დარღვევა აკრძალული იყო და არ ჰქონდა მნიშვნელობა სიტყვის გამტეხი სახელმწიფო იქნებოდა, თუ ფიზიკური პირი. აღნიშნულმა მიდგომამ, უპირველეს ყოვლისა, სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას შეუწყო ხელი.

სახელშეკრულებო სამართლის განვითარების მთავარ პერიოდად თამამად შეგვიძლია შუა საუკუნეების (VI-XVI სს) აღიარება. კართაგენის საეკლესიო კრებაზე (438 წელი) დადგინდა დებულება, რომლის თანახმადაც ძალაში შესული ხელშეკრულება აუცილებლად უნდა შესრულდეს (*“pacta sunt servanda”*); ამ დებულებამ თავისთავად ხელი შეუწყო საერთაშორისო სამართლის განვითარებას.

1317 წელს საფრანგეთის მეფეს და ფლამანდიის ჰერცოგს შორის დავის გადაწყვეტისას, რომის პაპი იოანე XXII მოსამართლის როლს ასრულებდა. აღნიშნული ფაქტი იმის დადასტურებაა, რომ შუა საუკუნეებში უკვე ჩნდება და საფუძველი ეყრება საერთაშორისო დავების მოწესრიგების ახალ საშუალებებს, კერძოდ, არბიტრაჟსა და სამედიატორო სასამართლოს.¹³

მე-XV საუკუნიდან საეკლესიო კრებების გვერდით გამოჩნდა საერო კრებებიც. 1429 წელს ჩატარდა კრება პოლონეთს, ლიტვასა და ტევეტონთა ორდენს შორის დავის მოსაგვარებლად.

1648 წლის ვესტფალიის ზავმა ევროპაში მნიშვნელოვან გარდაქმნებს დაუდო სათავე.¹⁴ აღნიშნულის შედეგად მოხდა სასულიერო და საერო ხელისუფლების განცალკევება, სამართლებრივი თანაბარუფლებიანობა, სახელმწიფოთა პოლიტიკური თანასწორობის

¹³ იქვე.

¹⁴ იქვე, 37.

ალიარება, მნიშვნელოვნად შესუსტდა ეკლესიის ძალაუფლება, ხოლო დავების გადაწყვეტის პროცესში უპირატესობა მშვიდობიან გზებს მიენიჭა. საფრანგეთი, ჰოლანდია და შვედეთი ახალ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, გერმანია რამდენიმე ერთეულად დაიშალა და ა.შ. ვესტფალიის ზავმა საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებელი სახელმწიფოებისგან შექმნილ ახალ მსოფლიო წესრიგს.¹⁵

XVI-XVII საუკუნეებში აქტიურად ჩნდება იურისტების, ფილოსოფოსების და მოაზროვნეების ნაშრომები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია საერთაშორისო სამართლის ძირითადი იდეები.

- ჰოლანდიელმა მოაზროვნემ ჰუგო გროციუსმა (1583-1654) თავის ნაშრომში “De Jure belii et pacis” პირველმა, საფუძვლიანად დაასაბუთა, რომ არსებობს სამართალი, რომელიც ადგენს ხალხებსა და მთავრობებს შორის ურთიერთობებს. ამ იდეის წყაროებს გროციუსი მორალსა და ბუნებით სამართალში ეძებდა.¹⁶
- მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს შარლ ლუი დე მონტესკიეს „კანონთა გონი“, რომელშიც ავტორი საუბრობს საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე და აცხადებს, რომ ერები მშვიდობიანობის დროს უნდა ეცადონ, რაც შეიძლება მეტი სიკეთე მოუტანონ ერთმანეთს, ხოლო ომიანობის პერიოდში – რაც შეიძლება ნაკლები ბოროტება. საინტერესოა მონტესკიეს ხედვა თავდაცვის უფლების ჭრილშიც. მისი აზრით, ბუნებრივმა თავდაცვის უფლებამ რიგ შემთხვევებში შესაძლებელია თავდასხმის აუცილებლობა წარმოშვას. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, როცა მშვიდობის შენარჩუნება ხალხს განადგურებას უქადის, ხოლო თავდასხმა კი ერთადერთი საშუალებაა ერის გადასარჩენად.

¹⁵ მალანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, პირველი ქართული გამოცემა, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2005, 25.

¹⁶ Bull H., Kingsbury B., Roberts A., (eds), Hugo Grotius and International Relations, Oxford University Press, 1990.

- იტალიელი პოლიტიკური მოღვაწე და ისტორიკოსი ნიკოლო მაკიაველი თავის ნაშრომში „მთავარი“ (1513 წელი) საუბრობს, რომ „სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად ნებისმიერი საშუალების გამოყენება დასაშვებია“. მაკიაველმა დაამკვიდრა პრაგმატიზმი და სეკულარიზმი, რაც თეორიული საფუძველი გახდა იმისთვის, რომ სახელმწიფოს ძლიერების რეალურ საყრდენად მოქალაქეთა პოლიტიკური ინტერესების ერთიანობა მიჩნეულიყო.¹⁷

საერთაშორისო სამართლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია 1783 წელიც, როდესაც ვერსალის კონგრესმა ინგლისისგან, ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა აღიარა.

1789 წლის საფრანგეთის რევოლუციამ ერთა თვითგამორკვევის საკითხი დააყენა დღის წესრიგში. ასევე წინ წამოინია მონარქის უფლებების შეზღუდვის საკითხმა.¹⁸ კერძოდ, მას არ უნდა ჰქონოდა განუსაზღვრელი ძალაუფლება და სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების უფლება. საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად „საყოველთაო მშვიდობა და სამართლიანობის პრინციპი“ გამოცხადდა.

1815 წელს ვენის კონგრესმა აღიარა შვეიცარიის მუდმივი ნეიტრალიტეტი. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, კონგრესზე ნაპოლეონი „საზოგადოების გარეთ“ დარჩენილ პირად გამოცხადდა. აღნიშნული შეიძლება პირველ მცდელობად ჩაითვალოს ფიზიკური პირის ინდივიდუალური საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენების შესახებ. ამავე კონგრესზე დაზუსტდა საერთაშორისო მდინარეების სტატუსი.¹⁹

1856 წელს შეიქმნა პარიზის დეკლარაცია, სადაც ჩამოყალიბდა ომის პერიოდში ნაოსნობისა და ვაჭრობის რეჟიმი.²⁰

¹⁷ Sabine G.H., Thorson T. L., A History of Political Theory, 4th edition, Dryden Press, 1973.

¹⁸ მალანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, პირველი ქართული გამოცემა, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2005, 25

¹⁹ იქვე, 26.

²⁰ იქვე.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აქტიურად დაიწყო საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყალიბება და საერთაშორისო კონფერენციების მეშვეობით არაერთი პრობლემური საკითხის სამართლებრივად რეგულირება:

- 1863 წელს დაარსდა ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარებაში, ისევე როგორც ამავე პერიოდში, ჟენევაში შექმნილმა არაერთმა კონვენციამ;
- 1865 წელს შეიქმნა საერთაშორისო სატელეგრაფო კავშირი;
- 1874 წელს შეიქმნა საყოველთაო საფოსტო კავშირი;
- 1899-1907 წლების კონფერენციებზე მიღებულ კონვენციებსა და დეკლარაციებში ყურადღება გამახვილდა დავების მშვიდობიანად მოგვარების გზებზე, ომის წარმოების მეთოდებისა და საშუალებების შეზღუდვებზე და ა.შ.²¹

I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, გაჩნდა კოლექტიური თანამშრომლობის პირველი მცდელობა, რომელიც ერთა ლიგის შექმნაში გამოიხატა. ეს იყო პრეზიდენტ ვილსონის 14 მოთხოვნიდან ერთ-ერთზე გამოძახილი, რომელიც „სპეციფიკურ კონვენციათა საფუძველზე, მცირე თუ დიდი ერების პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის თანაბარი გარანტიებისთვის, ერთა ზოგადი ასოციაციის“ შექმნას გულისხმობდა.²² ორგანიზაცია 42 ქვეყანას აერთიანებდა, მათ შორის კი არ იყო აშშ. ერთა ლიგამ თავისი მთავარი მისიის – მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფა, ვერ შეძლო. წარუმატებლობის მიზეზად მრავალი ფაქტორის დასახელება შეიძლება: კოლექტიური ზომების მიუღებლობა, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის მოუქნელობა, განსხვავებული აზრები და მიდგომები მნიშვნელოვან ძირეულ საკითხებთან მიმართებით, თუმცა უმთავ-

²¹ იქვე, 26-27.

²² Rustemeyer A., Wilson's fourteen points, EPIL I, 1984, 539-542.

რეს ნაკლად მიჩნეულია ძალის გამოყენების კანონგარეშედ არგამოცხადება. შესაბამისად, ერთა ლიგამ II მსოფლიო ომის თავიდან აცილება ვერ შეძლო.

I მსოფლიო ომიდან II მსოფლიო ომამდე პერიოდში შესაძლებელია არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის გამოყოფა, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის განვითარებისთვის.²³ კერძოდ:

- 1925 წელს, ერთა ლიგის ეგიდით გამართულ კონფერენციაზე მიღებულ იქნა ოქმი, ომის დროს მხუთავი გაზებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებების გამოყენების აკრძალვის შესახებ;
- 1928 წელს, ბრიან-კელოგის პარიზის პაქტით ყველა დავა მშვიდობიანად უნდა მოგვარებულიყო, ხოლო ომი დაიშვებოდა მხოლოდ სახელმწიფოთა საერთო ინტერესებისთვის;
- 1933 წელს სსრკ-მ 10 მეზობელ სახელმწიფოსთან დადო აგრესიის განმარტების შესახებ კონვენცია.²⁴

1939 წელს გერმანიამ პოლონეთზე თავდასხმით, ხოლო აზიაში იაპონია-ჩინეთის ომით II მსოფლიო ომი დაიწყო.²⁵ ომის დასრულების შემდგომ, 1945 წლიდანვე საერთაშორისო სამართლის განვითარების მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა და ცვლილების განხორციელება მოხდა. კლასიკური საერთაშორისო სამართლისთვის დამახასიათებელი კოლონიური ჩაგვრა შეიცვალა სამართლის პრიმატის პრინციპით და დეკოლონიზაციის პროცესში აისახა. აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ნიურნბერგისა და ტოკიოს ტრიბუნალების გამართვის ფაქტი, სა-

²³ მაღანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, პირველი ქართული გამოცემა, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2005, 37.

²⁴ აღნიშნული დოკუმენტი ცოტა მოგვიანებით გამოყენებულ იქნა 1946 წლის ნიურბერგის პროცესზე.

²⁵ Carly A., *Interwar German Theories of International Law: The Psychoanalytical and Phenomenological Perspectives of Hans Kelsen and Carl Schmitt*, *Cardozo Law Review*, Vol. 16, 1995, 1235-1292.

დაც გერმანელი და იაპონელი ლიდერების გასამართლებამ საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო სამართალში ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ 1945 წლის 26 ივნისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა უდიდესი მოვლენა იყო ომის შემდგომ მსოფლიოში. ჯერ კიდევ ფრანცისკო დე ვიტორია (1485-1546) საუბრობდა, რომ ხალხთა სამართლის ნორმები უნდა გამომდინარეობდეს „მთელი მსოფლიოს უდიდესი ნაწილის თანხმობიდან და გამიზნული უნდა იყოს საერთო კეთილდღეობისთვის“. სწორედ ამ იდეას ვპოულობთ გაეროს წესდებაში, რომლის მიხედვითაც მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად სახელმწიფოთა საერთო ნება და ძალისხმევაა საჭირო, რომელიც ძალის გამოყენების აკრძალვის და კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპებს ეფუძნება.

„ცივი ომის“ პერიოდი, რომელმაც კაცობრიობას აურაცხელი უბედურება დაატეხა თავს, საერთაშორისო სამართლის განვითარების კუთხით შედეგიანი აღმოჩნდა. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებს და საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციას:

- 1959 წლის ხელშეკრულებით განისაზღვრა ანტარქტიკის კონტინენტის სამართლებრივი რეჟიმი;
- 1963 წელს მიღებულ იქნა მოსკოვის ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ;
- 1969 წელს მიღებულ იქნა ვენის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებები.

მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით აღინიშნოს 1975 წლის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი,²⁶ რომელიც საზღვრების ურღვევობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს მოიცავდა.

²⁶ Helsinki Final Act, OSCE, 01/08/1975, <<https://www.osce.org/helsinki-final-act>> [15.01.2023]

ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს 1980-იან წლებში საბჭოთა კავშირში დაწყებული „პერესტროიკის“ პროცესი, რომელმაც ასევე, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო პოლიტიკაში.

საერთაშორისო სამართლის განვითარების ისტორია რთული და ყოვლისმომცველი სფეროა. აღნიშნულზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მისი განვითარების პროცესი კვლავ გრძელდება და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები მუდმივად აისახება მასზე. ასევე აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, საერთაშორისო სამართლის მასშტაბური აღიარება სულ უფრო ფართო ხასიათს იძენს.

3. შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის თანაფარდობა

მიუხედავად იმისა, რომ შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართალი დამოუკიდებელ სამართლებრივ სისტემებს წარმოადგენენ, მათი ურთიერთდამოკიდებულება საკმაოდ მჭიდროა. საერთაშორისო სამართლის ნორმებს სახელმწიფოები ქმნიან თავიანთი საშინაო პოლიტიკისა და ინტერესების გათვალისწინებით, რაც ნიშნავს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის გავლენა საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დიდია.

შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ განასხვავებენ მონისტურ და დუალისტურ თეორიებს.

დუალისტური თეორიის თანახმად, შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სამართალს შორის არსებითი განსხვავებაა, კერძოდ ისინი არეგულირებენ ერთმანეთისგან თვისობრივად განსხვავებულ საკითხებს. თუ საერთაშორისო სამართალი არეგულირებს საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს (ძირითადად სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები) შორის ურთიერთობებს, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის იურისდიქცია ვრცელდება

მოქალაქეებს შორის ურთიერთობებსა და მათი სახელმწიფოსთან ურთიერთობებზე.²⁷ აღნიშნული თეორიის თანახმად, არცერთ სისტემას არ აქვს ძალა, შეცვალოს მეორის მიერ დაწესებული ქცევის წესები. იმ შემთხვევაში თუ არსებობს კონფლიქტი შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სამართალს შორის, დუალისტური თეორიის თანახმად, შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო უპირატესობას მიანიჭებს ეროვნული სამართლის ნორმებს.²⁸

დუალისტური თეორიისგან განსხვავებით, მონისტური თეორია აღიარებს საერთაშორისო სამართლის პრიმატს. აღნიშნული თეორიის მიმდევრები იყვნენ ჰერშ ლაუტერპახტი, კელზენი და სხვ. თუმცა მათი მიდგომა აღნიშნული თეორიის ინტერპრეტაციაში განსხვავებულია. თუ საერთაშორისო სამართლის პრიმატს ვაღიარებთ, ეს გულისხმობს მის უპირატესობას შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემაშიც, რასაც ემატება მოსაზრებები პიროვნების, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის შესახებ (ლაუტერპახტი).²⁹

საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოებს აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს არა მხოლოდ როგორც მთლიან სუბიექტს, არამედ ეროვნული სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრულ სახელმწიფო ორგანოებს. საერთაშორისო სამართლით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად შეიძლება აუცილებელი გახდეს ახალი შიდასახელმწიფოებრივი ნორმების შექმნა, არსებულის გაუქმება.

საერთაშორისოსამართლებრივ ნორმებზე საუბრისას აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ „თვითმემსრულებელ“ და „არათვითმემსრულებელ“ ნორმებზე. „თვითმემსრულებელი“ ნორმის ამოქმედება ხდება მაშინ, როდესაც სახელმწიფო აღიარებს მის იურიდიულ ძალას, ხოლო „არათვითმემსრულებელი“ ნორმის

²⁷ ბრაუნლი ი., საერთაშორისო სამართლის პრინციპები, მე-7 გამოცემის თარგმანი, საია, თბილისი, 2010, 36.

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე, 37.

იმპლემენტაციისთვის სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ახალი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმა.

საერთაშორისო ხელშეკრულების, როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმის იმპლემენტაციის საუკეთესო საშუალებას, მითითება და ინკორპორაცია წარმოადგენს.³⁰ მითითებითი ნორმა ეროვნული სამართლის ნაწილია, თუმცა კონკრეტული საკითხის რეგულირებისას იყენებს საერთაშორისო სამართალს. აღნიშნულ შემთხვევაში არ ხდება საერთაშორისოსამართლებრივი ნორმის ტრანსფორმაცია შიდა სამართალში, თუმცა სასამართლოებს და სხვა ორგანოებს ეძლევათ საშუალება, გამოიყენონ საერთაშორისო სამართლის ნორმები კონკრეტული ურთიერთობების მონესრიგებისას. ინკორპორაცია გულისხმობს საერთაშორისო სამართლის ნორმის იმპლემენტაციისთვის ახალი შიდასახელმწიფოებრივი ნორმის შექმნას, არსებულის შეცვლას ან გაუქმებას.

ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფო თვითონ წყვეტს კონკრეტული საერთაშორისოსამართლებრივი ნორმის იურიდიული ძალის სავალდებულოობას თავის ტერიტორიაზე და მათი იმპლემენტაციის საშუალებას: ქვეყნების ნაწილი საერთაშორისო ხელშეკრულებებს აღიარებს ეროვნული სამართლის შემადგენელ ნაწილად,³¹ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა კი განასხვავებს ამ ორ სამართლებრივ სისტემას ერთმანეთისგან,³² ხოლო მესამე ჯგუფისთვის საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები უპირატესად არის მიჩნეული ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით.³³

საქართველოში ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ნორმების თანაფარდობა განსაზღვრულია ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით,³⁴ რომლის თანახმა-

³⁰ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2013, 34.

³¹ ჰოლანდია, ბელგია, ამერიკის შეერთებული შტატები.

³² ინგლისი, კანადა.

³³ იტალია, საბერძნეთი.

³⁴ საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, 2009.

დაც „საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად, რომლებიც ქმნის საქართველოს კანონმდებლობას. საქართველოს ნორმატიულ აქტებს განეკუთვნება აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება“.³⁵

ამავე კანონით განსაზღვრულია ნორმატიული აქტების იერარქია, კერძოდ:

- საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი;
- საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება;
- საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;
- საქართველოს ორგანული კანონი, პრეზიდენტის დეკრეტი;
- საქართველოს კანონი, პარლამენტის რეგლამენტი.

საერთაშორისო სამართლის მიმართ საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს მიდგომა ასევე მოცემულია საქართველოს კონსტიტუციაში: „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ“.³⁶

³⁵ იქვე, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

³⁶ საქართველოს კონსტიტუცია, 1995.

თავი II.

საერთაშორისო სამართლის წყაროები

1. საერთაშორისო სამართლის წყაროს ცნება

საიდან წარმოიქმნა საერთაშორისო სამართალი და რა არის მისი წყარო? ეს იმაზე რთული კითხვაა, ვიდრე შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს, რის გამოც, იგი მოითხოვს სიღრმისეულ კვლევას. სამართლის ზოგადი თეორიის მიხედვით, „სამართლის წყაროს“ ცნება, ფორმალური გაგებით, გულისხმობს ფორმას, რომლითაც გამოიხატება სამართლის სუბიექტის სავალდებულო ქცევის წესი და რომელსაც აჰყავს ეს ქცევის წესი სამართლის ნორმის ხარისხში.

შესაბამისად, **საერთაშორისო სამართლის წყარო – ეს არის საერთაშორისო ურთიერთობის მონაწილე სუბიექტთა ქცევის წესის გამოხატვის ფორმა, რაც ანიჭებს ამ ქცევის წესს საერთაშორისოსამართლებრივი ნორმის სტატუსს.** ეს არის საერთაშორისო სამართლის წყაროს ზოგადი განმარტება. თუმცა, საერთაშორისო სამართალს აქვს გარკვეული სპეციფიკა, რაც, წყაროების თვალსაზრისით, არსებითად განასხვავებს მას ეროვნული სამართლისგან. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ არ არსებობს „საერთაშორისო სამართლის კოდექსი“, როგორც საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების ერთობლიობა. საერთაშორისოსამართლებრივ სისტემაში არ არსებობს პარლამენტი თავისი კლასიკური გაგებით, ანუ როგორც საკანონმდებლო ორგანო (გაეროს გენერალური ასამბლეა არ შეიძლება გავაიგივოთ ეროვნულ კანონმდებელთან). ასევე არ არის ფორმალური იერარქია საერთაშორისო სასამართლოებსა თუ ტრიბუნალებს შორის. მართალია, არსებობს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, ისევე როგორც არაერთი რეგიონული სასამართლო თუ ტრიბუნალი,

როგორც ზოგადი იურისდიქციის, ისე სპეციალიზებული, თუმცა მათი იურისდიქცია დამოკიდებულია სახელმწიფოთა თანხმობაზე და, გარდა ამისა, ამ იურისდიქციას არ აქვს სავალდებულო ხასიათი, რაც გამოირიცხავს შესაბამისი გადაწყვეტილებების იძულებითი აღსრულების მექანიზმების არსებობას, როგორც ეს ხდება ეროვნული სასამართლოების შემთხვევაში.

შედევად ვღებულობთ ვითარებას, როდესაც საერთაშორისო სამართლის ნორმები იქმნება მისი სუბიექტების მიერ ურთიერთშეთანხმებით, რაც გამოხატავს მათ საერთო ნებას, მაშინ როდესაც შიდასახელმწიფოებრივი სამართალი გამოვლინებას ჰპოვებს კანონმდებლობასა და იერარქიულ სასამართლო გადაწყვეტილებებში (განსაკუთრებით, საერთო სამართლის ქვეყნებში). თუმცა, საერთაშორისო სამართალს, ისევე როგორც სამართლის ყველა დარგს, გააჩნია თავისი წყაროები.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს საერთაშორისო სამართლის წყაროთა ამომწურავი ჩამონათვალი, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 38-ე მუხლი გამოყოფს ოთხი ტიპის წყაროს. ესენია: ა) **საერთაშორისო ხელშეკრულებები** (ზოგადი და კერძო, რომლებიც ადგენენ ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ აღიარებულ წესებს); ბ) **საერთაშორისო ჩვეულება**, როგორც სამართლის ნორმად აღიარებული საყოველთაო პრაქტიკა; გ) **ცივილიზებულ ხალხთა მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპები**; დ) **სასამართლო გადაწყვეტილებები**; ე) **სხვადასხვა ქვეყნის ნამყვან მეცნიერთა სწავლებები, დოქტრინები საერთაშორისო სამართლის სფეროში**, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დამხმარე წყაროებს.

2. საერთაშორისო ხელშეკრულებები

საერთაშორისო სამართლის უმთავრესი წყარო არის **ხელშეკრულებები** (მათ ასევე უწოდებენ შეთანხმებებს, კონვენციებს, პაქტებს, ოქმებს და სხვ.), რომლებიც წარმოადგენს საერთაშორისო

სამართლის სუბიექტებს შორის (სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები) წერილობით შეთანხმებას და რომელიც რეგულირდება, შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის ნორმებით. ასეთ ნორმათა ერთობლიობა და სისტემა ქმნის საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ ქვედარგს, რომელსაც ეწოდება სახელშეკრულებო სამართალი. დღეს სახელშეკრულებო სამართალს დიდი ყურადღება ექცევა, ვინაიდან ის იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო ხელშეკრულებათა იურიდიულ ბუნებას, სახეებს, მათი დადების წესს, სტრუქტურას, ძალაში შესვლის ვადებს და ა.შ.³⁷

ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, საერთაშორისო სამართლის სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, ხელშეკრულება არის არა თავად საერთაშორისო სამართლის, არამედ საერთაშორისო უფლებებისა და ვალდებულებების წყარო³⁸, ვინაიდან საერთაშორისო სამართლის სუბიექტებისთვის გათვალისწინებულ სუბიექტურ უფლებებს ყოველთვის უპირისპირდება ურთიერთობის სხვა სუბიექტთა საერთაშორისო ვალდებულებები. თუ მივიღებთ ამ მიდგომას, უფრო სწორი იქნება ვისაუბროთ უპირატესად სუბიექტურ ვალდებულებებზე, ვინაიდან საერთაშორისო სამართლის სუბიექტს არ აქვს უფლება არ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახით მისთვის არასასურველი სამართლებრივი შედეგი. ხოლო რაც შეეხება სუბიექტის უფლებებს, მათ ის იყენებს საკუთარი შეხედულებისამებრ, თუ არ ჩავთვლით იმპერატიულ ნორმებს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება გარკვეულ ვალდებულებებს უწესებს მხოლოდ მის ხელმომწერ სახელმწიფოებს და არჩევანი იმისა, გახდეს თუ არა ამა თუ იმ ხელშეკრულების მხარე, სრულად არის დამოკიდებული სახელმწიფოზე. არ არსებობს ხელშეკრულების ხელმოწერის მოთხოვნა. აღნიშნული

³⁷ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010, 18.

³⁸ Батычко В.Т., Международное Право, Конспект Лекций. Таганрог: ТТИ ЮФУ, 2011.

ვალდებულება გამოიხატება პრინციპით *pacta sunt servanda*, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა უნდა შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაძლოა, სწორედ ეს ფაქტი აყალიბებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულება არის საერთაშორისო სამართალში არსებული ვალდებულებების წყარო.

მიუხედავად იმისა, ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, თან არცთუ უსაფუძვლოდ, როგორც არ უნდა მივუდგეთ აღნიშნულ საკითხს და რა დატვირთვაც არ უნდა მივცეთ ხელშეკრულებას, საბოლოო ჯამში, ის მაინც არის საერთაშორისო სამართლის სრულყოფილი წყარო სხვა წყაროებთან ერთად, ვინაიდან ის წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი ქცევის წესების უმთავრეს ფორმას. შესაბამისად, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ესა თუ ის ხელშეკრულება რამდენი სახელმწიფოსთვის იქნება სავალდებულო შესასრულებლად. არც იმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ, ფაქტობრივად, ხელშეკრულება მართლაც გვევლინება სახელმწიფოთა საერთაშორისო ვალდებულებებისა და შესაბამისი უფლებების წყაროდ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც მართებულია ხელშეკრულება განვიხილოთ არა როგორც უფლება-მოვალეობების, არამედ საერთაშორისო სამართლის წყარო, ვინაიდან სწორედ ასეთი უფლება-მოვალეობების ამსახველი ნორმების ერთობლიობა ქმნის თავად საერთაშორისო სამართალს.

ზოგიერთი ავტორი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ წყაროდ ასახელებს **არაფორმალურ საერთაშორისო ხელშეკრულებას**. ეს ცნება მკვიდრდება სახელმწიფოთა საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე და გულისხმობს სახელმწიფოთა წერილობით შეთანხმებას, რომლის ტექსტი შემუშავებულია სახელმწიფოს მიერ მოლაპარაკებების პროცესში, მაგრამ რომლისთვისაც ამ სახელმწიფოებს არ მიუნიჭებიათ საერთაშორისო ხელშეკრულების ძალა, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებულები არიან ასეთი აქტის დებულებების შესრულების აუცილებლობაში და ითხოვენ კიდევ მათ შესრულებას ურთიერთობებში³⁹.

³⁹ Ушаков Н.А., Международное Право: Учебник. Москва, 2000, 11-12.

არაფორმალური საერთაშორისო ხელშეკრულების შექმნის მიზნად სხვადასხვა გარემოებები სახელდება. მაგალითად, ასეთებს მიაკუთვნებენ ვითარებას, როდესაც სახელმწიფოებმა შეიმუშავეს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელსაც მოაწერეს ხელი უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა, თუმცა შემდეგ არ მომხდარა მისი რატიფიცირება ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიერ.

აღნიშნული მოსაზრება ბუნდოვანია და გარკვეულ ეჭვებს ბადებს. კერძოდ, ვინაიდან რატიფიცირება სავალდებულოა ხელშეკრულების ასამოქმედებლად, მას ვერ ექნება სავალდებულო იურიდიული ძალა. შესაბამისად, უკვე სახელმწიფოს კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული შეასრულებს თუ არა მის დებულებებს. საფიქრებელია, რომ თუ ის არ ახდენს მის რატიფიცირებას, შესაბამისად, არ აქვს მისი შესრულების ნება. ხოლო, თუ მაინც დავუშვებთ, რომ სახელმწიფო შეასრულებს ხელშეკრულებას, რომელსაც სავალდებულო ძალა არ აქვს, მაშინ მას ამავე წარმატებით შეიძლება ვუწოდოთ საერთაშორისო შეთანხმება ან საერთაშორისო ჩვეულება, რომელსაც იზიარებენ კონკრეტული სახელმწიფოები და ასრულებენ ერთმანეთთან ურთიერთობის პროცესში. ნებისმიერ შემთხვევაში, არაფორმალური საერთაშორისო ხელშეკრულების ცნების მართებულობა საეჭვოა თავად საერთაშორისო ხელშეკრულების კონცეპტის, შინაარსისა და ფორმირების ეტაპების გათვალისწინებით.

3. საერთაშორისო ჩვეულება

საერთაშორისო სამართლის მეორე მნიშვნელოვანი წყარო არის *საერთაშორისო ჩვეულება*, რომელიც სტატუტის 38-ე მუხლის თანახმად განისაზღვრება, როგორც სამართლის ნორმად აღიარებული საყოველთაო პრაქტიკა. ჩვეულება არის საერთაშორისო სამართლის უძველესი წყარო. ამასთან, თანამედროვე ეპოქაშიც ის წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წყაროს, რომელიც საფუძვლად უდევს სახელმწიფოების მბოჭავ ნორმებს. ჩვეულებითი სამართა-

ლი არის საერთაშორისო სამართლის დაუნერეელი წყარო, რომელიც შედგება სამი კომპონენტისგან: ა) ეს არის ამა თუ იმ სახელმწიფოში კარგად დამკვიდრებული პრაქტიკა; ბ) ეს არის ერთგვაროვან სიტუაციაში სახელმწიფოთა ქცევის წესი გ) სახელმწიფოთა თანამეგობრობის მიერ აღიარებული უნდა იყოს ასეთი მრავალჯერადი ქცევის წესის იურიდიულად სავალდებულო ბუნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოები უსიტყვოდ უნდა თანხმდებოდნენ აღნიშნული ქცევის წესზე, რაც ანიჭებს ამ უკანასკნელს საერთაშორისოსამართლებრივი ნორმის სტატუსს. ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ახალი ნორმა ვერ წარმოიშობა, თუ სახეზე არ არის ყველა ეს სავალდებულო კომპონენტი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრაქტიკა უნდა იყოს კარგად დამკვიდრებული და ფართოდ გავრცელებული და უნდა არსებობდეს სახელმწიფოთა რწმენა იმისა, რომ ეს პრაქტიკა მათთვის სავალდებულოდ შესასრულებელია (*opinio juris*).

სახელმწიფოს პრაქტიკა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა გზით, როგორცაა მთავრობის ქმედებები სხვა სახელმწიფოთა მიმართ, კანონმდებლობა, დიპლომატიური ნოტები, მინისტრებისა და სხვა ოფიციალური პირების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები და ა.შ. როდესაც კონკრეტული ურთიერთობის მონაწილე სახელმწიფო დუმს, ეს, როგორც წესი, აღიქმება, როგორც თანხმობა არსებულ პრაქტიკაზე. თუ ახალი პრაქტიკა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ ჩვეულებით სამართალს, ხოლო კონკრეტული სახელმწიფო პერმანენტულად აპროტესტებს მას, ასეთ შემთხვევაში კონკრეტული პრაქტიკა შეიძლება არ იყოს აღიარებული, როგორც ახალი ჩვეულება, ან ჩაითვალოს, რომ პროტესტის გამომთქმელი სახელმწიფო ამკვიდრებს ერთგვარ გამონაკლისს ჩვეულებითი სამართლიდან.

დამკვიდრებულ პრაქტიკაზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, თუ როგორია კანონის დამოკიდებულება ამ პრაქტიკის მიმართ, ანუ როგორია მისი სამართლებრივი შეფასება. ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, შეიძლება ბევრშიც, მიღე-

ბულია წამება და არაადამიანური მოპყრობა, სულაც არ ნიშნავს, რომ არ არსებობს მისი საპირწონე პრაქტიკა, რომელიც ასეთ ქმედებას, ანუ წამებას, კანონგარეშედ აცხადებს. ნიკარაგუას საქმეში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმისათვის, რომ დავასკვნათ ჩვეულებითი სამართლის ნორმის არსებობა, საკმარისია, სახელმწიფოთა ქმედება შეესაბამებოდეს ამ ნორმას. ხოლო სახელმწიფოთა ქმედებები, რომლებიც მას არ შეესაბამება, ზოგადად, მიჩნეული უნდა იყოს ამ ნორმის დარღვევად და არა ახალი ნორმის დამკვიდრების მცდელობად⁴⁰.

რაც შეეხება თავად *opinio juris*-ის განმარტებას, რომელიც დამკვიდრებულია საერთაშორისო სამართალში, როგორც სახელმწიფოთა რწმენა ამა თუ იმ ვალდებულების არსებობისა, რთულია არ დაეთანხმო პროფ. ქრისტოფერ გრინფუდს, რომ ეს განმარტება საკმარისი არ არის. კერძოდ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საერთაშორისო სამართალში ბევრი ნორმა აწესებს არა ვალდებულებას, არამედ უფლებას და ასეთ შემთხვევაში, *opinio juris* უნდა განვმარტოთ როგორც რწმენა უფლებაში და არა ვალდებულებაში. გარდა ამისა, ერთობ ხელოვნურად ჟღერს თავად ტერმინი „სახელმწიფოთა რწმენა“. უპირანი იქნებოდა, რომ *opinio juris* განისაზღვროს, როგორც სახელმწიფოს ამა თუ იმ უფლების/ვალდებულების აღიარება/დადასტურება⁴¹.

საგულისხმოა, რომ ხელშეკრულება და ჩვეულება, როგორც საერთაშორისო სამართლის წყაროები, ხშირად განაპირობებენ ერთმანეთს. კერძოდ, ბევრი ხელშეკრულება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ისინი ახდენენ ჩვეულებითი სამართლის დაუწერელი ნორმების კოდიფიცირებას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაეროსა და სხვა უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით შესრულდა მნიშვნელოვანი სამუშაო საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმების კოდიფი-

⁴⁰ ICJ in Nicaragua, ICJ Reports, 1986, 3.

⁴¹ Greenwood Ch., Sources of International Law: An Introduction (Outline), 2008, 2. https://legal.un.org/avl/pdf/ls/greenwood_outline.pdf [15.03.2023]

კაციის მიზნით, რასაც თან სდევდა მათი განვითარება. შედეგად, შეიქმნა არაერთი უნივერსალური კონვენცია დიპლომატიურ და საკონსულო სფეროში, სახელშეკრულებო სამართლის, სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის, საზღვაო სამართლის და საერთაშორისო სამართლის სხვა სფეროებში. ანუ, მივიღეთ კონვენციები, რომელთაც მოახდინეს საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი ნორმების კოდიფიცირება.

ხელშეკრულებისა და ჩვეულების მჭიდრო ურთიერთკავშირის კარგი მაგალითია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენცია. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სახელმწიფო არ არის ამ კონვენციის მხარე, სასამართლოს არაერთხელ გაუკეთებია მასზე მითითება, როგორც ჩვეულებითი სამართლის კოდიფიცირებულ ვერსიაზე და, აქედან გამომდინარე, დაუდგენია, რომ ის ვრცელდება ყველა სახელმწიფოზე, მიუხედავად იმისა, არის თუ არ ის ამ კონვენციაზე მიერთებული.

პრაქტიკულად, ის ფაქტი, რომ სახელმწიფოთა დიდი რაოდენობა თანხმდება ხელშეკრულების დებულებებზე, ეს უკვე წარმოადგენს სახელმწიფოთა პრაქტიკას. ამიტომ, თუ ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოები, ისევე როგორც ისინი, ვინც არ მიერთებიან მას, გამოიყენებენ ამ ხელშეკრულებას სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, ის უნდა მივიჩნიოთ ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნაწილად.

როგორც ვხედავთ, ჩვეულებითი და სახელშეკრულებო საერთაშორისო სამართალი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და დროთა განმავლობაში რთული იქნება მათ შორის მკაფიო ზღვარის გავლება, ვინაიდან, ბუნებრივია, რომ მოხდება სულ უფრო მეტი ჩვეულებითი ნორმის კოდიფიცირება და მათი ხელშეკრულებებში ასახვა.

საკითხის უკეთ გასაგებად უპრიანი იქნება გამოვყოთ საერთაშორისო ხელშეკრულებისა და ჩვეულების, როგორც საერთაშორისო სამართლის ორი ძირითადი წყაროს საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. მათზე, ზოგადად, ზემოთ იყო საუბარი თითოეული

წყაროს არსის აღწერისას, თუმცა მეტად ეფექტიანი იქნება ამ საერთო და განმასხვავებელი ნიშნების ჩამოყალიბება სისტემატიზებული სახით.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, ისე ჩვეულება წარმოიქმნება სახელმწიფოთა ორმხრივი ქმედების შედეგად და აქვთ იდენტური ბუნება, რაც მდგომარეობს სახელმწიფოთა ნების გამოვლენაში. ორივე წყარო შეიცავს სავალდებულო ხასიათის ქცევის წესებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ბოჭავენ მათ შემქმნელ სუბიექტებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ორივე წყარო ითხოვს საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი კონცეპტის განუხრელ დაცვას, რაც მდგომარეობს საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერ შესრულებაში (*pacta sunt servanda*). მათ შორის კიდევ ერთი მსგავსებაა ის, რომ მათი დარღვევა იწვევს იდენტურ შედეგს დამრღვევი სახელმწიფოსთვის, იქნება ეს შესაბამისი პრეტენზიების დაკმაყოფილების მოთხოვნის დაყენება თუ სხვა ზომა. ხელშეკრულებისა და ჩვეულების მსგავსებას მონიშნავს ასევე მათი უზრუნველყოფის მექანიზმების ერთგვაროვნება. კერძოდ, ამის მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს სწორედ გაეროს მართლმსაჯულების სტატუტის 38-ე მუხლი, რომლის მიხედვით სასამართლო ერთნაირად იყენებს ორივე წყაროს. იგივე ხდება გაეროს უშიშროების საბჭოს შემთხვევაში, რომელიც იღებს შესაბამის ზომებს სახელმწიფოთა უფლებების დაცვის მიზნით, რომლებიც მათ წარმოემოხა სხვა სახელმწიფოთა მიერ როგორც დანერგილი, ისე დაუნერგელი პრინციპების დარღვევით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო ხელშეკრულებასა და ჩვეულებას, გარდა საერთო ნიშნებისა, რასაკვირველია, ახასიათებთ არსებითი განსხვავებები. პირველ რიგში, განსხვავებულია სახელშეკრულებო და ჩვეულებითი ნორმების ჩამოყალიბების გზები. ხელშეკრულება, როგორც წესი, წარმოიშობა სახელმწიფოთა აქტიური ქმედების შედეგად, რაც მიმართულია სწორედ რომ დანერგილი სამართლებრივი ნორმის მისაღებად. რაც შეეხება

ჩვეულებით ნორმას, მისი წყარო შეიძლება იყოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა როგორც აქტიური ქმედება, ისე დუმილი, პასიურობა, მაგალითად, დამკვიდრებული პრაქტიკის წინააღმდეგ პრეტენზიის გამოუთქმელობა.

ხელშეკრულების მეორე უმთავრესი მახასიათებელი არის ის, რომ ის განერილია დროში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონკრეტულად შეგვიძლია ვთქვათ, როდის შეიქმნა იგი, როდის შევიდა ძალაში, როდის შეწყვიტა მოქმედება და ა.შ. ანუ სახეზეა დროის კრიტერიუმი. მაშინ როდესაც, როგორც წესი, ჩვეულების ჩამოყალიბების პროცესზე დაკვირვება დროის თვალსაზრისით საკმაოდ რთულია. შესაბამისად, რთულია იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ რა მომენტიდან გაუჩნდათ სახელმწიფოებს ერთმანეთის მიმართ ჩვეულებითი ნორმიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობანი, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის დავების გადანყვეტისას ჩვეულების გამოყენების თვალსაზრისით. გარდა ამისა, დაწყებით სტადიაზე რთულია ჩვეულებისა და ზემოთ ნახსენები ჩვეულებრიობის ერთმანეთისგან გამიჯვნა, რაც ასევე ართულებს სანქციების, გარანტიების და, ზოგადად, სამართალგამოყენებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების გადანყვეტას.

ერთ-ერთი მკვეთრი განსხვავება ხელშეკრულებას და ჩვეულებას შორის მდგომარეობს მათი გარეგნული გამოსატყვის ფორმაში. ხელშეკრულების წერილობითი ფორმა გულისხმობს შეთანხმებული ტექსტის, მკაფიო ლოგიკური კავშირების, ფორმულირებების და სხვა რეკვიზიტების არსებობას. მაშინ როდესაც ჩვეულების არსებობის დასადასტურებლად ხდება მხოლოდ სახელმწიფოთა პრაქტიკაზე მითითება.

ჩვეულება, როგორც წესი, გამომდინარეობს პრაქტიკიდან, ხოლო ხელშეკრულება, პირიქით, თავად ამკვიდრებს პრაქტიკას. და ბოლოს, მხოლოდ დაწერილ სახელშეკრულებო ნორმას უკავშირდება საერთაშორისო სამართლის ისეთი პროგრესული ინსტიტუტი, როგორიცაა კოდიფიკაცია, რომელიც დღითიდღე მეტ მნიშვნელობას იძენს.

ჩამოთვლილი განსხვავებები მოწმობს ხელშეკრულების, როგორც საერთაშორისო სამართლის წყაროს უპირატესობას ჩვეულებასთან შედარებით იმ თვალსაზრისით, რომ ის უკეთ ესადაგება საერთაშორისო სამართალგამოყენების მიზნებს, შესაბამისი ურთიერთობის სუბიექტთა მოთხოვნებს, ზოგადად, საერთაშორისო მართლწესრიგის განვითარებისა და სტაბილიზაციის ამოცანებს. თუმცა, ჩვეულება იყო და რჩება, ზოგადად, საერთაშორისო სამართლისა და, ხშირ შემთხვევაში, თავად საერთაშორისო ხელშეკრულების უმნიშვნელოვანეს წყაროდ.

საერთაშორისო ჩვეულებისგან უნდა განვასხვავოთ ე.წ. „**საერთაშორისო ჩვეულებრიობა**“, ანუ სახელმწიფოთა ქცევის წესი, რომელსაც ისინი იცავენ ურთიერთობებში, თუმცა არ აღიარებენ მის სავალდებულო ბუნებას. ასეთ პრაქტიკას განეკუთვნება, მაგალითად, *comitas gentium*, ანუ საერთაშორისო ზნეობისა და მორალის წესები, როგორცაა დიპლომატიური ეტიკეტი და პროტოკოლი, საზღვაო ცერემონიალის წესები და ა.შ. თუმცა, თავად საერთაშორისო ჩვეულების შინაარსიდან გამომდინარე, ზღვარი ამ უკანასკნელსა და ზემოთ მოყვანილ ზნეობისა თუ მორალის ნორმებს შორის ძალზე მყიფეა, ვინაიდან ეს ნორმები ხანგრძლივი გამოყენების შედეგად მკვიდრდება სახელმწიფოთა პრაქტიკაში და გარდაიქმნება საერთაშორისო ჩვეულებით ნორმებად.

4. ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული ზოგადი პრინციპები

ხელშეკრულება და ჩვეულება არის საერთაშორისო სამართლის უმთავრესი წყარო. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუსი იცნობს სამართლის ისეთ წყაროს, როგორცაა **ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპები**. შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან შედარებით, საერთაშორისო სამართალი არის ნაკლებად განვითარებული და საკმაოდ

მეჩხერი, თუმცა უკანასკნელი 50 წლის მანძილზე განვითარდა რამდენიმე ახალი სპეციალიზებული სფერო. საერთაშორისო სასამართლოები და ტრიბუნალები ყოველთვის იყენებდნენ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში დანერგილ კონცეპტებსა და დოქტრინებს, თუკი ისინი ერგებოდა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს. სწორედ ამ გზით შეიქმნა საერთაშორისო სამართალი, რომელიც ივსებოდა და მდიდრდებოდა ხარვეზების გამოსწორებისა და სუსტი მხარეების გაძლიერების ხარჯზე. რასაკვირველია, საერთაშორისო სამართალში არ ხდება ერთი კონკრეტული ეროვნული სამართლებრივი სისტემიდან ამა თუ იმ კონცეპტის ავტომატური გადმოტანა, არამედ ხდება ისეთი პრინციპის ძიება, რომელიც გარკვეული ფორმით მისაღები და აღიარებულია რიგ სამართლებრივ სისტემებში.

ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული ზოგადი პრინციპები სწორედ ასეთ დოქტრინებსა და კონცეპტებს გულისხმობს. სიტყვა „ცივილიზებული“, რასაკვირველია, აქ არ არის გამოყენებული რომელიმე ერის დასაკნინებლად. სტატუტი გულისხმობს ისეთ სახელმწიფოებს, რომლებმაც მიაღწიეს სამართლებრივი განვითარების მონიავე დონეს.

კონკრეტულად რა იგულისხმება „ცივილიზებული ერების მიერ აღიარებულ ზოგად პრინციპებში“? საერთაშორისო სამართალში ცალსახა პასუხი არ არსებობს ამ კითხვაზე. თუმცა, ამ დარგის სპეციალისტთა უმრავლესობა მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეს არის ე.წ. „მარტივი იურიდიული ჭეშმარიტებები“, როგორცაა „შემდგომი ნორმა აუქმებს წინას“, „სპეციალურ ნორმას ენიჭება უპირატესობა ზოგადთან შედარებით“, „იერარქიულად მაღალ საფეხურზე მდგარ ნორმას უნდა შეესაბამებოდეს შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომი ნორმა“ და ა.შ. საინტერესოა, როგორია ასეთი ტიპის დებულებების იურიდიული ბუნება, შეიძლება თუ არა ისინი განვიხილოთ საერთაშორისო სამართლის კლასიკურ წყაროდ?

ზოგიერთი ავტორის აზრით, ეს პრინციპები არის არა საერთაშორისო სამართლის, არამედ ზოგადად, სამართლის ფუძემ-

დებლური პრინციპები, რომლებზეც აგებულია და ფუნქციონირებს თავად სამართლის სისტემა. თუმცა, თავისი მნიშვნელობის მიუხედავად, ეს პრინციპები არ შეიცავენ სახელმწიფოთა ქცევის კონკრეტულ წესებს და, შესაბამისად, მათ ვერ მივიჩნევთ საერთაშორისო სამართლის წყაროდ⁴².

რთულია, ნაწილობრივ არ დაეთანხმო ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, თუ მხედველობაში მივიღებთ საერთაშორისო სამართლის და, ზოგადად, სამართლის წყაროს განმარტებას, ფორმალური გაგებით. კერძოდ, იმას, რომ ეს არის ფორმა, რომელშიც გამოხატულებას ჰპოვებს ესა თუ ის კონკრეტული ქცევის წესი. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია წყაროს განმარტება ფართო გაგებით. კერძოდ, ვინაიდან არავინ დავობს იმაზე, რომ ზემოთ მოყვანილ პრინციპებს ეფუძნება სამართლის სისტემა, რასაკვირველია ისინი ასევე დიდ როლს თამაშობენ საერთაშორისო სამართლის ძირითადი წყაროების ფორმირებაში. ეს ფაქტი კი უკვე საკმარისია იმისათვის, რომ ზოგადი პრინციპები ასევე მივიჩნიოთ საერთაშორისო სამართლის წყაროებად, თუნდაც მათ ჰქონდეთ არა ძირითადი, არამედ დამხმარე წყაროს სტატუსი. ხოლო ის ფაქტი, რომ ეს პრინციპები არის არა კონკრეტულად საერთაშორისო სამართლის, არამედ ზოგადად, სამართლის ფუძემდებლური პრინციპები, არათუ აკნინებს მათი, როგორც წყაროს მნიშვნელობას, არამედ პირიქით, აძლიერებს მას.

5. საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების გადაწყვეტილებები

საერთაშორისო სამართლის წყაროა ასევე *საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების გადაწყვეტილებები*, რომლებიც სავალდებულოა მხარეთათვის. გაეროს წესდების 94-ე მუხლის თანახმად, ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან შეასრულონ მართლმსაჯულების საერთაშორისო სა-

⁴² <<http://www.bibliotekar.ru/mezhdunarodnoe-pravo-1/5.htm>> [15.01.2023]

სამართლოს გადაწყვეტილებები იმ საქმეებზე, რომლებშიც ისინი წარმოადგენენ მხარეებს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე არ შეასრულებს სასამართლო გადაწყვეტილებით მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს უშიშროების საბჭოს, რომელიც, თავის მხრივ, უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი ზომები ასეთი გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

საგულისხმოა, რომ სტატუტი საერთაშორისო სამართლის წყაროდ მოიაზრებს სასამართლო გადაწყვეტილებებს ზოგადად, რაც გულისხმობს როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებს.

ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული ზოგადი პრინციპების მსგავსად, არც სასამართლო გადაწყვეტილებების მიმართ არის ცალსახა დამოკიდებულება საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებს შორის. ზოგიერთი მათგანი არ ცნობს მათ საერთაშორისო სამართლის წყაროდ შემდეგი მიზეზების გამო: საერთაშორისო სასამართლოებს თავიანთი სადამფუძნებლო დოკუმენტები არ ანიჭებს უფლებამოსილებას შექმნან საერთაშორისოსამართლებრივი ნორმები. გარდა ამისა, საერთაშორისო სამართალში სასამართლო გადაწყვეტილებებს არ აქვს პრეცედენტის ძალა და წარმოადგენენ მხოლოდ საერთაშორისო ნორმების გამოყენების აქტებს კონკრეტულ საქმეზე. სასამართლო გადაწყვეტილება სავალდებულოა, თუმცა არ შეიძლება იყოს საფუძველი მსგავს საკითხზე ანალოგიური გადაწყვეტილების მიღებისა, მიუხედავად იმისა, რომ მათი გათვალისწინება ხდება როგორც თავად სასამართლოს, ისე მხარეების მიერ. და ბოლოს, სასამართლო, იღებს რა გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე, საერთაშორისო ურთიერთობებში გამოდის ერთადერთი სუბიექტის სახით. მისი ნება არავისთან თანხმდება და სახელმწიფოები არ ანიჭებენ მის გადაწყვეტილებას საერთაშორისოსამართლებრივი ნორმის ძალას. აქედან გამომდინარე, ვინაიდან საერთაშორისო სასამართლოთა გადაწყვეტილებები არ შეიცავს საერთაშორისოსამართლებრივი

ნორმისთვის აუცილებელ ელემენტებს, ის არ შეიძლება მივიჩნიოთ საერთაშორისო სამართლის წყაროდ⁴³.

რთულია დაეთანხმო ამ მოსაზრებას იმავე არგუმენტით, რომ საერთაშორისო სამართლის წყაროს შეფასება უნდა მოხდეს არა მისი ვინრო დეფინიციის, არამედ შესაფასებელი აქტის შინაარსის მიხედვით. ის ფაქტი, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებს არა აქვთ სავალდებულო პრეცედენტის ძალა, სრულებით არ ცვლის იმ ფაქტს, რომ სასამართლოები პრაქტიკაში ხშირად მიმართავენ მსგავს საკითხებზე წინა საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს და ისე ასაბუთებენ თავიანთ პოზიციას. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო სასამართლო ეყრდნობა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ საქმის გადაწყვეტისას. შესაბამისად, ამგვარი დამოკიდებულება თავისთავად ქმნის სასამართლო პრეცედენტს და ასეთი გადაწყვეტილება გვევლინება საერთაშორისო სამართლის წყაროდ, ხოლო სასამართლო – ასეთი წყაროს შემოქმედად.

აქედან გამომდინარე, მართალია სასამართლო გადაწყვეტილებები საერთაშორისო სამართლის დამხმარე წყაროებია, პრაქტიკულად მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ საერთაშორისო სამართლის განვითარებაზე. ვინაიდან გადაწყვეტილებები ეფუძნება კონკრეტული ფაქტებისა და სამართლებრივი არგუმენტების სკურპულოზურ გამოკვლევას, ისინი სარგებლობენ დიდი ავტორიტეტით. საერთაშორისო სასამართლოები და ტრიბუნალები სულ თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობითაა, მაშინ, როდესაც არსებობს ათასობით ეროვნული სასამართლო. საქმეთა უმეტესობა, რომელთაც იხილავს საერთაშორისო სასამართლო, მოდის ეროვნული სასამართლოდან, კერძოდ, მათი ბოლო ინსტანციიდან. ვინაიდან ასეთი გადაწყვეტილებები ქმნიან სახელმწიფოში დამკვიდრებულ პრაქტიკას და, ამას თუ დავურთავთ ასევე მათ კუმულაციურ ეფექტს, დიდი იქნება მათი მნიშვნელობა და წვლილი

⁴³ <<http://www.bibliotekar.ru/mezhdunarodnoe-pravo-1/5.htm>> [15.01.2023]

ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბების საქმეში. უფრო მეტიც, საერთაშორისო სამართლის, ისევე როგორც, ზოგადად, სამართლის, როგორც „ცოცხალი ორგანიზმის“ ბუნების გათვალისწინებით და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების განვითარების პარალელურად, ამა თუ იმ სასამართლო გადაწყვეტილებამ შეიძლება იმგვარად შეცვალოს მიდგომა საერთაშორისო სამართლის კონკრეტული ნორმების მიმართ, რომ ამან გამოიწვიოს ახალი საერთაშორისო ხელშეკრულებების შექმნის აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, არ იქნება სწორი დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში წყაროს სტატუსის განმსაზღვრელი სიტყვა – „დამხმარე“ ნაკლებად მნიშვნელოვანს ნიშნავს.

6. წამყვანი მეცნიერების ნაშრომები

საერთაშორისო სამართალში მოღვაწე მეცნიერების შრომები ასევე დამხმარე როლს თამაშობენ საერთაშორისო სამართლის განვითარებისა და მის შინაარსში უკეთ წვდომის საქმეში. მეცნიერთა სწავლებებსა და შეხვედრებებს გაცილებით მეტი ზეგავლენა ექნებოდა საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე, ვიდრე დღეს აქვს. დღეს მათი ძირითადი ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის ესა თუ ის კონკრეტული წიგნი თუ სტატია შემეცნებითი ხასიათის და პრაქტიკული დანიშნულების. ამ თვალსაზრისით, უპირატესობა ენიჭება სამართლის არსის სიღრმისეულ კვლევებს, კერძოდ, იმას, თუ რა არის ან რა შეიძლება იყოს სამართალი და არა იმას, თუ როგორი უნდა იყოს ის. ასეთი კვლევების ზეგავლენა მეტად შეიმჩნევა სასამართლოებზე, იქნება ეს ეროვნული თუ საერთაშორისო სასამართლო. თუმცა, რასაკვირველია, საერთაშორისო სამართლის სხვა ძირითად თუ დამხმარე წყაროებთან შედარებით, წამყვანი მეცნიერების სწავლებებს გაცილებით ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ, ვინაიდან დიდი დაკვირვება უნდა იმას, სწორად ასახავს თუ არა ესა თუ ის ნაშრომი საერთაშორისო სამართლის არსს.

წამყვან მეცნიერთა მოსაზრებებს მნიშვნელობა აქვს *opinio juris*-ის ჩამოყალიბების თვალსაზრისითაც. კერძოდ, ამ კონცეპტისთვის დამახასიათებელი აუცილებელი ელემენტი, სახელმწიფოთა მიერ ამა თუ იმ პრაქტიკის აღიარება, ხშირად გამოხატულებას ჰპოვებს სასამართლო გადაწყვეტილებაში, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება საერთაშორისო სამართლის წამყვანი მეცნიერების კვლევებსა და ნაშრომებზე დაყრდნობით მიღებულ სამართლებრივ არგუმენტებს⁴⁴.

7. სხვა წყაროები

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 38-ე მუხლის ჩამონათვალს ხშირად მართებულად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ის არის არასრული და არ შეიცავს მთელ რიგ აქტებს, რომლებიც დღესდღეობით გვევლინება საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან წყაროდ. ერთ-ერთი ასეთი კატეგორიაა **სახელმწიფოთა ცალმხრივი იურიდიული აქტები**, კერძოდ კი – ვალდებულების აქტი, აღიარების აქტი და პროტესტის აქტი. პირველი ორი ტიპის აქტი, როგორც წესი, მოქმედებს ერთობლივად.

ვალდებულების აქტი – ეს არის სახელმწიფოს ცალმხრივი განცხადება, რომელსაც აკეთებს მისი კომპეტენტური ორგანო. სახელმწიფო აცხადებს, რომ ის იღებს ვალდებულებას განცხადებაში მითითებული პირობების შესაბამისად, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში გარკვეული ქმედებების განხორციელებაზე, რომელთაც მანამდე არ იცნობდა საერთაშორისო სამართალი ან რომლებსაც მცირედი დაზუსტებები თუ შესწორებები შეაქვს უკვე მოქმედ ნორმებში. ასეთი განცხადება კეთდება წერილობით და მისი ადრესატი შეიძლება იყოს ყველა ან რამდენიმე სახელმწიფო. ადრესატი სახელმწიფოების მიერ ვალდებულების აქტის აღიარება წარმოშობს მათთვის აღნიშნული ვალდებულების შესატყვისი უფლებებს. ცალმხრივი აქტის ერთ-ერთი თავისებურება სწორედ

⁴⁴ Aust A., *Handbook of International Law*, Cambridge University Press, 2005, 7.

იმაში მდგომარეობს, რომ მას არ შეუძლია დაუნესოს რაიმე ვალდებულები სხვა სახელმწიფოებს, არამედ პირიქით, წარმოშობს მათთვის ამ აქტით გამონატული ვალდებულების შესატყვის უფლებებს.

ვალდებულებისა და მისი აღიარების აქტი ერთობლიობაში წარმოადგენს სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას, რომელიც შესაბამის აქტში მითითებული ვადის განმავლობაში ვერ შეიცვლება და ვერც გაუქმდება, რაც მოწმობს მის შედარებით სტაბილურ ხასიათს.

აღიარების აქტი – ეს არის სახელმწიფოს აქტი (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლის მეშვეობითაც ის მოქმედი საერთაშორისო სამართლის შესაბამისად აღიარებს ამა თუ იმ სამართლებრივი ვითარების მართლზომიერებას, რომელიც შექმნილია სხვა სახელმწიფოს მიერ, რამდენადაც ასეთი ვითარების არსებობის შესახებ მისთვის ცნობილია ან უნდა იყოს ცნობილი. მნიშვნელოვანია, რომ ამ ურთიერთობაში, როგორც ხსენებული სამართლებრივი ვითარების შემოქმედი, ისე მისი მაღიარებელი სახელმწიფო მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად. შექმნილი იურიდიული ვითარება, რასაკვირველია, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ვითარების აღიარება მიჩნეული იქნება ბათილად.

აღიარების აქტის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის შეიძლება იყოს აშკარად გამოხატული კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მეშვეობით, რომელიც მიმართულია სხვა სახელმწიფოს მიმართ (მაგალითად, ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოსთვის წინადადების გაგზავნა მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების თაობაზე) ან გამომდინარეობდეს სახელმწიფოს უმოქმედობიდან, რაც მოწმობს, რომ ის აგრძელებს თავისი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა თუ ჩვეულებითი ნორმების შესაბამისად. ის ფაქტი, რომ სახელმწიფო არ აცხადებს პროტესტს სხვა სახელმწიფოს მიერ შექმნილი სამართლებრივი მდგომარეობის წინააღმდეგ გონივრულ ვადაში, ეს განიხილება, როგორც მისი

მდუმარე აღიარება. შესაბამისად, ვინაიდან სახელმწიფოს ცალმხრივი აქტი არ საჭიროებს სხვა სახელმწიფოთა მხრიდან იმპერატიულ აღიარებს, ეს მოწმობს მის ავტონომიურ ბუნებას და თვითმყოფად ხასიათს.

აღიარების აქტის საპირისპიროდ, *პროტესტის აქტი* არის სახელმწიფოს განცხადება სხვა სახელმწიფოს მიერ შექმნილი იურიდიული ვითარების მართლზომიერად აღიარებაზე უარის თქმის შესახებ. აღიარების აქტისგან განსხვავებით, პროტესტი უნდა იყოს აშკარად გამოხატული და ამა თუ იმ ფორმით უნდა ეცნობოს ადრესატ სახელმწიფოს, ასევე, შესაძლებელია – სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებს. პროტესტი უნდა იყოს დასაბუთებული, ხოლო მის ადრესატ სახელმწიფოს უფლება აქვს გაასაჩივროს იგი.

საერთაშორისო სამართლის ლიტერატურაში სახელმწიფოთა ცალმხრივი აქტების საკითხის კვლევისას ასეთი აქტების მაგალითად ხშირად მოჰყავთ ისეთი ქმედებები, რომელთაც არეგულირებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. კერძოდ, ზემოთ მოყვანილი სამი სახის აქტის გარდა, სახელმწიფოთა ცალმხრივი საერთაშორისო აქტის მაგალითად სხვადასხვა ავტორები ასახელებენ ასევე ომის გამოცხადებასა და შეწყვეტას, ულტიმატუმს, კაპიტულაციას⁴⁵, სახელმწიფოს მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადებას⁴⁶. ასეთი აქტების ჩამონათვალში ვხდებით ასევე ოკუპაციას⁴⁷.

სახელმწიფოს ცალმხრივი აქტის ზემოაღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ მისი

⁴⁵ Додонов В.Н. Международное право: словарь-справочник / В.Н. Додонов, В.П. Панов, О.Г. Румянцев // Под общ. ред. В.Н. Трофимова. – М.: ИНФРА-М. – 1997, 497.

⁴⁶ Волосов М.Е. Односторонний акт / М.Е. Волосов // Российская юридическая энциклопедия / Под ред. А. Я. Сухарева. – М., 1999, 693.

⁴⁷ Guggenheim P., *Traité de Droit International Public* / P., Guggenheim, T. II. Genève, 1954, 351-355; Zemanek K., *Unilateral Legal Acts Revisited, International Law: Theory and Practice. Essays in Honour of Eric Suy*, Martinus Nijhoff Publishers, The Hague/Boston/London, 1998, 212; Mehdi R., *Cours de droit international public*. იბ., <<http://perso.orange.fr/ceric/enseignements/archives/dipl2003.pdf>> [15.01.2023]

ცნება. კერძოდ, ეს არის სახელმწიფოს მიერ ცალმხრივი ნების გამოვლენა, საჯაროდ გაცხადებული მისი ადრესატების მიმართ, რომელიც წარმოშობს საერთაშორისო სამართლებრივ შედეგებს და ანიჭებს სხვა სახელმწიფოებს შესაბამის უფლებებს.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა შორის, უდავოა, რომ სახელმწიფოთა ცალმხრივი აქტები წარმოადგენენ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან წყაროს.

სტატუტის 38-ე მუხლი არ მოიცავს, ასევე, **გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ აქტებს**. დღეს ნამდვილად არ დგას ეჭვქვეშ ამ აქტების მნიშვნელობა საერთაშორისო სამართლის განვითარებისა და დახვეწის საქმეში. გაეროს გენერალურ ასამბლეას არ აქვს კანონმდებლის უფლებამოსილება. მის რეზოლუციებს, როგორც წესი, არ აქვს სავალდებულო ხასიათი. თუმცა, ამას ვერ ვიტყვით ისეთ რეზოლუციებზე, რომლებიც არეგულირებენ გაეროს შინაგან სტრუქტურასა და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებს. მაგალითად, 1993 წლის 20 დეკემბრის 48/141 რეზოლუციით შეიქმნა ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის თანამდებობა, რომელიც რანგით უტოლდება გაეროს გენერალური მდივნის მოადგილეს⁴⁸. ამ ახალი სტრუქტურის შექმნამ გამოიწვია ცვლილებები გაეროს წევრ-სახელმწიფოთა საბიუჯეტო შენატანებში და მათ წარმოექმნათ ვალდებულება, გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის რეკომენდაციები.

გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კანონშემოქმედებით პროცესზე. ზოგიერთი რეზოლუცია ასახვას ჰპოვებს ხელშეკრულებებში.⁴⁹ მართალია, ამ შემთხვევაში, მხოლოდ ხელშეკრულება ქმნის სამართლებრივ ვალდებულებას და ისიც მხოლოდ მისი ხელმომწერი სახელმწიფოებისთვის, თუმცა გაეროს სხვადასხვა ორგანოების როლი და

⁴⁸ UN General Assembly Resolution A/RES/48/141, 20 December 1993.

⁴⁹ Лукашук И.И., Международное право (Общая часть), Москва, 2005, 22.

მნიშვნელობა თავად ამ ხელშეკრულების შექმნის პროცესში სათანადოდ უნდა შეფასდეს.

გარდა ზემოთქმულისა, ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სახელმწიფოთა პოზიცია, რომელსაც ისინი აფიქსირებენ გაეროში, არის მათი პრაქტიკის გამოვლინება და შესაბამის რეზოლუციას, რომელიც მისაღებია სახელმწიფოთა ფართო წრისთვის და რომელსაც ისინი აღიარებენ, როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმას, შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის განვითარებაზე.

ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის განვითარების თვალსაზრისით არანაკლები მნიშვნელობა აქვს **გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის ანგარიშებსა თუ სხვა დოკუმენტებს**, განსაკუთრებით, თუ მათ მიიღებს გენერალური ასამბლეა რეზოლუციის სახით, მიუხედავად იმისა, ჰპოვებს ეს რეზოლუციები და დასკვნები ასახვას შესაბამის ხელშეკრულებაში, თუ არა.

განსაკუთრებული სტატუსი აქვს **გაეროს უშიშროების საბჭოს**. კერძოდ, მისი გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სახელმწიფოსთვის. სტატუტის 103-ე მუხლის თანახმად, საბჭოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულება უპირატესია ყველა სხვა საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან შედარებით (**Lockerbie Cases 1992**). უფრო მეტიც, უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, რომლებიც ეხება მსოფლიო მშვიდობისთვის საფრთხის შემცველ ქმედებებს, მშვიდობის ხელყოფისა და აგრესიის აქტებს, აუცილებელია შესასრულებლად როგორც გაეროს წევრი, ისე არაწევრი სახელმწიფოებისთვის. კერძოდ, გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაცია უზრუნველყოფს, რომ მისი არაწევრი სახელმწიფოები მოქმედებდნენ ამ პრინციპების შესაბამისად (იგულისხმება გაეროს საქმიანობის ზოგადი პრინციპები), ვინაიდან ეს შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მაგალითად,

თუ შვეიცარია, რომელიც არ არის გაეროს წევრი, დაარღვევდა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ერაყისთვის დაწესებულ სანქციებს, მაშინ უშიშროების საბჭო შეძლებდა გამოეყენებინა სანქციები შვეიცარიის წინააღმდეგ, რათა აღეკვეთა ამ უკანასკნელის ქმედება და უზრუნველყო თავისი გადანვეტილების შესრულება⁵⁰.

8. ნორმათა იერარქია

საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ნორმათა იერარქია საერთაშორისო სამართალში. სტატუტის 38-ე მუხლი სახელდებით არ მიუთითებს ასეთ იერარქიაზე, თუმცა მისი გარკვეული ელემენტები მაინც შეიმჩნევა. ზოგადად, საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ საერთაშორისო სამართლის ზოგიერთი ნორმა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათ აქვთ *jus cogens*-ის სტატუსი, რაც ნიშნავს იმპერატიულ ნორმას, რომლისგანაც ყოველგვარი გადახვევა დაუშვებელია. მაშინ, როდესაც სახელმწიფოები შეიძლება შეთანხმდნენ ჩვეულებითი სამართლის ნორმებიდან გადახვევაზე, მათ არავითარი უფლება არ აქვთ გადაუხვიონ ან შეცვალონ *jus cogens*-ის ნორმა. შესაბამისად, ბათილია ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ეწინააღმდეგება *jus cogens*-ის ნორმას (სახელშეკრულებო სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის 53-ე მუხლი). რასაკვირველია, *jus cogens*-ის ნორმა ასევე პრიორიტეტულია ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმასთან შედარებით.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძალიან ცოტაა *jus cogens*-ის სტატუსის მქონე ნორმა (მაგალითად, აგრესიის, გენოციდის, წამების და მონობის აკრძალვა) და მკაცრია კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნორმა ამ სტატუსის მისაღწევად. კერძოდ, უნდა მოხდეს არა მარტო ამა თუ იმ ნორმის საყოველთაოდ აღიარება, არამედ ასევე მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება იმაზე, რომ არ შეიძლება ამ ნორმიდან გადახვევა.

⁵⁰ Бежашев К.А., Международное публичное право, Москва, 2003, 24.

თუმცა არ არსებობს საერთაშორისო სამართლის ნორმათა ფორმალური იერარქია, ისინი მაინც შეიძლება განვალაგოთ პირობით იერარქიულ კიბეზე⁵¹. საერთაშორისო სამართლის ნორმათა იერარქიის პირობითობა იმით არის განპირობებული, რომ მას უნივერსალური ხასიათი არ აქვს. კერძოდ, ხელშეკრულება დგას იერარქიულად მაღალ საფეხურზე ჩვეულებასთან შედარებით მხოლოდ ამ ხელშეკრულების მხარეთათვის, მაშინ, როდესაც იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც არ არის მიერთებული აღნიშნულ ხელშეკრულებაზე, მას არავითარი სავალდებულო ძალა არ აქვს და ამ დროს მოქმედებს ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმები. შესაბამისად, როდესაც ვსაუბრობთ საერთაშორისო სამართლის ნორმათა იერარქიაზე, ყურადღებაა მისაქცევი იმაზე, თუ რომელ სახელმწიფოსთან მიმართებით განიხილება კონკრეტული ნორმის იერარქიის საკითხი.

9. “SOFT LAW” და “HARD LAW” საერთაშორისო სამართალში

საერთაშორისო სამართლის წყაროებზე საუბრისას, მეტად აქტუალურია ისეთი კონცეპტების განხილვა, როგორცაა “soft law” და “hard law”. როდესაც საუბარია “soft law” და “hard law”-ზე, როგორც საერთაშორისო სამართლის წყაროებზე, ეს არ უნდა გავიგოთ, როგორც რაღაც განყენებული, საერთაშორისო სამართლის ზემოთ დასახელებული წყაროებისგან განსხვავებული კატეგორიები. აღნიშნული ტერმინებით, ფაქტობრივად, ხდება საერთაშორისო სამართლის არსებული წყაროების კლასიფიკაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, “soft law” და “hard law” მოიცავს საერთაშორისო სამართლის ყველა არსებით თუ დამხმარე წყაროს, ეს არის წყაროთა ერთგვარი კლასიფიკაცია.

ტერმინით “soft law” აღინიშნება კვაზისაერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტები, როგორცაა ქცევის კოდექსები, სახე-

⁵¹ Aust A., *Handbook of International Law*, Cambridge University Press, 2005, 6.

ლმძღვანელო პრინციპები (guidelines) და ა.შ. მაგალითად, ევროკავშირის სამართლის სფეროში “soft law” ინსტრუმენტები ხშირად გამოიყენება იმის აღსანიშნავად, თუ როგორ აპირებს ევროკომისია თავისი ძალაუფლების გამოყენებას და როგორ აპირებს თავისი მიზნების განხორციელებას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. ამრიგად, “soft law”, როგორც საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო, მოიცავს ისეთ დოკუმენტებს, როგორიცაა:

- გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციათა და დეკლარაციათა უმეტესი ნაწილი (მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია);
- პრინციპები, დადგენილებები, ქცევის კოდექსები და სხვა დოკუმენტები, რომლებსაც ხშირად ჩარჩო-ხელშეკრულებებს უწოდებენ;
- სამოქმედო გეგმები;
- სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებები.

რაც შეეხება “hard law”-ს, ამ ტერმინით მოიხსენიება სავალდებულო საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, როგორიცაა:

- საერთაშორისო ხელშეკრულებები;
- ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმები;
- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები.

თავად ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების ხასიათიდან ჩანს, რომ “hard law” “soft law”-გან განსხვავებით სახელწიფოებს და სხვა საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს და, ამავე დროს, ანიჭებს უფლებებს.

“hard law” საერთაშორისო სამართლის ისეთი წყაროა, რომელიც ეჭვს არ იწვევს. გაცილებით მეტი დისკუსია მიმდინარეობს “soft law”-თან დაკავშირებით. კერძოდ, ზოგიერთი მეცნიერი თუ პრაქტიკოსი საერთოდ არ აღიარებს მის არსებობას, ხოლო ზოგიერთისთვის გაურკვეველია მისი სტატუსი, ზოგადად, სამართალთან მიმართებით. თუმცა, საერთაშორისო სამართლის დარგის სპეციალისტთა

უმრავლესობა აღიარებს, რომ **“soft law”** ინსტრუმენტების განვითარება არის იმ კომპრომისის ნაწილი, რომელიც აუცილებელია საერთაშორისო სამართლის სისტემაში წარმართული ყოველდღიური მუშაობისას, როდესაც სახელმწიფოები ხშირად სკეპტიკურად ეკიდებიან მეტისმეტ ვალდებულებებზე ხელის მოწერას, ვინაიდან ამან შეიძლება უკმაყოფილება და ვნებათაღელვა გამოიწვიოს ეროვნულ დონეზე სახელმწიფოს მხრიდან საერთაშორისო სამართლისადმი ზედმეტი ლოიალობის გამოჩენის გამო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მკაცრად ლეგალიზებული საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობები ხშირად არ არის სახელმწიფოს ინტერესებში. სწორედ ასეთ დროს იჩენს თავს **“soft law”**-ის აუცილებლობა საერთაშორისო სამართალში, რომელსაც შეუძლია მეტი სარგებლის მოტანა ნაკლები დანახარჯით, ვინაიდან ყველა ხელშეკრულებას სჭირდება საკითხის შესწავლა, მის გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯების განევა. გარდა ამისა, **“hard law”** საჭიროებს მეტ დროსა და პოლიტიკურ ძალისხმევას, რაც უკავშირდება სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი დოკუმენტის რატიფიცირებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, **“hard law”** შეიცავს მკაცრად განსაზღვრულ, ზუსტად ფორმულირებულ იურიდიულ ვალდებულებებს. თუ კარგად დავაკვირდებით მის ინსტიტუციურ ფორმას, ვნახავთ, თუ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები ახასიათებს ნებისმიერი სახის ლეგალიზაციას. **“hard law”**-ის მეშვეობით ურთიერთობების მონესრიგებით საერთაშორისო სამართლის სუბიექტები ამცირებენ ტრანზაქციის ხარჯებს, ამყარებენ თავიანთი ქმედებების მართებულობას, განავრცობენ თავიანთ პოლიტიკურ სტრატეგიებს და წყვეტენ ხელშეკრულებებში არსებული ხარვეზების გამო აღმოცენებულ პრობლემებს. თუმცა, ეს ყველაფერი ხდება გარკვეული საზღაურის ფასად, კერძოდ, **“hard law”** ზღუდავს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის თავისუფალ მოქმედებას და ზოგჯერ სუვერენიტეტსაც კი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. ბუნებრივია, სახელმწიფოებს არ სურთ თავიანთი სუვერენიტეტის შეზღუდვა საამისოდ სერიოზული მიზეზების არსებობის გარეშე. სახელმწი-

ფომ შეიძლება, ასევე, მიიჩნიოს, რომ ხელშეკრულების ზოგიერთი საკითხი მეტად ბუნდოვანია იმისათვის, რომ მან მისი შესრულების ვალდებულება იკისროს. ეს და სხვა მსგავსი ფაქტორები მეტყველებს **“hard law”**-ის სიხისტეზე. რაც შეეხება **“soft law”**, იგი აძლევს სახელმწიფოს საშუალებას უფრო თავისუფლად შევიდეს საერთაშორისოსამართლებრივ ურთიერთობაში, ზედმეტი ვალდებულებების გარეშე.

საერთაშორისო სამართლის ყოველ კონკრეტულ სფეროში **“hard law”**-ისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის ურთიერთმიმართება განსხვავებულია. პოლიტიკური ეკონომიკის საკითხებთან დაკავშირებით, როდესაც საკითხი ეხება ტექნიკურად რთულ, თუმცა სუვერენიტეტისთვის ნაკლები საფრთხის შემქმნელ სფეროს, როგორცაა, მაგალითად, საერთაშორისო გადაზიდვების სტანდარტები, **“hard law”** უფრო მეტი სარგებლის მომტანია სახელმწიფოსთვის. მეორე მხრივ, არსებობს სახელმწიფოსთვის მგრძობიარე საკითხები, მაგალითად, საგადასახადო პოლიტიკა, რომლის სუვერენულად განსაზღვრის უფლება სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია და ამიტომ ამ სფეროში სხვა სახელმწიფოებთან კოორდინირებულ მოქმედებას იგი **“soft law”**-ის ფარგლებში ამჯობინებს. სავაჭრო სფეროში გამოიყენება **“soft law”**-ისა და **“hard law”**-ის ერთგვარი ნაზავი. მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო საკითხებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას სახელმწიფოს სუვერენიტეტს, **“hard law”**-თვის დამახასიათებელი დადებითი მომენტები ზოგჯერ უფრო პრიორიტეტულია მისთვის. გარდა ამისა, სავაჭრო სფეროში თავს იჩენს ქვეყნის შიგნით არსებული ჯგუფები, რომელთაც ხელს აძლევს **“hard law”**-ის დებულებები და ისინი ახორციელებენ ზენოლას სახელმწიფოზე ამ ინსტრუმენტებთან მიერთების თაობაზე, რაც ხშირად წარმატებით გვირგვინდება.

ამ თვალსაზრისით სახელმწიფოსთვის ყველაზე მტკივნეული საკითხია ეროვნული უსაფრთხოება. თვით NATO-ის მსგავს ხელშეკრულებებშიც კი ვალდებულებები შეიძლება მკაცრად იყოს განსაზღვრული, მაგრამ თავად ხელშეკრულების დებულებები იყოს

ნაკლებად ზუსტი, რაც მათი შედარებით თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

“soft law”-ის ფარგლებში სახელმწიფოს შეუძლია იმოქმედოს კონკრეტული ვითარების შესაბამისად. მაგალითად, UNCITRAL-ის გაკოტრების სამართალი ადგენს ნორმებს გაკოტრების რეჟიმებისთვის, მაგრამ ინარჩუნებს მოქნილობას სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური თუ ეკონომიკური განსხვავებების გათვალისწინებით. ეს საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს მიაღწიონ კომპრომისს ერთმანეთისთვის ისეთი ვალდებულებების დაკისრების გარეშე, რომელთა შესრულება შეიძლება რომელიმე სახელმწიფომ ვერ შეძლოს გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო.

“soft law” წარმატებით გამოიყენება მოლაპარაკებების დროს, მაშინ, როდესაც ეს მოლაპარაკებები შეიძლება ჩიხში შევიდეს, თუ სახელმწიფოებს მოეთხოვებოდათ გარკვეული ვალდებულებების თავის თავზე აღება იმ დროს, როდესაც მათ არ შეუძლიათ ამ ვალდებულებების შესრულება პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზეზების გამო, არადა, ამავდროულად, სურთ კეთილი ნების გამოვლენა და გარკვეულ საკითხზე მოლაპარაკება. სწორედ ასეთ დროს “soft law”-ის გამოყენება გვთავაზობს პრობლემის ეფექტიან გადაწყვეტას.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული საკითხის გადანწყვისას გამოიყენება “soft law”-ის სპეციფიკური ფორმა, რომლის განსაზღვრაზეც გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, როგორცაა ეროვნული სუვერენიტეტის მოთხოვნები, განსხვავებული პრიორიტეტები და ა.შ.

“soft law” ხასიათდება დინამიკურობით იმ თვალსაზრისით, რომ იგი იწყებს პროცესს, რომელიც შეიძლება სულ სხვა მიმართულებით განვითარდეს. როგორც კი სახელმწიფო ხდება “soft law”-ის სუბიექტი, იგი შედის ურთიერთობებში სხვა სახელმწიფოებთან და დროთა განმავლობაში მათ შორის ურთიერთობები იმდენად ძლიერდება, რომ ამან შეიძლება უბიძგოს სახელმწიფოს ისეთი ვალდებულებებისა და ქმედებებისკენ, რომლებიც მანამდე შეიძლება მიუღებელი ყოფილიყო მისთვის. შესაბამისად, “soft law”-ს აქვს

დიდი პოტენციალი მომავალში “hard law”-დ გარდაქმნისა. ეს პროცესი შეიძლება წარიმართოს ორი სხვადასხვა მიმართულებით. პირველი, როდესაც დეკლარაციები, რეკომენდაციები და “soft law”-ის სხვა ინსტრუმენტები არის ხელშეკრულების დადების პროცესისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი. ასეთ დროს შესაბამის ხელშეკრულებებში მოიხსენიება “soft law” დოკუმენტებში უკვე დაფიქსირებული პრინციპები. მეორე, არასახელშეკრულებო შეთანხმებები პირდაპირ ზემოქმედებენ სახელმწიფოს ქმედებებზე და მათი წარმატებით გამოყენების შემთხვევაში, ისინი გარდაიქმნება ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმებად.

ზოგიერთი მეცნიერი ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ ვინაიდან საერთაშორისო სამართალში არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება თავისი აღმასრულებელი ძალაუფლებით, ამიტომ, მთელი ეს დარგი, ანუ საერთაშორისო სამართალი, უნდა მივიჩნიოთ “soft law”-დ. ზოგიერთი საერთაშორისო სამართლის ექსპერტი უარყოფს “soft law”-ს ნორმატიული პერსპექტივის თვალსაზრისით. მაგალითად, პროსპერ ვაილი აღნიშნავს, რომ მისმა ხშირმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მთელი საერთაშორისო ნორმატიული სისტემის დესტაბილიზაცია და გადააქციოს იგი ინსტრუმენტად, რომელიც ვეღარ მოემსახურება თავის მიზანს⁵². სხვები “soft law”-ს დანიშნულებას ხედავენ მხოლოდ იმაში, რომ იგი არის შუალედური ნაბიჯი უფრო მყარი და, შესაბამისად, აუცილებელი ლეგალიზაციისკენ⁵³.

ნიშანდობლივია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ლეგალიზაცია განსაკუთრებით ხელს აძლევს სუსტ ერებს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ძლიერი სახელმწიფოების ქმედებები ექცევა გარკვეულ ჩარჩოებში. ყოველთვის არსებობს თეორიული საფრთხე იმისა, რომ თუნდაც ძალის მუქარის ქვეშ სუსტი სახელმწიფო წავიდეს ნებისმიერ დათმობაზე ძლიერი სახელმწიფოს წინაშე. თუმ-

⁵² Weil P., *Towards Relative Normativity in International Law?* Cambridge University Press, 1983, 413.

⁵³ Abbott K.W., Snidal D., *Hard and Soft Law in International Governance*, International Organization, Vol. 54, 2000, 422-423.

ცა, როდესაც ურთიერთობები სუსტ და ძლიერ სახელმწიფოებს შორის არის დარეგულირებული საერთაშორისო დონეზე, ძლიერი სახელმწიფოები თანხმდებიან იმოქმედონ გარკვეულ ჩარჩოებში და არა – უპირობოდ, მხოლოდ თავისი ინტერესების შესაბამისად. მეორე მხრივ, ასეთი ურთიერთობა ეხმარება სუსტი სახელმწიფოს ხელისუფლებას, შეინარჩუნოს თავისი სახე როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე ქვეყნის შიგნით და თუნდაც მას მოუწიოს გარკვეულ დამობეზებზე წასვლა ძლიერი სახელმწიფოს წინაშე, ეს აღარ აღიქმება მის სისუსტედ, ვინაიდან ეს მოხდება საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში, სადაც სუსტი სახელმწიფო გამოდის ძლიერი სახელმწიფოების გვერდით, როგორც საერთაშორისო სამართლის სრულყოფილებიანი სუბიექტი.

რასაკვირველია, ზემოთქმული არ უნდა იყოს გაგებული ისე, თითქოს საერთაშორისო ურთიერთობების ლეგალიზაცია ხელს არ აძლევს ძლიერ სახელმწიფოებს. განუწყვეტელი ძალადობა სახელმწიფოს უჯდება ძალიან ძვირი როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. სერიოზულად ხდება მისი რეპუტაციის შელახვა საერთაშორისო ასპარეზზე. გარდა ამისა, სამართლებრივად დარეგულირებული საერთაშორისო ურთიერთობები გარანტიას აძლევს ძლიერ სახელმწიფოს, რომ სუსტი სახელმწიფო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებს ძლიერის მხრიდან ყოველგვარი ძალადობისა თუ ძალის გამოყენების მუქარის გარეშე, რაც საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპის დარღვევაა. ამასთან, ძლიერ სახელმწიფოს ეძლევა შესაძლებლობა გაატაროს თავისი ინტერესები სამართლებრივი გზით, სამართლის უზენაესობის პრინციპის დაცვით და, ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში მისი ქმედებები გამოჩნდება უფრო სამართლიანი, ვიდრე მაშინ, როდესაც იმავე ინტერესების გასატარებლად იგი მიმართავს უხეშ ძალას.

დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში აქტუალურია მედია და ინტერნეტი, რომლის საშუალებითაც ვრცელდება საერთაშორისო კონფერენციებზე მიღებული დეკლარაციებისა და სხვა მიღწე-

ული შეთანხმებების შინაარსი. რიგითი მოქალაქეებისთვის ეს “soft law” ინსტრუმენტები იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტებად აღიქმება. ამასთან, ასეთი მიდგომა აიძულებს ხელისუფლებას გაითვალისწინოს მოქალაქეების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სასამართლოებისა და კორპორაციების სურვილი და ინტერესები, რომლებიც ისე ხშირად მიუთითებენ “soft law” დოკუმენტებზე, რომ ეს უკანასკნელნი, ფაქტობრივად, იძენენ სავალდებულო ნორმების ძალას. “soft law” ხშირად გამოიყენება ასევე, როგორც *opinio juris*, ხელშეკრულების ინტერპრეტირების დროს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ “soft law” განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო გარემოს დაცვის სამართალში, სადაც სახელმწიფოები თავს იკავებენ არაერთ ინიციატივასთან მიერთებისგან, იმდენად რამდენადაც ცდილობენ დააბალანსონ მათ წინაშე მდგომი, ერთი მხრივ, გარემოს დაცვისა და, მეორე მხრივ, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები. მსგავსი ნორმები ასევე აქტიურად გამოიყენება საერთაშორისო ეკონომიკური სამართლისა და მდგრადი განვითარების სამართლის სფეროში.

მიუხედავად თავისი მიმზიდველობისა, ზემოთ მოყვანილი და სხვა მთელი რიგი გარემოებების გამო, მოლაპარაკების მხარეები “soft law”-ს ზოგჯერ მაინც სიფრთხილით მიმართავენ. თუ ისინი გრძნობენ, რომ ამ კონკრეტულ დოკუმენტს აქვს პოტენციალი მომავალში გარდაიქმნას იმპერატიულ ნორმად, რომელიც მათ კონკრეტულ ვალდებულებებს დააკისრებს, ეს ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს მოლაპარაკების პროცესზე და “soft law” დოკუმენტს ედება იმდენი შეზღუდვა და დათქმა, რომ საერთოდ აზრს კარგავს მისი არსებობა.

საბოლოო ჯამში, ყველა დადებითი და უარყოფითი ელემენტის გათვალისწინებით, უდავოა, რომ დიდია “soft law”-ის, როგორც საერთაშორისო სამართლის წყაროს, მნიშვნელობა. ამასთან, იგი არის ერთგვარი საცდელი ბაზა ახალი, ინოვაციური იდეებისთვის, რომელთა შემუშავება ხდება სწრაფი ტემპით, ცვალებადი სამყაროს პირობებში არსებული გამოწვევების გადასაწყვეტად.

თავი III.

საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები

1. ზოგადი დახასიათება

გაეროს წესდების მიღებამდე⁵⁴ საკითხი საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების შესახებ, ძირითადად, განიხილებოდა საერთაშორისო სამართლის დოქტრინაში. საერთაშორისო სამართლის პრინციპებში გამოხატულებას პოულობს ის მთავარი მორალური ნორმები, რომლებიც პროგრესული კაცობრიობის მართლშეგნებამ შეიმუშავა⁵⁵.

საერთაშორისო სამართლის პრინციპები ის უნივერსალური იმპერატიული სახელმძღვანელო ნორმებია, რომლებსაც ეფუძნება მთლიანად თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სისტემა. ეს პრინციპები გვკარნახობს იმ ამოსავალ დებულებებს, რომელთაც უნდა შეესაბამებოდეს ნებისმერი საერთაშორისოსამართლებრივი ნორმა, იქნება ეს ხელშეკრულება თუ ჩვეულება და რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ საერთაშორისო სასამართლოები, ტრიბუნალები თუ სხვა დანესებულებები თავიანთ საქმიანობაში. საერთაშორისო სამართლის პრინციპების საყოველთაო აღიარებისა და იმპერატიული ბუნების გათვალისწინებით, ისინი წარმოადგენენ *jus cogens* ნორმებს, რომელთაც უმაღლესი იურიდიული ძალა გააჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი დაკარგავდნენ თავიანთ ფუძემდებლურ ბუნებას.

საგულისხმოა, რომ თანამედროვე მსოფლიოში, გლობალიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების პირო-

⁵⁴ გაეროს წესდება მიღებულ იქნა 1945 წლის 26 ივნისს სან-ფრანცისკოში, აშშ.

⁵⁵ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010, 30.

ბებში, საერთაშორისო სამართლის პრინციპები სავალდებულო ძალას იძენენ არა მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობებში, არამედ სახელმწიფოთა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა, საშინაო პოლიტიკის განსაზღვრაში (მაგ., ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპთან მიმართებით).

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპების განუხრელი დაცვა საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების სანინდარია. მათი შინაარსი მრავალნაზნაგოვანია და მათი შემდგომი დაკონკრეტება და გაშლა ხდება სპეციალიზებულ ნორმაშემოქმედებით პროცესში. ამ პრინციპების საყოველთაობა და მრავალნაზნაგოვანობა გულისხმობს, რომ მათი მოქმედება არ შემოიფარგლება საერთაშორისო სამართლის რომელიმე ვიწრო სფეროთი. ისინი ერთნაირად სავალდებულო და აქტუალურია საერთაშორისო სამართლის როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე დარგებისთვის.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს კომპლექსური ხასიათი აქვთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი განაპირობებენ ერთმანეთს და, შესაბამისად, თითოეული პრინციპის განხილვა უნდა მოხდეს ყველა სხვა პრინციპის კონტექსტში.

საერთაშორისო სამართლის პრინციპებისთვის დამახასიათებელია არაიერარქიულობა, რაც იმას ნიშნავს, რომ არცერთ მათგანს არ შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა მეორესთან შედარებით. მიუხედავად იმისა, თუ კონკრეტულად რა ღირებულებებს იცავს ესა თუ ის პრინციპი, იქნება ეს საერთაშორისო მშვიდობა და სტაბილურობა, თუ ადამიანისა და ხალხთა უფლებები და თავისუფლებები, ისინი თავისი მნიშვნელობით არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო სამართლის პრინციპებს დასაბამი მისცა საერთაშორისო სამართლის დოქტრინამ. დროთა განმავლობაში, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების პარალელურად, საერთაშორისო სამართლის პრინციპები დოქტრინალური კონცეპტებიდან გადაიზარდა იმპერატიულ ნორმებში, რომლებიც დღესდღეობით დეკლარირებულია თანამედროვეობის ისეთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ხელ-

შეკრულებაში, როგორცაა გაეროს წესდება. კერძოდ, წესდების მე-2 მუხლის თანახმად, საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებია: **ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვა; გაეროს წევრი-სახელმწიფოების სუვერენული თანასწორობა; გაეროს წესდებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება; სახელმწიფოების გაეროსთან თანამშრომლობა; საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა; სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა.** მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრინციპები მხოლოდ გაეროს წევრი სახელმწიფოებისთვის არის სავალდებულოდ გამოცხადებული, ისინი, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის სტატუსში, ასევე მოქმედებენ იმ სახელმწიფოების მიმართაც, რომლებიც გაეროს წევრები არ არიან.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1970 წლის 24 ოქტომბერს მიიღო 2625 (XXV) რეზოლუცია, რომლითაც დამტკიცებულ იქნა დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ⁵⁶. აღნიშნული დეკლარაცია არა მარტო აკონკრეტებს გაეროს წესდებაში მოცემულ პრინციპებს, არამედ აფართოებს მათ ჩამონათვალსაც. კერძოდ, დეკლარაცია, ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების გარდა, ასევე ითვალისწინებს **სახელმწიფოთა თანამშრომლობის, ხალხთა თანაბარი უფლებებისა და თვითგამორკვევის** პრინციპებს. დეკლარაციის მიხედვით, წესდების პრინციპები, რომლებმაც ასახვა ჰპოვა მასში, წარმოადგენს „საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს“ და „აღნიშნული პრინციპების განმარტებისა და გამოყენების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ისინი ერთმანეთს განაპირობებენ და თითოეული მათგანის განხილვა უნდა მოხდეს სხვა პრინციპების ჭრილში“⁵⁷. გაეროს გენერალურმა ასამ-

⁵⁶ 1970 წლის 24 დეკემბრის დეკლარაციის სრული სახელწოდებაა: „დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომელიც ეხება სახელმწიფოებს შორის მეგობრულ ურთიერთობებს და თანამშრომლობას გაეროს წესდების შესაბამისად“.

⁵⁷ საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ 1970 წლის 24 დეკემბრის დეკლარაციის მე-2 მუხლი (ზოგადი ნაწილი).

ბლემ მოუწოდა ყველა სახელმწიფოს, იხელმძღვანელონ ამ პრინციპებით თავიანთ საერთაშორისო საქმიანობაში.

შემდგომში, საერთაშორისო სამართლის პრინციპების ჩამონათვალი გაიზარდა ეუთოს 1975 წლის 1 აგვისტოს ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტის საფუძველზე, რომელშიც მოცემულია ათი პრინციპი, რომლითაც სახელმწიფოები უნდა ხელმძღვანელობდნენ ერთმანეთთან ურთიერთობაში. გაეროს წესდებითა და 1970 წლის დეკლარაციით განმტკიცებული პრინციპების ჩამონათვალს დაემატა სამი პრინციპი: **საზღვრების ურღვევობა, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა**⁵⁸.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების იურიდიული ბუნების გათვალისწინებით, ყალიბდება მათი ცნება. კერძოდ, ეს არის **ზოგადი საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური და ურთიერთდაკავშირებული იმპერატიული ნორმების ერთობლიობა (სისტემა), რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოთა და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტთა ქცევას საერთაშორისო ურთიერთობების ყველა სფეროში და რომლებიც განსაზღვრავენ საერთაშორისო სამართლის შინაარსსა და მიზნებს.**

2. სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა

სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა არის თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ამოსავალი პრინციპი, რომელიც აერთიანებს სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ ორ ძირითად ნიშანს – **სუვერენიტეტს და სხვა სახელმწიფოთა მიმართ თანასწორობას**. ამიტომ, საერთაშორისო ხელშეკრულებებში ხშირად არის საუბარი სახელმწიფოთა მიერ ერთმანეთის სუვერენიტეტის პატივისცემის შესახებ.

⁵⁸ Conference on Security and Cooperation in Europe, Final Act, Helsinki 1975, Questions relating to Security in Europe, Declaration on Principles Guiding Relations between Participating States (Art. 1).

პირველად, სახელმწიფოთა „სუვერენული თანასწორობის“ ტერმინის განმარტება მოხდა სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე, რომელზეც მიღებული იქნა გაეროს წესდება⁵⁹. ამ განმარტების მიხედვით, სახელმწიფოთა „სუვერენული თანასწორობა“ ნიშნავს, რომ: 1) სახელმწიფოები სამართლებრივად თანასწორნი არიან; 2) სარგებლობენ ყველა უფლებით, რომლებიც გამომდინარეობს სუვერენიტეტიდან; 3) ერთი სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას პატივი უნდა სცენ სხვა სახელმწიფოებმა; 4) სახელმწიფომ კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს თავისი საერთაშორისო ვალდებულებები. ეს განმარტება დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

თავის მხრივ, საერთაშორისო პრინციპების შესახებ 1970 წლის დეკლარაციაც გვათავაზობს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპის განმარტებას, რომელიც ფაქტობრივად, არ განსხვავდება ზემოთ მოყვანილი განმარტებისგან. კერძოდ, დეკლარაციის მიხედვით, ყველა სახელმწიფო სარგებლობს სუვერენული თანასწორობის უფლებით. მათ გააჩნიათ თანაბარი უფლებები და ვალდებულებები და არიან საერთაშორისო თანამეგობრობის თანასწორუფლებიანი წევრები, მიუხედავად ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური თუ სხვა განსხვავებებისა (დეკლარაციის პირველი მუხლი).

სუვერენული თანასწორობის ცნება, დეკლარაციის მიხედვით, მოიცავს შემდეგ ელემენტებს: 1) სახელმწიფოები სამართლებრივად თანასწორნი არიან; 2) ყველა სახელმწიფო სარგებლობს სრული სუვერენიტეტისთვის დამახასიათებელი უფლებებით; 3) ყველა სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს სხვა სახელმწიფოთა სა-

⁵⁹ სახელმწიფოთა „სუვერენული თანასწორობის“ განმარტებას შეიცავდა სან-ფრანცისკოს კონფერენციის პირველი კომისიის პირველი კომიტეტის ანგარიში, რომელიც შემდგომში დაამტკიცა პირველმა კომისიამ და კონფერენციის პლენუმმა (ნ. კ.). იხ., *The United Nations Conference on International Organization, Commission I – General Provisions, Committee 1 – Preamble, Purposes and Principles, Report of Rapporteur of Subcommittee I/1/A to Committee I/1, Chapter II, Para. 1.*

მართალსუბიექტობას; 4) სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა ხელშეუხებელია; 5) ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება დამოუკიდებლად განავითაროს თავისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული სისტემები; 6) ყველა სახელმწიფო ვალდებულია სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი საერთაშორისო ვალდებულებები და მშვიდობიანად თანაიარსებოს სხვა სახელმწიფოებთან.

ის დებულება, რომ სახელმწიფოებს გააჩნიათ თანაბარი უფლებები და მოვალეობები, გულისხმობს სახელმწიფოთა იურიდიულ თანასწორობას საერთაშორისო ურთიერთობებში, მიუხედავად მათი ზომისა და სიძლიერისა. ყველა სახელმწიფო რომ ერთი ზომისა და სიძლიერის ყოფილიყო, სუვერენული თანასწორობის პრინციპი ნაკლებად აქტუალური და მნიშვნელოვანი იქნებოდა. ეს სწორედ იმას ისახავს მიზნად, რომ დააბალანსოს არსებული განსხვავებები და არ მისცეს საშუალება ძლევამოსილ სახელმწიფოებს არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენონ შედარებით სუსტი სახელმწიფოები და ამით, დაამკვიდრონ უსამართლობა მსოფლიოში.

სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა სახელმწიფოს თანაბარ მონაწილეობას საერთაშორისო ცხოვრებაში. კერძოდ, ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში, საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების შემუშავებაში. მათ ასევე თანაბარი უფლება აქვთ განეწიანდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებში, მიუერთდნენ მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, რომლებიც ეხება მათ ლეგიტიმურ ინტერესებს, თავისი შეხედულებებისამებრ იურთიერთობონ სხვა სახელმწიფოებთან და ისარგებლონ ყველა სხვა პრივილეგიით, რასაც მათ ანიჭებს სუვერენული თანასწორობის პრინციპი.

საინტერესოა თავად სუვერენიტეტისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართების საკითხი. საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ დეკლარაციაზე მომუშავე სპეციალურ კომიტეტში გამოითქვა ურთიერთსანინააღმდეგო მოსაზ-

რებები ამ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ზოგიერთი სახელმწიფოს წარმომადგენელი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი განისაზღვრება საერთაშორისო სამართლის უზენაესობით და რომ თანასწორობა, იქნება ეს სუვერენული, თუ სხვა სახის, წარმოუდგენელია სამართლის უზენაესობის გარეშე. შესაბამისად, სწორედ საერთაშორისო სამართალი ზღუდავს სუვერენიტეტს და არა პირიქით. ეს ის შეზღუდვებია, რომლებზეც თავად სახელმწიფოები თანხმდებიან საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით. ზოგადად, საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება წარმოუდგენელი იქნებოდა სამართლის უზენაესობის გარეშე⁶⁰.

მეორე მოსაზრების მიხედვით, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პატივისცემა არის მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის აუცილებელი პირობა. სუვერენული სახელმწიფოები თავად ქმნიან საერთაშორისო სამართალს და თავადვე წარმოადგენენ იმ სუბიექტებს, რომლებზეც ვრცელდება საერთაშორისო სამართლის ნორმები. სწორედ სუვერენული სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საერთაშორისო სამართლის გამოყენებას პრაქტიკაში. ამიტომ, არასწორი იქნებოდა საუბარი სამართლის უზენაესობაზე სუვერენიტეტთან მიმართებით, რაც იმთავითვე წინააღმდეგობაში მოვიდოდა არსებულ საერთაშორისო მართლწესრიგთან⁶¹.

საგულისხმოა, რომ ორივე ზემოაღნიშნული პოზიცია ასახავს რეალობას, რაც იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ სამართლის უზენაესობა და სუვერენიტეტი ურთიერთგანმაპირობებელი კონცეპტებია. რასაკვირველია, ერთი მხრივ, საერთაშორისო სამართალი უწესებს გარკვეულ შეზღუდვებს სახელმწიფო სუვერენიტეტს, თუმცა, მეორე მხრივ, თავად საერთაშორისო

⁶⁰ Report of the Special Committee on Principles of International Law Concerning Friendly Relations and Co-operation Among States, Document A/5746, 16 November 1964, para. 336.

⁶¹ იხ., იქვე, para. 337.

სამართალი იზღუდება იმ სფეროებში, რომლებიც სახელმწიფოებს დატოვებული აქვთ ექსკლუზიურად საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში. შესაბამისად, საერთაშორისო სამართალი და სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი ავსებენ ერთმანეთს და ორივე ერთად წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების საწინდარს.

3. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა

სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის კონცეპტი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, საზღვრების ურღვევობისა და თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სხვა პრინციპებს, გამოსჭვივის მრავალ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტში. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს სახელმწიფოს არსებობას მისი მოქმედი საზღვრების ფარგლებში, ხოლო სხვა სახელმწიფოს მიერ ამ ტერიტორიის ცალმხრივად, ძალადობრივი გზით შეცვლას განიხილავს საერთაშორისო სამართლის დარღვევად⁶².

თუმცა, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფოთა საზღვრების დაცვით. თითქმის ყველა სამართლებრივ დოკუმენტში ის ნახსენებია პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან ერთად, ვინაიდან ტერიტორია არის ექსკლუზიური ზონა, სადაც ვლინდება სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა და რომელშიც უცხო სახელმწიფოები ვერ ჩაერევნიან. შესაბამისად, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი გულისხმობს არა მხოლოდ საზღვრების ურღვევობას, არამედ ის კრძალავს სახელმწიფოს ტერიტორიაში ნებისმიერი სახის ჩარევას გარედან.

⁶² Marxsen Chr., Territorial Integrity in International Law – Its Concept and Implications for Crimea, Max-Planck-Institut für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht, 2015, 9-10.

ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ჩანასახს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ვხვდებით. კერძოდ, 1956 წლის „ზოგად ხელშეკრულებაში ავსტრიას, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს, პრუსიას, სარდინიას, თურქეთს და რუსეთს შორის მშვიდობის აღდგენის შესახებ“ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება „პატივი სცენ ოსმალეთის იმპერიის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას“⁶³.

I მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ტერიტორიული მთლიანობის კონცეპტმა უფრო ფართო აღიარება ჰპოვა. თავის ცნობილ გამოსვლაში – „თოთხმეტი პუნქტი“, რომელიც შედგა 1918 წლის იანვარს, აშშ-ის კონგრესის ორი პალატის გაერთიანებულ სხდომაზე, აშშ-ის პრეზიდენტმა უილსონმა გააკეთა მონოდეკლარაცია მშვიდობიანი ომის შემდგომი ევროპის დამკვიდრებისკენ, ძირითადად, სპეციალური პაქტების შემუშავების გზით, რომელთა მიზანი იქნებოდა დიდი და პატარა სახელმწიფოებისთვის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ერთნაირი გარანტიების უზრუნველყოფა⁶⁴. სამართლებრივი დოკუმენტი, რომელმაც გაითვალისწინა ტერიტორიული მთლიანობის კონცეპტი, იყო ერთა ლიგის პაქტი, რომლის მე-10 მუხლის თანახმად, წევრი-სახელმწიფოები ვალდებული იყვნენ პატივი ეცათ და დაეცვათ ლიგის ყველა წევრი-სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა გარე აგრესიისაგან⁶⁵.

სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი სახელდებით არ არის განმტკიცებული გაეროს წესდებასა და 1970 წლის დეკლარაციაში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ის არ არის დაცული ამ დოკუმენტებით, ვინაიდან მისი შინაარსი გადმოცემულია სხვა პრინციპების ფარგლებში. როგორც ზემოთ ვნახეთ, ტერიტო-

⁶³ General Treaty for the Re-Establishment of Peace between Austria, France, Great Britain, Prussia, Sardinia and Turkey, and Russia (1855-1856), 30.3.1856, CTS 114, 409, Art. 7.

⁶⁴ Wilson W., 65th Cong., 2d sess., Congressional Record Vol. 56, 8.1.1918, 681.

⁶⁵ Covenant of League of Nations, 28 June 1919, Paris Peace Conference, Art. 10.

რიული მთლიანობის დაცვა საკვანძო კომპონენტს წარმოადგენს გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებული ძალით მუქარის ან ძალის გამოყენების აკრძალვის პრინციპისა. გარდა ამისა, ტერიტორიული მთლიანობის კონცეპტი ფიგურირებს გაეროს წესდებითა და 1970 წლის დეკლარაციით აღიარებულ ისეთ პრინციპებთან კავშირში, როგორცაა სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა და ხალხთა თანასწორუფლებიანობა და თვითგამორკვევა.

სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ პრინციპად იქნა აღიარებული ეუთოს 1975 წლის ჰელსინკის თათბირის დასკვნით აქტში, რომლის თანახმად, ნევრმა-სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას. შესაბამისად, მათ თავი უნდა შეიკავონ გაეროს წესდების მიზნებსა და პრინციპებთან შეუთავსებელი ნებისმიერი ქმედებისგან, რაც მიმართული იქნება რომელიმე ნევრი-სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის ან ერთიანობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი, ძალით მუქარისა და ძალის გამოყენებისგან.

ნევრმა-სახელმწიფოებმა ასევე თავი უნდა შეიკავონ ერთმანეთის ტერიტორიის სამხედრო ოკუპაციისგან ან სხვა პირდაპირი თუ არაპირდაპირი ძალადობრივი ღონისძიებებისგან, საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ, ასევე, ტერიტორიის მითვისებისგან ასეთი ღონისძიებების გამოყენებით ან მათი გამოყენების მუქარით. ასეთი ოკუპაცია ან შეძენა არ იქნება აღიარებული კანონიერად.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი არის საერთაშორისო სამართლის საკვანძო პრინციპი და, განსაკუთრებით, ძალით მუქარისა და ძალის გამოყენების პრინციპთან ერთობლიობაში, ქმნის საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის მყარ გარანტიებს.

4. საზღვრების ურღვევობა

სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის მსგავსად, **საზღვრების ურღვევობის** კონცეპტის აღიარება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ პრინციპად მოხდა ეუთოს ჰელსინკის 1975 წლის თათბირზე. კერძოდ, თათბირის დასკვნით აქტში ნათქვამია, რომ ნევრი-სახელმწიფოები განიხილავენ როგორც ერთმანეთის, ისე ევროპის ყველა სხვა სახელმწიფოს საზღვრებს, როგორც ურღვევს და თავი უნდა შეიკავონ ამ საზღვრების ხელყოფისაგან ახლაც და მომავალშიც. შესაბამისად, მათ ასევე თავი უნდა შეიკავონ ნევრი-სახელმწიფოს ტერიტორიის მთლიანი ან ნაწილობრივი მოთხოვნისგან, მითვისებისა თუ უზურპაციისგან.

საზღვრების ურღვევობის პრინციპი მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვის პრინციპებთან. მათი ერთმანეთის გარეშე განხილვა, ფაქტობრივად შეუძლებელია. შესაბამისად, საზღვრების ურღვევობის პრინციპის შინაარსი არსებითად არ განსხვავდება ზემოთ განხილული ტერიტორიული მთლიანობისა და ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვის პრინციპებისგან.

საგულისხმოა, რომ, როგორც ტერიტორიული მთლიანობის, ისე საზღვრების ურღვევობის პრინციპის სუბიექტები არიან სახელმწიფოები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ პრინციპების დაცვის ვალდებულება აკისრიათ სახელმწიფოებს ერთმანეთთან მიმართებით. შესაბამისად, სადავოა საერთაშორისო სამართლის დოქტრინაში დასმული საკითხი იმის შესახებ, რომ აღნიშნული პრინციპები ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპთან. საკითხის ამგვარად დასმა არ არის მართებული, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვნახეთ, ერთა თვითგამორკვევის პრინციპი მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოს ფარგლებში მიმდინარე პროცესს გულისხმობს. როგორც კი ადგილი ექნება აღნიშნულ პროცესში

სხვა სუვერენული სახელმწიფოს ჩარევას, საკითხი ცდება ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და ის უნდა განვიხილოთ ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის ან ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვის პრინციპების ქრილში.

5. სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა

სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის კონცეპტმა გამოხატულება ჰპოვა ჯერ კიდევ ერთა ლიგის პაქტში, რომლის მე-15 მუხლის ერთ-ერთი დებულების მიხედვით, საბჭო არ გამოსცემს რეკომენდაციას სახელმწიფოებს შორის არსებული დავის გადაწყვეტის მიზნით, თუ იგი დაასკვნის, რომ აღნიშნული დავა გამომდინარეობს ექსკლუზიურად ერთ-ერთი სახელმწიფოს შიდა იურისდიქციას მიკუთვნებული საკითხიდან⁶⁶.

მას შემდეგ ჩაურევლობის კონცეპტი კიდევ უფრო განვითარდა და პოლიტიკური პრინციპიდან იქცა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად, რომელსაც სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან ერთად⁶⁷ ითვალისწინებს როგორც გაეროს წესდება, ისე 1970 წლის დეკლარაცია და ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი. გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, გაეროს არ აქვს უფლება ჩაერიოს ნებისმიერი სახელმწიფოს არსებითად შიდა იურისდიქციის საკითხებში ან მოსთხოვოს თავის წევრებს ასეთი საკითხის განსახილველად გამოტანა გაეროს წესდების ფარგლებში.

1970 წლის დეკლარაციის თანახმად, არცერთი სახელმწიფო თუ სახელმწიფოთა ჯგუფი არ არის უფლებამოსილი რაიმე მიზეზით პირდაპირ ან ირიბად ჩაერიოს სხვა სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო საქმეებში. აქედან გამომდინარე, შეიარაღებული თუ ყვე-

⁶⁶ The Covenant of the League of Nations, 28 April 1919.

⁶⁷ Convention on Rights and Duties of States, 1933; Additional Protocol relative to Non-intervention adopted at the Inter-American Conference for the maintenance of Peace held in 1936; Declaration of American Principles, 1938.

ლა სხვა ფორმით ჩარევა ან ნებისმიერი სახის მუქარა, რომელიც მიმართული იქნება სახელმწიფოს იდენტობის ან მისი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული საფუძვლების წინააღმდეგ, წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დარღვევას.

არცერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება თავად გამოიყენოს ან წააქეზოს (ორგანიზება გაუწიოს, გააღვივოს, დააფინანსოს) რაიმე ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა სახის ზომები სხვა სახელმწიფოსთვის თავისი სუვერენული უფლებებით განხორციელებაში ხელის შეშლის ან სახელმწიფო წყობის დამხობის მიზნით. ასევე იკრძალება სხვა სახელმწიფოს შიდა დაპირისპირებაში ჩარევა ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი ფორმით.

ჩაურევლობის პრინციპი ნიშნავს, რომ თითოეული სახელმწიფო თავად განსაზღვრავს თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ სისტემას, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს.

ჩაურევლობის პრინციპის კლასიკური სახით ჩამოყალიბება და მისი შინაარსის განმარტება 1970 წლის დეკლარაციის ფარგლებში მიმდინარეობდა გაცხოველებული დებატების ფონზე. კერძოდ, გაეროს საერთაშორისო სამართლის პრინციპების სპეციალურ კომიტეტში, რომელსაც უნდა შეემუშაებინა დეკლარაციის პროექტი, ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ გაეროს წესდებით გათვალისწინებული ჩაურევლობის პრინციპი კრძალავდა ასეთ ქმედებას მხოლოდ თავად გაეროს მხრიდან და არ არსებობდა საფუძველი ვარაუდისთვის, რომ აღნიშნული დებულება უნდა გავრცელებულიყო, ასევე, ცალკეულ სახელმწიფოებზე. ხოლო რაც შეეხება, კონკრეტულად, სახელმწიფოთა მხრიდან ჩარევას, ამას არეგულირებდა წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც კრძალავდა ძალით მუქარასა და ძალის გამოყენებას⁶⁸.

⁶⁸ Report of the Special Committee on Principles of International Law Concerning Friendly Relations and Co-operation Among States, Document A/5746, 16 November 1964, para. 219.

სახელმწიფოთა უმრავლესობა კი მიიჩნევდა, რომ წესდებით განმტკიცებული ჩაურევლობის პრინციპი იმთავითვე ვრცელდებოდა სახელმწიფოებზე და ეს იყო კიდევ ნაგულისხმევი მე-2 მუხლის მე-7 პუნქტში. რასაკვირველია, ეს უკანასკნელი მოსაზრება სავსებით მართებულია, ვინაიდან თუ წესდებით განმტკიცებული ჩაურევლობის პრინციპი გავრცელდებოდა მხოლოდ გაეროზე, ხოლო ცალკეულ სახელმწიფოთა მხრიდან სხვა სახელმწიფოს საქმეებში ჩარევის საკითხებს დაარეგულირებდა მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი (ძალით მუქარისა და ძალის გამოყენების აკრძალვა), მივიღებდით ვითარებას, როდესაც ნებადართული იქნებოდა ყველანაირი ჩარევა, გარდა ძალისმიერისა. ეს კი ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან სახელმწიფოს ექსკლუზიურ იურისდიქციას მიკუთვნებულ საქმეებში ჩარევა შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ ძალის გამოყენებით, არამედ ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა შინაარსის ქმედებებით, რამაც არანაკლებ მტკივნეული შედეგები შეიძლება მოუტანოს სახელმწიფოს, ვიდრე ძალისმიერმა ინტერვენციამ.

კომიტეტის მუშაობის პროცესში ასევე განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა „საშინაო“ და „საგარეო“ საქმეებში ჩარევის საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენელი ითხოვდა, რომ აკრძალულიყო ჩარევა სახელმწიფოს როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებში. მათი აზრით, საგარეო საქმეებში დამოუკიდებლობა სახელმწიფო სუვერენიტეტის ისეთივე მნიშვნელოვანი ატრიბუტი იყო, როგორც საშინაო საკითხების დამოუკიდებლად გადანყვეტა და რომ სახელმწიფოს საგარეო საქმეებში ზოგიერთი ფორმით ჩარევა შეიძლება დაკვალიფიცირებულიყო როგორც არაპირდაპირი ან პირდაპირი ჩარევა მის საშინაო საქმეებშიც, და პირიქით. სხვა წარმომადგენელთა აზრით, პრაქტიკული თვალსაზრისით, რთული იქნებოდა საშინაო და საგარეო საქმეებს შორის განსხვავების იდენტიფიცირება. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში ჩარევას აქვს როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპექტები, რომელთა ერთმანეთისგან გამოყოფა შეუძლებელია⁶⁹.

⁶⁹ იქვე, paras. 228-229.

ფაქტობრივად, კომიტეტის სხდომაში მონაწილე სახელმწიფოთა როგორც ერთი, ისე მეორე ჯგუფი აღიარებდა, რომ ჩარევის აკრძალვა უნდა გავრცელებულიყო როგორც სახელმწიფოს საშინაო, ისე საგარეო საქმეებზე. განსხვავება მათ შორის იყო ის, რომ ზოგიერთის აზრით, სახელმწიფოს იურისდიქციის ეს ორი კატეგორია სახელდებით უნდა დაფიქსირებულიყო დეკლარაციაში, ხოლო მეორენი ამტკიცებდნენ, რომ ასეთი განსხვავების გაკეთება შეუძლებელი იყო პრაქტიკული თვალსაზრისით.

განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა, ასევე, თავად „ჩაურევლობის“ დეფინიციის შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის, დასაშვები ჩარევის შემთხვევების განსაზღვრის, ჩაურევლობის პრინციპით აკრძალული კონკრეტული ქმედებების იდენტიფიცირებისა და სხვა საკითხებზე. საბოლოო ჯამში, მოხდა ისე, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის XX სხდომაზე 1965 წელს მიღებულ იქნა №2131 (XX) რეზოლუცია, რომელიც შეიცავდა დეკლარაციას სახელმწიფოთა შიდა საქმეებში ჩარევის აკრძალვის, მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის შესახებ⁷⁰. აღნიშნულ დეკლარაციას მხარი დაუჭირა გაეროს 109 წევრმა სახელმწიფომ არცერთის წინააღმდეგ, ხოლო თავი შეიკავა დიდმა ბრიტანეთმა. ამან, საბოლოო ჯამში, შესაძლებელი გახადა 1965 წლის დეკლარაციის განხილვა ჩაურევლობის პრინციპის ავთენტურ განმარტებად. შესაბამისად, 1970 წლის დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ ჩაურევლობის პრინციპთან მიმართებით, ფაქტობრივად, იმეორებს 1965 წლის დეკლარაციის დებულებებს, გარკვეული რედაქციული ხასიათის დაზუსტებებით.

1970 წელს გაეროს გენერალური ასამბლეისთვის საერთაშორისო სამართლის პრინციპების საბოლოო პროექტის წარდგენისას, სპეციალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ეს პროექტი წარმო-

⁷⁰ Declaration on the Inadmissibility of Intervention in the Domestic Affairs of States and the Protection of Their Independence and Sovereignty (2131 (XX)), adopted at the 1408th plenary meeting of the UN General Assembly Twentieth Session, 21 December 1965.

ადგენდა მასში მონაწილე დელეგაციების საერთო თანხმობის გამოვლინებას, რამაც განაპირობა კიდევ დეკლარაციის ერთსულოვნად მიღება გენერალური ასამბლეის მიერ.

საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომელიც თავისი შინაარსით მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის სხვა ძირითად პრინციპებთან.

6. ძალით დამუქრების ან ძალის გამოყენების აკრძალვა

სახელმწიფოთა მიერ ძალით დამუქრების ან ძალის გამოყენების აკრძალვის პრინციპი განმტკიცებულია გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში. მას ასევე ითვალისწინებს 1970 წლის დეკლარაცია და 1975 წლის ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ თითოეულმა სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს სხვა სახელმწიფოთა როგორც ტერიტორიული ხელშეუხებლობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალის გამოყენების ან მისი მუქარისგან, ისე ნებისმიერი სხვა ფორმით განხორციელებული მსგავსი ქმედებისგან, რაც ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებს. ასეთი ძალის გამოყენება ან მისი მუქარა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლისა და გაეროს წესდების დარღვევას და მას არასდროს უნდა მიმართონ სახელმწიფოებმა საერთაშორისო პრობლემების თუ დავების გადაწყვეტის მიზნით.

აგრესიული ომი წარმოადგენს დანაშაულს მშვიდობის წინააღმდეგ, რისთვისაც საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს შესაბამის პასუხისმგებლობას.

დეკლარაცია კრძალავს ძალის გამოყენებასა და ძალით დამუქრებას სხვა სახელმწიფოთა საზღვრებისა თუ საერთაშორისო სადემარკაციო ხაზების დარღვევის მიზნით. სახელმწიფოს ტერიტორია

არ შეიძლება დაექვემდებაროს ოკუპაციას. ასევე იკრძალება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის მითვისება ძალის გამოყენებით. ასეთი ოკუპაცია, თუ მითვისება არ იქნება აღიარებული კანონიერად.

ყველა სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ისეთი ძალადობრივი ქმედებებისაგან, რომლებიც ხელყოფს მისი ხალხის თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და თვითგამორკვევის უფლებას.

ყველა სახელმწიფო ვალდებულია თავი შეიკავოს არარეგულარული ძალებისა და შეიარაღებული ფორმირებების, მათ შორის, დაქირავებულის, ორგანიზების ან მათი ორგანიზების წახალისებისგან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავდასხმის მიზნით.

სახელმწიფოებს ეკრძალებათ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამოქალაქო დაპირისპირების ან ტერორისტული აქტების ორგანიზება, მხარდაჭერა, ინსპირაცია ან მათში მონაწილეობა, ასევე, ასეთი ქმედებების განხორციელების მიზნით ორგანიზებულ აქტივობებში ჩართვა, როდესაც ისინი მოიაზრებს ძალით დამუქრებას ან ძალის გამოყენებას.

ძალით დამუქრების ან ძალის გამოყენების აკრძალვის პრინციპის ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტები არ უნდა იყოს განმარტებული ისე, რომ შეიზღუდოს ან გაფართოვდეს გაეროს წესდების დებულებების მოქმედება ისეთი შემთხვევების მიმართ, როდესაც ძალის გამოყენება არ ითვლება უკანონოდ. კერძოდ, ეს, ძირითადად, ის შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო იყენებს ძალას თავდაცვის მიზნით, სხვა სახელმწიფოს მხრიდან შეიარაღებული თავდასხმის დროს⁷¹. ასეთი თავდაცვითი ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს მანამ, სანამ გაეროს უშიშროების საბჭო არ მიიღებს შესაბამის ზომებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

საგულისხმოა, რომ 1970 წლის დეკლარაციის მიღების დროს, აღნიშნული პრინციპის განხილვისას ყველა სახელმწიფო ერთსულოვნად შეთანხმდა, რომ ძალის გამოყენებაში იგულისხმებოდა

⁷¹ სახელმწიფოს უფლებას თავდაცვაზე ითვალისწინებს გაეროს წესდების 51-ე მუხლი.

შეიარაღებული ძალების გამოყენება. ზოგიერთი სახელმწიფო გამოდიოდა ინიციატივით, რომ ამ პრინციპში ასევე მოაზრებულყო ისეთი ძალის გამოყენება, რომელიც არ იყო დაკავშირებული იარაღის გამოყენებასთან. თუმცა, სხვა სახელმწიფოებმა უარყვეს ეს იდეა იმ მოტივით, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა გაეროს წესდებით გათვალისწინებული კოლექტიური უსაფრთხოების სისტემას.

საბოლოო ჯამში, მიღწეულ იქნა კომპრომისი, რამაც გამოხატულება ჰპოვა დეკლარაციის პრეამბულაში, სადაც ჩაინერა, რომ **სახელმწიფოები ვალდებული არიან თავი შეიკავონ შეიარაღებული, პოლიტიკური თუ სხვა ნებისმიერი სახის ზენოლისგან, რომელიც მიმართული იქნება სხვა სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის თუ ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ.**

რაც შეეხება გაეროს წესდებით გათვალისწინებულ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემას, ის გულისხმობს შეიარაღებული ძალების გამოყენებას მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის საერთო ინტერესებში, საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით და გაეროს გადაწყვეტილებით. ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება სახელმწიფოებმა ერთხმად მიანიჭეს გაეროს უშიშროების საბჭოს და განაცხადეს თანხმობა მისი გადაწყვეტილებების შესრულებაზე⁷².

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **შეარაღებული ძალების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიმე სახელმწიფოს მხრიდან მშვიდობისთვის საფრთხის შექმნის, მშვიდობის ხელყოფის ან აგრესიის აქტის განხორციელების შემთხვევაში, ან კიდევ კანონიერი თავდაცვის დროს.**

სახელმწიფოთა თავდაცვის ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას ითვალისწინებს გაეროს წესდების 51-ე მუხლი, რომლის თანახმად: „წინამდებარე წესდებაში ვერაფერი შეზღუდავს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის ხელშეუვალ უფლებას,

⁷² გაეროს წესდების 24-ე და 25-ე მუხლები.

თუ გაეროს ნევრ-სახელმწიფოზე განხორციელდება შეიარაღებული თავდასხმა, ვიდრე უშიშროების საბჭო არ მიიღებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელ ზომებს. თავდაცვის უფლების განხორციელებისას ნევრი-სახელმწიფოების მიერ მიღებული ზომების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს და ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ზღუდავდნენ წინამდებარე წესდებით უშიშროების საბჭოსთვის განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობას, ნებისმიერ დროს განახორციელოს ისეთი ქმედება, როგორსაც ის მიიჩნევს საჭიროდ, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისა თუ აღდგენის მიზნით⁷³.

საგულისხმოა, რომ, გაეროს უშიშროების საბჭოს შეიარაღებული ძალების გამოყენებისა თუ სხვა სახის ზომების მიღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მისი ყველა მუდმივმოქმედი წევრის მიერ ერთსულოვნად⁷⁴. შესაბამისად, ფაქტობრივად, ვლენულობთ ვითარებას, როდესაც მშვიდობის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები შეიძლება ვერ იყოს გამოყენებული რომელიმე მუდმივმოქმედი წევრის წინააღმდეგ. ამ სირთულის გამო იყო საუბრები გაეროს არაეფექტიანობის და მისი რეფორმირების აუცილებლობის შესახებ. თუმცა, დღესდღეობით არ არსებობს მოქმედი საერთაშორისო მართლწესრიგის რეალური ალტერნატივა. ასეთი ალტერნატივა, სავარაუდოდ, იარსებებს საყოველთაო და სრული განიარაღების შემთხვევაში ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის თანხლებით, რაზეც მიუთითებს კიდევ 1970 წლის დეკლარაცია ძალით დამუქრების ან ძალის გამოყენების აკრძალვის პრინციპის განმარტებისას⁷⁵.

სახელმწიფოთა მიერ თავდაცვის უფლების განხორციელებას უკავშირდება ისეთი საკითხები, როგორიცაა შეიარაღებული თავდასხმის არსის სწორად გაგება, თავდაცვითი ქმედებების აუ-

⁷³ გაეროს წესდების 51-ე მუხლი.

⁷⁴ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრები არიან შემდეგი სახელმწიფოები: ჩინეთი, საფრანგეთი, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ.

⁷⁵ საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ 1970 წლის 24 დეკემბრის დეკლარაციის პირველი მუხლი.

ცილებლობა და პროპორციულობა, საზღვარგარეთ მყოფი საკუთარი მოქალაქეების დაცვა, თავდაცვა ტერორიზმის წინააღმდეგ, რომელიც მსოფლიოში განვითარებული მოვლენებისა და პრეცედენტების გათვალისწინებით, სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. განსაკუთრებით პრობლემატური კატეგორიაა პრევენციული თავდაცვის უფლება, რომელიც კითხვას ბადებს იმასთან დაკავშირებით, თუ როდის უჩინდება სახელმწიფოს პრევენციული თავდაცვის განხორციელების უფლება – შეიარაღებული თავდასხმის დაწყებისას, თუ ვიდრე ასეთი თავდასხმა დაიწყება. ამ საკითხზე არ არსებობს ერთიანი პოზიცია და ხშირად დისკუსიის საგანი ხდება როგორც საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებს, ისე საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის⁷⁶. ერთი რამ უდავოა, ნებისმიერი თავდაცვითი ღონისძიება უნდა გატარდეს ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს ვითარების დაძაბვა და პროცესების ესკალაცია.

7. საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოგვარება

საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოგვარების პრინციპს ითვალისწინებს როგორც გაეროს წესდება, ისე 1970 წლის დეკლარაცია და ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი. იგი გულისხმობს, რომ სახელმწიფოებმა საერთაშორისო დავები ერთმანეთთან უნდა მოაგვარონ მშვიდობიანი გზით ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან საერთაშორისო მშვიდობას, უსაფრთხოებასა და სამართლიანობას. გაეროს წესდების 33-ე მუხლის მიხედვით, დავების მშვიდობიანი მოგვარების მიზნით, სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ მოლაპარაკებებს, გამოკვლევას, შუამავლობას, შერიგებას, არბიტრაჟს, სასამართლო განხილვას, რეგიონულ ორგანოებსა და შეთანხმებებს ან დავების მშვიდობიანი მოგვარების

⁷⁶ სანიკიძე ზ., თავდაცვის, როგორც ძალის გამოყენების კანონიერი უფლების, განმარტების პრობლემები. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 2010, N2, 33-47.

სხვა საშუალებებს. მნიშვნელოვანია, რომ მხარეები შეთანხმდნენ ისეთ საშუალებებზე, რომლებიც ყველაზე უკეთ შეესაბამება დავის არსსა და გარემოებებს. თუ მხარეების მიერ შერჩეული საშუალება არ აღმოჩნდება ეფექტიანი დავის გადანყვეტის თვალსაზრისით, მაშინ მათ უნდა მიმართონ სხვა მშვიდობიან გზას.

დავის მხარეები ისევე, როგორც სხვა სახელმწიფოები, ვალდებული არიან თავი შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან, რომელთაც შეუძლიათ გაამწვავონ ვითარება იმდენად, რომ საფრთხის ქვეშ დადგეს საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთოხება, ანუ, მათ უნდა იმოქმედონ გაეროს პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო დავები წყდება მასში მონაწილე სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოები თავისუფალნი და თანასწორნი არიან შესაბამისი საშუალებების არჩევის საკითხში.

გაეროს წესდების 33-ე მუხლში ჩამოთვლილია საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოგვარების ტრადიციული, მრავალწლიანი პრაქტიკით გამოცდილი საშუალებები. თუმცა, როგორც თავად მუხლი მიუთითებს, ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. მაგალითად, ის არ ითვალისწინებს ე. წ. „კეთილ სამსახურს“. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, ასევე, სხვა საშუალებებზე.

საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოგვარების საშუალებები პირობითად შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს: *საშუალებები, რომელთა შედეგად მხარეებს მიეცემა რეკომენდაცია, რომელსაც სავალდებულო ძალა არ აქვს და ისეთები, რომელთა შედეგად მიღებული გადანყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად მხარეთათვის.*

პირველ კატეგორიას განეკუთვნება „**კეთილი სამსახური**“, რაც გულისხმობს დავის არა მონაწილე სახელმწიფოს თანადგომასა და დახმარებას მხარეთა შორის მოლაპარაკებების პროცესში, როდესაც ეს უკანასკნელნი ერთმანეთთან ოფიციალურ კავშირს არ ამყარებენ. ასეთ შემთხვევაში „კეთილი სამსახურის“ გამწვევი სა-

ხელმწიფო ასრულებს მხარეთა შორის გარკვეული ინფორმაციის მიმოცვლის ფუნქციას.

მხარეთა მოლაპარაკება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ძირითად და ყველაზე გავრცელებულ საშუალებას. საერთაშორისო პრაქტიკამ არაერთხელ დაადასტურა მისი ეფექტიანობა. მოლაპარაკებების სიმარტივე იმაშიც მდგომარეობს, რომ სხვა დანარჩენი საშუალებებისგან განსხვავებით, არ არის აუცილებელი საგანგებო შეთანხმება მის გამოყენებაზე. საგულისხმოა, რომ მხარეები მოლაპარაკებების დროს შეიძლება შეთანხმდნენ დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებისათვის მიმართვის თაობაზე.

შუამავლობა ეს არის მესამე მხარის მონაწილეობა დავის გადაწყვეტაში. „კეთილი სამსახურისგან“ განსხვავებით, რომელიც მხოლოდ მხარეთა შორის ინფორმაციის მიმოცვლაში დახმარებას გულისხმობს, შუამავალ სახელმწიფოს აქვს უფლებამოსილება შესთავაზოს მხარეებს დავის გადაწყვეტის კონკრეტული პირობები.

შემრიგებელი კომისიები – მხარეთა ურთიერთშეთანხმებით დაკომპლექტებული ორგანოები, რომელთა ამოცანას წარმოადგენს მხარეთათვის დავის მოგვარების კონკრეტული პირობების შეთავაზება.

საგამოძიებო კომისიები – შემრიგებელი კომისიების მსგავსად, საგამოძიებო კომისიის შემადგენლობასაც მხარეები განსაზღვრავენ ურთიერთშეთანხმებით. თუმცა, პირველისგან განსხვავებით, საგამოძიებო კომისიის ფუნქციაში შედის მოცემულ საერთაშორისო დავასთან დაკავშირებული ფაქტებისა თუ მოვლენების დადგენა.

დავების მოგვარების მეორე კატეგორიას განეკუთვნებიან საერთაშორისო სასამართლოები და არბიტრაჟები, რომელთა გადაწყვეტილებებს აქვს სავალდებულო ძალა მხარეთათვის.

საერთაშორისო სასამართლო – ეს არის საერთაშორისო დავების განმხილველი მუდმივმოქმედი ორგანო, რომელსაც შეუძლია მიმართოს ყველა სახელმწიფომ ან მის სადამფუძნებლო დოკუმენტებში სახელდებით მითითებულმა სახელმწიფოებმა,

რომლებიც სხვებისგან გამოირჩევიან, ძირითადად, რეგიონული კუთვნილებით. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ვერ მიმართავს აშშ, კანადა და სხვა ნებისმიერი ევროსაბჭოს არაწევრი სახელმწიფო. უნივერსალური ხასიათის უმთავრეს სასამართლო ორგანოს წარმოადგენს გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო.

რაც შეეხება **არბიტრაჟებს**, ისინი იქმნებიან სპეციალურად კონკრეტული ტიპის დავების გადასაწყვეტად ან დაინტერესებული მხარეები წინასწარ თანხმდებიან არბიტრაჟის შემადგენლობაზე, რომელსაც მიანდობენ ურთიერთშორის წამოჭრილ ნებისმიერი ტიპის დავის გადაწყვეტას. არბიტრის სახით შეიძლება გამოვიდეს ერთი პირი, რომელზეც შეთანხმდებიან მხარეები.

არსებობს ასევე **მომრიგებელი სასამართლოს მუდმივმოქმედი პალატა**, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ 1899 წლის ჰააგის კონვენციის შესაბამისად, კონვენციის მონაწილე მხარეების მიერ. პალატის ძირითადი ამოცანაა იმ პირთა სიის შედგენა, რომლებსაც შესაძლო არბიტრების სახით სთავაზობენ კონვენციის წევრი-სახელმწიფოები. ეს ფუნქცია უმარტივეს დავის მხარეებს ამა თუ იმ არბიტრაჟის შემადგენლობაში კომპეტენტური არბიტრების არჩევას.

ასეთია საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოგვარების პრინციპის შინაარსი. კონკრეტული საშუალებების შესახებ ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ წინამდებარე ნაშრომის მე-6 თავში.

8. ხალხთა თანასწორუფლებიანობა და თვითგამორკვევის უფლება

ხალხთა თანასწორუფლებიანობა და თვითგამორკვევის უფლება საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელსაც შორეულ წარსულში მივყავართ. იგი იყო ქვაკუთხედი ისეთი მსოფლიო მნიშვნელობის აქტებისა და მოვლენებისა, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატების

1776 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, 1789 წლის საფრანგეთის რევოლუცია, საბჭოთა კავშირის 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფართოდ გაშლილ ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობებს ლეიტმოტივად გასდევდა მოთხოვნა თანაბარი უფლებებისა და თვითგამორკვევის უფლების აღიარების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს წესდებაში ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპი არ არის მოხსენიებული, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებს შორის, ეს პრინციპი მისთვის იმთავითვე არ არის უცხო. კერძოდ, წესდების პირველი მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ გაეროს მიზანია „ერთა შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარება ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე...“. იგივე დებულებას განამტკიცებს წესდების 55-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის ძირითად ასპექტებს.

ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპი მოიაზრება გაეროს წესდების XI თავში, რომელიც შეიცავს დეკლარაციას არათვითმმართველ ტერიტორიებთან დაკავშირებით, ხოლო XII და XIII თავებით განმტკიცდა მეურვეობის საერთაშორისო სისტემა, ანუ, მოხდა „მეურვეობის ქვეშ მყოფი ტერიტორიების“ სტატუსის აღიარება. ეს იყო ერთგვარი კომპრომისი პროგრესული ძალებისა და კოლონიალიზმის შენარჩუნების მომხრეთა შორის.

მხოლოდ 1960 წელს მიიღო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ისტორიული დეკლარაცია კოლონიალური ქვეყნებისა და ხალხებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ⁷⁷, რომელსაც მხარი დაუჭირა ნევრი-სახელმწიფოების დიდმა უმრავლესობამ. ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი, ასევე, განმტკიცებული იქნა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისა და ეკონომიკური, სო-

⁷⁷ Declaration on the Granting of Independence to Colonial Countries and Peoples, New York, 14 December 1960.

ციალური და კულტურული უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტებში.

გაეროს წესდების მიღების შემდეგ განვითარებულმა დეკოლონიზაციის პროცესმა დასაბამი მისცა ახალ სამართლებრივ და პოლიტიკურ იდეებს. შესაბამისად, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპი მორალური და პოლიტიკური პოსტულატიდან გარდაიქმნა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სახელმძღვანელო პრინციპად, რასაც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა მისი ასეთად აღიარება ოფიციალური დოკუმენტის ფარგლებში. ეს განხორციელდა კიდეც 1970 წლის დეკლარაციაში მისი დამოუკიდებელ პრინციპად განმტკიცების გზით, რაც კიდეც ერთხელ დაადასტურა 1975 წლის ჰელსინკის აქტმა.

დეკლარაცია არ შემოიფარგლა გაეროს წესდებაში არსებული დებულებებით და მასში ასახვა ჰპოვა ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის ისეთმა ფორმულირებამ, რომელიც მაქსიმალურად არის გაჯერებული გაეროს და, კონკრეტულად, მისი გენერალური ასამბლეის მიერ წესდების დებულებების შესაბამისი განმარტებებით, რაც ადასტურებს იმას, თუ რამდენად არის შესაძლებელი გაეროს წესდების კონსტრუქციულად გამოყენება და მისი მისადაგება საერთაშორისო ურთიერთობების ახალი მოთხოვნების მიმართ.

საბოლოო ჯამში, 1970 წლის დეკლარაციაში განმტკიცებული ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში:

ყველა ხალხს აქვს უფლება თავისუფლად, გარედან ჩარევის გარეშე განსაზღვროს თავისი პოლიტიკური სტატუსი და განვითარდეს ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული თვალსაზრისით, ხოლო ყველა სხვა სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს ამ უფლებას, გაეროს წესდების დებულებების შესაბამისად.

ყველა სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის განხორციელებას როგორც პირადად, ისე გაეროსთვის თანადგომის

აღმოჩენის გზით, რათა: ა) უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა და ბ) ბოლო მოელოს კოლონიალიზმს, დაინტერესებული ხალხების ნებისა და იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი ხალხის დაქვემდებარება სხვა სახელმწიფოს ბატონობისადმი წარმოადგენს როგორც თავად ამ პრინციპის დარღვევას, ისე ადამიანის ძირითადი უფლებების უგულებელყოფას, რაც ეწინააღმდეგება გაეროს წესდებას.

სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან მიერთება ან მასთან გაერთიანება ან კიდევ ნებისმიერი სხვა პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა დამოკიდებულია ხალხის თავისუფალ ნებაზე და წარმოადგენს მის მიერ თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას. ნებისმიერმა სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ყოველგვარი ძალადობრივი ქმედებისგან, რაც ხელს უშლის აღნიშნული პრინციპის განხორციელებას. თავის მხრივ, თუ ასეთი რამ მოხდა, დაინტერესებულ ხალხს უფლება აქვს ისარგებლოს თანადგომით გაეროს წესდების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად.

კოლონიას თუ სხვა არათვითმმართველ ტერიტორიას გააჩნია სტატუსი, რომელიც განსხვავდება მისი მმართველი სახელმწიფოს ტერიტორიის სტატუსისგან. ეს სტატუსი იარსებებს მანამ, სანამ აღნიშნული კოლონიის თუ არათვითმმართველი ტერიტორიის ხალხი არ მოახდენს თვითგამორკვევის უფლების რეალიზებას. თუმცა, საგულისხმოა, რომ ეს დებულებები არ უნდა იყოს გაგებული ისე, თითქოს ისინი კანონიერად აცხადებს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც გამოიწვევდა სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს დანაწევრებას ან მისი ტერიტორიის ნაწილობრივ თუ სრულ დაშლას მაშინ, როდესაც ეს სუვერენული სახელმწიფო იცავს ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპს და ჰყავს ხელისუფლება, რომელიც წარმოადგენს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მთელი მოსახლეობის ინტერესებს, განურჩევლად მათი რასისა, აღმსარებლობისა თუ კანის ფერისა.

ყველა სახელმწიფო ვალდებულია თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისგან, რომელიც მიმართული იქნება სხვა სახელმწიფოს ეროვნული ერთობისა და ტერიტორიული მთლიანობის ნაწილობრივი ან სრული მოშლისკენ.

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით არავინ კამათობს თვითგამორკვევის უფლების არსებობაზე, ზოგიერთი ავტორის აზრით, საქმეს ართულებს ის ფაქტი, რომ არ არის ზუსტად განსაზღვრული, თუ კონკრეტულად ვინ სარგებლობს ამ უფლებით – ჯგუფი, ხალხი თუ ერი⁷⁸. ალბათ, რთული არ უნდა იყოს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ვინაიდან როგორც დეკლარაცია, ისე ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი განამტკიცებს „ხალხთა“ თანასწორუფლებიანობასა და თვითგამორკვევის უფლებას. ზოგადად, „ხალხის“ ცნება საერთაშორისოსამართლებრივ აქტებში არ არის განსაზღვრული. ამ შემთხვევაში, „ხალხი“ უნდა გავიგოთ, როგორც გარკვეული ტერიტორიული ნიშნით განსაზღვრული კატეგორია. ეს არის **კონკრეტულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ადამიანების ერთობლიობა, მიუხედავად მათი რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით განსხვავებისა.**

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ხალხთა თანასწორუფლებიანობის და თვითგამორკვევის პრინციპის შემუშავებისას აქცენტი კეთდებოდა, პირველ რიგში, კოლონიალური ტერიტორიების ხალხთა თვითგამორკვევაზე, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე იბრძოდნენ, ხშირად იარაღით ხელში, იმპერიალისტი კოლონიზატორების წინააღმდეგ. თანამედროვე პირობებში კი, როდესაც კოლონიები, ფაქტობრივად, აღარ არსებობს (რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის გარდა), თვითგამორკვევის პრინციპი გამოიყენება სუვერენული სახელმწიფოების ხალხებთან მიმართებით და განამტკიცებს დაცვის მექანიზმებს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

⁷⁸ Carley P., Self-Determination Sovereignty, Territorial Integrity and the Right to Secession, Report from a Roundtable Held in Conjunction with the U.S. Department of States' Policy Planning Staff, United States Institute of Peace, Peaceworks No. 7. First published March 1996.

ზემოთქმული მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს ხალხს აქვს უფლება დამოუკიდებლად, სხვა სახელმწიფოთა მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე განსაზღვროს საკუთარი სახელმწიფო წყობა და სოციალური რეჟიმი, ასევე, მოითხოვოს მათი შეცვლა და თავისი ნება გამოხატოს არჩევნების, რეფერენდუმის თუ სხვა შესაძლო საშუალებით, აჯანყებისა და რევოლუციის ჩათვლით.

მეორეც, ტერიტორიული ცვლილებები სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, იქნება ეს ერთი სახელმწიფოს მიერ ტერიტორიის გარკვეული ნაწილის გადაცემა მეორე სახელმწიფოსთვის, სახელმწიფოთა გაერთიანება, გაყოფა, სახელმწიფოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილის გამოყოფა და მასზე ერთი ან რამდენიმე ახალი სუვერენული სახელმწიფოს შექმნა – უნდა განხორციელდეს მხოლოდ მოცემული სახელმწიფოს თუ სახელმწიფოების თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად და, რასაკვირველია, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სხვა პრინციპების განუხრელი დაცვით.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის დამახინჯებულად გაგება და მისი ბოროტად გამოყენება შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტებისა და სეპარატისტული მოძრაობების გაღვივების მიზნით, რისი არა ერთი მაგალითიც გვაქვს დღევანდელ მსოფლიოში⁷⁹. არ უნდა მოხდეს ისე, რომ ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლების განხორციელებამ გამოიწვიოს საერთაშორისო სამართლის სხვა ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის – სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის – ხელყოფა. ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი, თავისთავად, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ვერ მოვა წინააღმდეგობაში დასახელებულ ორ პრინციპთან, ვინაიდან, როგორც ქვევით ვნახავთ, ეს უკანასკნელნი იცავენ სუვერენულ სახელმწიფოებს სხვა სახელმწიფოების უკანონო ქმედებებისგან.

⁷⁹ მაგ., საკმარისია დავასახელოთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი, ჩრდილოეთ კვიპროსის კონფლიქტი, ჩეჩნეთის კონფლიქტი და ა.შ.

თუმცა, ხშირად, სწორედ შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი ხდება იმის საბაზი, რომ სხვა სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს მასში არამართლზომიერი ჩარევა, რასაც, ფაქტობრივად, მოჰყვება სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელყოფა.

აქედან გამომდინარე, ხალხთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელების ყოველი კონკრეტული შემთხვევის განხილვისას საერთაშორისო საზოგადოება ძალზე ფრთხილად უნდა მოეკიდოს დაინტერესებული ხალხის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების საკითხს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონკრეტულ ქვეყანაში არსებული რეალობა, ისტორიული რეალიები, თვითგამორკვევის უფლებით დაინტერესებული ხალხის ისტორიული და მოქმედი სტატუსი, მათი უფლებრივი მდგომარეობა და ცხოვრების პირობები კონკრეტული სუვერენული სახელმწიფოს ფარგლებში და სხვა მრავალი გარემოება, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ საკითხის სწორად გადაწყვეტის თვალსაზრისით⁸⁰. ამასთან, როგორც სავსებით მართებულად აღნიშნავს აშშ-ის მშვიდობის ინსტიტუტის წარმომადგენელი და მისი არა ერთი პუბლიკაციის ავტორი – პატრისია ქარლი, სასურველი იქნებოდა, მზარდი თვითგამორკვევის პროცესების ფონზე, მომხდარიყო ამ პრინციპის არსის უფრო დეტალურად განსაზღვრა, რაც, რასაკვირველია, არ არის ადვილი⁸¹. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი განსაზღვრისას

⁸⁰ ზემოთქმულის ნათელი მაგალითია კოსოვოს რესპუბლიკა, რომლის დამოუკიდებლობა დღეის მდგომარეობით აღიარა 113-მა სახელმწიფომ. ასეთ ფართო საერთაშორისო აღიარებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ სერბეთისა და იუგოსლავიის მხრიდან ადგილი ჰქონდა კოსოვოელი ალბანელების გენოციდს. საგულისხმოა ისიც, რომ კოსოვომ უზრუნველყო ალბანელი დევნილების დაბრუნება საკუთარ სახლებში. თავად სერბეთის რესპუბლიკა არ აღიარებს კოსოვოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, თუმცა მან დაიწყო ამ უკანასკნელის მთავრობასთან ურთიერთობების დარეგულირება ბრიუსელის შეთანხმების ფარგლებში.

⁸¹ Carley P., Self-Determination Sovereignty, Territorial Integrity and the Right to Secession, Report from a Roundtable Held in Conjunction with the U.S. Department of States' Policy Planning Staff, United States Institute of Peace, Peaceworks No. 7. First published March 1996, 18.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სუვერენული სახელმწიფოების ეროვნული პოლიტიკა, მისი დამოკიდებულება ეროვნული უმცირესობების უფლებებისადმი, ამ უკანასკნელთა ეკონომიკური და პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობა კონკრეტული სახელმწიფოს ფარგლებში და სხვა ფაქტორები, რომელთა დროულად გადანყვეტა უდავოდ შეუწყობს ხელს თვითგამორკვევის უფლების ბოროტად გამოყენებისა და მასთან დაკავშირებული ძალადობის ფაქტების შემცირებას.

9. ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა

ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტის ერთგვარ სიახლედ მიიჩნევა **ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის პრინციპი**. კერძოდ, ნევრმა-სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ ისინი პატივს სცემენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, მათ შორის, აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა; ხელს შეუწყობენ სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტიან განხორციელებას; პატივს სცემენ პიროვნების აღმსარებლობასა და რელიგიის თავისუფლებას; პატივს სცემენ ეროვნული უმცირესობების უფლებას კანონის წინაშე თანასწორობაზე; აღიარებენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო მნიშვნელობას; მუდამ დაიცავენ ამ უფლებებს ერთმანეთთან ურთიერთობებში; ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში იმოქმედებენ გაეროს წესდების მიზნების, პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად. და ბოლოს, მათ ასევე განაცხადეს, რომ შეასრულებენ ამ სფეროში მოქმედი საერთაშორისო დეკლარაციებისა და შეთანხმებების ფარგლებში ნაკისრ

ვალდებულებებს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების ჩათვლით⁸², რამდენადაც ისინი მათთვის იქნება სავალდებულო.

მართალია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის პრინციპის ასეთი ფართო განმარტება არ არის მოცემული არც გაეროს წესდებასა და არც 1970 წლის დეკლარაციაში, თუმცა მათთვის არ არის უცხო ეს კატეგორია. კერძოდ, როგორც ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის განხილვისას იყო აღნიშნული, დეკლარაციის თანახმად, ყველა სახელმწიფო ვალდებულია ერთობლივი თუ ინდივიდუალური ქმედებით უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემა და დაცვა წესდების შესაბამისად⁸³. იმავეს ითვალისწინებს სახელმწიფოთა თანამშრომლობის პრინციპი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, როგორც ეს დეკლარაციაშია აღნიშნული.

რაც შეეხება გაეროს წესდებას, მასში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას „განახორციელონ საერთაშორისო თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საქმეში ყველას მიმართ განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა“ (წესდების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი), ასევე, ხელი შეუწყონ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას...“ (55-ე მუხლის „გ“ პუნქტი) და მიიღონ ერთობლივი და დამოუკიდებელი ზომები გაეროსთან თანამშრომლობით ამ მიზნის მისაღწევად (56-ე მუხლი).

თუმცა, ყოველივე ზემოთქმული წარმოადგენს სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობის ზოგადი მიზნის კონსტატაციას და მეტს არაფერს. იგივეა ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტის სულისკვეთებაც იმ განსხვავებით, რომ მასში

⁸² იგულისხმება 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტები.

⁸³ იგულისხმება გაეროს წესდება.

მოცემულია ერთი კონკრეტული დებულება, რომლითაც ხდება მითითება პაქტებზე.

ბუნებრივია, რომ იმისთვის, რათა განისაზღვროს სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულება, არა ზოგადად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროში, არამედ კონკრეტული უფლებების დაცვის თვალსაზრისით, და რომ ამ ვალდებულებებმა შეიძინონ სავალდებულო ხასიათი, ისინი ზუსტად უნდა იყოს ჩამოთვლილი, მათი შინაარსი უნდა იყოს ზუსტად ფორმულირებული და მიეთითოს მათ შესრულებაზე კონტროლის მექანიზმი.

საერთაშორისო სამართალში არსებობს სახელმწიფოთა ისეთი საერთაშორისო ვალდებულებები, რომლებიც პირობითად შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად. პირველი, ეს არის ვალდებულებები, რომლებიც შეეხება არა ზოგადად, ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, არამედ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, კერძოდ კი, მათ, რომელთაც ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვთ ადამიანის პიროვნების დაცვის საქმეში. ასეთი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევა საერთაშორისო საზოგადოების მიერ განიხილება როგორც საერთაშორისო დანაშაული, რასაც მოჰყვება შესაბამისი იურიდიული შედეგები მისი ჩამდენი სახელმწიფოსთვის. ასეთ საერთაშორისო ვალდებულებებად მიიჩნევა მონობის, გენოციდისა და აპარტიდის აკრძალვა.

მეორე კატეგორიას განკუთვნიება ის ვალდებულებები, რომლებსაც სახელმწიფოები კისრულობენ ჩვეულებით-სამართლებრივი თუ სახელმეკრულებო ნორმებით, რომ დაიცავენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს საკუთარ ქვეყანაში, საკუთარ ტერიტორიაზე მყოფი ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიმართ. ეს ვალდებულებები აკისრებენ სახელმწიფოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის ვალდებულებას, ეროვნული სამართლებრივი სისტემისა და მართლწესრიგის ფარგლებში. ასეთი კონვენციური ვალდებულებები გარანტირებულია იმით, რომ დარღვეული უფლების დასაცავად დაზარალებულს უფლება აქვს მიმართოს შესაბამის საერთაშორისო ინსტანციებს. რა-

საკვირველია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სხვადასხვა საერთაშორისო აქტები ითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა დაცვის განსხვავებულ საერთაშორისოსამართლებრივ მექანიზმებს, განსხვავებულია მათთვის მიმართვის წესი, პროცედურები და ა.შ.

ზოგადად, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა არის თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც თავისი მნიშვნელობისა და მასშტაბურობის გათვალისწინებით, ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ქვედარგად, რომელსაც ჰქვია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი.

ასეთია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპების ზოგადი დახასიათება, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს თითოეული სახელმწიფო როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებში.

10. საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება

საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულების პრინციპს, იცნობს როგორც გაეროს წესდება, ისე 1970 წლის დეკლარაცია და ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ძირითადი ნორმა, რომელსაც ეფუძნება მთლიანად თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. აღნიშნული პრინციპის გარეშე ყველა სხვა პრინციპი აზრს დაკარგავდა. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის თვალსაზრისით. საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებამ და კომპლექსურობამ სასიცოცხლოდ აუცილებელი გახადა საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულება, განსხვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების მქონე სახელმწიფოთა შორის ნდობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საერთაშორისო სამართლის სპეციალური კომიტეტის მიერ ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპის განხილვისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რამაც გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, იყო თავად ამ პრინციპის ფარგლები. კერძოდ, ზოგიერთი სახელმწიფოს წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ ის შეეხებოდა მხოლოდ გაეროს წესდებიდან გამომდინარე ვალდებულებებს. მეორენი კი სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპი ვრცელდებოდა, ასევე, ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე⁸⁴.

იმისათვის, რათა მომავალში აღმოფხვრილიყო აზრთა სხვადასხვაობა და შესაძლო გაუგებრობა აღნიშნული პრინციპის ფარგლებთან დაკავშირებით, კომიტეტმა თავის თავზე აიღო მისი მოქმედების ფარგლების განსაზღვრის ფუნქცია. შესაბამისად, 1970 წლის დეკლარაციაში ჩაინერა, რომ აღნიშნული პრინციპი გულისხმობს **თითოეული სახელმწიფოს ვალდებულებას, კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რომელიც გამომდინარეობს გაეროს წესდებიდან, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან, საერთაშორისო შეთანხმებებიდან.**

რაც შეეხება „**კეთილსინდისიერების**“ ელემენტს, მართალია, მისმა განმარტებამ ასახვა ვერ ჰპოვა 1970 წლის დეკლარაციაში, თუმცა, მასში მოიაზრება **სახელმწიფოთა კონსტრუქციული და-მოკიდებულება საკუთარი საერთაშორისო ვალდებულებებისა და შესაბამისი უფლებების მიმართ, რაც გამოიხატება გულწრფელობით, კორექტულობით, პირდაპირობითა და პატიოსნებით**⁸⁵. კეთილსინდისიერება – ეს არის სამართლებრივი და მორალური კატეგორია, რომელიც აქტუალურია, არა მხოლოდ, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისას, არამედ – ხელშეკრულების

⁸⁴ Report of the Special Committee on Principles of International Law Concerning Friendly Relations and Co-operation Among States, Document A/6799, 26 September 1967, paras. 252-253.

⁸⁵ იქვე, para. 258.

ფორმირების ყველა ეტაპზე, იქნება ეს მისი შემუშავება, მიღება, იმპლემენტაცია, ინტერპრეტაცია, მოდიფიკაცია თუ შეწყვეტა.

საგულისხმოა, რომ, თუ საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებები ეწინააღმდეგება გაეროს წესდებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, პრიორიტეტი ენიჭება ამ უკანასკნელს. ამ დებულებასთან დაკავშირებით არ ყოფილა აზრთა სხვადასხვაობა და მას ყველა სახელმწიფომ ერთხმად დაუჭირა მხარი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფოთა მიერ კეთილსინდისიერად შესასრულებელ საერთაშორისო ვალდებულებებში იგულისხმება, პირველ რიგში, გაეროს წესდებით განმტკიცებული და საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე ვალდებულებები. რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულებების (ორმხრივი თუ მრავალმხრივი) ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს, ისინი უნდა შეესაბამებოდეს ზემოთ აღნიშნულ პრინციპებს.

1970 წლის დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმებით განმტკიცებულ ვალდებულებებზე, თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი მოიაზრება საერთაშორისო შეთანხმებებში და მათ მიმართ მიდგომა იგივეა, რაც საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმართ. ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, წარმოადგენს კიდევ ერთგვარ საერთაშორისო შეთანხმებას, ვინაიდან ის არის სახელმწიფოთა კონსენსუსის პროდუქტი.

11. სახელმწიფოთა თანამშრომლობა

სახელმწიფოთა თანამშრომლობის პრინციპს, თავისი კლასიკური გაგებით, ვერ ვხვდებით გაეროს წესდებით განმტკიცებულ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს შორის. თუმცა, სახელმწიფოთა თანამშრომლობის ვალდებულებას საერთაშორისო ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, ასევე,

ცხოვრების დონის ამაღლების, დასაქმების და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის სფეროებში ითვალისწინებს გაეროს წესდების 56-ე მუხლი.

გარდა ამისა, გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში საუბარია სახელმწიფოთა მხრიდან გაეროსთვის დახმარების განევასა და თანადგომაზე, წესდების შესაბამისად. ეს, რასაკვირველია, სახელმწიფოთა თანამშრომლობის ერთგვარი ფორმაა, ვინაიდან გაერო არ არის რაიმე განყენებული ორგანო, არამედ ის წარმოადგენს მისი წევრი-სახელმწიფოების გაერთიანებას და, შესაბამისად, გაეროსთან თანამშრომლობა სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობის ელემენტებსაც შეიცავს.

შემდგომში, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების პარალელურად და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოთა თანამშრომლობის შესახებ დებულებებმა მთელ რიგ ორმხრივ თუ მრავალმხრივ ხელშეკრულებებში ჰპოვა ასახვა, დღის წესრიგში დასვა მისი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპად აღიარების საკითხი.

აღნიშნული საკითხი გახდა საერთაშორისო სამართლის სპეციალური კომიტეტის მსჯელობის საგანი. კომიტეტის წევრებმა ერთხმად აღიარეს სახელმწიფოთა თანამშრომლობის ვალდებულების საერთაშორისო სამართლის პრინციპად ჩამოყალიბების აუცილებლობა და მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობების ყველა სფეროში. თუმცა, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საკითხმა, ამ პრინციპის უნივერსალურობისა და არადისკრიმინაციული ბუნების თაობაზე, კერძოდ, ზოგიერთი სახელმწიფოს წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ ეს პრინციპი ერთნაირად უნდა გავრცელებულიყო ყველა სახელმწიფოზე, მიუხედავად მათი ზომისა, პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული სისტემისა. ამას მოითხოვდა გაეროს წესდების როგორც კონკრეტული დებულებები, ისე მისი საერთო სულისკვეთება. ყველა სახელმწიფოს თანამშრომლობის გარეშე ვერ გახდებოდა შესაძლებელი მზარდი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა საერთაშორისო პრობლემების ეფექტი-

ანი გადაწყვეტა. პატარა და საშუალო სახელმწიფოების ნება-სურვილი და შესაძლებლობა, საკუთარი წვლილი შეიტანონ საერთაშორისო თანამშრომლობაში არ იყო აუცილებლად დამოკიდებული მათ ეკონომიკურ თუ სამხედრო პოტენციალზე, ვინაიდან ყველა სახელმწიფოს, ზომის მიუხედავად, შესწევდა უნარი თავისი სიტყვა ეთქვა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების საქმეში⁸⁶.

ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლის აზრით, სახელმწიფოთა თანამშრომლობის პრინციპის განსაზღვრისას ანტიდისკრიმინაციული ელემენტის განსაზღვრა გარკვეულ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული. ისინი თანხმდებოდნენ, რომ იყო ზოგიერთი სფერო, მაგალითად, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა, სადაც ყველა სახელმწიფო ვალდებული იყო წერტილი დაესვა დისკრიმინაციისათვის. თუმცა ასეთივე მიდგომა არ იქნებოდა გამართლებული სხვა სფეროების მიმართ. კერძოდ, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობა, რაც ხსნიდა სხვადასხვა სახელმწიფოების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულების ფაქტს. შესაბამისად, არ იქნებოდა მიზანშეწონილი ისეთი დებულების მიღება, რომელიც უკანონოდ გამოაცხადებდა სახელმწიფოთა მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას, მით უფრო, თუ ამ სახელმწიფოებს ექნებოდათ განსხვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური სისტემები. ამ საშიშროებას, განსაკუთრებით, ხედავდნენ საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში, სადაც დამკვიდრებული იყო არაერთი ისეთი ეკონომიკური რეგულაცია, რომელიც შეიძლებოდა მიჩნეულიყო დისკრიმინაციულად, თუ მოხდებოდა ანტიდისკრიმინაციული კონცეპტის ხისტი ფორმულირება⁸⁷.

მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, სახელმწიფოთა მიმართ ანტიდისკრიმინაციული

⁸⁶ Report of the Special Committee on Principles of International Law Concerning Friendly Relations and Co-operation Among States, Document A/6799, 26 September 1967, para. 146.

⁸⁷ იქვე, para. 148.

დამოკიდებულების კონცეპტი იმდენად მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოების განვითარების საქმეში, ყველა სახელმწიფოს თანაბარი მონაწილეობის თვალსაზრისით, რომ მის გარეშე აზრს დაკარგავდა არა მხოლოდ ეს პრინციპი, არამედ, ზოგადად, საფრთხე შეექმნებოდა გაეროს მიზნებსა და ამოცანებს. გარდა ამისა, სახელმწიფოთა თანამშრომლობის უნივერსალურობა სულაც არ ართმევს რომელიმე სახელმწიფოს უფლებას, სავაჭრო ურთიერთობები განავითაროს საკუთარი შეხედულებისამებრ. სახელმწიფოთა მიმართ ანტიდისკრიმინაციულ მიდგომას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწორედ რომ განვითარებადი ქვეყნებისთვის. თავად სახელმწიფოთა თანამშრომლობის პრინციპის არსი გამორიცხავს რაიმე დისკრიმინაციას სახელმწიფოთა შორის, მიუხედავად მათი განვითარების დონისა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფოთა თანამშრომლობის პრინციპის უნივერსალურობასა და ანტიდისკრიმინაციულ ბუნებაზე სრულიად მართებულად მოხდა მითითება 1970 წლის დეკლარაციაში, რომლის თანახმად, **სახელწიფოები ვალდებული არიან, მათი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური სისტემების განსხვავებულობის მიუხედავად, ითანამშრომლონ ერთმანეთთან საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა სფეროებში საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ასევე, საერთაშორისო ეკონომიკური პროგრესის და სტაბილურობის, ხალხთა საერთო კეთილდღეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ზემოთ აღნიშნული განსხვავებების მიუხედავად.**

ამ მიზნით:

1. სახელმწიფოები თანამშრომლობენ ერთმანეთთან საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში;
2. სახელმწიფოები თანამშრომლობენ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა და საყოველთაო პატივისცემის დანერგვის, ასევე, რასობრივი დისკრიმინაციისა

და რელიგიური შეუწყნარებლობის ყველა ფორმის აღმოფხვრის საქმეში;

3. სახელმწიფოები წარმართავენ საერთაშორისო ურთიერთობებს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ტექნიკურ და სავაჭრო სფეროებში სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობისა და ჩაურევლობის პრინციპების შესაბამისად;
4. გაეროს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან გაეროსთან თანამშრომლობით მიიღონ ერთობლივი და ინდივიდუალური ზომები, რომელთაც ითვალისწინებს გაეროს წესდების შესაბამისი დებულებები.

სახელმწიფოთა თანამშრომლობა მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობების ყველა სფეროში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებული სახელმწიფოების თანამშრომლობა განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, რასაც, ასევე ითვალისწინებს, 1970 წლის დეკლარაცია.

საგულისხმოა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ 1970 წლის დეკლარაციაში საუბარია სახელმწიფოთა თანამშრომლობაზე რასობრივი დისკრიმინაციისა და რელიგიური შეუწყნარებლობის აღმოფხვრის საქმეში, ეს არ უნდა იყოს გაგებული ისე, რომ დეკლარაციით გათვალისწინებული სახელმწიფოთა თანამშრომლობის პრინციპი არ ითვალისწინებს, ბრძოლას ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ამის დასტურია დისკრიმინაციის სფეროში მოქმედი არაერთი უნივერსალური თუ რეგიონული საერთაშორისო დოკუმენტი (კონვენცია, პაქტი, ქარტია, დირექტივა), რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას რაიმე კონკრეტული ან ნებისმიერი ნიშნით⁸⁸. ეს პრაქტიკა არის სწორედ ერთ-ერთი გამოვლინება იმისა,

⁸⁸ იხ., ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948); სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (1966); ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (1966); რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (1965); ქალთა წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (1979); წამების წინააღმდეგ კონვენცია (1984); ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია (1989); კონვენცია უნარ-

რომ ასეთი შეთანხმებების ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებული უნდა იყოს კისრულობენ, ითანამშრომლონ ერთმანეთთან ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რაც არა თუ ეწინააღმდეგება, არამედ ავსებს და აფართოებს 1970 წლის დეკლარაციით განმტკიცებულ სახელმწიფოთა თანამშრომლობის სფეროებს.

საგულისხმოა, რომ გაეროს წესდების პირველი მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გაერო მონოდებულია იყოს სახელმწიფოთა ქმედებების შეთანხმების ცენტრი, ამ მუხლში განმტკიცებული საერთო მიზნების მიღწევით. სახელმწიფოთა თანამშრომლობის ცენტრს სხვადასხვა სფეროებში წარმოადგენენ ასევე გაეროს სპეციალიზებული დანესებულებები, ისევე როგორც სხვა უნივერსალური თუ რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები.

შეზღუდულ პირთა უფლებების შესახებ (2006); საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის დისკრიმინაციის კონვენცია (1958); განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ იუნესკოს კონვენცია (1960); ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (1950); ევროკავშირის რასობრივი თანასწორობის დირექტივა (2000); ევროკავშირის დირექტივა დასაქმების სფეროში თანასწორობის შესახებ (2008); ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (1969); ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია (1981) და სხვ.

თავი IV.

საერთაშორისო სამართლის სუბიექტები

1. საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ცნება

საერთაშორისო სამართლის სუბიექტი სამართლებრივი ურთიერთობის ისეთ მონაწილეს წარმოადგენს, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს ფლობს, სხვა მონაწილეებთან ერთად საერთაშორისო სამართლის ნორმებს ქმნის და მათ შესრულებას თავადვე უზრუნველყოფს.

საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტობის გამოვლინება ძირითადად ისეთ შემთხვევებში ხორციელდება როგორცაა: საერთაშორისო სამართლის დარღვევასთან დაკავშირებით პრეტენზიების წამოყენება, საერთაშორისო ძალის მქონე ხელშეკრულების და შეთანხმების დადება და ასევე, ეროვნული იურისდიქციიდან დამცავი პრივილეგიებით და იმუნიტეტით სარგებლობა. ზემოაღნიშნული მახასიათებლები სახელმწიფოებს გააჩნიათ, თუმცა ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, სახელმწიფოებრიობის ნიშნები და სუბიექტობის დამახასიათებელი ნიშნები შეიძლება ჰქონდეთ სხვა პირებსაც.⁸⁹ სწორედ აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სამართლის სუბიექტები შეიძლება იყვნენ სახელმწიფოები და საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები. აღნიშნული არ გამორიცხავს სხვა პირთა შეზღუდულ სამართალსუბიექტობას, მათ შორის, არათვითმმართველ ხალხს, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ფიზიკურ პირებს.

⁸⁹ ბრაუნლი ი., საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები, მე-7 გამოცემა, საია, თბილისი, 2010, 65.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფოები საერთაშორისო სამართლის უპირატეს სუბიექტს წარმოადგენენ. აღნიშნულის საფუძველი კი ის გარემოებაა, რომ დღევანდელი მსოფლიო წესრიგი სახელმწიფოთა თანაარსებობის პრინციპებზეა დაფუძნებული და მასში ფუნდამენტური ცვლილებების შეტანა მხოლოდ სახელმწიფოთა ძალისხმევით არის შესაძლებელი“.⁹⁰

2. სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი

საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა შორის უპირველესად სუვერენული სახელმწიფო მოიაზრება, ანუ აქტორი, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობებში და აყალიბებს გარკვეულ ნორმებსა თუ ქცევის წესებს, რომელთა შესრულების პასუხისმგებლობა მასვე ეკისრება. სუვერენული სახელმწიფო აღჭურვილია გარკვეული უფლებებით, მოვალეობებით, ძალაუფლებით, თავისუფლებით და იმუნიტეტით. სწორედ აღნიშნულს ეფუძნება მისი უნარი, დამოუკიდებლად ანუ სუვერენულად იმოქმედოს, როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საერთაშორისო დონეზე განხორციელებულ საქმიანობაში. სუვერენიტეტის ცნება სახელმწიფოს მხრიდან თავისი იურისდიქციის მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებასაც გულისხმობს. იურისდიქცია არის სუვერენიტეტის ერთ-ერთი ასპექტი და მოიცავს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო კომპეტენციას.

მონტევიდეოს 1933 წლის კონვენციის პირველ მუხლში საუბარია, რომ **სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი შემდეგი ოთხი კრიტერიუმით უნდა ხასიათდებოდეს: მუდმივი ტერიტორია, მუდმივი მოსახლეობა, მთავრობა – მთავრობის მიერ განხორციელებული ეფექტური კონტროლი და სხვა სახელმწიფოსთან ურთიერთობის დამყარების უნარი.**

⁹⁰ იქვე, 66.

მუდმივი ტერიტორია – ტერიტორია, ეს არის სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელი ნიშანი. ე.წ. ტერიტორიული უზენაესობის ცნება სახელმწიფოს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ გაატაროს სამართლებრივი და ფაქტობრივი ღონისძიებები ამ ტერიტორიის ფარგლებში და აუკრძალოს უცხო ქვეყნის მთავრობებს მისი თანხმობის გარეშე ამ ტერიტორიაზე თავისი იურისდიქციის გატარება.⁹¹

ამრიგად, ტერიტორია არის ლეგიტიმური მთავრობის მიერ საჯარო ხელისუფლების განხორციელების ადგილი. იგი მოიცავს ხმელეთს, ხმელეთის ზემოთ არსებულ საჰაერო სივრცეს და საწყლო ტერიტორიას – შიდა წყლებისა და ტერიტორიული ზღვის ჩათვლით.

მუდმივი მოსახლეობა – აღნიშნული კრიტერიუმი მჭიდროდაა დაკავშირებული ტერიტორიის კრიტერიუმთან და სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს. მუდმივი მოსახლეობა ვერ იარსებებს, თუ არ იქნება ტერიტორია და უფრო მეტიც, შეიძლება არსებობდეს ტერიტორია, მაგრამ ამ ტერიტორიაზე არ იყოს მუდმივი მოსახლეობა (ანტარქტიდა მხოლოდ იმის გამო არ ითვლება სახელმწიფოდ, რომ მას არ ჰყავს მუდმივი მოსახლეობა). სახელმწიფო თავის მოსახლეობაზე ახორციელებს ტერიტორიულ იურისდიქციას, ხოლო საზღვარგარეთ მყოფ თავის მოქალაქეებზე – პერსონალურ, იგივე ექსტერიტორიულ იურისდიქციას (მაგ., დიპლომატიური წარმომადგენლობა). ტერიტორიული იურისდიქციის გავრცელება ქვეყნის მოსახლეობის გარდა, უცხო ქვეყნის იმ მოქალაქეებზეც ხორციელდება, რომლებიც ამ სახელმწიფოში იმყოფებიან.

მთავრობა – ეს არის უმთავრესი კომპონენტი, რომელიც უფლებამოსილია სახელმწიფო წარმოაჩინოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. სახელმწიფო სწორედ მთავრობის მეშვეობით ახორციელებს თავის იურისდიქციას ქვეყნის ტერიტორიაზე

⁹¹ მალანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, თბილისი, 2005, 93.

და მოსახლეობაზე. მთავრობის მიერ კონტროლის განხორციელების ორი ასპექტი არსებობს: 1) შიდა და 2) საგარეო. შიდა დონეზე მთავრობა ახორციელებს კონტროლს ქვეყნის შიგნით ეროვნული კანონმდებლობის შესრულებაზე, რაც გულისხმობს, როგორც კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების დაცვას, ასევე, სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტურ მუშაობას. საგარეო დონეზე კი, იგი გულისხმობს სახელმწიფოს უნარს დამოუკიდებლად იმოქმედოს საერთაშორისო ასპარეზზე, რაც გამოიხატება სახელმწიფოს შესაძლებლობაში დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობები, ჰყავდეს წარმომადგენლები საერთაშორისო ორგანიზაციებში, რატიფიცირება გაუკეთოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და სხვა.

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ეფექტური მთავრობა პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო სუვერენიტეტთან. რადგან, როდესაც მთავრობა ძლიერია და ეფექტურად მართვის უნარი შესწევს, ნაკლებადაა იმის შანსი, რომ საფრთხე შეექმნას საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ პრინციპს – სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობას. საერთაშორისო სამართლით საგარეო დონეზე მთავრობის კონტროლი შედარებით მკაცრია. რაც გულისხმობს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესების დაცვით.

სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობების დამყარების უნარი – ერთ-ერთი ამერიკული ინსტიტუტის მიერ გამოხატული მოსაზრების თანახმად, წარმონაქმნი არ განიხილება სახელმწიფოდ, თუ მას თავისი კონსტიტუციური სისტემის ფარგლებში არა აქვს უფლებამოსილება, პოლიტიკური, ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობა, საერთაშორისო ურთიერთობები დაამყაროს სხვა სახელმწიფოსთან.⁹² თუმცა აღსანიშნავია, რომ მონტევიდეოს 1933 წლის კონვენციის მესამე

⁹² მალანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, თბილისი, 2005, 312.

მუხლი განმარტავს, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური არსებობა არ არის დამოკიდებული სხვა სახელმწიფოთა მიერ მის ცნობაზე. სახელმწიფოს უფლება აქვს, ცნობამდეც დაიცვას თავისი ერთიანობა, აირჩიოს მმართველობის მისთვის ხელსაყრელი ფორმა, განსაზღვროს თავისი სასამართლოს კომპეტენცია და იურისდიქცია⁹³. იმისათვის, რომ სახელმწიფომ სრულფასოვნად და ჯეროვნად შეძლოს შეასრულოს მასზე, საერთაშორისო სამართლით დაკისრებული უფლება-მოვალეობები, აუცილებელია მას ჰქონდეს სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა. სახელმწიფოდ ცნობის კონსტიტუციურ თეორიას თუ მოვიშველიებთ, აუცილებელია სხვა სახელმწიფოების თანხმობა თანასწორ სახელმწიფოდ ცნობაზე, როცა ეს „თანასწორობა“ ზუსტად საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების სურვილით არის გამყარებული.

საერთაშორისო სამართალი მხოლოდ ისეთ სახელმწიფოებს ეხება, რომლებსაც საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება შეუძლიათ. შესაბამისად, საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოდ ითვლება ფედერაციული სახელმწიფო და არა ფედერაციის წევრი. ძირითადად, ფედერაციის წევრები უფლებამოსილებას ინარჩუნებენ ისეთი ხელშეკრულების დადებისას, რომელიც ეხება სავაჭრო, ეკონომიკურ საკითხებს. საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც პოლიტიკური და დიპლომატიური ხასიათისაა ფედერალური სახელმწიფოების (გერმანია, შვეიცარია, აშშ, რუსეთი) კომპეტენციას განეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ მიღებული პრაქტიკის თანახმად, საგარეო საქმეებს მხოლოდ ხელისუფლების ფედერალური ორგანოები წარმართავენ, რამდენიმე ფედერაციული კონსტიტუცია ფედერაციის სუბიექტებს საერთაშორისო ურთიერთობის დამყარების შეზღუდულ უფლებას ანიჭებს.

⁹³ Montevideo Convention on the Rights and Duties of States, 26/12/1933, Art. 3.

3. სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი ცნობა

ახალი სახელმწიფოს გაჩენასთან ერთად აქტუალური ხდება მისი საერთაშორისო სამართლებრივი ცნობის საკითხი. ცნობა ახალ სახელმწიფოსთან, როგორც საერთაშორისო საზოგადოების წევრთან, ურთიერთობის დამყარების მზაობას ნიშნავს. საერთაშორისო სამართალში ცნობის იურიდიული მნიშვნელობის გამოსახატად დეკლარაციული და კონსტიტუციური თეორიები გამოიყენება.

კონსტიტუციური თეორიის თანახმად, საერთაშორისო სამართლისთვის, სახელმწიფო ან მთავრობა მანამ არ არსებობს, სანამ მას სხვა სახელმწიფოები არ ცნობენ. კონსტიტუციური თეორიის ერთ-ერთი ფუნდამენტური წარმომადგენელია ოპენჰაინი, რომელიც ამბობს, რომ „სახელმწიფო ხდება საერთაშორისო პირი და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, მხოლოდ ცნობის გზით“⁹⁴.

კონსტიტუციურ თეორიას უპირისპირდება დეკლარაციული თეორია, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოს ცნობას სამართლებრივი შედეგები არ მოჰყვება. თუ წარმონაქმნი რეალურად აკმაყოფილებს სახელმწიფოებრიობის მოთხოვნებს, ის სახელმწიფოდ ითვლება მთელი თავისი საერთაშორისო უფლებებით და მოვალეობებით და სხვა სახელმწიფოები ვალდებული არიან მოექცნენ მას ისე, როგორც სახელმწიფოს. „სახელმწიფოს პოლიტიკური არსებობა არ არის დამოკიდებული მის ცნობაზე სხვა სახელმწიფოთა მხრიდან“ – ვკითხულობთ მონტევიდეოს კონვენციის მესამე მუხლში, თუმცა აქ საგულისხმოა ერთი ფაქტი, კონვენციაში საუბარია „სახელმწიფოს პოლიტიკურ არსებობაზე“ და არა მის იურიდიული არსებობის საკითხზე. ეს ორი კი სხვადასხვა რამეა, რადგან შეიძლება მოხდეს ისე, რომ კონკრეტული სახელმწიფო არსებობდეს საერთაშორისო სისტემაში, მაგრამ მას არ ჰქონდეს შესაძლებლობა საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილე სუბიექტი იყოს.

⁹⁴ Oppenheim L., International law, 7th ed. By H. Lauterpacht, Vol. I Peace: Longmans, Green & Co., 1948, 135.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ ზოგიერთმა მეცნიერმა შუა-ლედური პოზიცია დაიჭირა. მაგალითად, ვ. ცეხლინი ამბობს: „ლეგიტიმაცია არ ცვლის ფაქტს, რომ ბავშვი ისედაც არსებობს, მაგრამ მხოლოდ ლეგიტიმაციით იძენს იგი გარკვეულ უფლებებს“. ცეხლინის აზრით, სახელმწიფო მართლაც ცნობის გარეშე არსებობს, მაგრამ მხოლოდ ცნობით იძენს ის საერთაშორისოსამართლებრივ უფლებებს და ვალდებულებებს. ამავე კონტექსტში, ასევე, შეგვიძლია დავასახელოთ ლაუთერფახტი, რომელიც კონსტიტუციური თეორიის საფუძველზე ამტკიცებდა, რომ სხვა სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ცნონ სუბიექტი, რომელიც სახელმწიფო კრიტერიუმებს აკმაყოფილებს⁹⁵.

დღეს, სახელმწიფოთა საერთაშორისოსამართლებრივ ცნობას კონსტიტუციური შედეგები აქვს. იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს ან მთავრობის შექმნა საერთაშორისო სამართლის დარღვევით ხორციელდება, მაშინ ითვლება, რომ სახელმწიფო არ იარსებებს იქამდე, სანამ არ მოხდება სუბიექტების მიერ მისი საერთაშორისოსამართლებრივი ცნობა.

მონტევიდეოს კონვენციის სამი ფაქტორის ერთიანობით, სახელმწიფო სახეზეა მაშინ, როცა მოცემულობაშია სახელმწიფო ტერიტორია, სახელმწიფო ხალხი და სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც ეფექტურად ახორციელებს ხელისუფლებას მოცემულ ტერიტორიაზე, მოცემული ხალხისთვის, მათ შორის, როცა ეს ხელისუფლება და ეს ხალხი მოცემულ ტერიტორიაზე სუვერენულია.⁹⁶ როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო როგორც ერთიანი, მთლიანი წარმონაქმნი უნდა ახორციელებდეს საგარეო და საშინაო სუვერენიტეტს. სწორედ საგარეო სუვერენიტეტის განხორციელებისთვის სჭირდება მას ეგრედწოდებული „მეოთხე კრიტერიუმი“, რასაც საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების უნარი ეწო-

⁹⁵ მალანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, თბილისი, 2005, 98.

⁹⁶ პატარაია დ., თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2007, 146.

დება. საერთაშორისოსამართლებრივი ცნობის გარეშე მოცემული ხელისუფლება, მოცემულ ტერიტორიაზე ვერ განახორციელებს საგარეო სუვერენიტეტს, როგორც სახელმწიფო. ის ვერ დაამყარებს სხვა სახელმწიფოსთან ურთიერთობებს და ვერ გახდება საერთაშორისო სისტემის სრულყოფილი ნაწილი.

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, ცნობის დეკლარაციული თეორიის მიმდევრები, რომლებიც ამბობენ, რომ სახელმწიფოს ცნობა სხვა სახელმწიფოებისგან არ არის სავალდებულო, რადგან თუ სახეზე გვაქვს „სამი ელემენტი“ (მოსახლეობა, ტერიტორია, მთავრობა) ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო უკვე არსებობს – ირღვევა და თანამედროვე მსოფლიო ცნობის კონსტიტუციური თეორიისკენ იხრება. გამოდის, რომ სახელმწიფოების ცნობის გარეშე ორგანიზებული საზოგადოება ვერ განახორციელებს საგარეო სუვერენიტეტს და ვერ შევა სახელმწიფოთაშორის სისტემაში. შესაბამისად, წარმოდგენილი ვერ იქნება ყველა ის ელემენტი, რომელთა ერთიანობა საბოლოო ჯამში გვაძლევს სახელმწიფოს ცნებას საერთაშორისოსამართლებრივი გაგებით. სახელმწიფოს ცნობა კონსტიტუციური თეორიის მიხედვით გვიხატავს სახელმწიფოს ცნების ყველა იმ კრიტერიუმს, რომელიც სჭირდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტს არსებობისთვის.

სახელმწიფოს ცნობის აქტი ორი სახისაა. სახელმწიფოს ცნობა, როგორც ინდივიდუალურ აქტში, ისე კოლექტიური ცნობის სახითაც შეიძლება გამოიხატოს. კოლექტიური ცნობის მაგალითია სახელმწიფოთა განწევრიანება საერთაშორისო ორგანიზაციაში. ანუ, როდესაც ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები, თავიანთი ორგანიზაციის წესდების საფუძველზე ერთხმად და კოლექტიურად მიიღებენ ახალ სახელმწიფოს წევრად, ავტომატურად მოხდება მისი სახელმწიფოდ ცნობა/აღიარება.

ინდივიდუალური ცნობა სახელმწიფოს საერთაშორისოსამართლებრივი ცნობის ძირითადი სახეა და მას კონსტიტუციური ძალა მაშინ აქვს, როცა სახეზეა რამდენიმე ინდივიდუალური ცნო-

ბის აქტი. აღსანიშნავია, რომ აღიარებისთვის საჭიროა არა მარტო რამდენიმე ინდივიდუალური ცნობის აქტი, არამედ, ამასთანავე, ისინი უნდა იყვნენ სახელმწიფოთა განსხვავებული ჯგუფიდან. ამ ჯგუფის ზუსტი ოდენობა ყველა ცალკეულ შემთხვევებში დამოკიდებულია, იმ რეალობის მიღწევაზე, რომ ახალმა სუბიექტმა სრულყოფილად შეძლოს მისი საგარეო სუვერენიტეტის განხორციელება.⁹⁷ (მაგ., ინდივიდუალური ცნობის აქტია აფხაზეთის ცნობა რამდენიმე სახელმწიფოს მხიდან).

თანამედროვე საერთაშორისოსამართლებრივ პრაქტიკაში ცნობის ორი ფორმის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი – ფაქტობრივი და ოფიციალური. ფაქტობრივ ცნობაში იგულისხმება, როცა სახელმწიფო ახალშექმნილ სახელმწიფოსთან ფორმალურად ამყარებს კავშირს, მაგრამ თავს იკავებს მისი აღიარებისგან. ოფიციალური ცნობის დროს სახელმწიფო ახალშექმნილ სახელმწიფოსთან ამყარებს საერთაშორისოსამართლებრივ ურთიერთობებს და ამავდროულად მას ცნობს ოფიციალურად, რაც გამოხატული უნდა იყოს რომელიმე ოფიციალურ დოკუმენტში (ხელშეკრულება, აქტი, დეკლარაცია). ოფიციალური ცნობა შეიძლება გამოვლინდეს როგორც *დე ფაქტო (de facto)*, ისე *დე იურე (de jure)* ცნობით, რომლებიც ერთმანეთისგან სამართლებრივი შედეგის მიხედვით განსხვავდება.⁹⁸ *დე ფაქტო* და *დე იურე* ცნობა ახასიათებს მთავრობას და არა თვითონ სახელმწიფოს ცნობის აქტს. *დე იურე* მთავრობა არის კანონიერი ხელისუფლება, რომელსაც სხვა სახელმწიფოები ცნობენ, ამყარებენ საერთაშორისოსამართლებრივ ურთიერთობებს, ჰყავთ დიპლომატიური წარმომადგენლები. *დე ფაქტო* მთავრობა, კი – ხელისუფლება, რომელიც ფაქტობრივად არსებობს, მაგრამ მას არ აქვს სამართლებრივი საფუძველი.

⁹⁷ იქვე, 150.

⁹⁸ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2013, 95.

1.1. სახელმწიფოს წარმოშობა და გაქრობა

სახელმწიფოების წარმოშობის და გაქრობის ფაქტები მრავლად მოიძებნება მსოფლიო ისტორიაში. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის „დროის ათვლა“ მეორე მსოფლიო ომიდან იწყება, როდესაც მსოფლიო წესრიგი ძირეულად შეიცვალა, და არსებული სტატუს კვო (*Status Quo* – რაიმე გარკვეულ მომენტში არსებული მდგომარეობა) გადაისინჯა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას, ახალი სახელმწიფოების სახით საერთაშორისო სამართლის არაერთი სუბიექტი შეემატა. იმისთვის, რომ ახალი სახელმწიფო აღმოცენდეს, საჭიროა ძველი სახელმწიფოს დაშლა ან რამდენიმე დამოუკიდებელი სუბიექტის შეერთება და ერთ სუბიექტად არსებობა. აღნიშნული პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს სეცესია წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოს შემადგენლობიდან მისი ნაწილის გამოყოფას გულისხმობს, ახალი სახელმწიფოს დაფუძნების, ან სხვა უკვე არსებულ სახელმწიფოსთან შეერთების მიზნით. სეცესიის პროცესს შემდეგი წინაპირობა უნდა ახასიათებდეს: უცხოური, პირდაპირი და არაპირდაპირი სამხედრო დახმარების არარსებობა და რეფერენდუმის გზით მოსახლეობის თანხმობა გამოყოფასთან დაკავშირებით.⁹⁹ მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ არაკონსტიტუციური სეცესია უფრო უახლოვდება რევოლუციას. თუმცა, სეცესია წარმოადგენს კონკრეტული ტერიტორიის გათავისუფლებას ხელისუფლების კონტროლისგან და მასზე ახალი ხელისუფლების დამყარებას. რევოლუციისგან განსხვავებით, სეცესიას ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნის გარეშე შეუძლია ტერიტორიაზე ახალი კონტროლის დამყარება ისე, რომ ზიანის მომტანი არ იყოს ის სხვა ტერიტორიული ნაწილისთვის. სეცესიის „გამართლება“ ხდება თვითგამორკვევის პრინციპზე დაყრდნობით,

⁹⁹ Haverland C. (2000) *Secession*. Amsterdam. Encyclopedia of Public International Law. From Kohen M.G., *Secession International Law perspectives*. New York, 2006, 297.

რომლის მიხედვითაც ყველა ეთნოსს აქვს უფლება ჰქონდეს თავისი სახელმწიფო. ამასთანავე, თვითგამორკვევის პრინციპი ინტერპრეტირებულია, როგორც სუვერენული უფლება თავისი თვითმყოფადობის და კულტურის დასაცავად, რომელიც მისი იდენტობის ნაწილია. კულტურის დაკარგვა საკუთარი თავის დაკარგვასთან ასოცირდება, ამიტომ, სეცესია მისთვის კულტურის დაცვის და შესაბამისად, თვითგადარჩენის საშუალებაა. მაგალითისთვის შეიძლება კოსოვოს პრეცედენტის მოხმობა. კოსოვოს რესპუბლიკა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. ის სერბეთის რესპუბლიკის ავტონომიურ ერთეულს წარმოადგენდა და „კოსოვოსა და მეტოხიის ავტონომიურ რესპუბლიკად“ იწოდებოდა. კოსოვოს ძირითად მოსახლეობას ეთნიკურად ალბანელები წარმოადგენდნენ. 1980 წლიდან რეგიონში შიდა ეთნიკური დაძაბულობა იწყება, რომელიც 1989 წელს პიკს აღწევს, რასაც კოსოვოს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შეწყვეტა და სერბების მხრიდან ეთნიკური ალბანელების კულტურული შევიწროება მოჰყვა. სერბები ასევე დადანაშაულებულ იქნენ ალბანელების წინააღმდეგ გენოციდში. კონფლიქტი, რომელსაც სეგრეგაცია¹⁰⁰ ედო საფუძვლად, თანდათანობით მწვავდებოდა. 1990 წელს კოსოვომ თავი რესპუბლიკად გამოაცხადა იუგოსლავიის შემადგენლობაში. 1999 წელს გაეროს კომისიამ დაიწყო ადმინისტრირება, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შემდეგ. 2008 წლიდან კოსოვოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოცხადდა და მიიღო აღიარება გაეროს 112 წევრი სახელმწიფოდან.

მსგავსი პროცესები მოხდა აღმოსავლეთ ტიმორში. აღმოსავლეთ ტიმორი 1974 წლამდე პორტუგალიის მფლობელოში იყო. 1975 წელს აღმოსავლეთ ტიმორმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თუმცა დროებით, რადგან რამდენიმე დღეში, ინდონეზიის არმიამ დაიკავა ტერიტორია. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა აღმოსავლეთ

¹⁰⁰ სეგრეგაცია – გარკვეული ეთნიკური ან რასობრივი ჯგუფის იზოლაცია რაიმე ნიშნის საფუძველზე/რომელიმე ქვეყნის მიერ საკუთარი მოსახლეობის მიზანმიმართული გამიჯვნის პოლიტიკა.

ტიმორს არ შეუწყვეტია და 2002 წელს ის აღიარებული იქნა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ტიმორშიც საკმაოდ რთული პროცესებით მიმდინარეობდა ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის. 1999 წელს გაეროს ეგიდით ტიმორის ტერიტორიაზე დამყარდა დროებითი ადმინისტრაციული მმართველობა უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით. გაერომ აიძულა ინდონეზია შეეწყვიტა საომარი მოქმედებები აღმოსავლეთ ტიმორთან და ეცნო მისი დამოუკიდებლობა. 2002 წლის არჩევნებში აღმოსავლეთ ტიმორის ხელისუფლება არჩევნების გზით მოსულმა მათვრობამ გადაიბარა და მსოფლიოს კიდევ ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო შეემატა.

ასევე, საგულისხმოა, ბალტიისპირეთის ქეისი (ლიტვა, ლატვია და ესტონეთი). 1991 წლამდე ეს სამი სახელმწიფო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ. 1990-1991 წლებში მათ დამოუკიდებლობა მიიღეს, ისინი გამოეყვნენ საბჭოთა კავშირს და წარმოჩინდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. სახელმწიფოებს სხვადასხვანაირი მიდგომა ჰქონდათ, საბჭოთა კავშირიდან ბალტიისპირეთის გამოსვლის საკითხთან დაკავშირებით, ეს იყო სახელმწიფოს დაშლის შემთხვევა თუ გამოყოფის. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ ეს იყო სახელმწიფოს (იგულისხმება საბჭოთა კავშირი) დაშლა, როდესაც 1985 წელს დაწყებულ პროცესებს 1991 წელს სსრკ-ს დაშლა მოჰყვა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლის შედეგად სსრკ-მ როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა არსებობა შეწყვიტა და თექვსმეტმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ დამოუკიდებლად, საერთაშორისო სამართლით აღიარებული პრინციპებით არსებობა დაიწყო.

საკმაოდ რთული პროცესები მიმდინარეობდა იუგოსლავიის რესპუბლიკაშიც. ეთნიკური კონფლიქტების მხრივ იუგოსლავია განსაკუთრებულად მძიმე შემთხვევას წარმოადგენს. მისი დაშლის შემდეგ ექვსმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ (სერბეთი, სლოვენია, ხორვატია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მონტენეგრო, მაკედონია) დაიწყო არსებობა და მათ რიცხვს 2008 წლიდან კოსოვოს რეს-

პუბლიკა შეემატა. თავის მხრივ, იუგოსლავიის რესპუბლიკამ, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა არსებობა შეწყვიტა.

ახალი სახელმწიფოები შეიძლება წარმოიშვას რამდენიმე სახელმწიფოს გაერთიანების შედეგად. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საერთაშორისო სამართლის ორი ან მეტი სუბიექტი წყვეტს არსებობას, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და გვევლინება გაერთიანების შემდეგ ერთ სუბიექტად. მაგალითად, გერმანიის გაერთიანება. 1990 წელს აღმოსავლეთ გერმანია (DDR) შეუერთდა დასავლეთ გერმანიას (FRG). გაერთიანების შემდეგ ბერლინი გამოცხადდა დედაქალაქად და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, როგორც სუვერენულმა სუბიექტმა არსებობა დაიწყო. 1990 წელს საერთაშორისო სამართლის გაერთიანებულ სუბიექტად გვევლინება იემენი – ჩრდილოეთ იემენის (იემენის არაბული რესპუბლიკა) და სამხრეთ იემენის (იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა) გაერთიანების შედეგად.

1.2. სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობა

სახელმწიფოების წარმოშობა და გაქრობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ რთული პროცესია, როგორც პოლიტიკური, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით. აღნიშნული პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა წარმოადგენს. სამართალმემკვიდრეობის ცნებას საერთაშორისო სამართალში მაშინ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, როდესაც ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოსგან ტერიტორიას მოიპოვებს. მეცნიერთა აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით მკაცრად ჩამოყალიბებული არ გახლავთ, რადგან სადავო გახდა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ ტერიტორიის დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს უკვე არსებული ტერიტორიის საზღვრების გაფართოება და ეს განსხვავდება ახალი სახელმწიფოს შექმნის სამართლებრივი შედეგებისგან. პრობლემას ართულებს ისიც, რომ სამართალმემკვიდრეობა შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა ფაქტორებისგან.

ამიტომ, ამ საკითხების განსაზღვრა მოხდა 1978 წლის „ვენის კონვენციით ხელშეკრულებების მიმართ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ“ და ვენის 1983 წლის კონვენციით „სახელმწიფოთა საკუთრებაზე, არქივებზე და ვალებზე სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ“. აღნიშნულ კონვენციებში მთავარი აქცენტი გაკეთდა ახლადშექმნილ სახელმწიფოებზე.

დეკოლონიზაციის შედეგად წარმოშობილი სახელმწიფოები, რომლებიც იძენენ დამოუკიდებლობას თავისუფლებიან ყველა სახის ხელშეკრულებისგან, რომელიც მმართველმა მთავრობამ დადო ამ ტერიტორიის სახელით. აღნიშნულ შეთხვევებში მოქმედებდა ე.წ. „ტაბულა რაზა“-ს (*tabula rasa* -სუფთა დაფა) პრინციპი, რაც ათავისუფლებდა მემკვიდრე სახელმწიფოს მეტროპოლიის მიერ აქამდე აღებული საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებისგან. ყოველი ახალი სახელმწიფო უფლებამოსილია თვითონ აირჩიოს რომელი ხელშეკრულება დატოვოს ძალაში და რომელი უარყოს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „ტაბულა რაზა“-ს პრინციპი თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არ ვრცელდება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებზე, სხვა ამკრძალავ და იმპერატიულ ნორმებზე. იმის გათვალისწინებით, რომ არცერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება უარი თქვას საერთაშორისო სამართლით აღიარებული ძირითადი პრინციპების შესრულებაზე, რომელზე დაყრდნობითაც ხდება სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის განმტკიცება.¹⁰¹ აღნიშნულ საკითხს განიხილავს ვენის 1978 წლის კონვენცია მე-5 მუხლში, რაც გულისხმობს შემდეგს, სახელმწიფო არ არის უფლებამოსილი უგულებელყოს, მის მიერ უარყოფილი ხელშეკრულების ისეთი დებულებანი, რომლებსაც აქვთ ძალა საერთაშორისო სამართლის თანახმად, ხელშეკრულებიდან დამოუკიდებლად.¹⁰²

¹⁰¹ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2013, 94.

¹⁰² ვენის კონვენცია ხელშეკრულებებზე სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ, 1978, მე-5 მუხლი.

ვენის 1983 წლის კონვენცია „სახელმწიფო საკუთრების, არქივებისა და ვალების შესახებ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებით“, სახელმწიფო ქონების შესახებ განმარტავს: 1) სახელმწიფო მემკვიდრის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება რჩება სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს; 2) უძრავი ქონება, რომელიც ამ სახელმწიფოს ეკუთვნის, მაგრამ მის საზღვრებს გარეთ მდებარეობს და მას თავის დროზე დაეპატრონა წინამორბედი სახელმწიფო, სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს კუთვნილებაა; 3) წინამორბედი ხელისუფლების მოძრავი სახელმწიფო ქონება, რომელიც დაკავშირებულია უფლებამონაცვლეობის ობიექტად ქცეულ ტერიტორიაზე საქმიანობასთან, გადადის სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეზე.

რაც შეეხება სახელმწიფო არქივებს, წინამორბედი სახელმწიფო ვალდებულია სახელმწიფო არქივი და საარქივო დოკუმენტაცია გადასცეს სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს. სახელმწიფო არქივი და საარქივო დოკუმენტაცია, რომელიც ორივე (წინამორბედ და სამართალმემკვიდრე) სახელმწიფოს თანაბრად ეხება, ხელმისაწვდომი უნდა გახდეს სამართალმემკვიდრე სახელმწიფოსთვის.

რაც შეეხება სახელმწიფო ვალების საკითხს, ისტორიამ ცხადყო, რომ უფლებამონაცვლე, იგივე სამართალმემკვიდრე სახელმწიფოები უარყოფენ, არ აღიარებენ წინამორბედი სახელმწიფოს მიერ აღებული ვალებს. თუმცა, ვალი რომელიც მოხმარდა სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს განვითარებას ანუ მოხმარდა სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს ინფრასტრუქტურას, ტექნოლოგიურად განვითარების საკითხებს, ასეთ დროს უფლებამონაცვლე სახელმწიფო ვალდებულია გადაიხადოს წინამორბედი სახელმწიფოს მიერ აღებული სახელმწიფო ვალის გარკვეული ნაწილი. როდესაც ერთი სახელმწიფო იყოფა რამდენიმე ნაწილად ვალების საკითხი წყდება სახელმწიფო ურთიერთშეთანხმების გზით. ვალი იყოფა გამოყოფილი ერთეულების ეკონომიკური პოტენციალის და მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. თუ რა თქმა უნდა ვალი კონკრეტულად არ იყო მიმართული რომელიმე ერთი უკვე გამოყოფილი

ერთეულის საკეთილდღეოდ, ასეთ შემთხვევაში, ვალის გადახდა ეკისრება ამ ტერიტორიის სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს.¹⁰³

ახალი სახელმწიფოების წარმოშობის ჩვენთვის უკვე ნაცნობი მაგალითების დახმარებით, შეგვიძლია განვიხილოთ, თუ როგორ ხდება სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის საკითხის დარეგულირება პრაქტიკაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 16 დამოუკიდებელი სახელმწიფო გამოვიდა საერთაშორისო არენაზე. მართალია, საბჭოთა კავშირმა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა არსებობა შეწყვიტა, მაგრამ სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობის საკითხი საკმაოდ დიდი ყურადღების ქვეშ მოექცა და დიდ ინტერესს იწვევდა მსოფლიოსთვის. ყოფილმა საბჭოთა კავშირმა დაასრულა არსებობა დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის (დსთ) შექმნის მომენტიდან. დსთ-ს წევრმა სახელმწიფოებმა ერთხმად გამოაცხადეს, რომ უარს აცხადებდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე საერთაშორისო ვალდებულებაზე და მხარს უჭერდნენ გაეროში და სხვა ორგანიზაციებში საბჭოთა კავშირის რუსეთით ჩანაცვლებას. 1992 წელს რუსეთის მთავრობამ აცნობა რუსეთში აკრედიტირებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობას, რომ ის კისრულობს ვალდებულებას, გააგრძელოს სსრკ-ს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება. რუსეთის მოთხოვნას გამხდარიყო სსრკ-ს სამართალმემკვიდრე არა თუ მხარი დაუჭირეს გაეროში, არამედ გაეროს მხრიდან აღიარებაც უმაღლვე მოჰყვა. იგივეს ვერ ვიტყვით იუგოსლავიასთან დაკავშირებით. იუგოსლავიის დაშლის შემდეგ 6 დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიშვა. იუგოსლავიის სამართალმემკვიდრეობაზე სურვილი გამოთქვეს 1992 წელს სერბეთმა და ჩერნოგორიამ, რომლებმაც შექმნეს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა (დღეს, სერბეთისა და ჩერნოგორიის

¹⁰³ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2013, 105.

კონფედერაციულმა სახელმწიფომ), თუმცა გაეროს უშიშროების საბჭომ უარი განუცხადა იუგოსლავიის ფედერალურ რესპუბლიკას მოთხოვნაზე, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ყოფილმა იუგოსლავიის რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა.

ბალტიისპირეთის გამოყოფის საკითხს რაც შეეხება, თავად ბალტიისპირეთის სახელმწიფოები არ მიიჩნევენ თავს ყოფილი სსრკ-ს სამართალმემკვიდრე სახელმწიფოებად და უარი განაცხადეს სავალდებულოდ ელიარებინათ ნებისმიერი დოქტრინა ყოფილი სსრკ-ს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულების სამართალმემკვიდრეობაზე.

რაც შეეხება ჩეხოსლოვაკიის გაყოფის შემდეგ წარმოშობილ სამართალმემკვიდრეობის საკითხს, ჩეხეთმა და სლოვაკეთმა ურთიერთშეთანხმების გზით გადაწყვიტეს წინამორბედი სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეებად გამოეცხადებინათ თავი.

რაც შეეხებათ გაერთიანებულ სახელმწიფო სუბიექტებს (გერმანია, იემენი) ისინი ასევე ურთიერთშეთანხმების გზით შეთანხმდნენ, რომ წინამორბედი სახელმწიფოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებდნენ და ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება გამხდარიყვნენ წინამორბედი სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეები.

3. საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტები

საერთაშორისო ორგანიზაცია საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე შექმნილ, გარკვეული სუბიექტებისგან შემდგარ მუდმივ გაერთიანებას წარმოადგენს, რომლის მიზანსაც კონკრეტული საკითხებისა და პრობლემების ერთობლივად დარეგულირება წარმოადგენს. სახელმწიფოთა თანამშრომლობის ფარგლებში, საერთაშორისო სისტემაში არაერთი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ უსაფრთხოების სფეროში არსებული ინტერესების განხორციელების მიზნით. საერთაშორისო

სო ორგანიზაციების რაოდენობა მსოფლიოში ამჟამად 40 000-ს აჭარბებს. ასევე აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად 1200 ახალი ორგანიზაცია იქმნება. თეორიულ ლიტერატურაში არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაციის სხვადასხვა მოდელი, რომლებიც ერთმანეთისგან კრიტერიუმთა კატალოგების მიხედვით განსხვავდება. საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი მახასიათებლების ჩამონათვალი შემდეგია:

- **სუბიექტების განევრიანების იურიდიული ხასიათის მიხედვით** განასხვავებენ მთავრობათაშორის (სახელმწიფოთაშორის) და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებს. მთავრობათაშორისი ორგანიზაცია ორი ან მეტი სახელმწიფოს გაერთიანებას წარმოადგენს (მაგ., ევროკავშირი – EU), ხოლო საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია – ფიზიკური ან იურიდიული პირების (მაგ., საერთაშორისო სავაჭრო პალატა – ICC). სწორედ აღნიშნული გარემოება განაპირობებს იმას, რომ საერთაშორისო სამთავრობოთაშორისი ორგანიზაციები საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსით სარგებლობენ, ხოლო არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების საერთაშორისო სამართალსუბიექტობა გამორიცხულია.¹⁰⁴
- **სუბიექტების განევრიანების პირობების მიხედვით** არსებობენ ღია და დახურული საერთაშორისო ორგანიზაციები. ღია საერთაშორისო ორგანიზაციაში განევრიანება თავისუფალია, დახურულში კი ახალი წევრის მიღება კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ ხორციელდება. ღია საერთაშორისო ორგანიზაციის მაგალითად შეგვიძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UN) მოვიყვანოთ, ხოლო დახურულის – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (ASEAN).
- **საქმიანობის სფეროს მიხედვით** განასხვავებენ უნივერსალურ და რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

¹⁰⁴ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) გარდა.

უნივერსალური ანუ გლობალურია საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელში განვერიანებაც არ იზღუდება კონკრეტული რეგიონული კუთვნილების გათვალისწინებით. აღნიშნულის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ასევე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO). რეგიონული ანუ პარტიკულარული საერთაშორისო ორგანიზაციები ლოკალიზებულია ერთ რომელიმე რეგიონში და მასში განვერიანება მხოლოდ რეგიონში მდებარე ქვეყნების პრეროგატივას წარმოადგენს. ასეთი ორგანიზაციებია: ევროსაბჭო (European Council), ნატო (NATO), ეუთო (OSCE) და სხვა.

- **კომპეტენციის ხასიათის მიხედვით** განასხვავებენ ზოგად და სპეციალურ საერთაშორისო ორგანიზაციებს. საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის არეალიც მის წევრებს შორის არსებული ურთიერთობების ყველა სფეროს მოიცავს, ზოგადი კომპეტენციის მქონე ორგანიზაციებს განეკუთვნება. ასეთ ორგანიზაციებს წარმოადგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ევროკავშირი. ზოგადი კომპეტენციის მქონე ორგანიზაციებისგან განსხვავებით, სპეციალური კომპეტენციის მქონე ორგანიზაციების თანამშრომლობის ფორმატი მხოლოდ ერთ კონკრეტულ სფეროზეა ორიენტირებული. ასეთი ორგანიზაციის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ნატო და სხვა.
- **სუბიექტების მიმართ უფლებამოსილების ხარისხის მიხედვით** არსებობენ საერთაშორისო (კლასიკური გაგებით) და ზეეროვნული საერთაშორისო ორგანიზაციები. საერთაშორისო ორგანიზაციების კატეგორიაში შემავალი ორგანიზაციების წრე საკმაოდ ფართოა. მას განეკუთვნება, როგორც სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობის დაბალი ხარისხის მქონე – მხოლოდ წევრი ქვეყნების კოორდინაციის ფუნქციით აღჭურვილი ორგანიზაციები, ასევე, ის ორგანიზაციებიც, სადაც სახელმწიფოთა

ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი გაცილებით მაღალია და წევრ სახელმწიფოებს ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების ვალდებულება ეკისრებათ. ზეეროვნულ საერთაშორისო ორგანიზაციებს ინტეგრაციის პროცესის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაციები წარმოადგენენ. მსგავსი ორგანიზაციის დამფუძნებელი დოკუმენტი ახალი სამართლებრივი წესრიგის შექმნას ითვალისწინებს, ხოლო ორგანიზაციის ორგანოებს იურიდიულად სავალდებულო აქტების მიღების კომპეტენცია გააჩნიათ, რომლებიც უშუალოდ ვრცელდება ორგანიზაციის წევრი ქვეყნების იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე. ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მაგალითს ევროკავშირი წარმოადგენს.¹⁰⁵

სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის შექმნის ყველაზე გავრცელებული გზა საერთაშორისო შეთანხმების დადებაა, რომელიც საერთაშორისო კონფერენციაზე შემუშავებული დამფუძნებელი დოკუმენტის ხელმოწერით გამოიხატება. საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი დოკუმენტის სახელწოდება შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგ., ხელშეკრულება, კონვენცია, წესდება და სხვა. საერთაშორისო ორგანიზაციის სტრუქტურის ფორმირებისთვის იქმნება სპეციალური მოსამზადებელი ორგანოები, რომელთა ფუნქციას მომავალი ორგანიზაციის ორგანოების, წევრთა კომპეტენციების, პროცედურების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განსაზღვრა წარმოადგენს. აღნიშნული საორგანიზაციო პროცესი მთავარი ორგანოების მონვევით და მათი ფუნქციონირების დაწყებით სრულდება. აღსანიშნავია, რომ ყველა საერთაშორისო სამთავრობოთაშორის ორგანიზაციას ინდივიდუალური სტრუქტურა, თუმცა მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოები გააჩნია. კერძოდ, **გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები** ყველა ორგანი-

¹⁰⁵ ევროკავშირის დამფუძნებელმა ხელშეკრულებებმა და მეორადი სამართლის აქტებმა შექმნეს დამოუკიდებელი სამართლის წესრიგი – ევროკავშირის სამართალი, რომელსაც აბსოლიტური უპირატესობა აქვს წევრი სახელმწიფოების სამართალთან მიმართებაში.

ზაციაში წარმოადგენენ ორგანოს, სადაც წარმოდგენილია ორგანიზაციის წევრების მთლიანი შემადგენლობა. მაგ., გაეროს გენერალური ასამბლეა, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი და ევროკავშირის საბჭო (გამონაკლისს წარმოადგენს გაეროს უშიშროების საბჭო, სადაც ორგანიზაციის 193 წევრიდან, მხოლოდ 15 წევრია წარმოდგენილი). **აღმასრულებელი ორგანოები** პასუხისმგებელი არიან ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე. აღნიშნულ ორგანოს, როგორც წესი, ხელმძღვანელობს ორგანიზაციის მეთაური. მაგ., გენერალური მდივანი, როგორც გაეროს, ასევე ევროსაბჭოს შემთხვევაში. **საპარლამენტო ორგანოები** წევრი ქვეყნების პარლამენტიდან გაგზავნილი დელეგატებისგან შედგება (ევროსაბჭო, ეუთო, ნატო) და ძირითადად სათათბორო ფუნქციას ასრულებს. გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის პარლამენტი, რომელსაც მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ფუნქცია გააჩნია. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ევროპარლამენტის არჩევა პირდაპირი საარჩევნო წესის შესაბამისად ხორციელდება. **სასამართლო ორგანოები** იქმნება წევრებს შორის წარმოშობილი დავების მოგვარების მიზნით. მაგ., გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისგან განსხვავებით, საერთაშორისო სამთავრობოთაშორისი ორგანიზაციები საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს წარმოადგენენ. მათი სამართალსუბიექტობის საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ხედვები ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართლის თეორიაში. აღნიშნული საკითხის ირგვლივ მეცნიერთა აზრი ორად იყოფა, ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები საერთაშორისო სამართლის მეორეხარისხოვანი სუბიექტები არიან, რადგან ისინი პირველადი სუბიექტების – სახელმწიფოების მიერ იქმნება და მოქმედებენ არა უშუალოდ საერთაშორისო სამართლის პრინციპებით, არამედ საკუთარი წესდებით, რომლის საშუალებითაც მათ საერთაშორისო ხელშეკრულებების

დადების და შესრულების უფლება ენიჭება.¹⁰⁶ მეორე ნაწილი კი თვლის, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტია. ამ შეხედულების მიმდევრები, აქცენტს საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრულ „ტერიტორიაზე“ და ასევე, იმ სამართლებრივი უფლებების არსებობაზე აკეთებენ, რითაც ორგანიზაციას ნევრი ქვეყნის ტერიტორიაზე იმ სამართლებრივი უფლებებით სარგებლობა შეუძლია, რაც აუცილებელია მისი ფუნქციონირების და მიზნების შესრულებისთვის.¹⁰⁷ (მაგ., ევროკავშირი, სადაც ევროკავშირის ნევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ორგანიზაციის წესდებიდან („დამფუძნებლური ხელშეკრულებები“) გამომდინარე წესები მოქმედებს). ასევე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო ორგანიზაციას საერთაშორისო სამართალში სარჩელის აღძვრის უფლებამოსილება გააჩნია.

ზოგადად, საერთაშორისო ორგანიზაციის სამართალსუბიექტობის სამართლებრივი კრიტერიუმების საკითხთან მიმართებით ლიტერატურაში არსებული მიდგომები ასე შეიძლება ჩამოვაცალიბოთ:

1. კანონიერი მიზნების მქონე ორგანოებით აღჭურვილი, სახელმწიფოთა მუდმივი გაერთიანება;
2. იურიდიული უფლებამოსილებისა და მიზნების განსხვავება ორგანიზაციასა და მის ნევრებს შორის;
3. ისეთი იურიდიული უფლებამოსილების ქონა, რომელიც განხორციელებადია საერთაშორისო სარბიელზე და არა მხოლოდ ერთი ან მეტი სახელმწიფოს შიდა სისტემაში.¹⁰⁸

ამრიგად, სახელმწიფოები ქმნიან სამთვრობოთშორის ორგანიზაციებს, რომლებიც საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად გვევლინებიან და გააჩნიათ იურიდიული მოქმედებების შესრუ-

¹⁰⁶ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2013, 79.

¹⁰⁷ მალანჩუკი პ., აკეპარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2005, 111.

¹⁰⁸ ბრაუნლი ი., საერთაშორისო სამართლის პრინციპები, მე-7 გამოცემა, საია, თბილისი, 2010, 752.

ლების უფლებამოსილება. აღნიშნულში უპირველეს ყოვლისა ის იგულისხმება, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია საერთაშორისო სამართლის ისეთი სუბიექტია, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს ან დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, შეიმუშაოს და ჩამოაყალიბოს გარკვეული ქცევის წესები, რაც შესასრულებლად სავალდებულო იქნება ნევრი სახელმწიფოებისთვის. ასევე აღსანიშნავია, რომ საქმიანობის ეფექტურად წარმართვის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო ორგანიზაციები დიპლომატიური პრივილეგიებით და იმუნიტეტით სარგებლობენ.

4. ფიზიკური პირი, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი

ფიზიკური პირების სტატუსს საერთაშორისო სამართალში საკმაოდ დიდი აზრთა სხვადასხვაობა ახლავს და დღემდე საკამათო საკითხია. ნაწილი მეცნიერებისა თვლის, რომ ფიზიკური პირები საერთაშორისო სამართლის სუბიექტს არ განეკუთვნებიან. ლაუტერპახტის აზრით, ფიზიკური პირი საერთაშორისო სამართლის არა სუბიექტს, არამედ ობიექტს წარმოადგენს. ბრაუნლის აზრით, საერთაშორისო სამართალი არ კრძალავს ინდივიდის საერთაშორისო სამართლის სუბიექტობას, თუმცა მისი აღიარება არ იქნება ხელსაყრელი, ვინაიდან ეს ნიშნავს იმ უფლებათა დასაბუთებას, რომლებიც რეალობაში არ არსებობენ და უარყოფს საჭიროებას, ერთმანეთისგან განვასხვაოთ ინდივიდი და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტები¹⁰⁹. მეცნიერთა ნაწილის აზრით (დიუგე, სელი), ფიზიკური პირი არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, თუმცა არა ძირითადი. ფიზიკური პირები მოქმედებენ გარკვეული უფლებამოსილებით და სახელმწიფოს მხრიდან აღჭურვილნი არიან უფლებით, იმოქმედონ როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით. საერთაშორისო ასპარეზზე, ფიზიკურ პირებს სახელმწიფოებთან ან

¹⁰⁹ იქვე.

ორგანიზაციებთან შედარებით შეზღუდული უფლებები გააჩნიათ. აღნიშნულის მიუხედავად, იმის მტკიცება, რომ ფიზიკური პირი არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, მთლად მართებული ვერ იქნება. მით უმეტეს, მაშინ, როცა საერთაშორისო სამართალში არ გვხვდება იმპერატიული აკრძალვა ფიზიკური პირი ჩაითვალოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. კელზენის მოსაზრებით, ინდივიდს შეუძლია იყოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ვინაიდან მის ქმედებას მოჰყვება გარკვეული სამართლებრივი შედეგები, ის ასევე მიუთითებს, რომ ფიზიკური პირი გვევლინება საერთაშორისო სამართლის ირიბ სუბიექტად, როგორც სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენელი.¹¹⁰ განსაკუთრებით საგულისხმოა ეს მოსაზრება როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო სამართლის აღიარებული ნორმების დარღვევას და დგება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საკითხი. მაგ., როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო დანაშაულებს (გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. ჰუმანიტარული, იგივე ომის დანაშაული, აგრესია) საგულისხმოა ფიზიკური პირის როლი ასეთ დროს. მართალია, აღნიშნულ საერთაშორისო დანაშაულს ერთი სახელმწიფო სჩადის მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაგრამ პასუხისმგებლობა კონკრეტული ფიზიკური პირის მიმართ დგება. საერთაშორისო ტრიბუნალებზე (იუგოსლავიის, ნიუნბერგის, რუანდის, ტოკიოს ტრიბუნალები) დგება ფიზიკური პირის პასუხისმგებლობის საკითხი, როგორც სახელმწიფო წარმომადგენლის რომელსაც ბრალი ედება საერთაშორისო დანაშაულის ჩადენაში.

საერთაშორისო სამართლის სპეციფიკურ სუბიექტს წარმოადგენს ვატიკანი ანუ „წმინდა საყდარი“. 1929 წლის ხელშეკრულებაში იტალიამ აღიარა ქალაქ ვატიკანის სუვერენიტეტი, რაც გულისხმობს წმინდა საყდრის ექსკლუზიურ სუვერენიტეტს. ქალაქი ვატიკანი, როგორც კათოლიკური სამყაროს ცენტრი, სა-

¹¹⁰ ჯიქია მ., ინდივიდის სტატუსი თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, თბილისი, 2011, 14.

რგებლობს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის უფლებებით. ის აღიარებულია სხვა სახელმწიფოების მხრიდან და შესაბამისად, ჰყავს წარმომადგენლები სხვადასხვა სახელმწიფოებში ნუნციების და ინტერნუნციების სახით. ვატიკანი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სპეციფიკურ სუბიექტს რადგან ის წარმოადგენს სახელმწიფოს სახელმწიფოში.

საერთაშორისო სამართალში ასევე განსაკუთრებულ სამართალსუბიექტობას ფლობენ მეომარი და აჯანყებული მხარეები. აჯანყებული და მეომარი მხარეები იბრძვიან დამოუკიდებლობისთვის. მათი სტატუსის განსაზღვრა საკმაოდ რთულია, რადგან ისინი არ ფლობენ საერთაშორისო სამართლით აღიარებულ სუბიექტების განსაზღვრულ ფაქტორებს. ანუ ისინი არ განეკუთვნებიან სუვერენულ სახელმწიფოებს, არ ჰყავთ დე იურე მთავრობა, რაც თავის მხრივ, გულისხმობს საერთაშორისო სამართლით აღიარებული ხელშეკრულებების ვერდადებას და შესაბამისად, ვერშესრულებას. სწორედ ამიტომ, ასეთ წარმონაქმნებს საკმაო სირთულეების თავიდან ასაცილებლად ენიჭებათ საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსი, რაზეც პასუხისმგებლობას იღებს გაერო, ტერიტორიის დროებითი მართვის უფლებით. უფრო კონკრეტულად გაეროს სამეურვეო საბჭო, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობით ახორციელებს კონკრეტულ ტერიტორიაზე აჯანყებული და მეომარი მხარეების უფლებების დაცვას, სანამ აღნიშნული სუბიექტი სრულად არ მოიპოვებს დამოუკიდებლობას. დამოუკიდებლობის მიღებამდე გაეროს მიერ ტერიტორიის კონტროლის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ: ნამიბიის დამოუკიდებლობის მოპოვების ბოლო ეტაპი (1978); ინდონეზიის მიერ უკანონოდ ოკუპირებული აღმოსავლეთ ტიმორი. 1999 წელს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რაც ითვალისწინებდა აღმოსავლეთ ტიმორში შექმნილიყო გაერთიანებული ერების გარდამავალი ადმინისტრაცია, რომელსაც მიენიჭა აღმოსავლეთ ტიმორის დამოუკიდებლობისთვის მომზადების მანდატი. გაერთიანებული ერების გარდამავალ ადმინისტრაციას

(UNTAET) ჰქონდა სრული უფლება ემოქმედა დამოუკიდებლად და მიელო გადაწყვეტილებები, 2002 წლის არჩევნებამდე, სანამ აღმოსავლეთ ტიმორი დამოუკიდებელი გახდა.¹¹¹

რაც შეეხებათ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, მათ გააჩნიათ თვითგამორკვევისთვის ბრძოლის უფლება. ეს ეხება ძირითადად ბრძოლას კოლონიზატორის წინააღმდეგ. გაეროს რეზოლუცია „საერთაშორისო სამართლის პრინციპები სახელმწიფოთა შორის გაეროს წესდების შესაბამისად მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ“ და აგრეთვე თვითგამორკვევის პრინციპი, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს უფლებას აძლევს იმოქმედონ გაეროს წესდების შესაბამისად და დამოუკიდებლობის მოპოვებამდე დაამყარონ საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან და ასევე ჰყავდეთ წარმომადგენლები საერთაშორისო ორგანიზაციებში.

¹¹¹ ბრაუნლი ი., საერთაშორისო სამართლის პრინციპები, მე-7 გამოცემა, საია, თბილისი, 2010, 69.

თავი V.

საერთაშორისო ორგანიზაციები

საერთაშორისო ორგანიზაციის ცალსახა დეფინიცია არ არსებობს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (The Organisation for Economic Co-operation and Development/OECD) სტატისტიკური ტერმინების ლექსიკონის თანახმად, საერთაშორისო ორგანიზაცია წარმოადგენს „სუბიექტს, რომელიც შექმნილია მისი წევრების ფორმალური პოლიტიკური შეთანხმებით და რომელსაც აქვს საერთაშორისო პაქტის სტატუსი. მათ შექმნას ცნობს წევრი ქვეყნების კანონმდებლობა, თუმცა ისინი არ ითვლებიან იმ ქვეყნების ინსტიტუტებად, საიდანაც ისინი ფუნქციონირებენ.“¹¹² ერთმანეთისგან განასხვავებენ სახელმწიფოთაშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებს. **საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია** წარმოადგენს სუვერენული სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების ან საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტების ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომელიც დაფუძნებულია მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე და შექმნილია, დროითი თვალსაზრისით, ხანგრძლივი ვადით ან სულაც, უვადოდ სხვადასხვა მიზნის განსახორციელებლად. საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციებისგან განსხვავებით, **საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია** წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯგუფის, კავშირის ან კერძო პირების მიერ შექმნილ გაერთიანებას პოლიტიკურ-ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო თუ სხვა სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებისა და გაღრმავების მიზნით, რომელიც არ ისახავს მიზნად კომერციულ მოგებას.

პირველი საერთაშორისო ორგანიზაციები შეიქმნა საკომუნიკაციო პრობლემების მართვის მიზნით. მაგალითად, ერთ-ერთ

¹¹² OECD, Glossary of Statistical Terms, <<https://stats.oecd.org/glossary/index.htm>> [31.01.2023]

პირველ საერთაშორისო ორგანიზაციად მიჩნეულია 1815 წელს დაარსებული ნაოსნობის ცენტრალური კომისია რეინზე (**Central Commission for Navigation on the Rhine**), ხოლო 1865 წელს დაარსებული საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (**International Telegraph Union**) წარმოადგენს პირველ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე დაფუძნდა და რომელსაც მუდმივი სამდივნო გააჩნდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, საერთაშორისო ასპარეზზე აქტუალური გახდა მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების დამცავი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი ორგანიზაციების შექმნის საკითხი. სწორედ ზემოაღნიშნულის შედეგია 1919 წელს შექმნილი ერთა ლიგა (**League of Nations**) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (**International Labour Organization/ILO**). განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ; კერძოდ, სწორედ ომის შემდგომ პერიოდს უკავშირდება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების დაარსება, როგორებიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (**International Monetary Fund/IMF**), მსოფლიო ბანკი (**World Bank**) და სხვა. საერთაშორისო ასოციაციების კავშირის (**Union of International Associations**) მონაცემების თანახმად, დღესდღეობით 68.000-მდე საერთაშორისო ორგანიზაცია ფუნქციონირებს, რომელთა უმრავლესობას საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ.¹¹³

წინამდებარე თავში განხილული იქნება საერთაშორისო სამთავრობო-საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობა, მათი ფუნქციები და ძირითადი ორგანოები; ასევე განვიხილავთ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების როლსა და კომპეტენციებს, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, ევროპის კავშირი, ევროსაბჭო და ეუთო.

¹¹³ Union of International Associations, იხ., <www.uai.org> [31.01.2023]

1. საერთაშორისო სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებში განეწიანება და მათი ძირითადი ფუნქციები

სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის შექმნისას, სახელმწიფოთა ნების გამოვლინების იურიდიული გაფორმების ყველაზე გავრცელებულ მეთოდს საერთაშორისო ხელშეკრულების შემუშავება და დადება წარმოადგენს, რომელიც შემდგომში ორგანიზაციის სადამფუძნებლო აქტი ხდება. ამგვარი აქტის დასახლება შესაძლოა, სხვადასხვაგვარი იყოს: სტატუტი (ერთა ლიგა), წესდება (გაერო, ამერიკულ სახელმწიფოთა გაერთიანება), კონვენცია (მსოფლიო საფოსტო კავშირი, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) და სხვ. სადამფუძნებლო აქტის ძალაში შესვლის თარიღი ითვლება ორგანიზაციის შექმნის თარიღად.

საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები იქმნება საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტის – სუვერენული სახელმწიფოების მიერ, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ორგანიზაციების კომპეტენციასა და სტრუქტურას, მის საერთაშორისოსამართლებრივ სუბიექტუნარიანობას. ამგვარი ორგანიზაციის ყოველი წევრი მოქმედებს მოცემული ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მეშვეობით, მთელი ქვეყნის სახელით; თუმცა, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი შესაძლოა, გახდეს სახელმწიფოს ავტონომიური და სხვა ტერიტორიები. მაგალითად, 1992 წლამდე გაეროს და მის სპეციალიზებულ დანესებულებაში საბჭოთა კავშირის გარდა მონაწილეობდნენ უკრაინისა და ბელორუსიის მოკავშირე რესპუბლიკები. გარდა ამისა, 1952 წელს დაარსებული ჩრდილოეთის საბჭო (Nordic Council), ამჟამად შედგება 5 სრული (დანია, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი და ისლანდია) და 3 ასოცირებული წევრისგან (ფარერის კუნძულები, გრენლანდია და ალანდი), რომლებიც ავტონომიურ ტერიტორიებს წარმოადგენენ.¹¹⁴ კერძოდ, 1971 წლიდან ჩრდილოეთის საბჭოში

¹¹⁴ Aarhus University, Nordics Info, Nordic Council and Nordic Council of Ministers, <www.nordics.info> [01.02.2023]

წარმოდგენილი ფარერის კუნძულებისა და გრენლანდიის დეპუტატები დანიის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან, ხოლო 1984 წლიდან ალანდის კუნძულების დელეგატები – ფინეთის. ამასთან ერთად, საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები, სახელმწიფოების გარდა, შეიძლება გახდნენ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები; მაგალითად, ევროკავშირი OECD-ს, ასევე გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (The Food and Agriculture Organization of the United Nations/FAO) წევრია.

სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები მნიშვნელოვან და ქმედით ინსტიტუციას წარმოადგენენ, რომელთა საქმიანობაზე დამოკიდებულია მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საკითხები, სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების ეფექტურობა და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ძირითად ორგანიზატორებად გვევლინებიან, მათი ფუნქციები საკმაოდ მრავალფეროვანია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოვალეობებია დაწესებული წევრ ქვეყნებზე. აქვე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების შემსწავლელ მეცნიერებაში, „ფუნქციონალიზმი“ წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად თეორიას. ფუნქციონალიზმის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მაშინ, როდესაც სახელმწიფოები ორგანიზებული არიან ტერიტორიების საფუძველზე, ორგანიზაციები ორგანიზებული არიან ფუნქციების საფუძველზე. ორგანიზაციებს ხშირ შემთხვევაში აქვთ ისეთი უფლებები, პრივილეგიები და იმუნიტეტი, რომლებიც მხოლოდ მათი ფუნქციების განსახორციელებლადაა საჭირო.¹¹⁵

მნიშვნელოვანი ფუნქციებიდან აღსანიშნავია ე.წ. **ფორუმის ფუნქცია**, რაც აზრთა გაცვლისა და გადაწყვეტილებათა მიღებისთვის „პლატფორმის“ შექმნის საშუალებას იძლევა. ასევე საყურადღებოა **სამართალშემოქმედების ფუნქციაც**, რომლის ფარ-

¹¹⁵ Klabbers J., *International Law*, Cambridge University Press, 2013, 98.

გლებშიც იურიდიულად აუცილებელი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება ხდება; არანაკლებ მნიშვნელოვანია ორგანიზაციის **საკონტროლო ფუნქცია**, რაც მონიტორინგისა და წესების შესაბამისად წარმოქმნილი დავების დარეგულირების საშუალებას იძლევა. **საინფორმაციო ფუნქციის** ფარგლებში ხდება მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და გავრცელება, ხოლო ორგანიზაციის **ოპერატიული ფუნქცია** გულისხმობს რესურსების გადანაწილებას, ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარების გაწევას, სამშვიდობო ძალების განლაგებას და სხვ.¹¹⁶

ზემოაღნიშნული ფუნქციების განსახორციელებლად საერთაშორისო ორგანიზაციების უმეტესობას, როგორც წესი, გააჩნია სამი ძირითადი ორგანო. პირველია **პლენარული ორგანო** (მაგალითად, გაეროს გენერალური ასამბლეა ან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მინისტრიალის კონფერენცია), სადაც თითოეული წევრი ქვეყანაა წარმოდგენილი, ძირითადად, ერთი ხმის უფლებით. ეს ორგანო, როგორც წესი, ემსახურება დებატებისა და დისკუსიების გამართვას გადანყვეტილების მიღების პროცესში; შესაბამისად, პლენარული ორგანოები ქმნიან ერთგვარ პლატფორმას წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისთვის თავიანთი მოსაზრებების დასაფიქსირებლად. მეორე მნიშვნელოვანი ორგანოა ე.წ. **აღმასრულებელი ორგანო**, რომელიც პლენარული ორგანოსგან განსხვავებით, ძირითადად, შეზღუდული წარმომადგენლობით ხასიათდება. როგორც წესი, ეს ორგანო განიხილავს მის შეზღუდულ კომპეტენციას განკუთვნილ და/ან გადაუდებელ საკითხებს. აღმასრულებელი ორგანოს ტიპური მაგალითია გაეროს უშიშროების საბჭო. და ბოლოს, თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას აქვს **სამდივნო**, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. სამდივნოს კომპეტენციაში შედის ორგანიზაციის საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული გადანყვეტილებების აღსრულება, შეხვედრების ორგანიზება, დოკუმენტების თარგმნა და ა.შ.

¹¹⁶ გეფერიძე დ., ხაზალია ა., თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, თბილისი, 2020, 63.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, გამოყოფენ სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოსთვის წევრობის შეწყვეტის რამდენიმე მეთოდს.¹¹⁷ ერთ-ერთი მათგანია **ორგანიზაციიდან ნებაყოფლობითი გამოსვლა**. ორგანიზაციიდან ნებაყოფლობითი გამოსვლის საშუალებას თითქმის ყველა ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებს და ამგვარი გასვლის საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი, რომლის თანახმად, ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს უფლება თვითონ განსაზღვროს ამა თუ იმ ორგანიზაციაში ყოფნის მიზანშეწონილობა. წევრობის შეწყვეტის კიდევ ერთ გზას წარმოადგენს **ორგანიზაციიდან გარიცხვა**, რაც ამავედროულად, საერთაშორისო სანქციის ერთ-ერთ ნაირსახეობად განიხილება და გამოიყენება ორგანიზაციის ინტერესების დასაცავად. წევრი სახელმწიფოს ორგანიზაციიდან გარიცხვა, როგორც წესი, ამ სახელმწიფოს მხრიდან ორგანიზაციის წესდების სისტემატურ დარღვევას მოსდევს. სახელმწიფოს წევრის სტატუსის შეწყვეტის კიდევ ერთი მეთოდია მისი **ორგანიზაციიდან ავტომატური გასვლა**. ძირითადად, ეს მაშინ ხდება, როდესაც სახელმწიფო იძულებულია შეწყვიტოს მისი წევრობა ორგანიზაციაში გარკვეული წინაპირობის დარღვევის გამო; მაგ., თუ სახელმწიფო აღარ არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი, მაშინ ის ავტომატურად აღარ იქნება არც რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის წევრი, რადგან ამ უკანასკნელის წევრობის სავალდებულო წინაპირობას საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრობა წარმოადგენს.

სახელმწიფოს წევრის სტატუსი წყდება თავად ამ **სახელმწიფოს არსებობის შეწყვეტის** შედეგადაც; შესაძლოა, ეს მოხდეს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წამოშობის, სახელმწი-

¹¹⁷ იქვე, 69-74; იხ., Anthony A., Handbook of International Law, 2nd edn., Cambridge University Press, 2010; Klabbbers J., International Law, Cambridge University Press, 2013; Shaw, M.N., International Law, 8th edn., Cambridge University Press, 2017; Cogan J.K., Hurd I., Johnstone I. The Oxford Handbook of International Organizations, 1st edn., Oxford University Press, 2016).

ფოების გაერთიანების ან ტერიტორიების გამოყოფის შემთხვევაში. ერთი სახელმწიფოს მეორეთი შეცვლის დროს აქტუალური ხდება სამართალმემკვიდრეობის საკითხი. ზოგადად, სამართალმემკვიდრეობის პრობლემა წამოიჭრება ისეთ სფეროებში, როგორცაა საერთაშორისო ხელშეკრულებები, ასევე, სახელმწიფო საკუთრება, საერთაშორისო ვალი, საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა და სხვა. მაგალითისთვის, 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, რუსეთის ფედერაცია გახდა საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე და აქედან გამომდინარე, ეს უკანასკნელი (ანუ, სსრკ) უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსით ჩაანაცვლა.

და ბოლოს, სახელმწიფოს ორგანიზაციაში წევრობის საკითხი შესაძლოა შეწყდეს თავად **სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის გაუქმების**, ანუ ორგანიზაციის ლიკვიდაციის შედეგად. ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წესდება პირდაპირ შეიცავს დებულებებს ორგანიზაციის გაუქმების შესახებ. თუ ორგანიზაცია შეიქმნა გარკვეული ვადით, როგორც წესი, წესდება ითვალისწინებს ორგანიზაციის გაუქმებას ამ ვადის ამოწურვისთანავე. ასევე, ორგანიზაციის გაუქმება შესაძლოა გამოიწვიოს სახელმწიფოების მიერ ამ ორგანიზაციის დატოვებამ. თუ არ არსებობს სპეციალური დებულებები ორგანიზაციის გაუქმების შესახებ, სავარაუდოდ, ორგანიზაცია შეიძლება დაიშალოს მისი უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებით. მაგალითად, ერთა ლიგა დაიშალა ასამბლეის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, თითოეული წევრის ინდივიდუალური თანხმობის საჭიროების გარეშე. ორგანიზაციის გაუქმების შემდგომ, მისი აქტივების ლიკვიდაციისა და ამ ორგანიზაციასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების წესი განსაზღვრულია თავად ორგანიზაციის მიერ, სადამფუძნებლო აქტის ან დაშლის შესახებ მიღებული სპეციალური ზომების სახით. აღსანიშნავია, რომ სამართალმემკვიდრეობა შესაძლოა მოხდეს საერთაშორისო ორგანიზაციებს შორისაც, როდესაც ფუნქციები და უფლება-მოვალეობები გადადის ერთი ორგანიზაციიდან მეორეზე. ეს შეიძლება მოხდეს ორგანიზაციის პირდაპირი ჩანაცვლების

გზით, ასევე შთანთქმის, ორგანიზაციების შერწყმის, ორგანიზაციის ნაწილის ეფექტურად გამოყოფის ან გარკვეული ფუნქციების ერთი ორგანიზაციიდან მეორეზე გადასვლის გზით. როგორც წესი, ამგვარ შემთხვევებში, წინამორბედი ორგანიზაციის აქტივები და არქივები გადადის მემკვიდრე ორგანიზაციაზე.

2. უნივერსალური და რეგიონული ორგანიზაციები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ორგანიზაცია წარმოადგენს სუვერენულ სახელმწიფოთა, საერთაშორისო ორგანიზაციათა ან საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომელიც შექმნილია სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების ან საერთაშორისო ორგანიზაციის რეზოლუციის საფუძველზე და იქმნება სახელმწიფოთა საქმიანობის კოორდინაციისთვის თანამშრომლობის კონკრეტულ სფეროში. საერთაშორისო ორგანიზაციებს ერთმანეთისგან განასხვავებენ მონაწილეთა წრის მიხედვით. კერძოდ, **უნივერსალურ** საერთაშორისო ორგანიზაციებს მიეკუთვნება ისეთი ორგანიზაციები, რომელთა მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესში სხვადასხვა სახის საკითხების მონესრიგება მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით. უნივერსალურისგან განსხვავებით, **რეგიონული** საერთაშორისო ორგანიზაციები მოიცავენ გარკვეული გეოგრაფიული არეალის ქვეყნებს და ამ რეგიონის უშიშროების, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა პრობლემების გადაწყვეტის მიზნებს ემსახურებიან.

2.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

უნივერსალურ ორგანიზაციას მიეკუთვნება გაერო, რომელიც დღესდღეობით 193 წევრ სახელმწიფოს აერთიანებს.¹¹⁸ მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომამდე არსებულმა მშვიდობის დაც-

¹¹⁸ UN Official Website. იხ., <www.un.org> [31.01.2023]

ვის საერთაშორისო ორგანიზაციამ, ერთა ლიგამ, ვერ შეასრულა თავისი დანიშნულება პოლიტიკური და ორგანიზაციული ნაკლოვანებების გამო და ვერ ააცილა კაცობრიობას მეორე მსოფლიო ომი, დღის წესრიგში დადგა ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა საყოველთაო მშვიდობასა და სახელმწიფოთა თანამშრომლობას. გადაწყვეტილება ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის თაობაზე სამმა დიდმა სახელმწიფომ – საბჭოთა კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა – მიიღო მოსკოვის კონფერენციაზე, 1943 წლის 30 ოქტომბერს. მოგვიანებით, 1945 წლის 26 ივნისს, სან-ფრანცისკოს დამფუძნებელ კონფერენციაზე, ორმოცდაათმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) წესდებას, რომელიც 1945 წლის 24 ოქტომბრიდან შევიდა ძალაში.

გაეროს წესდება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო დოკუმენტს წარმოადგენს;¹¹⁹ იგი განსაზღვრავს ორგანიზაციის ძირითად მიზნებსა და ფუნქციებს და ასახავს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითად დემოკრატიულ პრინციპებს. წესდებაში განერილია გაეროს მთავარი მიზნები, რომელთაგან აღსანიშნავია საერთაშორისო მშვიდობის დაცვა. ამ უკანასკნელს ორგანიზაცია განსხვავებული ფორმით ახორციელებს; მაგალითად, მშვიდობის დამრღვევთა წინააღმდეგ გაერო იღებს რეზოლუციებს სხვადასხვა მოთხოვნით (ჯარების გაყვანის, ტერიტორიების გათავისუფლების და ა.შ). ასევე, უფლებას იტოვებს, მრავალეროვანი სამხედრო ძალები (ე.წ. ცისფერჩაფხუტიანები) მიავლინოს შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში და სხვ. არანაკლებ მნიშვნელოვანია გაეროს მიზანი, განავითაროს ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობა; ასევე, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული პრობლემების გადაჭრის მიზნით, განა-

¹¹⁹ United Nations, Charter of the United Nations, 24 October 1945, 1 UNTS XVI. [ib., <https://www.un.org/en/about-us/un-charter/full-text>](https://www.un.org/en/about-us/un-charter/full-text) [31.01.2023]

ხორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა. საყურადღებოა გაეროს მისწრაფება რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად, ადამიანის ძირითად უფლებათა საყოველთაო პატივისცემის დამკვიდრების ხელშეწყობასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად გაეროს წევრი სახელმწიფოები ხელმძღვანელობენ გარკვეული პრინციპების დაცვით. მაგალითად, მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ გაერო სახელმწიფოთა სუვერენულ თანასწორობაზეა დაფუძნებული. ამდენად, წევრ ქვეყნებს შორის წარმოშობილი დავა მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყდეს, რათა საერთაშორისო მშვიდობისა და სამართლიანობის პრინციპების შელახვას არ შეექმნას საფრთხე. ამასთან ერთად, საერთაშორისო ურთიერთობების პროცესში გაეროს წევრმა ქვეყნებმა თავი უნდა აარიდონ ძალისმიერი მუქარის ან ძალის გამოყენებას ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასთან ან პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან მიმართებით. ასევე, გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ დახმარების განევაზე იმ სახელმწიფოებისთვის, რომელთა წინააღმდეგ გაერო პრევენციულ ან იძულებით ღონისძიებებს ახორციელებს. და ბოლოს, გასათვალისწინებელია, რომ გაერო ვერ ჩაერევა სახელმწიფოს შიდა კომპეტენციის საქმეში. გამონაკლისს შეადგენს ის შემთხვევები, როდესაც გაერო ვალდებულია, საერთაშორისო მშვიდობის დასაცავად ან აღსადგენად, იძულებითი ზომები მიიღოს.

გაერო, ექვს მთავარ ორგანოსთან ერთად, აერთიანებს მრავალ დამხმარე და სპეციალიზებულ ორგანოსა და ორგანიზაციას. გაეროს ერთ-ერთ უმთავრეს ორგანოს **გენერალური ასამბლეა წარმოადგენს**, რომელიც ორგანიზაციის მთავარი სათათბირო ორგანოა. გენერალურ ასამბლეაში გაეროს ყველა წევრი სახელმწიფო თითო ხმის უფლებით არის წარმოდგენილი. სავალდებულოა, რომ გენერალური ასამბლეა ყოველწლიურად იქნეს მოწვეული. აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება საგანგებო სესია იქნეს მოწვეული. გენერალური ასამბლეა იღებს რეზოლუციებს, რომლებსაც

ფორმალურად, მართალია, სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, თუმცა მაღალი ავტორიტეტით ხასიათდება.¹²⁰

გაეროს მუდმივმოქმედი ორგანოა **უშიშროების საბჭო**. გაეროს წესდების თანახმად, ძირითადი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების კუთხით სწორედ უშიშროების საბჭოს ეკისრება. უშიშროების საბჭო შედგება 15 წევრისგან, რომელთაგან 5 მუდმივი წევრია (აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი), ხოლო 10 – დროებითი. საბჭოს დროებითი წევრების არჩევა ხდება გენერალური ასამბლეის მიერ ორი წლის ვადით. აღსანიშნავია, რომ უშიშროების საბჭოს ყოველ მუდმივ წევრს აქვს ვეტოს უფლება, ხოლო საბჭოს მიერ არაპროცედურული გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია მუდმივ წევრთა ერთსულოვნება, ანუ ხუთივე წევრის თანხმობა. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები პროცედურულ საკითხებზე მიიღება ცხრა ხმით, თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის ხუთი მუდმივი წევრის ერთსულოვანი თანხმობა.¹²¹

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს (ეკოსოსი) ევალება გამოკვლევების ჩატარება და ანგარიშების შედგენა საერთაშორისო საკითხებზე ეკონომიკის, სოციალურ ურთიერთობათა, კულტურის, განათლების, ჯანდაცვის, ადამიანთა უფლებების, ეკოლოგიისა და სხვა სფეროებში. რეკომენდაციების მიცემა გენერალური ასამბლეის, მისი წევრების, გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებებისთვის. ასევე, კოორდინაციის განევა მათ საქმიანობაში, ხელშეკრულებების გაფორმება (რომლებიც მტკიცდება გენერალური ასამბლეის მიერ), მათგან ანგარიშების მიღება და უშიშროების საბჭოსთვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა. საბჭოს სესიები ტარდება წელიწადში ორჯერ.¹²²

¹²⁰ United Nations, General Assembly. იხ., <<https://www.un.org/en/ga/>> [31.01.2023]

¹²¹ United Nations, Security Council. იხ., <<https://www.un.org/securitycouncil/>> [31.01.2023]

¹²² United Nations, Economic and Social Council. იხ., <<https://www.un.org/ecosoc/en/>> [31.01.2023]

სამეურვეო საბჭოს შეადგენს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები (აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი) და გენერალური ასამბლეის მიერ არჩეული ორი წევრი ქვეყანა. სამეურვეო საბჭოს ფუნქციას შეადგენს სხვადასხვა მიზეზის გამო მთავრობის გარეშე დარჩენილი რეგიონების მართვა; მაგ., 1947 წელს სამეურვეო საბჭო მართავდა პალესტინას.¹²³

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო გაეროს მთავარი სასამართლო ორგანოა, რომელიც შეიქმნა 1945 წელს და მდებარეობს ჰააგაში. იგი შედგება 15 სხვადასხვა ქვეყნიდან არჩეული 15 მოსამართლისგან, რომლებსაც ცხრანწლიანი მანდატი აქვთ. სასამართლოს მიზანია სახელმწიფოების მიერ მის წინაშე დასმული იურიდიული საკითხების გადაჭრა. ასევე, სასამართლო იძლევა საკონსულტაციო დასკვნებს სამართლებრივ საკითხებზე, თუკი ამისთვის მიმართავს გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო ან გაეროს ნებისმიერი სხვა ორგანო გენერალური ასამბლეის ნებართვით.¹²⁴

და ბოლოს, **სამდივნოს** ეკისრება ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოს ფუნქცია. მისი წევრები ჩართულები არიან ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში და მისი პროექტების განხორციელებაში. სამდივნოს ხელმძღვანელობს გაეროს მთავარი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი – გენერალური მდივანი.¹²⁵

გაეროს სისტემა, ასევე, აერთიანებს რიგ დამხმარე ორგანოებს (ფონდებს, პროგრამებს, სააგენტოებს, კომიტეტებს, საბჭოებს), რომლებიც გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით არის შექმნილი. სწორედ მათი მეშვეობით ხდება კოორდინირება გაეროს წესდებით განსაზღვრული ცალკეული საქმიანობებისა და ღონისძიებების განხორციელებისას. ამგვარ დამხმარე ორგანოებს განეკუთ-

¹²³ United Nations, Trusteeship Council. იხ., <<https://www.un.org/en/about-us/trusteeship-council>> [31.01.2023]

¹²⁴ United Nations, Charter of the United Nations, 24 October 1945, 1 UNTS XVI, Art. 96.

¹²⁵ United Nations, Secretariat. იხ., <<https://www.un.org/en/about-us/secretariat>> [31.01.2023]

ვნება: მსოფლიო სასურსათო საბჭო (World Food Council), საერთაშორისო სამართლის კომისია (International Law Commission/ILC), გაეროს განვითარების პროგრამა (United Nations Development Programme/UNDP), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (United Nations Environment Programme/UNEP), გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (United Nations Conference on Trade and Development/UNCTAD), გაეროს კომიტეტი კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებისათვის (United Nations Office for Outer Space Affairs/UNOOSA) და სხვა.

გაეროს შემადგენლობაში შემავალი ვიწრო სპეციალიზაციის სააგენტოებიდან აღსანიშნავია შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (International Labour Organization/ILO), სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (International Civil Aviation Organization/ICAO), გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (United Nations Educational, Scientific and Cultural Organization/UNESCO), მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია (World Health Organization/WHO), მსოფლიო საფოსტო კავშირი (Universal Postal Union/UPU), საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (International Telecommunication Union/ITU), საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (International Maritime Organization/IMO), მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ორგანიზაცია (World Intellectual Property Organization/WIPO), ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო (International Atomic Energy Agency/IAEA), მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია (World Meteorological Organization/WMO) და მრავალი სხვა ორგანიზაცია (გაეროს წესდების მუხლი 57). ზემოაღნიშნული სპეციალიზებული სააგენტოები დამოუკიდებელ საერთაშორისო ორგანიზაციებს წარმოადგენენ. გაერო მხოლოდ კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას, აძლევს რეკომენდაციებს საბიუჯეტო და საფინანსო საკითხებზე, სპეციალიზებულ დაწესებულებათა პოლიტიკისა და საქმიანობის ურთიერთმეთანხმების თაობაზე და სხვა.¹²⁶

¹²⁶ UN Official Website, Specialized agencies and related organizations main-

გაეროს ცენტრალური შტაბ-ბინა ნიუ-იორკშია განთავსებული. აქვე მდებარეობს უშიშროების საბჭო და სამდივნო – გაეროს მუდმივმოქმედი ორგანოები. გარდა ამისა, გაეროს რიგი ორგანოები მის ევროპულ ოფისებში – ჟენევასა და ვენაში – ეწევიან საქმიანობას. გაეროს ოფიციალურ სამუშაო ენებად აღიარებულია. არაბული, ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული და ჩინური. სწორედ ამ ენებზეა შედგენილი გაეროს წესდების ავთენტიკური თარგმანები. აღნიშნულ ენებზე ქვეყნდება ოფიციალური დოკუმენტაცია და ამ ენებზე გამოდიან სიტყვით გაეროს ორგანოებში. გაეროს ბიუჯეტს შეადგენს მისი წევრი სახელმწიფოების ყოველწლიური შენატანი. ორგანიზაციის ბიუჯეტის მსხვილი გადამხდელები არიან აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი.

2.2. ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო)

მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა რეალობამ ევროპაში უსაფრთხოების განსაკუთრებული გარემო პირობების ჩამოყალიბება განაპირობა. გამარჯვებული საბჭოთა კავშირი შექმნილი სტრატეგიული უპირატესობით ცდილობდა მანიპულირებას. იგი შეიჭრა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ტერიტორიებზე და სტრატეგიული პოზიციები დაიკავა. ოკუპირებულ ქვეყნებში საბჭოთა კავშირი მოსკოვის მიმართ ლოიალური და კომუნისტური იდეოლოგიის მიმდევარი რეჟიმების ნახალისების პოლიტიკას ახორციელებდა.

შექმნილმა სიტუაციამ ცხადყო, რომ ომის შედეგად დასუსტებულ ევროპის ქვეყნებს გაუჭირდებოდათ დამოუკიდებლად თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელება. ამასთან, გაეროს წესდება და სხვა არსებული საერთაშორისო მექანიზმები ვერ იქნებოდა ევროპის დემოკრატიული და თავისუფალი განვითარების გარანტი. 1948 წელს ხუთმა ევროპულმა სახელმწიფომ – დიდმა

taining liaison offices at Headquarters. იხ., <<https://www.un.org/en/about-us/specialized-agencies>> [31.01.2023]

ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ლუქსემბურგმა, ბელგიამ და ნიდერლანდებმა – ხელი მოაწერა „ბრიუსელის პაქტს“. ორგანიზაციის შექმნის მიზანს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურ-სამხედრო ექსპანსიის საპირნონედ, მჭიდრო თანამშრომლობისა და თავდაცვის საერთო სისტემის შექმნა. სწორედ „ბრიუსელის პაქტმა“ ჩაუყარა საფუძველი დასავლეთ ევროპაში საერთო უსაფრთხოების სისტემის შექმნას და ნატო-ს დაარსებას. „ბრიუსელის პაქტის“ ქვეყნები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ როგორც ევროპის (იტალია, დანია, ისლანდია, ნორვეგია, პორტუგალია), ისე ჩრდილოეთ ამერიკის (აშშ და კანადა) ქვეყნებთან, მათ ერთიან თავდაცვით სისტემაში ჩართვასთან დაკავშირებით. მოლაპარაკებები 1949 წლის 4 აპრილს დასრულდა ვაშინგტონის ხელშეკრულების, იმავე ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების, ხელმოწერით, რომელიც ნატოს ფუძემდებლურ დოკუმენტს წარმოადგენს.¹²⁷ დღესდღეობით ნატო 30 სახელმწიფოსაგან შემდგარი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია, რომლის მიზანს ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში მშვიდობის, წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და თავისუფლების უზრუნველყოფა წარმოადგენს, რაც მიიღწევა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო გზით.¹²⁸

ნატოში წევრი ქვეყნები, თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით, გადანყვეტილებებს კონსენსუსის საფუძველზე იღებენ. გადანყვეტილების მიმღები ძირითადი ორგანოა **ჩრდილოატლანტიკური საბჭო**. გადანყვეტილების მიღების მიზნით ჩრდილოატლანტიკური საბჭო შეხვედრებს მართავს ელჩების დონეზე, მინისტრების დონეზე და სახელმწიფოს მეთაურების დონეზე (მათ შეხვედრას სამიტი ეწოდება). საბჭოს სხდომებს ნატოს **გენერალური მდივანი** ხელმძღვანელობს, რომელსაც წევრი ქვეყნები ნიშნავენ 4 წლის ვადით. საბჭოს სესიებს შორის არსებულ შუალედში მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს ნატოს **მუდმივი კომიტეტი**, რომელიც შედგება წევრი-ქვეყნების ელჩის რანგის მქონე

¹²⁷ North Atlantic Treaty Organization, The North Atlantic Treaty, 4 April 1949. იხ., <https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_17120.htm> [31.01.2023]

¹²⁸ NATO Official Website. იხ., <www.nato.int> [31.01.2023]

მუდმივი წარმომადგენლებისგან. ნატოს გააჩნია სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურები, რომელთა საქმიანობა პოლიტიკურ და სამხედრო ასპექტებს მოიცავს. აღნიშნული სტრუქტურები, თავის მხრივ, მონოდეზიგნირებული არიან გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს – ჩრდილოატლანტიკური საბჭოს – დასახმარებლად.

ვაშინგტონის ხელშეკრულება სულ 14 მუხლისგან შედგება. მისი მე-5 მუხლი ხელშეკრულების ქვაკუთხედს წარმოადგენს, რადგან სწორედ ამ მუხლშია განმტკიცებული ნატოს ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი – კოლექტიური თავდაცვა. კოლექტიური თავდაცვის პრინციპის თანახმად, ერთ ან ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა განიხილება ნატოს ყველა წევრ სახელმწიფოზე თავდასხმად. ასეთ შემთხვევაში, ალიანსი იღებს ვალდებულებას, დახმარება გაუწიოს საფრთხის ქვეშ მყოფ წევრ ქვეყნებს და განხორციელოს ყველა საჭირო ზომა (მათ შორის, სამხედრო ძალის გამოყენებაც), ჩრდილოატლანტიკურ რეგიონში უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით.¹²⁹ მე-5 მუხლი ორგანიზაციის არსებობის ისტორიაში მხოლოდ ერთხელ ამოქმედდა – 2001 წლის 12 სექტემბერს, აშშ-ზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის მომდევნო დღეს.

კოლექტიური თავდაცვის პრინციპის გარდა, ნატოს საქმიანობა ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი წარმოადგენს დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, კანონის უზენაესობის ღირებულებებით გაერთიანებულ სახელმწიფოთა ალიანსს და შექმნილია ამ ღირებულებათა დასაცავად. ასევე, ნატო იცავს წევრი სახელმწიფოების თავისუფლებასა და უსაფრთხოებას პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით, გაეროს წესდების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ალიანსი არ არის „დახურული კლუბი“; იგი ღიაა ახალი წევრებისთვის, თუკი ისინი იზიარებენ ალიანსის ფუძემდებლურ ღირებულებებს და მზად არიან ალიანსის უსაფ-

¹²⁹ North Atlantic Treaty Organization, The North Atlantic Treaty, 4 April 1949, Art. 5.

რთხოებაში თავისი წვლილის შესატანად. ამგვარ პოლიტიკას ნატოს „ღია კარის პოლიტიკა“ ეწოდება და იგი ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-10 მუხლშია ასახული.¹³⁰

ღია კარის პოლიტიკასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ 1999 წელს, ვაშინგტონის სამიტზე, ნევრმა სახელმწიფოებმა შეიმუშავეს განვერიანების სამოქმედო გეგმა (**Membership Action Plan/ MAP**), რომლის მიზანია ალიანსში განვერიანების მსურველი სახელმწიფოების შესაძლო ნევრობისთვის მომზადება. გადანვევტილებას სახელმწიფოს ახალ ნევრად მიღების შესახებ იღებს ჩრდილოატლანტიკური საბჭო, მოქმედი ნევრი სახელმწიფოების კონსენსუსის საფუძველზე. ნატოს არანევრი სახელმწიფო არ მონაწილეობს ამგვარი გადანვევტილებების მიღების პროცესში. ბოლო ქვეყანა, რომელიც ნატოში განვერიანდა – მონტენეგროა. ბრიუსელის მინისტერიალზე, 2015 წელს, მონტენეგრომ ნატოსგან ალიანსის ნევრობაზე მიწვევა მიიღო, ხოლო 2017 წლის 5 ივნისს – ოფიციალურად გახდა 30-ე ნევრი.

იმის მიუხედავად, რომ საქართველო ნატოს ნევრი ქვეყანა არ არის, იგი ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია და დღემდე აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციაში. 1992 წელს საქართველო შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (1997 წლიდან ეწოდება ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო) და სწორედ აქედან იწყება ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ისტორია. თანამშრომლობა გაფართოვდა 1994 წელს, ნატოს პარტნიორობა მშვიდობისათვის (**Partnership for Peace/ PfP**) პროგრამასთან მიერთებით, რომლის მიზანს წარმოადგენდა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ნატოსა და ინდივიდუალურ პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.¹³¹

¹³⁰ იქვე, Art. 10.

¹³¹ ნატოსა და საქართველოს ურთიერთმიმართების შესახებ მეტი ინფორმაცია იხ., ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი. იხ., <www.old.infocenter.gov.ge> [31.01.2023]

2002 წელს პრაღაში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველოს პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ, პირველად გააკეთა განცხადება საქართველოს ნატოში განწევრიანებასთან დაკავშირებით. 2004 წელს კი, საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც შეიმუშავა ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (Individual Partnership Action Plan/IPAP), რომლის ფარგლებში საქართველომ ალიანსის წინაშე დროში განერილი კონკრეტული ვალდებულებები აიღო. ვალდებულებები ითვალისწინებდა რეფორმების გატარებას მთელ რიგ სფეროებში. საქართველოს ნატოს სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, 2006 წლიდან ნატომ დაიწყო საქართველოსთან თანამშრომლობა განწევრიანების საკითხებზე ინტენსიური დიალოგის ფარგლებში (Intensified Dialogue on Membership Issues/ ID). ID-ის ფორმატში ნატო-საქართველოს შორის მიმდინარეობდა ინტენსიური კონსულტაციები თავდაცვის, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების, უსაფრთხოების, პოლიტიკური, ეკონომიკური განვითარების, მეცნიერებისა და განათლების განვითარების და სხვა საკითხებზე. 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ნატოს ლიდერები შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი.

საყურადღებოა, რომ 2014 წელს გამართულ უელსის სამიტზე, საქართველომ მიიღო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (Substantial NATO - Georgia Package/SNGP). პაკეტის მიზანია საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება და ნატოსთან თავსებადობის ამაღლება ინტენსიური წვრთნებისა და სწავლების საშუალებით. ეს არის ერთ-ერთი ქმედითი და პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომელიც საქართველოს, როგორც ნატოს ასპირანტ ქვეყანას, წევრობისთვის ამზადებს და მის განხორციელებაში თავად ნატო არის ჩართული. რაც შეეხება საქართველოს მონაწილეობას ნატოს ეგიდით განხორციელებულ სხვადასხვა საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში, აღსანიშნავია საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების ჩართულობა კოსოვოში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში (Kosovo Forces/KFOR) 1999-2008 წლებში, ავღანეთის საერთაშორისო

უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების ოპერაციაში (International Security Assistance Force/ ISAF) 2004-2014 წლებში, ასევე ერაყის სამშვიდობო ოპერაციაში, 2004-2008 წლებში. გარდა ამისა, 2015 წლიდან საქართველო მონაწილეობს ავღანეთში გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიაში, სადაც აშშ-ს შემდეგ, სამხედრო მომსახურეთა რაოდენობით რიგით მეორე კონტრიბუტორია. საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობას ამგვარ მისიებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელების კონტექსტში.

რაც შეეხება ნატოს განკარგულებაში მყოფ შეიარაღებულ სამხედრო ძალებს, ალიანსის გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურაში მონაწილე წევრ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, გამოყოფონ შეიარაღებული ძალები შეთანხმებული ამოცანებისა და ოპერაციების განსახორციელებლად. საყურადღებოა, რომ 2006 წლიდან ნატოს განკარგულებაშია ე.წ. „სწრაფი რეაგირების ძალები“ (NRF-NATO Response Force), რომლებიც წარმოადგენენ ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებულ და განვრთნილ სპეციალური დანიშნულების ძალების კომპონენტებს.

ნატოს შტაბ-ბინა ბრიუსელშია (ბელგიის სამეფო) განთავსებული. აქ საქმიანობენ წევრი სახელმწიფოების ეროვნული დელეგაციები, გენერალური მდივნის ოფისი და საერთაშორისო სამსახური, პარტნიორი ქვეყნების დიპლომატიური მისიები, ორგანიზაციის პოლიტიკური და სამხედრო კომიტეტები, საერთაშორისო სამხედრო სამსახური და სხვა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულები.

2.3. ევროკავშირი

ევროპული ქვეყნების ინტეგრაციის იდეა თავდაპირველად უინსტონ ჩერჩილმა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, წამოაყენა ჯერ კიდევ 1946 წელს. სწორედ მან გააჟღერა პირველმა ევროპის შეერთებული შტატების შექმნის აუცილებლობა. მოგვიანებით, 1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, რობერტ შუმანი, გამოვიდა ინიციატივით დასავლეთ ევროპის ნახშირის და ფოლადის

საბადოების გაერთიანებისა და დამოუკიდებელი ორგანოს შექმნასთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელს უნდა მოეგვარებინა ნახშირისა და ფოლადის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ყველა საორგანიზაციო საკითხი. შედეგად, 1951 წელს შექმნილმა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებამ (European Coal and Steel Community) ექვსი სახელმწიფო – ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები – მოიცვა. ხოლო ორი წლის შემდეგ, 1953 წელს, ჩამოყალიბდა ევროპის რკინის, ნახშირის, მადნეულისა და ჯართის საერთო ბაზარი, და იმავე წელს – ევროპის ფოლადის საერთო ბაზარი.

ინტეგრაციის პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. 1957 წელს დადებული რომის ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება, ე.წ. „ევრატომი“, რომლის მიზანს ევროპაში ატომური ენერჯის საერთო ბაზრის შექმნა წარმოადგენდა.¹³² მოგვიანებით, 1967 წელს, ბრიუსელის ხელშეკრულებით, ზემოთ აღნიშნული სამი ორგანიზაცია – ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანება, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და „ევრატომი“ – გაერთიანდა ერთ ინსტიტუციურ სისტემაში, რომელსაც „ევროპული გაერთიანებები“ ეწოდა.¹³³ ინტეგრაცია კიდევ უფრო გაღრმავდა 1968 წელს, როდესაც ამოქმედდა ევროკავშირის საბაჟო კავშირი, გაუქმდა სავაჭრო ტარიფები წევრ სახელმწიფოებს შორის და დაწესდა საერთო ტარიფები გაერთიანების არანევრ ქვეყნებთან მიმართებით. 1970-იანი წლებიდან საგარეო პოლიტიკის სფეროში მთავრობათაშორისი თანამშრომლობის განვითარება დაიწყო. მაგალითისთვის, 1985 წელს ხელი მოეწერა შენგენის შეთანხმებას, რომლის თანახმად ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი

¹³² European Parliament, Treaty of Rome (EEC), 25 March 1957, იხ., <<https://www.europarl.europa.eu/about-parliament/en/in-the-past/the-parliament-and-the-treaties/treaty-of-rome>> [31.01.2023]

¹³³ European Parliament, Treaty of Brussels (Merger Treaty), 8 April 1965, იხ., <<https://www.europarl.europa.eu/about-parliament/en/in-the-past/the-parliament-and-the-treaties/merger-treaty>> [31.01.2023]

და ნიდერლანდები შეთანხმდნენ, თანდათანობით გაეუქმებინათ საერთო სასაზღვრო კონტროლი და შემოეღოთ გადაადგილების თავისუფლება მოქალაქეებისათვის.¹³⁴

1990-იანი წლების დასაწყისში ბერლინის კედლის დანგრევამ და საერთაშორისო არენაზე მიმდინარე მნიშვნელოვანმა დემოკრატიულმა პროცესებმა ევროპის პოლიტიკური სტრუქტურის შეცვლა განაპირობა. 1992 წლის 7 თებერვალს ქალაქ მასტრიხტში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ევროკავშირის შესახებ.¹³⁵ მასტრიხტის ხელშეკრულების გაფორმებით, ევროგაერთიანებები გარდაიქმნა ევროკავშირად და ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური ასპექტიც შეიძინა. მასტრიხტის ხელშეკრულებამ დაადგინა, რომ ევროკავშირი უნდა ეფუძნებოდეს სამ ძირითად „სვეტს“ (ე.წ. pillar):

- პირველ სვეტში გაერთიანდა ევროპის არსებული გაერთიანებები (ევროპის გაერთიანება, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება);
- მეორე სვეტში შევიდა საერთო საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა;
- მესამე სვეტმა მოიცვა თანამშრომლობა მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა მიმართულებით.

ხელშეკრულების თანახმად, პირველ სვეტში საკითხები გადაწყდებოდა ზეეროვნულ დონეზე, ხმათა უმრავლესობით. დანარჩენ ორ სვეტში კი, გადაწყვეტილებები მიიღებოდა ეროვნულ დონეზე, ნევრი ქვეყნების ხელმძღვანელებისა და მინისტრების მიერ. მასტრიხტის ხელშეკრულებას მოჰყვა ამსტერდამის, ნიცის და ლისაბონის შეთანხმებები, რომლებიც ემსახურებოდა ევროკავშირის ქვეყნების თანამშრომლობის უფრო მეტად გაღრმავებას.

¹³⁴ European Union, Founding agreements, იხ., <https://european-union.europa.eu/principles-countries-history/principles-and-values/founding-agreements_en> [31.01.2023]

¹³⁵ European Parliament, Treaty on European Union (TEU)/Maastricht Treaty, 7 February 1992, იხ., <https://www.europarl.europa.eu/about-parliament/en/in-the-past/the-parliament-and-the-treaties/maastricht-treaty> [31.01.2023]

დღეისათვის ევროკავშირი 27 დემოკრატიული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა. მისი ძირითადი ინსტიტუტებია: ევროპის პარლამენტი, ევროკავშირის საბჭო, ევროპული საბჭო, ევროკომისია, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო, აუდიტორთა სასამართლო და ევროპის ცენტრალური ბანკი.¹³⁶

ევროპის პარლამენტი (European Parliament) ირჩევა ხუთ წელიწადში ერთხელ, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობის მიერ, მათი ინტერესების გასათარებლად. ევროპარლამენტის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს კანონების მიღება ევროკომისიის მიერ წარდგენილი წინადადებების საფუძველზე. ევროპარლამენტი მოცემულ პასუხისმგებლობას ევროკავშირის საბჭოსთან იზიარებს. პარლამენტი და საბჭო ასევე იზიარებენ საერთო უფლებამოსილებას ევროკავშირის წლიური ბიუჯეტის დასამტკიცებლად.

ევროპარლამენტის წევრები აირჩევიან პირდაპირი არჩევნების საფუძველზე 5 წლის ვადით. რომის ხელშეკრულების 138-ე მუხლის თანახმად, ყველა წევრ სახელმწიფოში უნდა მოქმედებს ერთნაირი საარჩევნო სისტემა. ევროპარლამენტის დაკომპლექტება ხდება წევრ სახელმწიფოებში პირდაპირი არჩევნების წესით არჩეული დეპუტატებისგან, რომელთა მანდატები პირდაპირპროპორციულია მათ მოსახლეობასთან. ლისაბონის ხელშეკრულების თანახმად, არცერთ სახელმწიფოს არ შეიძლება ჰყავდეს 6 წარმომადგენელზე ნაკლები და 96-ზე მეტი.¹³⁷

ევროპარლამენტის ძირითადი კომპეტენციებია:

- საკანონმდებლო საქმიანობა;
- ევროპის კავშირის ორგანოების საქმიანობის კონტროლი;
- ევროპის კავშირის ბიუჯეტის მიღებაში მონაწილეობა და ხარჯვაზე კონტროლის განხორციელება.¹³⁸

¹³⁶ European Union, Types of institutions and bodies. იხ., <https://european-union.europa.eu/institutions-law-budget/institutions-and-bodies/types-institutions-and-bodies_en> [31.01.2023]

¹³⁷ ჯიქია მ., ყუფარაძე გ., ევროკავშირის საგადასადო სამართალი და ვიშეგრადის საგადასახადო პოლიტიკა, თბილისი, 2016.

¹³⁸ დევიძე ა., მირიანაშვილი გ., ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2019, 31-32.

ევროკავშირის/მინისტრთა საბჭო (Council of the European Union) ევროკავშირის გადაწყვეტილებების მიმღები ძირითადი ორგანოა. იგი ინანილებს პასუხისმგებლობას ევროპის პარლამენტთან ევროკავშირის კანონების მიღებაზე. ევროკავშირის საბჭო შედგება ევროკავშირის ყველა ქვეყნის ეროვნულ მთავრობათა მინისტრებისგან. საბჭოს ყოველ შეხვედრას თითოეული წევრი სახელმწიფოდან ესწრება განსახილველ საკითხზე პასუხისმგებელი მინისტრი. სხვადასხვა წევრი სახელმწიფო ექვსთვიანი ვადით მონაცვლეობით იკავებს საბჭოს პრეზიდენტობას, თავმჯდომარეობას უწევს ამ შეხვედრებს და ადგენს საერთო პოლიტიკურ დღის წესრიგს. მონაცვლეობითი პრეზიდენტობა არ ეხება საგარეო საქმეთა საბჭოს, რომლის თავმჯდომარე ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელია.¹³⁹

ევროპული საბჭო (European Council) შედგება წევრი ქვეყნების მთავრობის ან სახელმწიფოს ხელმძღვანელების, მისი პრეზიდენტისა და ევროკავშირის კომისიის პრეზიდენტისგან. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას იღებს ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი. ევროპის საბჭო განსაზღვრავს ევროკავშირის ზოგად პოლიტიკასა და პრიორიტეტებს. მას არ გააჩნია საკანონმდებლო ფუნქციები. საბჭო იკრიბება ყოველ ექვს თვეში ორჯერ, მისი პრეზიდენტის მონვევით. საჭიროების შემთხვევაში, პრეზიდენტი სპეციალურ სხდომას იწვევს. პრეზიდენტის მანდატის ვადა ორნახევარი წელია, ერთჯერადი განახლების უფლებით.¹⁴⁰

ევროკომისია (European Commission) ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა და ევროკავშირის საერთო ინტერესს წარმოადგენს. მისი ფუნქციები შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

¹³⁹ იქვე, 34-35.

¹⁴⁰ იქვე, 34.

- საინიციატივო ფუნქცია;
- აღმასრულებელი ფუნქცია;
- ზედამხედველობის ფუნქცია.¹⁴¹

კომისია შეიმუშავებს ახალი ევროპული კანონების პროექტებს, რომელსაც წარუდგენს ევროპის პარლამენტსა და საბჭოს. იგი პრაქტიკაში განახორციელებს ევროკავშირის საერთო პოლიტიკას და განაგებს ევროკავშირის ფონდებსა და პროგრამებს. კომისია აკონტროლებს ევროკავშირის ხელშეკრულებებისა და კანონების შესრულებას, შეუძლია დამრღვევთა მიმართ მიიღოს ზომები და, საჭიროების შემთხვევაში, ევროპის სასამართლოს მიმართოს. კომისია 27 კომისრისგან შედგება, სადაც თითოეული მათგანი ევროკავშირის ერთ წევრ ქვეყანას წარმოადგენს. კომისიის პრეზიდენტს ირჩევს ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის მთავრობა და ამტკიცებს ევროპის პარლამენტი. სხვა კომისრები ნომინირებულნი არიან მათი ეროვნული მთავრობების მიერ ახალ პრეზიდენტთან კონსულტაციების საფუძველზე და ევროპის პარლამენტის მიერ მტკიცდებიან. ისინი არ წარმოადგენენ თავისი ქვეყნების მთავრობებს. თითოეული მათგანი პასუხისმგებელია ევროკავშირის პოლიტიკის კონკრეტულ სფეროზე და გააჩნია ხუთწლიანი მანდატი.¹⁴²

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო (Court of Justice of the European Union) ახდენს ევროკავშირის კანონების ინტერპრეტირებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ესა თუ ის კანონი ერთნაირად გამოიყენებოდეს ყველა წევრ ქვეყანაში. სასამართლო დააარსეს 1952 წელს და განთავსებულია ლუქსემბურგში. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო ერთგვარ სასამართლო სისტემას წარმოადგენს და შედგება სამი ცალკეული სასამართლოსგან: მართლმსაჯულების სასამართლო (Court of Justice), ზოგადი სასა-

¹⁴¹ ჯიქია მ., ყუფარაძე გ., ევროკავშირის საგადასადო სამართალი და ვიშეგრადის საგადასახადო პოლიტიკა, თბილისი, 2016.

¹⁴² დევიძე ა., მირიანაშვილი გ., ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2019, 36.

მართლო (General Court) და საჯარო სამსახურის ტრიბუნალი (Civil Service Tribunal).

ევროპის კავშირის სასამართლოს მოსამართლეები ინიშნებიან ნეერი სახელმწიფოების ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე 6 წლის ვადით, ხელახალი დანიშვნის უფლებით, მას შემდეგ, რაც ევროპული სასამართლოს, საერთო სასამართლოების ყოფილი მოსამართლეებისგან, უმაღლესი ეროვნული სასამართლოების მოსამართლეებისა და სამართლის ექსპერტებისგან შემდგარი 7 წევრიანი პანელი წარადგენს კანდიდატის დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ მოსაზრებებს.¹⁴³

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსა და საერთო სასამართლოების მოსამართლეები საკუთრი რიგებიდან ირჩევენ პრეზიდენტს 3 წლის ვადით, ხელახალი არჩევის უფლებით.¹⁴⁴

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ძირითადად 4 სახის საკითხი განიხილება:

- წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურა;
- ხელშეკრულების დარღვევის შესახებ სარჩელები;
- ბათილობის შესახებ სარჩელები;
- უმოქმედობის შესახებ სარჩელები.¹⁴⁵

ევროპის აუდიტორთა სასამართლო (European Court of Auditors) ამოწმებს ევროკავშირის ფინანსებს. მისი მთავარი მიზანია გააუმჯობესოს ევროკავშირის ფინანსური მართვა და მოამზადოს ანგარიში სახელმწიფო ფონდებიდან თანხის ხარჯვის პროცესზე, ასევე, გაამახვილოს ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა სამუშაო ადგილები, ფასების კონტროლი და ა.შ. სასამართლო შეიქმნა 1977 წელს და მდებარეობს ლუქსემბურგში. სასამართლოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა ევროპის პარლამენტისა და საბჭოსათვის გასული ფინანსური წლის შესახებ ანგარიშის წარდგენა. აუდიტორთა სასამართლო

¹⁴³ იქვე, 37.

¹⁴⁴ იქვე.

¹⁴⁵ იქვე.

ასევე ვაღიარებ, რომ გამოთქვას მოსაზრება ევროკავშირის ფინანსურ კანონმდებლობასთან დაკავშირებით და თაღლითობასთან ბრძოლის მიმართულებით.¹⁴⁶

ევროპის ცენტრალური ბანკი (European Central Bank) ევროკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. იგი დაარსდა 1998 წელს და მდებარეობს ფრანკფურტში (გერმანია). ევროპის ცენტრალური ბანკი პასუხისმგებელია ევროკავშირის ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე. ბანკის მთავარ მიზანს ფასებისა და ფინანსური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენს, განსაკუთრებით ევროზონის ქვეყნებში. ევროპის ცენტრალური ბანკი თანამშრომლობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან, მათთან ერთად ქმნის ცენტრალური ბანკების ევროპულ სისტემას.¹⁴⁷

ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახური (European External Action Service) ევროკავშირის დიპლომატიურ კორპუსს წარმოადგენს. იგი ევროკავშირის საგარეო საქმეთა ხელმძღვანელს (საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლეს წარმომადგენელს) ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებაში ეხმარება. საგარეო ურთიერთობათა სამსახურის დელეგაციები მთელ მსოფლიოში საქმიანობენ ევროპელი ხალხის სახელით და სრულიად ევროკავშირს წარმოადგენენ. ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახური ევროკავშირის სხვა სტრუქტურებისგან ფუნქციურად დამოუკიდებელია, მაგრამ მას ევროკავშირის სხვა სფეროების პოლიტიკასთან თავისი პოლიტიკის შესაბამისობის უზრუნველყოფის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გააჩნია.¹⁴⁸

რაც შეეხება ევროკავშირის სამართალშემოქმედებას, ეს უკანასკნელი რამდენიმე სახის აქტით ხორციელდება. კერძოდ,

¹⁴⁶ European Court of Auditors. იხ., <<https://bit.ly/3XexGKX>> [01.02.2023]

¹⁴⁷ European Central Bank. იხ., <<https://bit.ly/3DR1nuM>> [01.02.2023]

¹⁴⁸ European External Action Service. იხ., <<https://bit.ly/3YkJIDR>> [01.02.2023]

აღსანიშნავია ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ გამოცემული დირექტივები, რომლებიც მოითხოვენ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის კორექტირებას და სავალდებულოა იმ წევრი სახელმწიფოებისთვის, ვისაც მიემართება. დირექტივები წევრი სახელმწიფოების ეროვნულ ხელისუფლებებს აძლევენ შესაძლებლობას, თავად აირჩიონ ფორმა და მეთოდები, რომელთა საშუალებითაც მოახდენენ თავიანთი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას მკაცრად განსაზღვრული დროის პერიოდში. დირექტივებისგან განსხვავებით, ევროკავშირის **რეგულაციები** ავტომატურად სავალდებულო ხდება ევროკავშირის თითოეული წევრისთვის მას შემდეგ, რაც იგი ძალაში შევა. აღსანიშნავია ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ გამოცემული **გადაწყვეტილებებიც**, რომლებიც შეეხება ცალკეულ სადავო საკითხებს და სავალდებულოა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტაში. ევროკავშირის გადაწყვეტილებებიც მოითხოვენ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის კორექტირებას. და ბოლოს, საყურადღებოა ევროკავშირის **რეკომენდაციები და დასკვნები**, რომლებიც მიემართება ყოველ ან ცალკეულ წევრს, ასევე ინდივიდებს. ფორმალურად, ისინი წარმოადგენენ იურიდიული ძალის არმქონე აქტებს, თუმცა, ამის მიუხედავად, მოითხოვენ სათანადო ყურადღებას, რადგანაც ევროკავშირის აზრს გამოხატავენ.

ევროკავშირის ინსტიტუტების კანონშემოქმედება ხორციელდება ორი ძირითადი – უნიფიკაციისა და ჰარმონიზაციის – მეთოდით. **უნიფიკაციის მეთოდი** გულისხმობს პირდაპირი მოქმედების ნორმატიული აქტების გამოცემას, რომლებიც გამოცემისთანავე ავტომატურად ცვლიან შიდასახელმწიფოებრივი სამართლის აქტებს (მაგალითად, ევროკავშირის რეგულაცია). რაც შეეხება **ჰარმონიზაციის მეთოდს**, მისი არსი მდგომარეობს ევროკავშირის ნორმების დანესებაში, რომელიც მიმართულია მისი წევრების საკანონმდებლო აქტების დაახლოებისკენ გარკვეულ სფეროში. ჰარმონიზაციის მეთოდის ინსტრუმენტს დირექტივა წარმოადგენს. ზოგადად, მიიჩნევენ, რომ ჰარმონიზაციის მეთოდი უფრო მოქნი-

ლია, ვიდრე უნიფიკაციისა, რადგან ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ჰარმონიზაციის მეთოდი მიზნად არ ისახავს წევრი სახელმწიფოების სამართლის სრულ ერთგვაროვნებას და მათი ეროვნული კანონმდებლობის ფუნდამენტური პრინციპები მხოლოდ „აპროქსიმაციას“, ანუ დაახლოებას გულისხმობს.

2.4. ევროსაბჭო

ევროსაბჭო შეიქმნა 1949 წელს, ლონდონში, დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს (ბელგია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, ნორვეგია, საფრანგეთი და შვედეთი) საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ამ ორგანიზაციის წესდების ხელმოწერის შედეგად.¹⁴⁹ 1990 წლამდე ორგანიზაცია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებას წარმოადგენდა, თუმცა დღესდღეობით ორგანიზაცია 47 წევრ სახელმწიფოს აერთიანებს. ორგანიზაციის წესდების თანახმად, ევროსაბჭოს წევრობა შეუძლია ყველა იმ ევროპულ სახელმწიფოს, რომელიც ცნობს კანონის უზენაესობას და სადაც დაცული და გარანტირებულია ადამიანის უფლებები. საქართველო ევროპის საბჭოში 1999 წელს გაწევრიანდა.

თავდაცვის საკითხის გამოკლებით, ევროსაბჭოს კომპეტენცია მოიცავს ევროპის თანამეგობრობის ყველა მნიშვნელოვან საკითხს. ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს წევრი ქვეყნების კანონმდებლობასა და პრაქტიკულ ცხოვრებაში ადამიანის უფლებების დაცვის ექსპერტიზას და ამ სფეროში სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის უნიფიცირებას. მისი კომპეტენცია მოიცავს ისეთ ძირითად სფეროებს, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, თანამშრომლობა სამართლებრივ დარგში, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა, ადგილობრივი დემოკრატია, სა-

¹⁴⁹ Council of Europe Official Website, იხ., <www.coe.int> [31.01.2023]

ზღვრისპირა თანამშრომლობა, გარემოს დაცვა და რეგიონული დაგეგმარება.

ევროსაბჭოს ძირითადი ორგანოები სტრასბურგშია (საფრანგეთი) განთავსებული და გააჩნია რამდენიმე ძირითადი ორგანო. ერთ-ერთი მთავარი ორგანოა **მინისტრთა კომიტეტი**, რომელიც შედგება ამ ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრისგან (ან მუდმივი წარმომადგენლისგან). კომიტეტი იხილავს და ამტკიცებს ბიუჯეტს, გამოაქვს გადაწყვეტილება ახალი წევრების მიღების საკითხზე, განსაზღვრავს ორგანიზაციის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. **საპარლამენტო ასამბლეა** წარმოადგენს ევროპული პარლამენტების წევრთა ფორუმს, რომელიც იხილავს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საერთაშორისო პოლიტიკის საკვანძო საკითხებს. ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს საპარლამენტო ასამბლეაში წარმოდგენილი ჰყავთ ეროვნულ პარლამენტში მყოფი ძირითადი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც წელიწადში ოთხჯერ იკრიბებიან პლენარულ სხდომებზე.

აღსანიშნავია **ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის** საქმიანობაც, რომელიც შედგება ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების ადგილობრივი ხელისუფლების პალატისა და რეგიონების პალატისაგან. ორგანო იკრიბება სტრასბურგში, წელიწადში ერთხელ. კონგრესის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვისა და განვითარების განმტკიცება. ორგანიზაციას ტექნიკურ დახმარებას უწევს **სამდივნო**. მას სათავეში უდგას გენერალური მდივანი, რომელსაც ირჩევს საპარლამენტო ასამბლეა. და ბოლოს, საყურადღებოა **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო**, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. აქვე, აღსანიშნავია ევროსაბჭოს წვლილი სამართალშემოქმედების კუთხით. მაგალითად, 1950 წელს ევროსაბჭომ შეიმუშავა ევროპული კონვენცია

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, ხოლო 1961 წელს ევროსაბჭომ მიიღო ევროპის სოციალური ქარტია.

2.5. უსაფრთხოების რეგიონული სამართაშორისო ორგანიზაცია (ეუთო)

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია მსოფლიოში ყველაზე დიდი რეგიონული ორგანიზაციაა, რომელიც 57 სახელმწიფოს აერთიანებს.¹⁵⁰ იგი შეიქმნა ევროპაში კონფლიქტების თავიდან აცილების, კრიზისის მართვისა და კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით ისეთ სფეროში, როგორცაა შეიარაღებაზე კონტროლი, პრევენციული დიპლომატია, ნდობისა და უსაფრთხოების მიღწევის ზომები, ადამიანის უფლებები, არჩევნების მონიტორინგი, ეკონომიკური და გარემოს უსაფრთხოება. 1990 წლამდე ეუთო ფუნქციონირებდა როგორც შეხვედრებისა და კონფერენციების ფორუმი. ამ დროს მისი სახელწოდება იყო ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი (ეუთო) და მის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფოთა და მოქალაქეთა მოქმედების წესების დადგენა და მათი შესრულების პერიოდული მიმოხილვა. ბუდაპეშტის 1994 წლის სამიტზე სახელმწიფოებმა აღიარეს, რომ ეუთო უკვე აღარ იყო უბრალოდ კონფერენცია, რის შემდეგაც მას ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) უწოდეს.

ეუთო შეიქმნა გაეროს წესდების VIII თავის შესაბამისად.¹⁵¹ ორგანიზაციის მიზნებს, *inter alia*, წარმოადგენს საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვისათვის ზრუნვა, ევროპული უსაფრთხოების განუყოფლობის აღიარება, ასევე ნევრ-სახელმწიფოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარების სტიმულირება, წვლილის შეტანა ადამიანის უფლებათა დაცვაში, ეკონომიკურ და

¹⁵⁰ OSCE Official Website, იხ., <www.osce.org> [31.01.2023]

¹⁵¹ United Nations, Charter of the United Nations, 24 October 1945, 1 UNTS XVI, იხ., <<https://www.un.org/en/about-us/un-charter/full-text>> [31.01.2023]

სოციალურ პროგრესსა და ყველა ერის კეთილდღეობაში და ა.შ. ორგანიზაციას ხელმძღვანელობს მინისტრთა საბჭოს მიერ ერთი წლით არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც საკუთარი ფუნქციის შესრულებაში ეხმარებიან ყოფილი და მომავალი თავმჯდომარეები. ისინი ერთად ქმნიან ე.წ. „ტროიკას“ (Troika). პოლიტიკური კონსულტაციებისა და გადანყვეტილებათა მიმღებ მთავარ ორგანოს წარმოადგენს მუდმივი საბჭო. მისი წევრები ეუთო-ში შემავალი წევრი ქვეყნების ელჩები არიან, რომლებიც ყოველკვირეულად იკრიბებიან, რათა განიხილონ და გადანყვიტონ ეუთოს კომპეტენციაში შემავალი საკითხები. გარდა ამისა, ეუთო შედგება მოლაპარაკებებისა და გადანყვეტილების მიმღები ისეთი ორგანოებისგან, როგორებიცაა მინისტრიალი, უშიშროებაზე თანამშრომლობის ფორუმი, ეკონომიკური და გარემოს დაცვის ფორუმი და სხვ.

ეუთოში აგრეთვე მოქმედებს მთელი რიგი ინსტიტუტები და სტრუქტურები. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (Office for Democratic Institutions and Human Rights/ODIHR), რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრია არჩევნების მონიტორინგისა და ეროვნული საარჩევნო და ადამიანის უფლებათა დამცველი ინსტიტუციების განვითარებაში, ეროვნული სამართლებრივი ინსტიტუტებისთვის ტექნიკური დახმარების განწევაში, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობაში, ადამიანის უფლებათა და არჩევნების მიმართ ეუთოს მონიტორინგის მომზადებაში, ჟურნალისტთა მომზადებაში. ასევე აღსანიშნავია ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის (High Commissioner on National Minorities/HCNM) მანდატი, რომელიც ხელს უწყობს მხარეებს არაკონფრონტაციული პოლიტიკის განხორციელებაში.

თავი VI. საერთაშორისო ხელშეკრულებები

1. საერთაშორისო ხელშეკრულების არსი და მნიშვნელობა საერთაშორისო სამართალში

საერთაშორისო ხელშეკრულება, როგორც საერთაშორისო პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი დოკუმენტი, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე აქტია, რომელსაც გამო-რჩეული ადგილი უკავია ნებისმიერი ქვეყნის სამართლებრივი აქ-ტების სისტემაში.¹⁵² ის აყალიბებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფოებს შორის, და ასევე სახელმწიფოსა და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტებს შორის.¹⁵³

საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის განვითარე-ბის მიუხედავად, დღემდე არსებობს გარკვეული სირთულეები საერთაშორისო ხელშეკრულების ბუნების დადგენასთან დაკავ-შირებით, რაც განპირობებულია სახელმწიფოთა განსხვავებულ პოზიციებში.¹⁵⁴

საერთაშორისო ხელშეკრულების ბუნების განსაზღვრისათვის ეყრდნობიან საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შე-სახებ ვენის 1969 წლის კონვენციას, რომელიც მე-2 მუხლში გან-მარტავს საერთაშორისო ხელშეკრულებას, კერძოდ: ხელშეკრუ-ლება ნიშნავს საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც დადებულია სახელმწიფოებს შორის წერილობითი ფორმით და რეგულირდება საერთაშორისო სამართლით, მიუხედავად იმისა, ასეთი შეთანხმება

¹⁵² ჯავახიშვილი პ., საერთაშორისო ხელშეკრულებათა საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, კრებულში „თანამედროვე საერთაშორისო სამართლის აქტუალური საკითხები“, თბილისი, 2020, 71-72.

¹⁵³ იქვე.

¹⁵⁴ კორკელია კ., საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასა-ხელმწიფოებრივ სამართალში, თბილისი, 1998, 9.

შედგება ერთი დოკუმენტისგან, ორი ან რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტისგან, მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა.¹⁵⁵

ვენის კონვენციის მე-2 მუხლით განსაზღვრული დეფინიციის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულება შემდეგ ძირითად მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს:

- უნდა იყოს საერთაშორისო შეთანხმება;
- სუბიექტს უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფო;
- უნდა იყოს შედგენილი წერილობითი ფორმით;
- უნდა რეგულირდებოდეს საერთაშორისო სამართლით;
- შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე დოკუმენტისგან და ჰქონდეს ნებისმიერი მიღებული სახელწოდება.

საერთაშორისო ხელშეკრულების დეფინიციის მიხედვით „საერთაშორისო შეთანხმების“ არსებობა გამოიყვანება სახელმწიფოების ცალმხრივ აქტებს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებს, რომლებიც შეიძლება გამოხატავდნენ სახელმწიფოთა შეთანხმებულ პოზიციას, მაგრამ ისინი ვერ ჩაითვლება საერთაშორისო ხელშეკრულებად.¹⁵⁶

საერთაშორისო ხელშეკრულების სუბიექტს სახელმწიფოები წარმოადგენენ. „საერთაშორისო ხელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, თითოეულ სახელმწიფოს აქვს ხელშეკრულების დადების უფლება უნარიანობა“. იმის გათვალისწინებით, რომ ვენის კონვენცია ეხება მხოლოდ სახელმწიფოების სახელშეკრულებო სამართალს, მისი მოქმედება არ ვრცელდება საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტების საერთაშორისო ხელშეკრულებო უფლებაუნარიანობაზე. საერთაშორისო ორგანიზაციების სახელშეკრულებო უფ-

¹⁵⁵ საერთაშორისო ხელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენცია, 1969, მე-2 მუხლი.

¹⁵⁶ კორკელია კ., საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბილისი, 1998, 11; *Encyclopedia of Public International Law*, ed. Bernhardt R., Vol. 7, North Holland, 1984, 460-461.

ლებაუნარიანობის საკითხს არეგულირებს საერთაშორისო სახელმეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1986 წლის კონვენცია.¹⁵⁷

ვენის კონვენცია გამორიცხავს სახელმწიფოსა და იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებს შორის დადებულ ხელშეკრულებებს. საერთო წესიდან გამონაკლისია ისეთი არასამთავრობო ორგანიზაცია, როგორცაა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი. აღნიშნული გამონაკლისი განპირობებულია ორგანიზაციის მნიშვნელობით, კერძოდ ის მოქმედებს ომის მსხვერპლთა დასაცავად ჟენევის კონვენციების შესაბამისად, რის გამოც, დამკვიდრდა სახელმწიფოსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების პრაქტიკა.¹⁵⁸

საერთაშორისო ხელშეკრულების სუბიექტებთან დაკავშირებით, საინტერესო საკითხს წარმოადგენს აქვთ თუ არა ფედერაციის სუბიექტს საერთაშორისო ხელშეკრულების დადების უფლებაუნარიანობა? საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, სახელმწიფოების უმრავლესობა საერთაშორისო ხელშეკრულების დადების უფლებას მხოლოდ ცენტრალურ კონსტიტუციურ ორგანოებს ანიჭებს. იმ სახელმწიფოებში, სადაც ფედერაციულ სუბიექტს აქვს უფლება საერთაშორისო ხელშეკრულების დადების უფლება შეზღუდულია ამ სუბიექტის კომპეტენციით.¹⁵⁹

სახელმწიფოებისგან განსხვავებით, საერთაშორისო ორგანიზაციების უფლებაუნარიანობა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით შეზღუდულია მისივე მიზნებითა და ამოცანებით.

მიუხედავად იმისა, რომ ვენის კონვენციის თანახმად საერთაშორისო ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით, მასში ასევე აღნიშნულია, რომ ის არ განსაზღვრავს არაწერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების იურიდიულ ძალას, რაც იმას ნიშნავს,

¹⁵⁷ იქვე, 12.

¹⁵⁸ Fleck D., *Implementing International Humanitarian Law: Problems and Priorities*, *International Review of the Red Cross*, 1991, N281, 141-145.

¹⁵⁹ კორკელია კ., *საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში*, თბილისი, 1998, 15.

რომ კონვენცია არ უარყოფს ზეპირი საერთაშორისო ხელშეკრულების არსებობას.¹⁶⁰

ვენის კონვენციაში მხოლოდ წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების რეგულირების საკითხი გარკვეული პრაქტიკული გარემოებებით არის განპირობებული, კერძოდ, *stricto sensu* არ შეიძლება ზეპირი ხელშეკრულების პარაფირება, ხელმოწერა, რატიფიცირება და სხვა.

სახელმწიფოებს შეუძლიათ თავიანთი ნება გამოავლინონ სხვადასხვა სახის იურიდიულ აქტებში. ეს შეიძლება იყოს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლით ან რომელიმე კონკრეტული ხელმოწერი ქვეყნის შიდა სამართლით, ან პოლიტიკური შეთანხმება, რომელიც სამართლებრივი ნორმებით საერთოდ არ წესრიგდება. თითოეულ მათგანს განსხვავებული ეფექტი აქვს. აღნიშნულ აქტებს შორის განსხვავება ისიც არის, რომ მათი დარღვევის შემთხვევაში განსხვავებული იურიდიული შედეგები დგება.¹⁶¹ საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შედეგად სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოყენებული იქნება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებები, ხოლო პოლიტიკური შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა.¹⁶²

ვენის კონვენციის თანახმად საერთაშორისო ხელშეკრულების ბუნება არ განისაზღვრება დოკუმენტების რაოდენობით ან მისი სახელწოდებით. საერთაშორისო ხელშეკრულების სახელწოდება შეიძლება იყოს შეთანხმებაც, კონვენციაც, პაქტიც, ოქმიც, ქარტიაც და სხვ. ვენის კონვენციის დებულებები მხოლოდ იმ ხელშეკრულებებზე ვრცელდება, რომელთაც ხელი მოეწერათ კონვენციის ამოქმედების შემდეგ. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ვენის კონვენციის დებულებათა უმეტესობა იმეორებს იმ წესებს, რომლებიც

¹⁶⁰ იქვე, 19.

¹⁶¹ იქვე, 21.

¹⁶² იქვე, 22.

საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში გამოიყენებოდა, აქედან გამომდინარე, ვენის კონვენცია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ფურცელზე გადმოტანის მცდელობაა.¹⁶³

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (ICJ)-ს საკუთარ გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვანი განმარტებები აქვს გაკეთებული საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. ეს განმარტებები ავსებენ კონვენციის ტექსტს და უფრო ზუსტ წარმოდგენას ქმნიან მის შინაარსთან დაკავშირებით. მაგალითად, გადაწყვეტილებაში კატარი ბაჰრეინის წინააღმდეგ¹⁶⁴ სასამართლომ შეაფასა, შეიძლება თუ არა შეხვედრის შემაჯამებელი ჩანაწერი მიჩნეულ იქნეს საერთაშორისო ხელშეკრულებად? სასამართლომ არ გაითვალისწინა ბაჰრეინის წარმომადგენელთა მოსაზრება და ჩანაწერი მხოლოდ ხელშეკრულებად დააკვალიფიცირა იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ შემაჯამებელი ჩანაწერი არა მხოლოდ აჯამებდა დისკუსიას მხარეებს შორის, არამედ მონაწილე მხარეებს კონკრეტულ უფლებებსა და მოვალეობებს აკისრებდა. შესაბამისად, ჩანაწერი მიჩნეულ იქნა საერთაშორისო შეთანხმებად.

განხილული გადაწყვეტილების მთავარი არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ კონკრეტული დოკუმენტის საერთაშორისო ხელშეკრულებად კვალიფიკაციისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო დოკუმენტის შინაარსი და არა მისი ფორმა, ანდა მხარეთა გაცხადებული პოზიციები მათ თავდაპირველ განზრახვასთან დაკავშირებით.

ამ საერთო წესიდან გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც მხარეები თანმიმდევრულად აცხადებენ, რომ არ სურთ სავალდებულო შეთანხმების გაფორმება და არ ცვლიან აღნიშნულ პოზიციას. მაგალითად, გადაწყვეტილებაში ბანგლადეში მიანმარის წინააღმდეგ¹⁶⁵,

¹⁶³ Orakhelashvili A., *Akehurst's Modern Introduction to International Law*, Routledge, 2018, 270.

¹⁶⁴ *Maritime Delimitation and Territorial Questions (Qatar v Bahrain)*, Jurisdiction and Admissibility, ICJ Rep. 1994, 112 33, 1461.

¹⁶⁵ *Delimitation of the Maritime Boundary between Bangladesh and Myanmar in the Bay of Bengal (Bangladesh/Myanmar) Case No. 16*, Judgment of 14 March 2012.

საერთაშორისო საზღვაო სამართლის ტრიბუნალმა (ITLOS) არ მიიჩნია შეხვედრის შემაჯამებელი ოქმი საერთაშორისო ხელშეკრულებად, ვინაიდან შეხვედრის მსვლელობისას მიანმარმა რამდენჯერმე მკაფიოდ დააფიქსირა, რომ ამ ეტაპზე მისი განზრახვა არ ყოფილა შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტის ხელმოწერა. ეს იყო შუალედური შეთანხმება, რომელიც არ წარმოშობდა კონკრეტულ უფლებებსა და მოვალეობებს მხარეთათვის.

ანალოგიური მიდგომა გავრცელდა ურთიერთგაგების მემორანდუმების (Memorandum of understanding) მიმართაც, რომელიც ერთი შეხედვით, სახელწოდებიდან გამომდინარე, არასავალდებულო ინსტრუმენტად შეიძლება იქნეს მიჩნეული, თუმცა, აქაც, სასამართლომ დოკუმენტის ფორმის ნაცვლად მისი შინაარსით იხელმძღვანელა. გადანყვეტილების თანახმად, მემორანდუმი მკაფიოდ ადგენდა უფლებებსა და მოვალეობებს, შესაბამისად, ის საერთაშორისო შეთანხმებას წარმოადგენდა.

2. ხელშეკრულების დადების პროცედურები

ვენის კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების ტექსტი მიიღება ყველა იმ მონაწილე მხარის, სახელმწიფოს წარმომადგენელთა თანხმობით, ვინც ტექსტის შედგენაში მონაწილეობდა. ხოლო საერთაშორისო კონფერენციებზე კი, ტექსტის დასამტკიცებლად საჭიროა კონფერენციაზე დამსწრე სახელმწიფოთა 2/3-ის თანხმობა. შესაძლებელია დამსწრეთა აღნიშნული რაოდენობა შეთანხმდეს და ხმის მიცემის განსხვავებული წესი დაადგინოს. ხელშეკრულების ტექსტის მიღება თავისთავად არ გულისხმობს მბოჭავი ვალდებულებების წარმოშობას. ამისათვის აუცილებელია სახელმწიფოებმა ხელმოწერით გამოხატონ თავიანთი თანხმობა და მზაობა საიმისოდ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შეასრულონ.

ვენის კონვენციის მე-11 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფომ საკუთარი თანხმობა ვალდებულებების აღებაზე შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოხატოს. სტანდარტული გზაა ხელშეკრულების

ხელმონერა, თუმცა, რიგ შემთხვევებში, როდესაც ამას თავად ხელშეკრულება, ან სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს, შესაძლოა, საჭირო გახდეს დამატებითი პროცედურების გავლა, მაგალითად, ხელშეკრულების რატიფიკაცია, მისი მიღება, ან დადასტურება. ხელმონერა და რატიფიკაცია თანხმობის გამოხატვის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმებია. ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულების ტექსტის შემუშავებაში მონაწილე დიპლომატები უფლებამოსილები არიან თავად მოაწირონ ხელი ტექსტს. რიგ შემთხვევაში, პროცედურა უფრო რთულია, დიპლომატთა უფლებამოსილება შეზღუდულია და ხელშეკრულება სავალდებულო ძალას არ იძენს მანამ, სანამ არ მოხდება რატიფიკირება ეროვნულ დონეზე.

თუკი კონკრეტული ხელშეკრულება რატიფიკირებას საჭიროებს, ეს, როგორც წესი, კონვენციის ტექსტშივეა მითითებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, რატიფიკირების საჭიროების შესახებ დასკვნა მხარეთა გაცხადებული განზრახვების შესაბამისად კეთდება. რატიფიკაციაზე პასუხისმგებელი, როგორც წესი, ხელმომწერი სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოა. საქართველოს შემთხვევაში, ქვეყნის კონსტიტუცია განსაზღვრავს პარლამენტს, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკირებაზე, დენონსირებასა და გაუქმებაზე პასუხისმგებელ ორგანოს.¹⁶⁶ რატიფიკირების პროცესი სახელმწიფოს დამატებით დროს აძლევს, რათა სრულყოფილად იქნეს გაანალიზებული ხელშეკრულების ტექსტი, სათანადოდ შეფასდეს ის უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფომ უნდა იკისროს.

ხელმონერისა და რატიფიკირების გარდა, საერთაშორისო სამართლით, სახელმწიფოს შესაძლებლობა აქვს მიუერთდეს ხელშეკრულებას. განსხვავება ერთი მხრივ, ხელმონერასა და რატიფიკირებას და მეორე მხრივ, მიერთებას შორის ისაა, რომ ის არ მონაწილეობდა ხელშეკრულების ტექსტის შემუშავების პროცესში. მიერთება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც

¹⁶⁶ საქართველოს კონსტიტუცია, 1995, 47-ე მუხლის, პირველი პუნქტი.

ხელშეკრულებაში პირდაპირაა გათვალისწინებული, რომ მიერთება ნებადართულია, ან ყველა ხელშემკვრელი მხარე თანხმდება, რომ ისინი ნებას დართავს მესამე სახელმწიფოს, მიუერთდეს ხელშეკრულებას. მიერთება იგივე სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს, რასაც რატიფიცირება ან ხელმოწერა.

ვენის კონვენციის მე-7 მუხლი განსაზღვრავს ხელშეკრულებაზე ხელმოწერი პირის უფლებამოსილების საკითხს. კონვენციის თანახმად, ხელშემკვრელი სახელმწიფოები თავიანთი ეროვნული კანონმდებლობით თავად განსაზღვრავენ, თუ ვის უნდა მიენიჭოს ხელშეკრულების ხელმოწერის უფლება. მას შემდეგ, რაც ეროვნული კანონმდებლობა ამ საკითხს დაარეგულირებს, კონკრეტულ თანამდებობის პირს სრული უფლებამოსილება ექნება მინიჭებული საერთაშორისო სამართლის მიზნებისთვის, რათა მან წარმგზავნი სახელმწიფოს სახელით იმოქმედოს. ამ შემთხვევაში პირმა უნდა წარადგინოს მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

კონვენცია ადგენს სამ შემთხვევას, როდესაც ასეთი დოკუმენტი არაა საჭირო და საკუთარი სტატუსიდან გამომდინარე, პირს ავტომატურად აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ეს წესი ვრცელდება სამ თანამდებობის პირზე: სახელმწიფოს მეთაურზე, მთავრობის მეთაურსა და საგარეო უწყების ხელმძღვანელზე. როგორც წესი, საერთაშორისო სამართალი ნეიტრალურია ძალაუფლების სტრუქტურების მიმართ, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივ დონეზეა ჩამოყალიბებული. თუმცა, ეს გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც საერთაშორისო სამართალში მნიშვნელობას იძენს კონკრეტული სტატუსი, რომელიც ეროვნული კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. ამ სამ პოზიციაზე მყოფ ინდივიდებს უფლებამოსილება აქვთ გააფორმონ საერთაშორისო ხელშეკრულებები მათი წარმგზავნი სახელმწიფოს სახელით.¹⁶⁷

¹⁶⁷ Watts, C. Arthur H. *The legal Position in International Law of Heads of States, Heads of Governments and Foreign Ministers*, Martinus Nijhoff, 1994, 130.

3. საერთაშორისო ხელშეკრულების ამოქმედების ვადები და პროცედურები

ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ სახელმწიფოებს წარმოეშობათ კონკრეტული უფლებები და მოვალეობები. ამოქმედების მომენტიდან ხელშეკრულებას მბოჭავი ძალა გააჩნია, ის შესასრულებლად სავალდებულოა ხელმომწერი მხარეებისათვის.¹⁶⁸ სამართლებრივი განჭვრეტადობის თვალსაზრისით, ხელშეკრულების ამოქმედების წესები, მათ შორის, ძალაში შესვლის თარიღი მკაფიოდ უნდა ჩანდეს დოკუმენტიდან. ამავდროულად, ეს წესები მოქნილი უნდა იყოს, განსაკუთრებით მრავალმხრივი ხელშეკრულებების კონტექსტში, სადაც შესაძლოა გარკვეული დრო იყოს საჭირო იმისათვის, რათა ხელშეკრულებამ სამართლებრივი ძალა შეიძინოს.

როგორც წესი, ხელშეკრულება ძალაში შედის იმ მომენტიდან, როდესაც ხელშეკრულების ტექსტის შემუშავებაში მონაწილე მხარეები გამოხატავენ თანხმობას, ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები იტვირთონ. თუმცა, მხარეები არ არიან შეზღუდული ამ წესისგან განსხვავებული რეგულაცია შეიმუშავონ და ჩაწერონ ხელშეკრულების ტექსტში.

ხელმონერით თანხმობის გამოხატვის შემთხვევაში, შესაძლოა, ხელშეკრულება შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ ხელმონერის მომენტიდანვე შევიდეს ძალაში. ასევე, შესაძლოა, განისაზღვროს კონკრეტული თარიღი, ან მოვლენა, რომელთანაც იქნება დაკავშირებული ამ ხელშეკრულების ამოქმედება. მაგალითისთვის, როდესაც ხელშეკრულება მრავალმხრივია, ანუ ორზე მეტი ხელმომწერი მხარე ჰყავს, შეიძლება ხელშეკრულების მიზნებისთვის არ იყოს გამართლებული ამოქმედება გადავდოთ მანამ, სანამ მას ყველა ხელშემკვერელი მხარე მოაწერს ხელს. ამ შემთხვევაში საკმარისად მიიჩნევენ, როდესაც მხარეთა ნაწილი მაინც, განსაზღვრული რაოდენობა, მოაწერს მას ხელს. ამ მომენტიდან ხელშეკრულება ამოქმედდება იმ ხელშემკვერელ

¹⁶⁸ Klabbbers J., *Treaties, Conclusion and Entry into Force*, In Max Planck Encyclopedia of Public International Law. Oxford University Press, 2008, 790.

მხარეთათვის, ვისი ხელმონერაც იქნება დოკუმენტზე მისი ამოქმედების დროისათვის.

4. სამართაშორისო ხელშეკრულებათა ტერიტორიული, დროითი და შინაარსობრივი ფარგლები

სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებები სხვადასხვა კრიტერიუმებით შეიძლება შეფასდეს, კერძოდ. ხელშემკვრელი მხარეები (*rationale personae*), ხელშეკრულების შინაარსი (*ratione materiae*), ტერიტორიული და დროითი ჩარჩოები (*ratione loci* და *ratione temporis*).

ტერიტორიულ ფარგლებს ეხება ვენის კონვენციის მხოლოდ 29-ე მუხლი, მაშინ, როდესაც პირდაპირ თუ ირიბად, პერსონალურ, შინაარსობრივ და დროით ფარგლებს კონვენციის რამდენიმე ათეული მუხლი მოიცავს.¹⁶⁹

ვენის კონვენციის 29-ე მუხლი კონვენციის ერთადერთი დებულებაა, რომელიც დოკუმენტის მოქმედების ტერიტორიულ ფარგლებს შეეხება. პერსონალური, მატერიალური და დროითი მოქმედება დარეგულირებულია კონვენციის 28-ე მუხლით.

ვენის კონვენციის 29-ე მუხლის მიხედვით, თუკი ხელშეკრულება განსხვავებულ წესს არ ითვალისწინებს, იგი მოქმედებს ხელშემკვრელი მხარის მთელ ტერიტორიაზე. ტერიტორიული მოქმედების ქრილში საინტერესოა სახელმწიფო სამართალმემკვიდრეობის საკითხი. სახელმწიფოთა საზღვრების ნებისმიერი ცვლილება შესაბამისად ცვლის ხელშეკრულების მოქმედების ტერიტორიულ ფარგლებს. სამართალმემკვიდრეობაც შესაბამისად იწვევს საზღვრების ცვლილებას.

რაც შეეხება დროითი მოქმედების საკითხს, ხელშეკრულება, როგორც წესი, წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს მისი ძალაში შესვლის შემდგომ. საგამონაკლისო შემთხვევაში, როდესაც ამაზე

¹⁶⁹ Linderfalk U., The Application of International Legal Norms over Time: the Second Branch of Intertemporal Law. Netherlands International Law Review 58, No. 2, 2011, 149-152.

თავად ხელშეკრულება მიუთითებს, შესაძლებელია მას რეტრო-აქტიული ეფექტი ჰქონდეს.¹⁷⁰

5. დათქმები (რეზერვაციები)

შესაძლოა სახელმწიფო ეთანხმებოდეს ხელშეკრულების დებულებათა უმეტესობას, თუმცა განსაზღვრული მიზეზებით, ეწინააღმდეგებოდეს დებულებათა გარკვეულ ნაწილს. ასეთ დროს სახელმწიფოები, როგორც წესი, დათქმებით უერთდებიან ხელშეკრულებას. ვენის კონვენციის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის (დ) ქვეპუნქტი განსაზღვრავს დათქმას, როგორც სახელმწიფოს მიერ გაკეთებულ ცალმხრივ განაცხადს ხელშეკრულების ხელმოწერის, მისი რატიფიცირების, მიღების, დადასტურების ან ხელშეკრულებაზე მიერთების მომენტში, როდესაც სახელმწიფო განიზრახავს გამორიცხოს კონკრეტული დებულების მოქმედება, ან შეცვალოს მისი სამართლებრივი ეფექტი.

წინამდებარე დეფინიცია რამდენიმე კომპონენტისგან შედგება:

- (1) დათქმები ცალმხრივია, მათ კონკრეტული სახელმწიფო ცალმხრივად აცხადებს;
- (2) სამართლებრივად არ აქვს მნიშვნელობა რას ვუნოდებთ ამ დათქმებს, მნიშვნელოვანია, ისინი შინაარსის მიხედვით ამოვიცნოთ და არა ფორმიდან გამომდინარე.

მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ერთი მხრივ, დათქმები და მეორე მხრივ, ინტერპრეტაციები, ანუ ხელშეკრულების ცალკეული დებულების განმარტება სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფოთა პრაქტიკის თანახმად, შესაძლოა ინტერპრეტაცია ისე ფუნდამენტურად ცვლიდეს ხელშეკრულების კონკრეტული უფლების ან მოვალეობის შინაარსს, რომ იგი დათქმად იქნეს მიჩნეული. მაგალითად, როდესაც საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი მსჯელობდა საქმეზე ბელილოსი შვეიცარიის

¹⁷⁰ Milanovic M., *The Spatial Dimension: Treaties and Territory*. In *Research Handbook on the Law of Treaties*, Edward Elgar Publishing, 2014, 186-188.

ნინაალმდეგ¹⁷¹, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით (უფლება სამართლიან სასამართლოზე) გათვალისწინებული ვალდებულებების ქრილში, სასამართლომ დაასკვნა, რომ შვეიცარიის სახელმწიფოს მიერ გამოთქმული პოზიცია მე-6 მუხლის მოქმედებასთან მიმართებით იყო არა ინტერპრეტაცია, არამედ დათქმა. კონვენციის ინდივიდუალური ინტერპრეტაცია ცვლიდა კონვენციის მოქმედების ფარგლებს, შვეიცარიას ათავისუფლებდა კონკრეტული ვალდებულებებისგან, შესაბამისად, ეს იყო დათქმა და არა ინტერპრეტაცია.

შესაბამისად, დათქმა მთლიანად ხელშეკრულებასთანაა დაკავშირებული, ცვლის მის, ან მისი კონკრეტული დებულებების სამართლებრივ ძალას, თუმცა ხელშეკრულების მიღმა არ წარმოშობს არანაირ სამართლებრივ შედეგს. ის მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოს მიერ ნაკისრი უფლებებისა და მოვალეობების შინაარსზე ახდენს ზეგავლენას.

დათქმებთან მიმართებით საყურადღებოა, ერთი მხრივ, თანხვედრაშია თუ არა დათქმა კონვენციით გათვალისწინებულ პირობებთან და მეორე მხრივ, ეთანხმებიან თუ არა დათქმას სხვა ხელშემკვრელი მხარეები. მეორე კრიტერიუმთან დაკავშირებით ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში დათქმა პრობლემას არ წარმოშობს, ვინაიდან ნებისმიერი ცვლილება თავდაპირველ ტექსტში შეთანხმების საგანია ორ მხარეს შორის. თუკი დათქმა მისაღები იქნება, ხელშეკრულება ამ სახით ამოქმედდება. რაც შეეხება მრავალმხრივ ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა. ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, დათქმის ნამდვილობისთვის აუცილებელი იყო ყველა ხელშემკვრელი მხარის თანხმობა. თუმცა, ეს მიდგომა საკმაოდ არაპრაქტიკული გამოდგა იმ ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომელთაც მრავალი ხელმომწერი მხარე ჰყავთ.

ამ საკითხზე მნიშვნელოვანი განმარტება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ (ICJ) გააკეთა ე.წ. გენოციდის

¹⁷¹ Belilos v Switzerland, ECHR, No. 10328/83, Judgment of 29 April, 1988.

საქმეზე.¹⁷² საკითხი კონკრეტულად გენოციდის კონვენციის მოქმედებასა და ამ კონვენციის ფარგლებში გაკეთებულ დათქმებს შეეხებოდა, სასამართლომ პრინციპის დონეზე განმარტა, რომ დათქმისადმი წინააღმდეგობა ზოგიერთი ხელმომწერი სახელმწიფოს მხრიდან ავტომატურად არ აყენებს ამ დათქმის ნამდვილობას ეჭვქვეშ, თუკი დათქმა არ ეწინააღმდეგება ხელშეკრულების ობიექტსა და მიზანს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ პრიორიტეტულად მიიჩნია, დათქმების მიუხედავად, სახელმწიფოებს აელოთ ზოგადი ვალდებულებები ისეთი მნიშვნელოვანი კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებით, როგორცაა გენოციდის ამკრძალავი საერთაშორისო მექანიზმი.

დათქმების დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყონ საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის მოქნილობა, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს ხელშეკრულებაზე ხელმომწერ სახელმწიფოთა რაოდენობა.¹⁷³ ის ფაქტი, რომ სახელმწიფო არ ეთანხმება ხელშეკრულების ერთ, ან რამდენიმე დებულებას, არ უნდა გამორიცხავდეს იმის შესაძლებლობას, რომ მხარე მიუერთდეს კონკრეტულ ხელშეკრულებას. დათქმები განსაკუთრებულად აქტუალურია მრავალმხრივი ხელშეკრულებების შემთხვევაში, როდესაც მხარეთა შორის ხელშეკრულების ტექსტზე კომპრომისის მიღწევა გართულებულია.

ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, მაგალითად, გაეროს კონვენცია საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ, გამორიცხავს სახელმწიფოთა მიერ დათქმების გაკეთების შესაძლებლობას.¹⁷⁴ შესაძლოა დათქმები იკრძალებოდეს კონვენციის მხოლოდ კონკრეტულ დებულებებთან მიმართებით, და მათ გარ-

¹⁷² Advisory Opinion Concerning Reservations to the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide, International Court of Justice (ICJ), 28 May 1951.

¹⁷³ Dörr O., Schmalenbach K., Vienna Convention on the Law of Treaties. Berlin, 2011, 263.

¹⁷⁴ კონვენცია საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ, 1982.

და, სახელმწიფოებს შეეძლოთ სხვა უფლებებისა და მოვალეობების მოქმედების შეზღუდვა.

6. საერთაშორისო ხელშეკრულებათა ბათილობისა და მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები

ვენის კონვენციის თანახმად, ხელშეკრულებების ბათილად ცნობა მხოლოდ იმ წინაპირობების არსებობის შემთხვევაშია დასაშვები, რომლებიც აღნიშნული კონვენციითაა გათვალისწინებული. კონვენციის 48-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო უფლებამოსილია ამტკიცოს ხელშეკრულების ბათილობა, თუკი სახეზეა შეცდომა, არაკეთილსინდისიერი ქმედება ხელშეკრულების ხელმომწერი სხვა მხარის მიერ, ან სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ კორუფციული ქმედება.¹⁷⁵ ასევე, ხელშეკრულება ბათილია, თუკი იგი წინააღმდეგობაში მოდის *jus cogens* ნორმებთან. ვენის კონვენციის 64-ე მუხლის თანახმად, თუკი საერთაშორისო სამართალში ახალი იმპერატიული ხასიათის ნორმა აღმოცენდება, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ამ ნორმასთან წინააღმდეგობაში იქნება, ბათილად უნდა იქნას ცნობილი.¹⁷⁶

კონვენციის 51-ე მუხლის თანახმად, თუკი გაირკვევა, რომ ერთი სახელმწიფოს წარმომადგენლის თანხმობა ხელშეკრულების ხელმოწერაზე მიღწეულ იქნა მასზე ზეწოლის, მუქარის ან იძულების სხვა ფორმის გამოყენებით, ეს ხელშეკრულება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.¹⁷⁷

იქიდან გამომდინარე, რომ 26-ე მუხლის საფუძველზე ხელშეკრულებები სავალდებულოა შესასრულებლად, სახელმწიფოებს თვითნებურად არ აქვთ შესაძლებლობა, უარი თქვან ამ ვალდებულებების შესრულებაზე. შესაბამისად, ხელმოწერილი და ძალაში

¹⁷⁵ ვენის კონვენცია საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, 1969, 48-ე მუხლი.

¹⁷⁶ იქვე, მუხლი 64.

¹⁷⁷ იქვე, მუხლი 51.

შესული ხელშეკრულება მოქმედებს მანამ, სანამ მისი მოქმედება არ შეწყდება ამავე ხელშეკრულების საფუძველზე, ან ძალაში არ შევა ახალი ხელშეკრულება, რომელიც გააუქმებს წინარე ხელშეკრულების მოქმედებას.

ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების გამოხმობა სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია, სანამ შეტყობინება ძალაში შევა. ხელშეკრულების შეწყვეტა ზეგავლენას არ ახდენს იმ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, რომლებიც მის შეწყვეტამდე განხორციელდა. კერძოდ, საერთაშორისო ორგანოებს, მაგალითად, საერთაშორისო სასამართლოებს კვლავ ექნებათ უფლებამოსილება განიხილონ ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი ვალდებულებების შესაძლო დარღვევის საკითხი.

ზოგიერთი ხელშეკრულება უვადოდ გრძელდება, თუკი მასში გათვალისწინებული არაა შეწყვეტის წინაპირობები.

ვენის კონვენციის მე-60 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების ხელმოწერი ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა შეიძლება მეორე მხარისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობად იქცეს. შეწყვეტა ავტომატურად არ ხდება, საამისოდ მეორე მხარემ შესაბამისი განაცხადი უნდა გააკეთოს. სახელმწიფომ, რომელიც ამ საფუძველით გადაწყვეტს დატოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობა, უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულება ნამდვილად დაირღვა მეორე მხარის მიერ.¹⁷⁸

მრავალმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში ვენის კონვენციის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის (ც) ქვეპუნქტის შესაბამისად, იმ მხარეს, რომელიც განსაკუთრებულად დაზარალდა ხელშეკრულების დარღვევის შედეგად, უფლება აქვს ხელშეკრულების არადამრღვევ მხარეების მიმართაც შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუკი ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობის დარღვევა იმდენად

¹⁷⁸ Malanczuk P., *Akehurst's Modern Introduction to International Law*, Routledge, 2002, 205.

მძიმე ხასიათისაა, რომ ის რადიკალურად ცვლის თითოეული ხელშემკვრელი მხარის პოზიციას ხელშეკრულების შესრულებასთან მიმართებით. მსგავსი სიტუაცია შეიძლება შეიქმნას მაგალითად, განიარაღების ხელშეკრულებასთან მიმართებით, როდესაც ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა უკარგავს ინტერესს დანარჩენ მხარეებს განახორციელონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ხელშეკრულების შეწყვეტა აგრეთვე, შესაძლებელია, როდესაც ყველა ხელმომწერი მხარე თანხმდება, რომ მათ აღარ სურთ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მონაწილეობა. ვენის კონვენციის 54-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტა ან ხელშეკრულებიდან გასვლა შეიძლება ნებისმიერ დროს ყველა მონაწილის თანხმობით.¹⁷⁹

¹⁷⁹ ვენის კონვენცია საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, 1969, 54-ე მუხლი.

თავი VII.

სახელმწიფოს ტერიტორია და მისი საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება

1. ტერიტორიის კონცეპტი საერთაშორისო სამართალში

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი კონცეპტი სახელმწიფოა, ხოლო სახელმწიფო, თავის მხრივ, გულისხმობს სუვერენიტეტის არსებობას, რომელიც გამოხატულია სახელმწიფო ინსტიტუტების უზენაესობითა და საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტობით.¹⁸⁰ უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობასთან ერთად, სახელმწიფოს სუვერენიტეტი დაკავშირებულია ტერიტორიის ცნებასთან, რომელიც მთავრობასა და მოსახლეობასთან ერთად სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. დღესდღეობით არსებობს 200 განსხვავებული ტერიტორიული ერთეული, რომელთაგანაც თითოეული ექვემდებარება სხვადასხვა ტერიტორიულ სუვერენიტეტსა და იურისდიქციას.¹⁸¹

სახელმწიფო ტერიტორია არის დედამიწის ზედაპირის ის ნაწილი, რომელიც მოცემული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება. სახელმწიფოს ტერიტორია არა მარტო სახელმწიფოს ტერიტორიული უზენაესობის სივრცით ზღვარს წარმოადგენს, არამედ მისი საქმიანობის მატერიალურ ბაზასაც, რომლის მი-

¹⁸⁰ Castellino J., Allen S., *Title to Territory in International Law: A temporal Analysis*, 2002; იხ., Kaikobod K.H., *Interpretation and Revision of International Boundary Decisions*, Cambridge, 2007.

¹⁸¹ Shaw M., *International Law*, 6th Edition, Cambridge University Press, Cambridge, 2008, 487.

მართ სახელმწიფო ხელისუფლება უზენაესი მფლობელის სახით გვევლინება.¹⁸²

ისეთი ფუნდამენტური კონცეპტების, როგორცაა სუვერენიტეტი და იურისდიქცია, გააზრება შეიძლება მხოლოდ ტერიტორიასთან მიმართებაში, რაც ხაზს უსვამს ტერიტორიის ცნების მნიშვნელობას საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი საკითხის შესწავლისას. მართლაც, პრინციპი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო მიიჩნევა, რომ ახორციელებს ექსკლუზიურ ძალაუფლებას თავის ტერიტორიაზე, შეიძლება ჩაითვალოს კლასიკური საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ აქსიომად. მიღებულ ტერიტორიულ ჩარჩოებში სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლებამოსილების საფუძველზე საერთაშორისო სამართლის განვითარება ნიშნავდა, რომ ტერიტორია გახდა „საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური კონცეფცია“.¹⁸³

სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პრინციპი დაფუძნებულია საერთაშორისო სამართლის ისეთ საყოველთაო პრინციპზე, როგორცაა მის შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი. თანამედროვე ტენდენციის თანახმად, საერთაშორისო სამართალში გაჩნდა რიგი ფაქტორებისა, რომლებმაც გამოიწვიეს სახელმწიფოს ტერიტორიული ექსკლუზიურობის მეტ-ნაკლებად შეზღუდვა.¹⁸⁴ ერთ-ერთ ამ ფაქტორთაგანს წარმოადგენს ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარება, რამაც გავლენა იქონია ისეთ საკითხებზე როგორცაა ადამიანის უფლებათა დაცვა ან ერის თვითგამორკვევის უფლება. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობის გაზრდა.¹⁸⁵ მიუხედავად აღნიშნულისა, ტერიტორიული სუვერენიტეტი კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად კონცეპტად საერთაშორისო სამართალში.

¹⁸² ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010, 285.

¹⁸³ O'Connel D.P., *International Law*, 2nd Edition, London, 1970, 403.

¹⁸⁴ Lauterpacht H., *International Law and Human Rights*, London, 1950.

¹⁸⁵ Shaw M., *International Law*, 6th Edition, Cambridge University Press, Cambridge, 2008, 488.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო სამართალი მჭიდრო კავშირშია მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან, ჰარმონიის და ეფექტიანობის შესანარჩუნებლად, საერთაშორისო სამართალში უნდა შექმნილიყო ისეთი ნორმები, რომელიც დაარეგულირებდა ტერიტორიის კონტროლის, მოპოვებისა ან/და გადაცემის საკითხებს.

2. სახელმწიფოს ტერიტორიის შემადგენლობა

სახელმწიფოს ტერიტორიის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელია სახმელეთო ტერიტორია, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს საზღვრებში მდებარე სახმელეთო ზედაპირს. სახმელეთო ტერიტორიის გარდა, ტერიტორიული სუვერენიტეტი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გეოგრაფიულ ერთეულებზე, რომლებიც დაკავშირებულია სახმელეთო ტერიტორიასთან ან მისი მსგავსია. საერთაშორისო სამართალში საყოველთაოდ აღიარებული წესის თანახმად, მიწისქვეშა რესურსები იმ სახელმწიფოს ეკუთვნის, რომელსაც აქვს სუვერენიტეტი მის ზედაპირზე.

სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიის შიგნით მოქცეული მდინარეები, ტბები, ზღვები, ყურეები და არხები, ისევე როგორც წყლები, ნაპირიდან ტერიტორიული ზღვის სიგანის საწყისამდე, წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ არსებულ შიდა წყლებს. პორტების, მდინარეებისა და არხების სარგებლობასთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართალში მოქმედებს 1958 წელს მიღებული ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ კონვენცია.¹⁸⁶

ორი ან მეტი სახელმწიფოს ნაპირით შემოსაზღვრული ტბებისა და დახურული ზღვების შემთხვევაში სამართლებრივი პოზიცია პრაქტიკაში დამოკიდებულია ან ხანდაზმულობის უფლების წარმოშობაზე ან სახელშეკრულებო რეჟიმზე. მაგალითად,

¹⁸⁶ ბრაუნლი ი., საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები, მე-7 გამოცემა, საია, თბილისი, 2010, 131.

ონტარიოს, ერას, ჰურიინისა და ზედას საკითხი რეგულირდება კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული 1909 წლის კონვენციით.¹⁸⁷

სახმელეთო ტერიტორიის, შიდა წყლებისა და ტერიტორიული ზღვის ზემოთ არსებული საჰაერო სივრცე სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილია, სწორედ აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ ტერიტორიის განკარგვა მოიცავს საჰაერო სივრცესაც. მიუხედავად ამისა, მიკუთვნების პრინციპი შეიძლება არ გავრცელდეს კონკრეტულ სიტუაციაზე, როდესაც სახელმწიფოს არ გააჩნია სუვერენიტეტი ტერიტორიაზე, მხოლოდ ფლობს მას და აღიარებულია, რომ ამ უკანასკნელის გამოყენება ტერიტორიის გადამცემის სუვერენიტეტის ქვეშ რჩება.¹⁸⁸

3. სახელმწიფო საზღვრები

სახელმწიფოს ტერიტორიის შემომფარგლავ ხაზს, სახელმწიფო საზღვარი ეწოდება. საზღვრები შეიძლება იყოს:

- ოროგრაფიული;
- გეომეტრიული;
- ასტრონომიული.

ოროგრაფიული საზღვრის გავლება ხდება ადგილობრივი რელიეფის გათვალისწინებით (მდინარე, ხევი, ქედი და ა.შ.); გეომეტრიული საზღვრები წარმოადგენს ერთი წერტილიდან მეორე წერტილამდე გაყვანილ სწორ ხაზს, ხოლო ასტრონომიული საზღვრები გავლება მერიდიანების ან პარალელების გასწვრივ.¹⁸⁹

სახელმწიფოს საზღვართანაა დაკავშირებული ისეთი ცნებები, როგორცაა დელიმიტაცია, დემარკაცია და რედემარკაცია. დელიმიტაცია გულისხმობს მოსაზღვრე სახელმწიფოების შეთანხმე-

¹⁸⁷ იქვე, 132.

¹⁸⁸ იქვე, 130-131.

¹⁸⁹ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010, 290-291.

ბას საზღვრების მიმართულების განსასაზღვრად, რომელსაც თან ახლავს რუკა. ადგილზე საზღვრის გაყვანას ეწოდება დემარკაცია, რომელსაც მოსაზღვრე სახელმწიფოების მიერ შერჩეული კომისია ახორციელებს. არსებული საზღვრების შემოწმებას, სასაზღვრო ნიშნების აღდგენასა და დამატებას კი რედემარკაციას უწოდებენ.¹⁹⁰

4. ტერიტორიის მოპოვების ფორმები

ტერიტორიაზე სუვერენიტეტის მოპოვების რამდენიმე ფორმა არსებობს, თუმცა კლასიკური მიდგომა ეფუძნებოდა რომის სამართლის პრინციპებს. საერთაშორისო სამართალი განასხვავებს ტერიტორიის მოპოვების შემდეგ ფორმებს:

- აკრეცია;
- დათმობა;
- ოკუპაცია;
- დაპყრობა;
- ხანდაზმულობა.

4.1. აკრეცია

აკრეცია გულისხმობს გეოგრაფიულ პროცესს, როდესაც წარმოიშობა ახალი ტერიტორია, მაგალითად კუნძულების წარმოშობა, მდინარის კალაპოტის ცვლილების შედეგად წარმოქმნილი ტერიტორია.¹⁹¹

იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ტერიტორია კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიის შიგნით წარმოიქმნება, ის ავტომატურად ამ სახელმწიფოს ტერიტორიული სუვერენიტეტის ნაწილი ხდება. მაგალითად, 1986 წელს ვულკანის შედეგად წყნარ ოკეანეში წარმოიქმნა კუნძული, რომელიც მდებარეობდა იაპონიის ტერიტორიულ წყლებში, სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით ეს კუნძული იაპონიის ტერიტორიის ნაწილი გახდა.¹⁹²

¹⁹⁰ იქვე.

¹⁹¹ Hyde C.C., *International Law*, 2nd edition, Boston, 1947, 355-356.

¹⁹² Day A.J., *Border and Territorial Disputes*, 2nd edition, London, 1987, 277.

მდინარის კალაპოტის შეცვლის შედეგად წარმოქმნილი ტერიტორიის მიმართ განსხვავებული მიდგომაა. ძირითად შემთხვევაში საზღვრები რჩება უცვლელი, თუმცა საერთაშორისო სამართლით მისი ცვლილებაც დაშვებულია სხვადასხვა ფაქტორების გავალისწინებით.¹⁹³

4.2. დათმობა

დათმობა არის ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის ტერიტორიის გადაცემა, ძირითადად ხელშეკრულების დადების გზით. პალმის კუნძულის საქმეში (Case of Island of Palmas) ესპანეთმა ფილიპინების კუნძულები ამერიკის შეერთებულ შტატებს 1898 წლის პარიზის ხელშეკრულებით დაუთმო. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, პალმის კუნძული წარმოადგენდა ფილიპინების ნაწილს. როდესაც შეერთებულმა შტატებმა მოინდომა კუნძულზე საკუთრების უფლების განხორციელება, აღმოჩნდა, რომ ის ჰოლანდიის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვის დროს, არბიტრმა მაქს ჰუბერმა დაადგინა, რომ კუნძულს ჰოლანდია მართავდა მე-18 საუკუნის დასაწყისიდან, ამდენად, ესპანეთს არ ჰქონდა უფლება კუნძულზე, შესაბამისად, ამ უფლებას აშშ ვერ მიიღებდა ესპანეთისგან.¹⁹⁴

ტერიტორიის დათმობა შეიძლება მოხდეს საზავო ხელშეკრულების საფუძველზე, გარკვეული თანხის სანაცვლოდ ან საჩუქრის სახით. მაგალითად, 1803 წელს საფრანგეთის მიერ ლუიზიანის დათმობა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის 60 მილიონ ფრანკად, 1867 წელს რუსეთის მიერ ამერიკისთვის ალასკის მიყიდვა, 1890 წელს ბრიტანეთის მიერ ჰელგოლანდის დათმობა გერმანიისთვის ზანზიბარის ნაცვლად, 1971 წელს შეერთებული შტატების მიერ გედის კუნძულების ჰონდურასისთვის გადაცემა.¹⁹⁵

¹⁹³ Shaw M., *International Law*, 6th edition, Cambridge University Press, Cambridge, 2008, 498.

¹⁹⁴ მალანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, თბილისი, 2005, 172.

¹⁹⁵ იქვე.

4.3. ოკუპაცია TERRA NULLIUS

ოკუპაცია **Terra Nullius** გულისხმობს იმ ტერიტორიის დაკავებას, რომელიც არცერთი სახელმწიფოს კუთვნილება არ არის. ტერიტორია შეიძლება არ ეკუთვნოდა რომელიმე სახელმწიფოს ან მიტოვებულ იქნა წინა სუვერენის მიერ. თანამედროვე მსოფლიოში არ მოიძებნება ტერიტორია, რომლის სტატუსიც უტოლდება **Terra Nullius**. უმეტესი დავები ტერიტორიების შესახებ დაკავშირებულია გასულ საუკუნესთან, როდესაც ტერიტორიების მოპოვება სწორედ ოკუპაციის გზით ხდებოდა.¹⁹⁶

ტერიტორია ოკუპირებულად შეიძლება ჩაითვალოს მასზე რეალური (ეფექტური) კონტროლის განხორციელების შემთხვევაში. მე-17 საუკუნეში, როდესაც დაუკავებელი ტერიტორიები იქნა აღმოჩენილი, რეალური კონტროლის განმარტება უფრო ფართო და თავისუფალი იყო. ტერიტორიის აღმოჩენა აძლევდა სახელმწიფოებს სანაყის უფლებას აღნიშნულ ტერიტორიაზე და სხვა სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლება მისი ოკუპაციის.

საერთაშორისო სამართლის განვითარებასთან ერთად შეიცვალა მიდგომები, თუმცა ამ პირობებშიც კი რეალური კონტროლი შეფარდებითი კონცეფციაა, ის შეიძლება შეიცვალოს იმის გათვალისწინებით, თუ როგორია შესაბამისი ტერიტორიის ბუნება.¹⁹⁷

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე არის დასავლეთ საჰარას საქმე (**Western Sahara Case**), რომელიც განიხილა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ. აუცილებელი იყო იმ ფაქტის დადგენა, იყო თუ არა დასავლეთ საჰარა კოლონიზაციის პროცესის დროს **Terra Nullius**. სასამართლომ დაადგინა, რომ კოლონიზაციის პერიოდში არსებული ტერიტორიები, სადაც ცხოვრობდა კონკრეტული ტომი, თემი ან ხალხი, არ წარმოადგენდა **Terra Nullius**-ის სტატუსის მქონე ტერიტორიას.

Eastern Greenland-ის საქმეში განხილული იქნა სადავო ტერიტორიის სტატუსი 1931 წლის 10 ივლისის მდგომარეობით,

¹⁹⁶ იქვე, 173.

¹⁹⁷ იქვე.

როდესაც ნორვეგიამ ოკუპაცია გამოაცხადა. ნორვეგია ამტკიცებდა რომ ოკუპაციის მომენტისთვის აღნიშნული ტერიტორია Terra Nullius-ს წარმოადგენდა. დანია ამტკიცებდა, რომ კანონიერი უფლება მის სასარგებლოდ დიდი ხნით ადრე არსებობდა მთელ გრენლანდიაზე სახელმწიფო სუვერენიტეტის გამოვლენის საფუძველზე.¹⁹⁸ სასამართლომ გადაწყვეტილების მიღების დროს მხედველობაში მიიღო 1921-1931 წლებში სახელმწიფო სავაჭრო მონოპოლიის აღსრულება, წიაღისეულის მოპოვება და სხვა კონცესიების გაცემა, სამთავრობო ფუნქციებისა და ადმინისტრირების განხორციელება და სხვა მრავალი ხელშეკრულების დადება, რომელთა გათვალისწინებით დანიის უფლება გრენლანდიაზე ამკარა იყო. შესაბამისად, ნორვეგიის ოკუპაცია უკანონო და ბათილი იყო, რამდენადაც დანიამ ნორვეგიის მიერ ოკუპაციამდე 10 წლით ადრე, საკმარისად გამოავლინა და განახორციელა თავისი სუვერენული უფლებები სუვერენიტეტზე კანონიერი უფლების შესაქმნელად.¹⁹⁹

1959 წლამდე რამდენიმე სახელმწიფო აცხადებდა პრეტენზიას ანტარქტიდის ტერიტორიაზე, თუმცა ის არ ხვდებოდა არცერთი სახელმწიფოს რეალური კონტროლის ქვეშ. 1959 წელს დადებული იქნა ხელშეკრულება ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს შორის, სადაც განისაზღვრა, რომ ხელშეკრულება არ შეწყდებოდა პირველი 30 წელი. ასევე გაიწერა ანტარქტიდაზე მოძრაობისა და სამეცნიერო კვლევის თავისუფლების შესახებ დებულებები. იკრძალებოდა ტერიტორიის სამხედრო მიზნებისთვის გამოყენება. ასევე გათვალისწინებული იქნა ანტარქტიდაზე არსებული რესურსებისა და გარემოს დაცვის დებულებები.²⁰⁰

¹⁹⁸ ბრაუნლი ი., საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები, მეშვიდე გამოცემა, საია, თბილისი, 2010, 154.

¹⁹⁹ იქვე, 155.

²⁰⁰ მალანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, თბილისი, 2005, 173.

4.4. დაპყრობა

ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, ომში დამარცხებული სახელმწიფო ხელშეკრულების საფუძველზე უთმობდა გამარჯვებულ სახელმწიფოს ტერიტორიას, თუმცა საერთაშორისო სამართალი მხოლოდ დაპყრობის ფაქტსაც (ხელშეკრულების გარეშეც) მიიჩნევს ტერიტორიაზე უფლების წარმოშობის საფუძველად. მიუხედავად ამისა, ომის მიმდინარეობის პროცესში დაპყრობა უკანონოდ მიიჩნეოდა, ხოლო ომის დასრულების შემდგომ საზავო ხელშეკრულების დადების შედეგად ტერიტორია გადაეცემოდა გამარჯვებულ მხარეს. ამ დებულებიდან გამომდინარე, მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის მიერ პოლონეთის დაპყრობა უკანონო იყო, რადგან პოლონეთის მოკავშირეები აგრძელებდნენ გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლას.²⁰¹

ნიურბერგის ტრიბუნალმა გააკეთა განაცხადი გერმანიის მიერ 1939-1940 წლებში ანექსირებულ ტერიტორიებთან მიმართებით. ტრიბუნალის განცხადებით, ომის დასრულებამდე ანექსირებულ ტერიტორიები არ იყო ლეგიტიმური და ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს.²⁰²

დაპყრობის დროს აუცილებლად გამოვლენილი უნდა იყოს დაპყრობის განზრახვა. 1945 წელს მოკავშირეებმა პირდაპირ უარყვეს გერმანიის დაპყრობის განზრახვა, მიუხედავად იმისა, რომ მათ დაკავებული ჰქონდათ გერმანიის მთელი ტერიტორია და დაამარცხეს მისი მოკავშირეები.²⁰³

მე-19 საუკუნეში ჩვეულებითი სამართლის ნორმები არ კრძალავდა ომის შედეგად გარკვეული ტერიტორიების დაპყრობას, თუმცა საერთაშორისო სამართალმა გარკვეული ცვლილებები განიცადა მე-20 საუკუნეში, როდესაც უამრავი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი იქნა მიღებული ომის წარმოების მეთოდებთან დაკავშირებით. ეს საკითხი განსაკუთრებით განმტკიცდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გაეროს წესდებაში, სადაც ძალის გამოყე-

²⁰¹ იქვე, 175.

²⁰² O'Connell D.P., *International Law*, 2nd Edition, London, 1970, 436.

²⁰³ Oppenheim L., *International law*, 7th ed. By H. Lauterpacht, Vol. I Peace: Longmans, Green & Co., 1948, 699-700.

ნება საერთაშორისო სამართლის დარღვევად განისაზღვრა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.²⁰⁴

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების თანახმად, აგრესორ სახელმწიფოს არ შეუძლია მოიპოვოს უფლება ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს კუთვნილი ტერიტორიის დაპყრობით. სტიმსონის დოქტრინის თანახმად, მსგავსი დაპყრობა არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა სახელმწიფოების მიერაც. 1931 წელს იაპონიამ შექმნა მანჯუკუოს მარიონეტული სახელმწიფო მანჯურიაში, რომელიც მანამდე ჩინეთის ნაწილი იყო. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა სტიმსონმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა არ აღიარებდა აგრესიის შედეგად შექმნილ მდგომარეობას.²⁰⁵

1970 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც, ტერიტორიის მოპოვება მუქარის ან ძალის გამოყენებით, არ შეიძლება კანონიერად იქნეს აღიარებული. აღნიშნული დებულება სახელმწიფოებისთვის წარმოშობს აღიარებაზე უარის თქმის ვალდებულებას, მსგავსი ფაქტის არსებობის შემთხვევაში.

1990 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს 662-ე რეზოლუციის თანახმად, საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ერაყის მიერ ქუვეითის ანექსია იყო უკანონო და ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. გაერომ მოუწოდა ყველა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციას არ ელიარებინა ერაყის უფლება ქუვეითის ტერიტორიაზე და თავი შეეკავებინათ ყველა ისეთი მოქმედებისგან, რომელიც მიჩნეული იქნებოდა აღიარებად.²⁰⁶

ტერიტორიის დაპყრობის გზით მოპოვების ამკრძალავი ნორმები მხოლოდ საერთაშორისო კონფლიქტებზე ვრცელდება და არა

²⁰⁴ მალანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, თბილისი, 2005, 176.

²⁰⁵ McNair A.N.D., *The Stimson Doctrine of Non-recognition*, 1993, 65-74.

²⁰⁶ *The Kuwait Crisis – Basic Documents*, eds. Lauterpacht E., Greenwood C., Weller M., Bethlehem D., Cambridge, 1991, 90.

სამოქალაქო ომებზე. ამის მაგალითია, 1956-1962 წლებში ალჟირში განვითარებული მოვლენები, 1993 წელს ერიტრეის ეთიოპიისგან დამოუკიდებლობის მოპოვება და ა.შ.

4.5. ხანდაზმულობა

ხანდაზმულობა გულისხმობს უფლების იმ ხარვეზების აღმოფხვრას, რომლებიც წარმოიშობა სხვისი სუვერენიტეტის უზურპაციისგან ყოფილი სუვერენის თანხმობის ან დათმობის გზით. ამ პრინციპის გამართლება ეფუძნება კეთილსინდისიერების, უფლების დამკარგავი მხარის მიერ უფლებების ნაგულისხმევი ნებაყოფლობითი დატოვების და საერთაშორისო წესრიგისა და სტაბილურობის დაცვის საჭიროებების მოსაზრებებს.²⁰⁷

ოკუპაციის მსგავსად, ხანდაზმულობა ეფუძნება რეალურ კონტროლს და თან უნდა ახლდეს სუვერენად ყოფნის განზრახვა. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ისაა, რომ ხანდაზმულობით ხორციელდება სხვა სახელმწიფოს კუთვნილი ტერიტორიის მოპოვება, ხოლო ოკუპაციის დროს Terra Nullius-ის მოპოვება.²⁰⁸

რეალური კონტროლის განხორციელება უნდა მოხდეს იმ კონკრეტული სახელმწიფოს თანხმობით, რომელმაც დაკარგა ეს ტერიტორია. თუ არსებობს კონკრეტული პროტესტი ან მსგავსი განცხადება, რომელიც ადასტურებს თანხმობის არარსებობას, ეს არის საფუძველი ხანდაზმულობის გზით ტერიტორიის უფლების მოპოვებაზე უარისა.

4.6. თანხმობა დუმილით, აღიარება და ესტოპელი

თანხმობა დუმილით, აღიარება და ესტოპელი მნიშვნელოვანი ელემენტებია ტერიტორიის მოპოვებაში, თუმცა ისინი პირდაპირი

²⁰⁷ ბრაუნლი ი., საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები, მე-7 გამოცემა, საია, თბილისი, 2010, 164.

²⁰⁸ მალანჩუკი პ., აკეპარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, თბილისი, 2005, 174.

ფორმით არ წარმოადგენენ ტერიტორიის მოპოვების ფორმებს. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეს შეუძლია დაასაბუთოს სადავო ტერიტორიაზე კონტროლის განხორციელება, საერთაშორისო სასამართლო საქმეს იმ მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტს, რომელსაც შეუძლია დაამტკიცოს, რომ მისი უფლება აღიარა სხვა მოსარჩელემ. ასეთი აღიარება შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი განცხადებით ან დუმილით.²⁰⁹

რაც შეეხება ესტოპელს, ის ინგლისური კანონმდებლობის ტექნიკური ნორმაა. ერთი მხარის მიერ ფაქტის განცხადების შემდგომ, მეორე მხარე ამ ფაქტზე დაყრდნობით აგებს შემდგომ მოქმედებებს, ხოლო სასამართლო პირველ მხარეს არ აძლევს უფლებას უარყოს მის მიერ გაკეთებული განცხადება, თუ ამ ფაქტების ბათილად აღიარება ზიანს მიაყენებს მეორე მხარეს. საერთაშორისო სასამართლო აღნიშნული პრინციპის ინტერპრეტირება გულისხმობს, რომ სახელმწიფოს, რომელმაც ერთხელ აღიარა მეორე სახელმწიფოს უფლება გარკვეულ ტერიტორიაზე, არ მიეცემა ამ უფლების უარყოფის საშუალება.²¹⁰

დიდი ყურის საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ ზიანის ელემენტი განასხვავებს ესტოპელს დუმილით თანხმობისგან, ანუ ზიანი წარმოადგენს ესტოპელის, მაგრამ არა დუმილით თანხმობის აუცილებელ ელემენტს, თუმცა ორივე კონცეფცია „კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის ფუნდამენტური პრინციპებიდან“ გამომდინარეობს.²¹¹

ტაილანდისა და კამბოჯას შორის დავაში, რომელიც ეხებოდა ორ სახელმწიფოს შორის საზღვრის ნაწილში მდებარე პრი ვიეარის ტაძარს, საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ სიამის ხელისუფალნი მრავალი წლის მანძილზე აცხადებდნენ თანხმობას, რაც გამოიხატებოდა ერთობლივი კომისიის მიერ 1908 წელს შექმნილ

²⁰⁹ იქვე, 179.

²¹⁰ McNaire L. The law of Treaties, Oxford University Press, 1961, 485.

²¹¹ მალანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2005, 179.

რუკაში, რომლის თანახმადაც ტაძარი კამბოჯას მხარეს მოხვდა. აღნიშნულ რუკაზე პრეტენზია ტაილანდს არასოდეს გამოუხატავს.

თანხმობისა და აღიარების ინსტიტუტი გადამწყვეტი ელემენტია ხანდაზმულობის შემთხვევაში, მაგრამ ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტერიტორიის მოპოვების სხვა ფორმებისთვისაც. აღმოსავლეთ გრენლანდიის საქმეში ნორვეგია აცხადებდა, რომ ეს ტერიტორია ოკუპაციის გზით მოიპოვა, თუმცა სანამ მასზე ნორვეგია განაცხადებდა პრეტენზიას, მანამდე დანია ახორციელებდა რეალურ კონტროლს. ნორვეგიამ აღნიშნული საქმე წააგო და საბოლოოდ თავისი ქმედებებით აღიარა დანიის უფლება მთელ გრენლანდიაზე.

5. ტერიტორიაზე უფლების ბანსხვავებული რეჟიმები

წინამდებარე თავის პირველი ნაწილი მთლიანად ეთმობა სახელმწიფო ტერიტორიაზე სრულ ან განსაკუთრებულ სუვერენიტეტს. არსებობს შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოები უფრო მცირე უფლებებით სარგებლობენ ტერიტორიაზე.

შეთანხმების საფუძველზე ორ სახელმწიფოს აქვს უფლება განახორციელოს ერთობლივი სუვერენიტეტი გარკვეულ ტერიტორიაზე, რასაც კონდომინიუმი (თანამფლობელობა) ეწოდება. ამის მაგალითია წყნარი ოკეანის ახალი ჰებრიდის კუნძულები (ვანუატუ), რომელიც 1980 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ფრანგულ-ინგლისური კონდომინიუმი იყო.

არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო საკუთარ ტერიტორიას იჯარით გადასცემს სხვა სახელმწიფოს, რაც სუვერენიტეტის დროებითი დათმობაა იმ ვადით, რა ვადითაც დაიდო იჯარა. ჩინეთსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის 1984 წელს დადებული შეთანხმების საფუძველზე ჰონკონგის ბრიტანული კოლონიის ნაწილს გაერთიანებული სამეფო ფლობდა 1997 წლამდე.²¹²

²¹² Goodlad A., Hong Kong: Britain's Legacy, China's Inheritance, The World Today 50, 1994, 112-115.

ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება სახელმწიფოს მიენიჭოს უფლება, მართოს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი. 1878 წლის ბერლინის ხელშეკრულებით გაერთიანებულ სამეფოს მიენიჭა უფლება, ემართა თურქეთის კუნძული კვიპროსი.

ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს სასარგებლოდ ტერიტორიული უზენაესობის შეზღუდვას სერვიტუტი ეწოდება. საერთაშორისო სერვიტუტის სამი სახე არსებობს:²¹³

- ეკონომიკური სერვიტუტი, რომელიც შეიძლება იყოს ტრანზიტის, ტერიტორიის იჯარით აღება ეკონომიკური დანესებულებებისთვის, სახელმწიფო კონცესიები და სხვა.
- სტრატეგიული სერვიტუტი, რომელიც გულისხმობს ნეიტრალიზებულ და დემილიტარიზებულ ტერიტორიებს, გეროს შეიარაღებული ძალების ტრანზიტს, გეროს შეიარაღებული ძალების დროებით ბაზებს და სხვა.
- პოლიტიკური სერვიტუტი, რომელიც გამოიხატება ტერიტორიებისა და შენობის იჯარით გადაცემა დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებისთვის და სხვა.

საერთაშორისო სერვიტუტები შეიძლება არსებობდეს არა მხოლოდ ერთი სახელმწიფოს სასარგებლოდ, არამედ რამდენიმე სახელმწიფოსთვისაც. აღნიშნული ინსტიტუტი მნიშვნელოვანია მდინარეებთან და არხებთან მიმართებით. 1888 წელს ხელმოწერილმა კონსტანტინოპოლის კონვენციამ, რომელსაც ხელს აწერდა 10 სახელმწიფო, სუეცის არხი გამოაცხადა ყველა სახელმწიფოს გემებისათვის ღიად. ანალოგიური წესი იქნა გამოყენებული პანამის არხთან დაკავშირებით შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და პანამას შორის 1901 და 1903 წლებში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.²¹⁴

²¹³ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010, 288.

²¹⁴ Hartwig M., Panama Canal, EPIL 12, 1990, 282-290.

თავი VIII.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საერთაშორისო სამართალში

1. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ცნება და ბუნება

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა არის საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისოსამართლებრივი სისტემის ბუნებიდან და სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და თანასწორობის დოქტრინებიდან.²¹⁵ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის კონცეპტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს იმის დადგენა, ჩაიღინა თუ არა სახელმწიფომ სამართალდარღვევა, რომლისთვისაც პასუხი უნდა აგოს, რა სამართლებრივი შედეგები გამოიწვია სახელმწიფოს ქმედებამ და რა სახით უნდა დაეკისროს მას პასუხი?²¹⁶ რიგ შემთხვევებში, სიტყვა „პასუხისმგებლობა“-ს ნაცვლად, გამოიყენება „ვალდებულება“, რაც კომპენსაციის გადახდის მოვალეობას გულისხმობს. თუმცა, ასევე, შესაძლოა იგულისხმებოდეს სახელმწიფოს მოვალეობაც, რომელიც სახელმწიფოს ისეთი საქმიანობის შედეგად ჩნდება, რომელსაც ზიანის მომტან შედეგებამდე მივყავართ, მაგრამ აღნიშნული საერთაშორისო სამართლით, აკრძალული არ არის.²¹⁷

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის საკითხების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს დავების დიპლომატიური მოლაპარაკების გზით მოგვარების და გაეროს უშიშროების საბჭოს ან გენერა-

²¹⁵ Crawford J., *The International Law Commission's Articles on State Responsibility*, Cambridge, 2002.

²¹⁶ მალანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2005, 283.

²¹⁷ იქვე.

ლური ასამბლეის რეზოლუციების კონტექსტში. მსგავსი პოლიტიკური კონტექსტის გარდა, პასუხისმგებლობის ან/და ანაზღაურების შესახებ საკითხს წყვეტენ სასამართლო ორგანოები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერ-ამერიკული სასამართლო, საარბიტრაჟო სასამართლოები და სხვა.²¹⁸

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის ძირითადი დამახასიათებელი ფაქტორებია:

- ორ სახელმწიფოს შორის არსებული საერთაშორისოსამართლებრივი ვალდებულებების არსებობა;
- ქმედება, რომელმაც გამოიწვია აღნიშნული ვალდებულებების დარღვევა;
- ქმედების შედეგად დამდგარი ზიანი.²¹⁹

აღნიშნული ფაქტორები კარგად არის ჩამოყალიბებული სხვადასხვა სასამართლოთა გადანყვეტილებებსა და განცხადებებში. საქმეზე “Spanish Zone of Morocco Claims” მოსამართლე ჰუბერის მოსაზრებით, პასუხისმგებლობა უფლების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. საერთაშორისო ხასიათის ყველა უფლებას თან ახლავს საერთაშორისო პასუხისმგებლობა. თუ მოცემული ვალდებულება არ შესრულდება, პასუხისმგებლობას ანაზღაურების ვალდებულება მოჰყვება.²²⁰

საქმეზე “Chorzow Factory”²²¹ სასამართლო აღნიშნავდა, რომ საერთაშორისო სამართლის პრინციპები ითვალისწინებდა ადეკვატურ ანაზღაურებას ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. ანაზღაურება კონვენციის გამოუყენებლობის განუყოფელი დანა-

²¹⁸ ბრაუნლი ი., საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები, მე-7 გამოცემა, საია, თბილისი, 2010, 475-476.

²¹⁹ Shaw M., *International Law*, 6th Edition, Cambridge University Press, Cambridge, 2008, 781.

²²⁰ The Spanish Zone of Morocco Case, Extract from the Yearbook of the International Law Commission, 1964, Vol II, იხ., <https://legal.un.org/ilc/documentation/english/a_cn4_169.pdf> [01.02.2023]

²²¹ Chorzow Faactory Case, 26/07/1926, იხ., <<https://www.icj-cij.org/en/pcij-series-a>> [01.02.2023]

მატია და არ არსებობს ამის თვით კონვენციაში გაცხადების აუცილებლობა.²²²

საქმეზე “Corfu Channel”²²³ დადგინდა, რომ ალბანეთი პასუხისმგებელი იყო მისი ტერიტორიული წყლების დანაღმვის შედეგად გამოწვეულ ზიანსა და საფრთხეზე, შესაბამისად, ის ვალდებულია, კომპენსაცია გადაუხადოს გაერთიანებულ სამეფოს.

საერთაშორისო სამართლის კომისიის მიდგომამ, რომლის შესწავლის ერთ-ერთ ძირითად საგანს სწორედ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წარმოადგენდა, დროთა განმავლობაში აბსტრაქტული და რთული ხასიათი მიიღო. 1956-1961 წლებში გაკეთებული მოხსენებები ძირითადად ეხებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ან საკუთრებისთვის მიყენებული ზიანის შედეგად გამოწვეულ პასუხისმგებლობას. 1962-1963 წლებში კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, პასუხისმგებლობის საკითხის შესწავლა და განხილვა დაიწყო საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების დარღვევებისთვისაც.²²⁴

1975 წელს კომისიამ შეიმუშავა ზოგადი მუხლობრივი პროექტი, სადაც საუბარი იყო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საწყისებზე, შინაარსზე, ფორმასა და ხარისხზე, ასევე იმპლემენტაციისა და დავების მოგვარებაზე.

კომისიის მოხსენებების საფუძველზე, 1980 წელს შემუშავდა პროექტის პირველი ნაწილი, რომელიც 35 მუხლისგან შედგება და ამომწურავად ეხება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საფუძვლებს. 1996 წელს დამტკიცდა მეორე ნაწილიც, რომელიც ეხებოდა პასუხისმგებლობის „შინაარსს, ფორმასა და ხარისხს“.

აღსანიშნავია, რომ პრობლემების გამარტივება და ობიექტური პასუხისმგებლობისა და განზრახვის შესახებ ზოგად თეო-

²²² The Spanish Zone of Morocco Case, Extract from the Yearbook of the International Law Commission, 1964, Vol. II, იხ., <https://legal.un.org/ilc/documentation/english/a_cn4_169.pdf> [01.02.2023]

²²³ Corfu Channel Case (UK and Northern Ireland v. Albania), 25/03/1948, იხ., <<https://www.icj-cij.org/en/case/1>> [01.02.2023]

²²⁴ მალანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2005, 284.

რიებზე მეტისმეტი დამოკიდებულება, კონკრეტული საკითხების მოგვარების ნაკლებ მოხერხებულობაში გამოიხატება. სახელმწიფოთა შორის დავების დროს, ბევრი რამ არის დამოკიდებული მტკიცების ტვირთის დაკისრებაზე, მტკიცებითი სამართლის პრინციპების მოქმედებაზე, თანხმობასა და საპროცესო აცილებების არსებობაზე, ასევე, სახელშეკრულებო დებულებების ზუსტ ბუნებაზე. როგორც ასეთი, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შედეგია კომპენსაციის გადახდის ვალდებულება, თუმცა ეს უკანასკნელი არ არის მისი თანმხვედრი.²²⁵

არსებობს თეორიები იმის თაობაზე, რამდენად მკაცრი შეიძლება იყოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა უკანონო ქმედების გამო ან აუცილებელია თუ არა, შესაბამისი თანამდებობის პირის ბრალის ან განზრახვის გამოვლენა. ობიექტური პასუხისმგებლობის პრინციპის (ე.წ. „რისკის“ თეორია) თანახმად, მას შემდეგ რაც განხორციელდა უკანონო ქმედება, რომელმაც გამოიწვია ზიანი, აღნიშნული სახელმწიფო უდავოდ პასუხისმგებელია მეორე სახელმწიფოს წინაშე მიყენებული ზიანისთვის. ამ თეორიის საპირისპიროდ, სუბიექტური პასუხისმგებლობის კონცეფცია („ბრალის“ თეორია) ხაზს უსვამს, რომ დაინტერესებული პირის მხრიდან განზრახ ან გაუფრთხილებლობის ელემენტის არსებობა აუცილებელი პირობაა სახელმწიფოს პასუხისმგებლობისთვის.²²⁶ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხზე მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიდგომა განსხვავდება, უმეტესობა მათგანი ემხრობა ობიექტური პასუხისმგებლობის თეორიას.

ობიექტური პასუხისმგებლობის თეორიას დაეყრდნო 1923 წელს მექსიკასა და ამერიკის შეერთებული შტატებს შორის კონვენციის საფუძველზე შექმნილი კომისია საქმეებზე “*Neer*”²²⁷ და

²²⁵ ბრაუნლი ი., საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები, მე-7 გამოცემა, საია, თბილისი, 2010, 47.

²²⁶ Shaw M., *International Law*, 6th Edition, Cambridge University Press, Cambridge, 2008, 783.

²²⁷ L.F.H. Neew and Pauline Neer (USA) v. United Mexica States, 15/10/1926, იბ., https://legal.un.org/riaa/cases/vol_IV/60-66.pdf [01.02.2023]

“Roberts”²²⁸, ასევე, ფრანკო-მექსიკური საპრეტენზიო კომისია საქმეზე “Caire”²²⁹. აღნიშნულ საქმეებზე, კომისიის მიერ დადგინდა, რომ სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა მისი თანამდებობის პირების ან ორგანოების მიერ ჩადენილი ყველა ქმედებისთვის, რომელიც საერთაშორისო სამართლის თანახმად, დელიქტურია, მიუხედავად იმისა, ოფიციალური ორგანო თავის კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებდა თუ მისი გადამეტებით. თუმცა მნიშვნელოვანია დადგინდეს ისიც, რომ უფლებამოსილ თანამდებობის პირებს ან ორგანოებს მოქმედებისას გამოეყენებინათ მათი ოფიციალური ხასიათისთვის შესაფერისი ძალაუფლება ან ზომები.²³⁰

სუბიექტური პასუხისმგებლობის თეორია გამოყენებული იქნა საქმეზე “Home Missionary Society”²³¹, სადაც არბიტრაჟმა მიუთითა საერთაშორისო სამართლის დამკვიდრებულ პრინციპზე, რომლის თანახმადაც, არცერთ მთავრობას არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა აჯანყებული ჯგუფების მიერ მისი ნების სანინა-აღმდეგოდ ჩადენილი ქმედებებისთვის, როდესაც თვითონ სახელმწიფოს ბრალი არ მიუძღვის კეთილსინდისიერების დარღვევასა ან დაუდევრობაში აჯანყების ჩახშობისას. ციტირებული გადანყვეტილება შეეხება ქვეყნის სტანდარტს, რომელსაც კანონი ითხოვს კონკრეტულ კონტექსტში, მაგალითად, მოთხოვნები აჯანყების, კერძო პირების და ა.შ. შედეგად გამოწვეული დანაკარგების შესახებ.²³²

ის ფაქტი, რომ თანამდებობის პირის ქმედებას თან ახლავს მისი მხრიდან დანაშაულებრივი, ზიანის მიყენების განზრახვა, გავლენას

²²⁸ Harry Roberts (USA) v. United Mexican States, 2/11/1926, იხ., <https://legal.un.org/riaa/cases/vol_IV/77-81.pdf> [01.02.2023]

²²⁹ Gustave Caire (France) v. United Mexican States, 13/06/1929, იხ., https://legal.un.org/riaa/cases/vol_V/540_Caire.pdf [01.02.2023]

²³⁰ ბრაუნლი ი., საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები, მე-7 გამოცემა, საია, თბილისი, 2010, 481.

²³¹ Home Frontier and Home Misssionary Society of the United Brethren in Christ (USA) v. Great Britain, 18/12/1920, იხ., <https://legal.un.org/riaa/cases/vol_VI/42-44_Brethren.pdf> [01.02.2023]

²³² ბრაუნლი ი., საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები, მე-7 გამოცემა, საია, თბილისი, 2010, 481.

არ ახდენს მისი სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე, მიუხედავად იმისა, კანონი კრძალავს თუ არა ქმედებას.

ღია ზღვის შესახებ 1958 წლის კონვენციის 22-ე მუხლი ითვალისწინებს სამხედრო გემების მიერ უცხო ქვეყნის სავაჭრო ხომალდების შემონმებას, იმ შემთხვევაში, თუ მეკობრეობის გონივრული ეჭვი არსებობს და სხვა – კონკრეტულ საქმიანობაში ეჭვის შესატანად.²³³ აღნიშნული კონვენციის მე-3 პუნქტის მიხედვით, „თუ ეჭვები უსაფუძვლო აღმოჩნდება და თუ შემონმებულ გემს არ ჩაუდენია მათი გამომწვევი რაიმე ქმედება, მას უნდა აუნაზღაურდეს ნებისმიერი დანაკარგი ან მიყენებული ზიანი“. შესაბამისად, ნორმა შესაძლოა ითვალისწინებდეს ისეთ შედეგებს, რომელიც ითვალისწინებს კომპენსაციას ისეთი ქმედებებისთვის, რომელიც არ არის უკანონო.²³⁴

სახელმწიფოთა მხრიდან ვალდებულების თითოეული დარღვევა უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული და კონკრეტულ შედეგზე ორიენტირებული, რადგან მოცემულ შემთხვევებში, აქცენტი ყოველ სიტუაციაში „შესაფერის ქცევაზე“ კეთდება.

საერთაშორისო სამართალში შემუშავებულ იქნა საერთაშორისო უსაფრთხოების მინიმალური ზომები, რაც უცხო ქვეყნის მოქალაქის დასაცავად გამოიყენება.²³⁵ დღესდღეობით, არცერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამთავრობო საქმიანობის განხორციელება ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე.²³⁶ საერთაშორისო უსაფრთხოების მინიმალური ზომების შეუსრულებლობის შემთხვევაში დგება საერთაშორისო პასუხისმგებლობა.²³⁷ ასეთ შემთხვევებში, დაზარალებული მოქა-

²³³ სირაძე ე., შიდა და საერთაშორისო ნორმათა კოლიზია სანაპირო სახელმწიფოს მიერ ტერიტორიულ წყლებში იურისდიქციის განხორციელების დროს, თბილისი, 2010, 5.

²³⁴ „საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს 1982 წლის კონვენცია, პუნქტი 3, იბ., <<http://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/International-Convention/>> [01.02.2023]

²³⁵ Arnold R., Atiens, EPIL 1, 1992, 102.

²³⁶ Akehurst M, Jurisdiction in International Law, BYIL 46, 1972, 145.

²³⁷ Geek W.K, Diplomatic Protection, EPIL 1, 1992, 67.

ლაქის მშობლიურ სახელმწიფოს შეუძლია დიპლომატიური დაცვის უფლების გამოყენება, დიპლომატიური გზების მეშვეობით სარჩელის აღძვრა პასუხისმგებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, კომპენსაციის ან სხვა სატისფაქციის მისაღებად. როგორც წესი, მითითებული საკითხის მოგვარება დიპლომატიური მოლაპარაკებების შედეგად წყდება, თუმცა, ეს უკანასკნელი არ გამორიცხავს ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში, საქმე არბიტრაჟს ან სასამართლო ორგანოს მეშვეობით გადაწყდეს.²³⁸ მოპასუხე სახელმწიფოს მოვალეობის წარმოშობა ხდება არა დაზარალებული პირის მიმართ, არამედ ამ პირის სახელმწიფოს მიმართ.²³⁹ დაზარალებული პირის სახელმწიფოს აქვს უფლება, თანხმობა განაცხადოს სარჩელის სამართლიან ანაზღაურებაზე. ამასთან, დაზარალებული სახელმწიფო არ არის ვალდებული, მიღებული კომპენსაცია გადაუხადოს თავის მოქალაქეს, თუმცა, რეალურად კომპენსაციის გადახდა მაინც ხდება. შესაბამისად, დაზარალებული მოქალაქე თავისი სახელმწიფოს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. აღნიშნული საკითხი კარგად არის წარმოჩენილი საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქმეზე “Barcelona Traction”²⁴⁰, სადაც განიმარტა, რომ „საერთაშორისო სამართლით დადგენილი საზღვრების დაცვით სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს დიპლომატიური დაცვის უფლება იმ მოცულობითა და საშუალებებით, რომლებსაც თავად მიიჩნევს მიზანშეწონილად... სახელმწიფო ერთპიროვნულად წყვეტს, დაიცავს თუ არა თავის მოქალაქეს, ან რა საშუალებით დაიცავს... საუბარია სახელმწიფოს დისკრეციულობაზე, რომელიც დამოკიდებულია პოლიტიკურ თუ სხვა სახის მოსაზრებებზე“.²⁴¹

მიუხედავად აღნიშნულისა, პიროვნება ყურადღების გარეშე მაინც არ რჩება. კომპენსაცია, რომელსაც მოსარჩელე სახელმწი-

²³⁸ მალანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2005, 286.

²³⁹ იქვე.

²⁴⁰ Case Concerning Barcelona Traction, Light, and Power Company, Ltd, Belgium versus Spain, Judgements of July 24, 1964. იხ., <<https://www.icj-cij.org/en/case/50/judgments>> [01.02.2023]

²⁴¹ იქვე.

ფო იღებს, გამოითვლება იმ ზარალის მიხედვით, რომელიც პირს მიადგა და არა მოსარჩელე სახელმწიფოს, თუმცა ეს უკანასკნელიც ყოველთვის არ სრულდება, კერძოდ, საქმეზე „I'm Alone“²⁴², ბრიტანული გემი, რომელიც ამერიკაში სპირტიანი სასმელების კონტრაბანდას ეწეოდა, ამერიკამ ჩაძირა. საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ გემის ჩაძირვა უკანონო ქმედება იყო, თუმცა მოპასუხე მხარეს არ დაეკისრა ზარალის ანაზღაურება, რადგან მისი გემი ამერიკის მოქალაქეების საკუთრება იყო და კონტრაბანდის გადასატანად გამოიყენებოდა. შეერთებულ შტატებს დიდი ბრიტანეთისთვის ბოდიშის მოხდა და 25 000 აშშ დოლარის გადახდა დაევალა, იმისათვის, რომ ამ უკანასკნელეზის მხრიდან განხორციელდა ბრიტანული ალმის უპატივცემულობა და აღნიშნულ ნაწილში დაექვემდებარა კომპენსაციას.²⁴³

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ასევე ის ფაქტი, რომ სახელმწიფო პასუხს აგებს მხოლოდ საკუთარ ქმედებასა და შეცდომებზე, რომელშიც იგულისხმება სამთავრობო ორგანოები. კერძო პირის მიერ ჩადენილ დანაშაულზე სახელმწიფო არ არის პასუხისმგებელი.²⁴⁴ ამ მხრივ, ერთადერთი გამონაკლისია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, როდესაც ჩადენილი ქმედება ეკუთვნის სახელმწიფოს პასუხისმგებელ თანამდებობის პირს.²⁴⁵ სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ხშირად სახელმწიფოა პასუხისმგებელი იმ ქმედებებზე, რომელიც მისმა თანამდებობის პირმა ჩაიდინა ინსტრუქციების გადაჭარბების ან დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, როდესაც იგი

²⁴² Hyde C.C., *The Adjustment of the „I'm Alone“ Case*, *American Journal of International Law*, Vol. 29, No. 2, 1935, 296-301, <<https://www.jstor.org/stable/2190495?origin=crossref&seq=1>> [01.02.2023]

²⁴³ მალანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2005, 286.

²⁴⁴ Sperduti G., *Responsibility of States for Activities of Private Law Persons*, *EPIL* 10, 1987, 373.

²⁴⁵ Bedjaoui M., *Responsibility of States, Fault and Strict Liability*, *EPIL* 10, 1987, 358-362.

ბოროტად იყენებდა სახელმწიფოს მიერ მინიჭებულ ძალაუფლებასა და მექანიზმებს.²⁴⁶

2. სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის სახემები

განასხვავებენ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის სახეებს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. უკანონო ქმედების ჩამდენი სუბიექტის მიხედვით საერთაშორისო სამართალში გვხვდება სახელმწიფოს **პირდაპირი** და **არაპირდაპირი** პასუხისმგებლობა.²⁴⁷ პირდაპირი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მთავრობის ან მის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ჩადენილი ქმედებიდან მომდინარეობს. არაპირდაპირი პასუხისმგებლობა კი, სახელმწიფოს აგენტების ან მოქალაქეებისგან მომდინარეობს და სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელების მიერ ჩადენილი არაუფლებამოსილი ქმედებებიდან.²⁴⁸

ზემოაღნიშნულის გარდა, განასხვავებენ მატერიალურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, რომლებიც თავის მხრივ, მოიცავენ რეპარაციას, რესტიტუციას, სატისფაქციასა და საერთაშორისო-მართლებრივ სანქციებს.

მატერიალური პასუხისმგებლობა გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, აანაზღაუროს მის მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი, ხოლო **პოლიტიკური პასუხისმგებლობა** მოიცავს ყველა იმ სახის პასუხისმგებლობას, რომელსაც არ აქვს მატერიალური ხასიათი.

2.1. რეპარაცია

რეპარაციის საკითხთან დაკავშირებით პირველი მნიშვნელოვანი საქმე იყო “Chorzow Factory Case”, სადაც სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეპარაციამ შეძლებისდაგვარად მაქსი-

²⁴⁶ Thomas H. Youmans (U.S.A.) v. United Mexican States, 23 November 1926, Volume IV, 110-117, იხ., <https://legal.un.org/riaa/cases/vol_IV/110-117.pdf> [01.02.2023]

²⁴⁷ ბრაუნლი ი., საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები, მე-7 გამოცემა, საია, თბილისი, 2010, 478.

²⁴⁸ იქვე.

მალურად უნდა აღმოფხვრას უკანონო ქმედების ყველა შედეგი და ხელახლა აღადგინოს მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, მოცემული ქმედება რომ არ ჩაედინათ.²⁴⁹

აღნიშნული პრინციპი მოგვიანებით დადასტურებულ იქნა სხვა საქმეებზე, მათ შორის, “Gabcikovo-Nagymaros Project Case”²⁵⁰, “Genocide Convention Case” (Bosnia v. Serbia)²⁵¹ და სხვა.

რეპარაცია არის პასუხისმგებელი სახელმწიფოს ვალდებულება, მის მიერ ჩადენილი დარღვევის შედეგისთვის და არა დაზარალებული სახელმწიფოს უფლება. რეპარაციის ძირითადი ვალდებულება წარმოიშობა ავტომატურად, საერთაშორისო კანონდარღვევის ჩადენისას და არ არის როგორც, ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ მოთხოვნისა და პროტესტის პირობითი კონტექსტის გამოვლინება, თუნდაც სარჩელი, რომელიც მზადდება ამ გარემოებებში, დამოკიდებულია დაზარალებულ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა პასუხზე.²⁵²

გაეროს შესაბამისი კომიტეტის მიერ ზოგად რეკომენდაციამი განმარტებულ იქნა, რომ ტერმინი რეპარაცია გულისხმობს მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას.²⁵³ აუცილებელია, რომ დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით გამოყენებული ზომები იყოს ერთდროულად ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ეფექტის მქონე, შესაბამისად, კომპლექსურად უნდა იქნეს გამოყენებული რეპარაციის ყველა საჭირო საშუალება.²⁵⁴

²⁴⁹ PCIJ, Series A, N17, 1928, 47-48, see also Iranian Hostage Case, ICJ Reports, 1980, 3, 45.

²⁵⁰ ICJ Reports, 1997, 7, 80.

²⁵¹ ICJ Reports, 2007, para 460.

²⁵² Crawford J., *The international law Commissions Articles on State Responsibility*, Cambridge university press, 2002, 2.

²⁵³ Remedies and Sanctions in EC Non-discrimination Law: Effective, Proportionate and Dissuasive National Sanctions and Remedies, with Particular Reference to Upper Limits on Compensation to Victims of Discrimination (European Commission Directorate-General for Employment, Social Affairs and Equal Opportunities, June 2005), 22.

²⁵⁴ ძამაშვილი ბ., თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემშლელი გარემოებები საქართველოში, თბილისი, 2017, 51.

რეობის აღდგენას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რესტიტუცია საკმაოდ მოუქნელი მექანიზმია და უმეტესწილად, თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არ გამოიყენება. გამონაკლის შემთხვევებში ჩვეულებითი სამართალი ან საერთაშორისო ხელშეკრულება შეიძლება წარმოშობდეს ვალდებულებებს, რომლებზეც მიბმულია სპეციფიკური რესტიტუციის მოთხოვნა. სპეციფიკური რესტიტუცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტერიტორიული დავების გადასაჭრელად.²⁵⁷

არსებობს რიგი შემთხვევები, როდესაც სამართალდარღვევა წარმოიშობა კონკრეტული ნორმის დარღვევით და პრეტენზიაზე უფლების წარმოქმნისას, არ არის აუცილებელი, რომ განცდილი ზარალი სახეზე იყოს.²⁵⁸ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პრეტენზიის გაცხადების უფლება გააჩნია ყველა სახელმწიფოს, რადგან სამართლებრივი ინტერესი ყველას აქვს, ხოლო ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილია სახელმწიფო, რომელმაც ეს ზიანი განიცადა. ამასთან, ირიბად ხელყოფილი სახელმწიფოები პრეტენზიას სამართალდარღვევაზე აცხადებენ და არა ზიანის ანაზღაურებით დაინტერესების საფუძვლით. მათ ინტერესს წარმოადგენს არა მატერიალური სარგებელი, არამედ ზოგადი, ობიექტური ხასიათი, რაც კაცობრიობის ძირითადი ღირებულებების მიმართ კანონიერების რეჟიმის დაცვაში გამოიყენება.²⁵⁹ შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ აქვს რეპარაციას.

2.2. სატისფაქცია

სატისფაქცია ანუ მორალური დაკმაყოფილება, რომელიც მონოდებულის დაიცვას დაზარალებული სუბიექტის მორალურ-პოლიტიკური ღირსება. სატისფაქცია შეიძლება გამოიხატოს

²⁵⁷ ბრაუნლი ი., საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები, მე-7 გამოცემა, საია, თბილისი, 2010, 511.

²⁵⁸ Hailbronner, Sanctions and Third Parties and International Public Order, Archiv des Völkerrechts, 1992, 8-9.

²⁵⁹ Abi-Saab G., The Concept of "International Crimes" and its Place in Contemporary International Law, 1989, 149.

სინანულის გამოცხადებით, ბოდიშის მოხდით, დამნაშავე პირთა დასჯით და ა.შ.²⁶⁰

სატისფაქციას სამი მიზანი აქვს: ბოდიშის მოხდა ან სამართალდარღვევის სხვაგვარი აღიარება აღმისთვის სალუტის მიცემის ან კომპენსაციის გადახდის გზით. დამნაშავეების დასჯა და ზომების მიღება ზიანის რეციდივის აღსაკვეთად. საქმეზე “I’m Alone” კანადის მთავრობამ იჩივლა ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის ხომალდის მიერ კონტრაბანდული ალკოჰოლური სასმელებით დატვირთული კანადაში რეგისტრირებული ხომალდის ღია ზღვაში ჩაძირვის თაობაზე. დევნა დაიწყო შეერთებული შტატების ტერიტორიული წყლების გარეთ, მაგრამ დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს შორის გაფორმებული „ალკოჰოლური სასმელების შესახებ ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შემონემების ზონის ფარგლებში. საქმის საბოლოო ანგარიშში აღნიშნულია, რომ “I’m Alone” სახელწოდების გემს, *de facto* ფლობდა და აკონტროლებდა შეთანხმებულად მოქმედი პირთა ჯგუფი, რომელთაგანაც ყველა შეერთებული შტატების მოქალაქე იყო და გემს ზემოხსენებული მიზნებისთვის იყენებდნენ... აქედან გამომდინარე, გემის ან ტვირთის დაკარგვის გამო კომპენსაცია არ უნდა ყოფილიყო გადახდილი. ანგარიშში მითითებულია, რომ შტატებმა ფორმალურად უნდა აღიაროს განხორციელებული ქმედების უკანონობა და შესაბამისად, ბოდიში მოუხადოს კანადის მთავრობას. ამასთან სამართალდარღვევასთან დაკავშირებული მატერიალური გამოსწორების სახით, შეერთებულმა შტატებმა კანადის მთავრობას უნდა გადაუხადოს 25000 დოლარი.²⁶¹

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არ არსებობს ნორმა, რომლის თანახმადაც სატისფაქცია კომპენსაციის მიღების უფლების ალტერნატივას ან ამ უფლების გამომრიცხავ გარემოებას წარმო-

²⁶⁰ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010, 160.

²⁶¹ ბრაუნლი ი., საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები, მე-7 გამოცემა, საია, თბილისი, 2010, 509.

ადგენს. საქმეზე “Corfu Channel” სასამართლომ დაადგინა, რომ სამეფო საზღვაო ფლოტის მიერ ალბანეთის ტერიტორიულ წყლებში ჩატარებული ნაღმების ამოღების ოპერაცია მისი სუვერენიტეტის დარღვევას წარმოადგენდა. სასამართლოს განმარტებით, ეს შეესაბამება ალბანეთის წარმომადგენლის განცხადებულ მოთხოვნას და სატისფაქციას წარმოადგენს. აღნიშნულ შემთხვევაში ეს უკანასკნელი კომპენსაციის ალტერნატივას წარმოადგენს.²⁶²

საერთაშორისოსამართლებრივი სანქციები პოლიტიკური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. მათი დანიშნულებაა მშვიდობისა და უშიშროების, საერთაშორისო სამართლის საწყისების დაცვა და განმტკიცება. საერთაშორისოსამართლებრივი სანქციები შეიძლება იყოს ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტა, მშვიდობიანი ბლოკადა და ა.შ.²⁶³

²⁶² ICJ Reports, 1949, 113-114.

²⁶³ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010, 160.

თავი IX.

საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა

1. ზოგადი დახასიათება

საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია. მის უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გარდა იმისა, რომ ის გაეროს წესდებითა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით აღიარებულია საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად, მას ასევე, დამატებით ეთმობა გაეროს წესდების მე-6 თავი, რომელიც განსაზღვრავს ამ პრინციპის შინაარსს.

საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპი წარმოშობს საერთაშორისო სამართლის სუბიექტების ვალდებულებას, გადაწყვიტონ მათ შორის წამოჭრილი დავები მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით. ამ პრინციპს შეესატყვისება საერთაშორისო სამართლის მეორე ფუძემდებლური პრინციპი – ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვა. ამასთან, სახელმწიფოები და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტები ვალდებულნი არიან გადაწყვიტონ თავიანთი დავები და უთანხმოებები არა მარტო მშვიდობიანად, არამედ ასევე – დროულად და არსებითად. საერთაშორისო სამართლის ეს იმპერატიული მოთხოვნა თანაბრად ეხება როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველ დავებს (გაეროს წესდების 33-ე მუხლი), ისე დავებს, რომელთაც ჯერ არ მიუღწევიათ სიმწვავის ასეთი ხარისხისთვის. ანუ, აქ იგულისხმება „ნებისმიერი“ (წესდების 38-ე მუხლი) და „ადგილობრივი“ (წესდების 52-ე მუხლი) დავებიც.

დავების ასეთი დაყოფა სიმწვავის მიხედვით პირობითია, ვინაიდან ნებისმიერი დავა შეიძლება გადაიზარდოს უფრო მსხვილ კონ-

ფლიქტში, რამაც, მსოფლიოს ერთიანობის თანამედროვე პირობების გათვალისწინებით, შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს უმოქმედობა, თავისი კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისით, შეიძლება განხილული იყოს, როგორც მის მიერ დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპის დარღვევა.

განსახილველი პრინციპის მოქმედების სფერო ფართოა და ის მოიცავს ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებებით განპირობებულ საერთაშორისო დავებსა და კონფლიქტებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება წარმოშობის მიზეზებით, ტიპით, ბუნებით, სტრუქტურით, გამოვლინების ფორმებით. მათი მრავალფეროვნება განპირობებულია, ზოგადად, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების მრავალფეროვნებით. საერთაშორისო დავების კატეგორიას მიეკუთვნება დავები სახელმწიფოებს შორის, სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციას შორის, თავად საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, მეტროპოლიებსა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ერებს შორის. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საერთაშორისო კონფლიქტად გარდაქმნის პერსპექტივა აქვს შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტსაც სუვერენულ სახელმწიფოსა და მის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს შორის. საერთაშორისო დავის მხარე ვერ იქნება ინდივიდი, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ის განიხილება საერთაშორისო სამართლის სუბიექტად.

მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა უნდა მოხდეს „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად“, ისე, რომ „საფრთხე არ შეექმნას საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას“. ამ თვალსაზრისით, გაეროს წესდებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ 1970 წლის დეკლარაციის ფორმულირებები იდენტურია. ეს ფორმულირება თავისთავად გამორიცხავს დავების გადაწყვეტის ისეთი საშუალებების გამოყენებას, რომლებიც არა თუ ვერ უწყობს ხელს დავის გადაწყვეტას, არამედ ეხება მესამე სახელმწიფოთა ინტერესებს და შეუძლია შექმნას დამატებითი კონფლიქტური ვითარება.

დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპის მნიშვნელოვანი ელემენტია სამართლიანობა. თუ სამართლიანობის პრინციპი იქნება უგულვებელყოფილი, მაშინ ზედმეტია საუბარი რაიმე დავის მოგვარებაზე და, შესაბამისად, მშვიდობასა და უსაფრთხოებას ყოველთვის საფრთხე დაემუქრება²⁶⁴. ნათელია, რომ დღეს, სოციალურად განსხვავებული სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობის ეპოქაში, დავების მშვიდობიანი გადაწყვეტისას სამართლიანობის უზრუნველყოფა შესაძლებელია საყოველთაოდ მისაღები საშუალებების ძიების პროცესში, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს საერთაშორისო მშვიდობისა და სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნების ამოცანები. ჭეშმარიტად სამართლიანი იქნება დავის ისეთი მშვიდობიანი გადაწყვეტა, რომელიც ეფუძნება გონივრულ კომპრომისს საერთაშორისო პოლიტიკაში, დავის მონაწილე მხარეებისა და სხვა სახელმწიფოების თანასწორობისა და საერთაშორისო სამართლის სხვა პრინციპების გათვალისწინებით, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი სტაბილური და მყარი საერთაშორისო შეთანხმებების მიღწევა.

ზემოთ განხილული ელემენტების გათვალისწინებით, ყალიბდება საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპის ცნება. კერძოდ, ეს არის **თანამედროვე საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც საუკეთესოდ გამოხატავს მის, როგორც ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის სამართლის, არსს და რომელიც ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვის პრინციპთან ერთობლიობაში განამტკიცებს საერთაშორისო სამართლის სუბიექტების ვალდებულებას, საერთაშორისო დავები გადაწყვიტონ მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებების გამოყენებით, რომელთაც ისინი თავად აირჩივენ ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებითა და სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების შესაბამისად.**

²⁶⁴ Бараташвили Д., Международно-правовые принципы мирного сосуществования, Международная жизнь, 1996, N1, 39.

საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპმა განვითარების გრძელი გზა განვლო. მისი ცნობა პირველად მოხდა 1899 და 1907 წლების ჰააგის მსოფლიო კონფერენციებზე, რომლებზეც მიღებულ იქნა კონვენციები საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ. მას შემდეგ ეს პრინციპი განმტკიცდა ბრიან-კელოგის პაქტსა²⁶⁵ და რიგ მრავალმხრივ საერთაშორისო დოკუმენტებში²⁶⁶. ამ პრინციპის პროგრესული განვითარება და კოდიფიკაცია გაგრძელდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში და ასახვა ჰპოვა ისეთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებში, როგორცაა გაეროს წესდება, 1970 წლის დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ და 1975 წლის ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი. ეს დოკუმენტები გვთავაზობენ საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპის უფრო დეტალურ ფორმულირებას და, ასევე, განსაზღვრავენ შესაბამისი საშუალებების კონკრეტულ ტიპებს.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი იცნობს საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ისეთ საშუალებებს, როგორცაა *მოლაპარაკებები, შუამავლობა, საგამოძიებო პროცედურა, საშემთანხმებლო პროცედურა, არბიტრაჟი, სასამართლო განხილვა, რეგიონული ორგანოებისა თუ შეთანხმებებისთვის მიმართვა ან სხვა მშვიდობიანი საშუალებები მხარეთა შეხედულებისამებრ*. ეს ფორმულირება მოქნილი და უნივერსალურია, ვი-

²⁶⁵ ბრიან-კელოგის პაქტს, ოფიციალურად, „ომის, როგორც ეროვნული პოლიტიკის იარაღზე უარის თქმის შესახებ ზოგად ხელშეკრულებას“, ხელი მოეწერა პარიზში, 1928 წლის 27 აგვისტოს.

²⁶⁶ ერთა ლიგის ასამბლეის 1928 წლის 26 სექტემბრის რეზოლუცია „საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის, თავდასხმაზე უარის თქმისა და ურთიერთდახმარების შესახებ“; 1929 წლის 5 იანვრის გენერალური კონვენცია საშემთანხმებლო ინტერამერიკული პროცედურის შესახებ; 1933 წლის 10 ოქტომბრის ომის საწინააღმდეგო ინტერამერიკული ხელშეკრულება თავდასხმაზე უარის თქმისა და საშემთანხმებლო პროცედურის შესახებ (რომელსაც მიუერთდა 11 ევროპული სახელმწიფო); ბუენოს აირესის 1936 წლის კონფერენციის დოკუმენტები: კონვენციები მშვიდობის მხარდაჭერისა და აღდგენის შესახებ და შეთანხმებები დავების აღკვეთის, კეთილი სამსახურისა და შუამავლობის შესახებ და სხვ.

ნაიდან ის არ მოიცავს საშუალებების ამომწურავ ჩამონათვალს და უშვებს ისეთი საშუალებების არსებობასაც, რომლებზეც მხარეები ნებაყოფლობით შეთანხმდებიან. მთავარია, ეს საშუალებები ეფექტიანად უზრუნველყოფდნენ დავის მშვიდობიან გადაწყვეტას.

2. უშუალო მოლაპარაკებები

მოლაპარაკებები, როგორც საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალება, გულისხმობს ასეთი გადაწყვეტის ძიებას თავად დავის მხარეებს შორის უშუალო კონტაქტის დამყარებისა და შეთანხმების მიღწევის გზით.

მოლაპარაკებები არის უძველესი საერთაშორისოსამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის წარმოშობა უკავშირდება თავად საერთაშორისო სამართლის წარმოშობას. მართალია, ანტიკური პერიოდიდან დღემდე მოლაპარაკებების ინსტიტუტმა განიცადა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, თუმცა დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის არსენალში მისი წამყვანი ადგილი კვლავაც ურყევია, რასაც მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ყველა შესაბამის დოკუმენტში ის პირველი წერია დავის გადაწყვეტის საშუალებათა შორის. უფრო მეტიც, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1949 წლის 28 აპრილს მიღებულ *შესწორებულ ზოგად აქტში საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ* აღნიშნულია, რომ მხარეები მიმართავენ საშემთანხმებლო პროცედურას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის გადაწყვეტა ვერ ხერხდება დიპლომატიური, ანუ მოლაპარაკებების გზით²⁶⁷.

მოლაპარაკებების ეფექტიანობა და ქმედითობა დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებთან შედარებით, პირველ რიგში, მდგომარეობს იმაში, რომ უშუალო, პირდაპირი ურთიერთობის პროცესში მხარეებს შესაძლებლობა აქვთ უკეთ გაიცნონ ერთმანეთის პოზიციები, მოისმინონ პრეტენზიები და, მშვიდობისაკენ სწრაფვის კე-

²⁶⁷ Revised General Act for the Pacific Settlement of International Disputes, Adopted by the General Assembly at its 199th plenary meeting on 28 April 1949, Art. 1.

თილი ნების გამოვლენით, მივიდნენ სადავო საკითხების ურთიერთ-მისაღებ გადაწყვეტამდე.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არ არსებობს უნივერსალური ნორმები, რომლებიც დაარეგულირებდნენ მოლაპარაკებების დაწყებას, მიმდინარეობას, ხანგრძლივობას, ფორმას და სხვა დეტალებს. თუმცა, იმისათვის, რომ მოლაპარაკებები წარმატებით წარიმართოს და რეალურად იყოს მიღწეული დასახული მიზანი, უდავოა, რომ მთელი ეს პროცესი უნდა ემყარებოდეს მკაცრად განსაზღვრულ პრინციპებს. რასაკვირველია, პირველ რიგში, ეს არის საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები. მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა მოლაპარაკებების დროს პატივი სცენ ერთმანეთის სუვერენიტეტს და თანასწორუფლებიანობას, რაც ნიშნავს იმას, რომ მოლაპარაკებების პროცესზე არავითარი ზეგავლენა არ უნდა იქონიოს რომელიმე სუბიექტის ტერიტორიის სიდიდემ, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სამხედრო სიძლიერემ თუ სხვა ფაქტორებმა, რაც მოლაპარაკებების მხარეებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპთან ყოვლად შეუთავსებელია რაიმე წინაპირობის წამოყენება ერთ-ერთი მხარის მიერ ან ზენოლის ქვეშ გარკვეული პოზიციის დაფიქსირება. ასეთი მოლაპარაკებები ვერ უზრუნველყოფს დავის მშვიდობიან გადაწყვეტას, ვინაიდან თავისი ბუნებით წარმოადგენს საერთაშორისო პრობლემის გადაწყვეტის ძალადობრივ საშუალებას²⁶⁸.

მოლაპარაკებების პროცესში მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის აუცილებელი პირობაა, რომ საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების დაცვასთან ერთად მხარეებმა გამოავლინონ პრობლემის მოგვარების კეთილი ნება და გულწრფელი სურვილი იმისა, რომ მოძებნილ იქნეს კონფლიქტის გადაწყვეტის ურთიერთმისაღები გზები. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ პირობების დარღვევა იწვევს უთანხმოების გაღრმავებას და ახალი კონ-

²⁶⁸ Ладыженский А.М., Блищенко И.П., Мирные средства разрешения споров между государствами, Москва, 1962, 76.

ფლიქტური ვითარების წარმოქმნას, რაც, თავის მხრივ, ამნვავეებს საერთაშორისო მდგომარეობას.

მოლაპარაკებების გამართვის ინიციატორად შეიძლება გამოვიდეს ერთი სახელმწიფო, სახელმწიფოთა ჯგუფი ან მესამე სახელმწიფო, რომელიც რჩება მხოლოდ ინიციატორად და აღარ ერთვება თავად მოლაპარაკების პროცესში. ინიციატორი, ასევე, შეიძლება იყოს საერთაშორისო ორგანიზაცია. საერთაშორისო პრაქტიკამ შეიმუშავა მოლაპარაკების ინიციატივის გამოსხატვის ძირითადი ფორმები, როგორცაა მოდავე სახელმწიფოთა მეთაურებს შორის ზეპირი შეთანხმება მოლაპარაკებების გამართვის თაობაზე ან ასეთი შეთავაზების გაკეთება მესამე სახელმწიფოს საშუალებით; მიმართვა მოლაპარაკებების გამართვის თაობაზე; განცხადება მოლაპარაკებების დასაწყებად მზადყოფნის შესახებ; ნოტის ან მემორანდუმის გადაცემა მოლაპარაკებების შეთავაზებით; ცირკულარული ნოტის ან წერილის დაგზავნა მოლაპარაკებების გამართვის წინადადებით; კონტრშეთავაზება მოლაპარაკებების გამართვის შესახებ მიღებულ შეთავაზებაზე. რიგ შემთხვევებში სახელმწიფოს შეუძლია წავიდეს უფრო შორს და წარმოადგინოს მშვიდობიანი მოგვარების პროექტი²⁶⁹.

სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობისა და დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპები ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს, პასუხი გასცეს მშვიდობიანი მოლაპარაკებების შესახებ ინიციატივას. როგორც კი ასეთი შეთანხმება მიღწეული იქნება, მხარეებმა გაჭიანურების გარეშე უნდა დაიწყონ მოლაპარაკებები და არ მოიმოქმედონ არაფერი ისეთი, რაც ხელს შეუშლის ასეთი მოლაპარაკებების დაწყებას.

მოლაპარაკებების კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა კრიტერიუმით. პირველ რიგში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დავის საგანს. დავა შეიძლება ეხებოდეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო, კულტურულ თუ სხვა საკითხებს. ყველაზე უფრო გავრცე-

²⁶⁹ Колосов Ю.М., Договорная инициатива в международных отношениях, Государство и право, 1971, №12, 60.

ლებულია ტერიტორიული და სასაზღვრო დავები, რომლებიც არც თუ იშვიათად გადაიზრდება შეიარაღებულ დაპირისპირებაში, რაც თანამედროვე პირობებში სახელმწიფოთა ეკონომიკური, პოლიტიკური, სტრატეგიული თუ სხვა ინტერესების ურთიერთ-გადაკვეთის გათვალისწინებით, რეალურ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას.

მოლაპარაკებები შეიძლება იყოს *ორმხრივი* და *მრავალმხრივი*, მასში მონაწილე მხარეების რაოდენობის მიხედვით. ორმხრივი მოლაპარაკებების დროს მყარდება უშუალო, პირდაპირი კონტაქტი ორ მოდავე მხარე შორის. მრავალმხრივ მოლაპარაკებებს კი შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა. საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების პარალელურად ვითარდებოდა მრავალმხრივი მოლაპარაკებების ფორმატიც. ჯერ კიდევ ძველ მსოფლიოში მრავალმხრივი მოლაპარაკებები მიმდინარეობდა სხდომის ფორმატით, რამაც შემდგომი განვითარება ჰპოვა, განსაკუთრებით, შუა საუკუნეების დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში²⁷⁰. აბსოლუტიზმის პერიოდში წარმოიშვა მოლაპარაკებების ახალი ფორმა – მონარქებისა და დიპლომატიური კონგრესები. ამ ფორმამ განვითარების მწვერვალს მიაღწია XIX საუკუნეში. ცნობილია 1813 წლის პარიზის, 1815 წლის ვენის, 1819 წლის კარლსბადის, 1856 წლის პარიზის კონგრესები²⁷¹. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული დღემდე, სახელმწიფოთა შორის მრავალმხრივი მოლაპარაკებების უმთავრეს ფორმას წარმოადგენს საერთაშორისო კონფერენციები, რომელთა ჩატარების ორგანიზაციულ საკითხებს ითვალისწინებს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის როგორც ჩვეულებითი, ისე კონვენციური ნორმები.

მოლაპარაკებები შეიძლება წარიმართოს სხვადასხვა დონეზე. კერძოდ, მასში მონაწილე პირების პოზიციების მიხედვით, არსებობს მოლაპარაკებები *სახელმწიფოს მეთაურებს, მთავრობების*

²⁷⁰ Левин Д.Б., История международного права, Москва, 1998, 11.

²⁷¹ Голубев Н.Н., Международные конгрессы и конференции, Очерки истории и практики, Москва, 1995, 17-25.

მეთაურებს, მინისტრებს, ელჩებსა და საამისოდ საგანგებოდ უფლებამოსილ პირებს შორის. მოლაპარაკებები წარიმართება ზეპირი ან წერილობითი ფორმით. წერილობითი ფორმა გულისხმობს მხარეთა შორის ნოტებისა და გზავნილების გაცვლას, მემორანდუმის გაფორმებას და ა.შ.²⁷²

როგორც პრაქტიკა მოწმობს, ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების დაცვით წარმოებული მოლაპარაკებები უმეტეს შემთხვევაში წარმატებით გვირგვინდება. კერძოდ, შეთანხმება მიიღწევა ურთიერთდათმობის ანუ კომპრომისის საფუძველზე ან ერთ-ერთი მხარე უარს ამბობს თავის პრეტენზიებზე და ხდება მეორე მხარის სამართლიანი ინტერესების დაკმაყოფილება. თუ მხარეები უშუალო მოლაპარაკებების შედეგად ვერ მივლენ კონსენსუსამდე, ეს არ ათავისუფლებს მათ ვალდებულებისგან მიმართონ დავის გადაწყვეტის სხვა მშვიდობიან საერთაშორისოსამართლებრივ საშუალებებს.

3. კეთილი სამსახური

როგორც ზემოთ აღინიშნა, გაეროს წესდების 33-ე მუხლი არ ჩამოთვლის საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებებს ამომწურავად. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში დამკვიდრდა და შეიძლება მომავალშიც დამკვიდრდეს ისეთი საშუალებები, რომლებზეც არ არის მითითება ამ მუხლში, თუმცა ისინი წარმატებით გამოიყენება სახელმწიფოების მიერ. ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა „**კეთილი სამსახური**“ (*“bons offices”*, იგივე, *“good offices”*). როგორც დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ინსტიტუტი, **კეთილი სამსახური არის საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ მესამე სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობას, რომელსაც ისინი ახორციელებენ საკუთარი ინიციატივით ან კონფლიქტის მონაწილე მხარეების თხოვნით და რომლის მიზანია მოდავე მხა-**

²⁷² Серре Ж., Дипломатический протокол, Москва, 1991, 91-93.

რეებს შორის უშუალო მოლაპარაკებებისა და კონტაქტის დამყარება ან აღდგენა და დავის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

დიდი ხნის მანძილზე საერთაშორისო სამართლის დოქტრინაში „კეთილი სამსახური“ განიხილებოდა შუამავლობასთან ერთად. დღესაც ზოგჯერ რთულია ამ ორი ინსტიტუტის ერთმანეთისგან გამიჯვნა, ვინაიდან არის შემთხვევები, როდესაც „კეთილი სამსახურის“ განმარტოებელი მესამე მხარე უფლებამოსილია უფრო შორს წავიდეს და გაცდეს „კეთილი სამსახურის“ კონცეპტით გათვალისწინებულ ფუნქციებს. კერძოდ, ის არა მხოლოდ მოდავე მხარეებს შორის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას ასრულებს, რაშიც მდგომარეობს კიდევ „კეთილი სამსახურის“ არსი, არამედ ახორციელებს სხვა ქმედებებსაც. სწორედ ასეთ ვითარებაში შეიძლება განვიხილოთ დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ეს ორი საშუალება ერთმანეთთან კავშირში.

„კეთილი სამსახურის“ ინსტიტუტი დამოუკიდებელ კატეგორიად ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც მისი ჩანასახი შეიმჩნევა არაერთ ორმხრივ თუ მრავალმხრივ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტში. თუმცა, „კეთილი სამსახურის“ განვითარებაში პირველი სერიოზული წვლილი შეიტანა 1899 და 1907 წლის ჰააგის კონვენციებმა „საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ“. კერძოდ, კონვენციების მე-2, მე-3 და მე-6 მუხლები ითვალისწინებენ ერთი ან რამდენიმე მეგობრული სახელმწიფოს მიერ „კეთილი სამსახურისა“ და შუამავლობის განევას მნიშვნელოვანი უთანხმოების ან დაპირისპირების შემთხვევაში მანამ, სანამ მხარეები მიმართავენ ძალას²⁷³.

მიუხედავად იმისა, რომ ჰააგის ზემოთხსენებული კონვენციები სახელდებით ითვალისწინებენ „კეთილი სამსახურის“ ინსტიტუტს,

²⁷³ Convention (I) for the Pacific Settlement of International Disputes (Hague). Laws of War: Pacific Settlement of International Disputes (Hague I), 29 July 1899; Convention for the Pacific Settlement of International Disputes. Laws of War: Pacific Settlement of International Disputes, 18 October 1907. იხ., <http://avalon.law.yale.edu/19th_century/hague01.asp> [01.02.2023]

არც ერთი მათგანი არ ახდენს შესაბამისი პროცედურის რეგლამენტირებას. ისინი განსაზღვრავენ მხოლოდ შუამავლის ამოცანებს. „კეთილი სამსახურის“ ინსტიტუტისადმი ამგვარი დამოკიდებულება განპირობებულია იმით, რომ მისი განმასხვრციელებელი სუბიექტის როლი შეიძლება შეიცვალოს იმისდა მიხედვით, თუ როგორ განვითარდება მოვლენები კონკრეტული დავის ირგვლივ. სწორედ ეს ფაქტი განსაზღვრავს მესამე მხარის ჩართულობის ხარისხს დავის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის ხელშეწყობის პროცესში, რაც ართულებს იმის ცალსახად აღნიშვნას, როდის დასრულდა „კეთილი სამსახური“ და დაიწყო შუამავლობა²⁷⁴.

გაეროს წესდებისგან განსხვავებით, „კეთილ სამსახურს“ სახელდებით ითვალისწინებს 1982 წლის მანილას დეკლარაცია „საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ“, რომლის I ნაწილის მე-5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოებმა კეთილსინდისიერებისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით უნდა სცადონ საერთაშორისო დავების ადრეული და სამართლიანი გადაწყვეტა ნებისმიერი შემდეგი საშუალებით: მოლაპარაკება, საგამოძიებო პროცედურა, შუამავლობა, საშემთანხმებლო პროცედურა, არბიტრაჟი, სასამართლო განხილვა, რეგიონული შეთანხმებებისა და სააგენტოებისთვის მიმართვა ან ნებისმიერი სხვა საშუალებით მათი მიხედულებით, კეთილი სამსახურის ჩათვლით²⁷⁵.

უფრო მეტიც, 1988 წლის დეკლარაცია „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის საფრთხის შემცველი დავებისა და ვითარებების პრევენციისა და აღმოფხვრის და ამ სფეროში გაეროს როლის შესახებ“ განამტკიცებს, რომ უშიშროების საბჭომ ადრეულ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს საგამოძიებო და „კეთილი სამსახურის“ მისიების წარგზავნა ან უზრუნველყოს გაეროს წარმომადგენლობა სათანადო ფორმით, მათ შორის, დამკვირვებლები-

²⁷⁴ Handbook on the Peaceful Settlement of Disputes between States (OLA/COD/2394), United Nations, New York, 1992, 33-34.

²⁷⁵ Manila Declaration on the Peaceful Settlement of Disputes between States, General Assembly resolution 37/10 of 15 November 1982.

სა და სამშვიდობო ოპერაციების მეშვეობით, კონკრეტული დავის ან ვითარების შემდგომი გამწვავების თავიდან აცილების მიზნით²⁷⁶.

„კეთილი სამსახური“, როგორც წესი, გამოიყენება მაშინ, როდესაც დავის მონაწილე ერთ-ერთ ან არც ერთ მხარეს არ სურს დაიწყოს მოლაპარაკებები არსებული დავის ირგვლივ ან როდესაც ასეთმა მოლაპარაკებებებმა და, ასევე, დავის მშვიდობიანი დადგენის სხვა საშუალებებმა ვერ გამოიღო დადებითი შედეგი. „კეთილი სამსახურის“ განხორციელების სამართლებრივი საფუძველია მოდავე მხარეების მიმართვა მესამე სახელმწიფოსადმი ან თავად მესამე სახელმწიფოს ან სახელმწიფოების მხრიდან ასეთი სამსახურის შეთავაზება მოდავე მხარეებისთვის.

„კეთილი სამსახურის“ განხორციელების ფუნქცია შეიძლება იტვირთოს ერთმა სახელმწიფომ ან სახელმწიფოთა ჯგუფმა, უნივერსალურმა ან რეგიონულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, მაგალითად, გაერომ ან მისმა სპეციალიზებულმა სააგენტოებმა ან კიდევ ფიზიკურმა პირმა, რომელიც სარგებლობს სათანადო ავტორიტეტითა და მოდავე მხარეების ნდობით. „კეთილი სამსახურის“ განმახორციელებელი სუბიექტი ცდილობს დაამყაროს უშუალო კონტაქტი მოდავე მხარეებს შორის ან შეიძლება გახდეს მათი ერთგვარი საკონტაქტო პირი უშუალო მოლაპარაკებების დაწყების შემდეგ. ამასთან, ის მონაწილეობას არ იღებს თავად მოლაპარაკებებში, თუ, რასაკვირველია, მხარეები არ სთხოვენ მას ამის შესახებ.

ფაქტობრივად, „კეთილი სამსახური“ გულისხმობს მოდავე სახელმწიფოებს შორის უშუალო კონტაქტის დამყარებისთვის ხელშეწყობას, მათი პოზიციების დაახლოებასა და მცდელობას იმისა, რომ მხარეები დასხდნენ მოლაპარაკებების მაგიდასთან. ეს საქმიანობა უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად დელიკატურად, ტაქტიანი და მოქნილი მეთოდებით, რომლებიც არ შელახავენ მოდავე მხარეების სუვერენულ უფლებებსა და ინტერესებს. „კეთილი სამსახური“

²⁷⁶ Declaration on the Prevention and Removal of Disputes and Situations Which May Threaten International Peace and Security and on the Role of the United Nations in this Field, General Assembly resolution 43/51 of 5 December 1988.

შეიძლება გამოიხატოს სურვილების გამოთქმაში, წინადადებების შეთავაზებასა და რჩევების მიცემაში. თავის მხრივ, მოდავე მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ ან უარი თქვან ასეთი წინადადებებისა და რჩევების მიღებაზე. შესაბამისად, „კეთილი სამსახურის“ შედეგიანობა მთლიანად არის დამოკიდებული თავად მხარეების კეთილ ნებაზე. მესამე მხარე ვერ მოახვევს მათ თავზე საკუთარ პოზიციას. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ამ რეკომენდაციებს აქვს გარკვეული მნიშვნელობა მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ვინაიდან მათ შეიძლება ბიძგი მისცენ მხარეთა შორის მოლაპარაკებების ახალი ტალღის დაწყებას.

4. შუამავლობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, თავისი არსით, „კეთილი სამსახურის“ ინსტიტუტი მჭიდროდ უკავშირდება დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის სხვა საშუალებას – **შუამავლობას**. დიდი ხნის განმავლობაში არც საერთაშორისო სამართლის დოქტრინა და არც შესაბამისი პრაქტიკა ერთმანეთისგან არ მიჯნავდა ამ ორ ინსტიტუტს. თუმცა, შემდგომში საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეს არის დავის გადაწყვეტის ერთმანეთისგან დამოუკიდებელი საშუალებები, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან ისეთი ძირითადი ფაქტორებით, როგორცაა დავის მონაწილე მხარეთათვის დახმარების აღმოჩენის ხარისხი, „კეთილი სამსახურისა“ და შუამავლობის განმარტაციელებელი სუბიექტის უფლება-მოვალეობანი და მათი სამართლებრივი მდგომარეობა.

შუამავლობა არის საერთაშორისო დავის გადაწყვეტის მშვიდობიანი მეთოდი, როდესაც მესამე მხარე ერთვება მოდავე მხარეთა მორიგების მიზნით და სთავაზობს მათ გარკვეულ წინადადებებს კომპრომისული გადაწყვეტილების მისაღწევად. შუამავლობას ითვალისწინებს არა ერთი საერთაშორისო დოკუმენტი. მაგალითად, 1899 და 1907 წლების კონვენციებში ის განხილულია, როგორც პროცედურა, რომელიც შეიძლება ჩაენაცვლოს „კეთილ

სამსახურს“ და, პირიქით. ამ კონვენციებისგან განსხვავებით, 1936 წლის ინტერამერიკული ხელშეკრულება „კეთილი სამსახურისა და შუამავლობის შესახებ“ და 1948 წლის ამერიკული ხელშეკრულება „მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ“, იგივე – „ბოგოტას პაქტი“, ითვალისწინებს დებულებებს, რომლებიც ახასიათებენ შუამავლობას, როგორც „კეთილი სამსახურისგან“ განსხვავებულ მეთოდს, განსაზღვრავენ მის ფუნქციებს და ინსტიტუციურ ასპექტებს ისე, რომ არ ხდება ამ ორი ინსტიტუტის ერთმანეთთან ასოცირება²⁷⁷.

შუამავლობას მიმართავენ იმ დაძაბულობის მოსახსნელად, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საერთაშორისო დავის პროცესში. 1899 და 1907 წლების კონვენციების მე-8 მუხლის თანახმად, შუამავლობის ინიცირება ხდება „მშვიდობიანი ურთიერთობების განწყვეტის საშიშროების თავიდან აცილების მიზნით“. შუამავლობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მხარეთათვის მისაღები წინადადების შეთავაზება, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს დავის მშვიდობიან გადაწყვეტას. რაც ასევე მნიშვნელოვანია შუამავლობის დროს, არის მისი არაფორმალური ხასიათი, ანუ შუამავალი თუ შუამავლები ცდილობენ მხარეთა შერიგებას არაფორმალურ გარემოში, არაფორმალური შეხვედრებით, უშუალო და მარტივი დიალოგის დამყარების გზით. შუამავლობის შედეგი შეიძლება იყოს შუალედური გადაწყვეტილების მიღება, მაგალითად, როგორცაა ცეცხლის შეწყვეტა შეიარაღებული კონფლიქტის დროს. შუამავლობის ეფექტიანობა დამოკიდებულია მხარეთა მიდგომაზე არსებული დავის მიმართ, კერძოდ, იმაზე, თუ რამდენად თვლიან ისინი, რომ შესაძლებელია ამ კონკრეტულ შემთხვევაში პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა. თუ დავა განვითარდება სამართლებრივი კუთხით, რაც გულისხმობს, მაგალითად, სარჩელისა და შეგებებული სარჩელის წარდგენას, მაშინ, რასაკვირველია, შუამავლობა არ იქნება აქტუალური და დავა გადავა მშვიდობიანი გადაწყვეტის სხვა საშუალების ძირში.

²⁷⁷ American Treaty on Pacific Settlement (“Pact of Bogota”), signed at Bogota, 30 April 1948.

„კეთილი სამსახურის“ მსგავსად, შუამავლობას გააჩნია ნებაყოფლობითი ხასიათი. ის არ შეიძლება იძულების წესით მოეხვეს თავს მხარეებს. თავად მხარეებმა უნდა დააყენონ შუამავლის მოწვევის ინციატივა ან განაცხადონ თანხმობა ასეთი შუამავლის შეთავაზებაზე. მათთვის მისაღები უნდა იყოს არა მხოლოდ შუამავლობის პროცედურა, არამედ, ასევე – თავად შუამავალი.

შუამავლობის დროს განსახორციელებელი ქმედებები დამოკიდებულია დავის ბუნებაზე და მოიცავს კომუნიკაციის ფუნქციას, საკითხების გამოკვლევას, წინადადებების შეთავაზებას, მხარეთა შორის შეთანხმების სფეროების გამოვლენას, დროებითი გამოსავლის ძიებას მხარეთა შორის სადავო საკითხების წრის შემცირების მიზნით და ა.შ. მნიშვნელოვანია მხარეთათვის იმის დემონსტრირება, რომ შუამავალს ესმის მათი პოზიციები, არ არის მიკერძოებული რომელიმე მხარის მიმართ და აქვს ამ კონკრეტული დავის გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები²⁷⁸.

შუამავლობისთვის არაფორმალურობასთან ერთად დამახასიათებელია კონფიდენციალობა. ზოგადად, შუამავლობის პროცესის პოლიტიკური სენსიტიურობა განაპირობებს იმას, რომ ხშირად მოდავე მხარეები და შუამავალი შუამავლობის პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგაც კი თავს იკავებენ დეტალებისა და ნიუანსების გამოაშკარავებისაგან და შემოიფარგლებიან მხოლოდ ზოგადი ფორმულირებებით.

ისევე როგორც „კეთილი სამსახური“, შუამავლობაც შეიძლება განხორციელდეს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს, საერთაშორისო ან ეროვნული ორგანიზაციის ან კიდევ გამოჩენილი პიროვნების მიერ.

რაც შეეხება შუამავლობის, როგორც პროცესის, ხანგრძლივობასა და დასრულებას, მნიშვნელოვანია, რომ შუამავლობა არის ისეთი სახის საშუალება, რომლის წარუმატებლობის შემთხვევაში, ის უბიძგებს მხარეებს დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებაზე შე-

²⁷⁸ Handbook on the Peaceful Settlement of Disputes between States (OLA/COD/2394), United Nations, New York, 1992, 42.

თანხმებისკენ. საჭიროების შემთხვევაში, ყველა პროცედურული საკითხი შუამავლობიდან უშუალო მოლაპარაკებებზე ან სხვა საშუალებებზე გადასვლის ჩათვლით, შეიძლება შეთანხმდეს არაფორმალურად, გამარტივებული გზით.

ზოგ შემთხვევაში შუამავლობის განსახორციელებლად შეიძლება დაწესდეს გარკვეული დრო, რომლის ფარგლებში უნდა დასრულდეს შუამავლობა, მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგს გამოიღებს ის. მაგალითად, 1948 წლის ბოგოტას პაქტის XIII მუხლის თანახმად, თუ მხარეები შეთანხმდნენ შუამავლობაზე, თუმცა ვერ შეთანხმდებიან შუამავლის ან შუამავლების არჩევაზე უახლოესი ორი თვის განმავლობაში, ან კიდევ შუამავლობის დაწყების მომენტიდან ხუთი თვის განმავლობაში ვერ იქნება მიღწეული შესაბამისი შედეგი, მხარეებმა შემდგომი გაჭიანურების გარეშე უნდა მიმართონ დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის სხვა ნებისმიერ საშუალებას, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით²⁷⁹.

თავად შუამავლობის პროცედურისთვის დაწესებული ვადის გარდა, არსებობს დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ როდის ითვლება შუამავლობა დასრულებულად. კერძოდ, 1899 და 1907 წლების კონვენციების მე-5 მუხლში აღნიშნულია, რომ შუამავლის ფუნქცია დასრულებულია, როდესაც ერთი მხარე ან თავად შუამავალი აცხადებს, რომ ამ უკანასკნელის მიერ შეთავაზებული მორიგების გზა არ არის მისაღები.

შუამავლის მიერ შეთავაზებული წინადადებები არ არის მხარეთათვის სავალდებულო. მათ აქვთ მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათი. შუამავლობის საბოლოო შედეგები შეიძლება აისახოს შეთანხმებაში, ოქმში, დეკლარაციაში, კომუნიკეში და ა.შ. შესაბამისი დოკუმენტი ხელმოწერილი და დამონმებული უნდა იყოს შუამავლის ან შუამავლების მიერ. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან, ჩვეულებრივ, შუამავლობის შედეგად მიღწეული შეთანხმება არანაირ პასუხისმგებლობას არ აკისრებს თავად შუამავალს. თუმცა,

²⁷⁹ American Treaty on Pacific Settlement ("Pact of Bogota"), signed at Bogota, 30 April 1948, Article XIII.

არის შემთხვევები, როდესაც შუამავალი თავის თავზე იღებს მხარეთათვის შემდგომი, მათ შორის, ფინანსური დახმარების აღმოჩენის ვალდებულებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიღწეული შეთანხმების სათანადო შესრულება.

საბოლოო ჯამში, თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს, რომ შუამავლობა არის საერთაშორისო დავების დარეგულირების ფრიად სიცოცხლისუნარიანი და ეფექტიანი საშუალება.

5. საერთაშორისო საგამოძიებო და საშემთხმემბლო პროცედურა

საერთაშორისო დავის დროს მხარეებს შეიძლება წარმოეშვათ უთანხმოება იმ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების თვალსაზრისით, რომლებიც საფუძვლად უდევს კონკრეტულ დავას. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოები შეიძლება შეთანხმდნენ ამ ფაქტებისა და გარემოებების გამოკვლევის შესახებ **საერთაშორისო საგამოძიებო პროცედურის** ფარგლებში. **საგამოძიებო პროცედურა არის დავის ისეთი მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალება, რომელიც მდგომარეობს მოდავე მხარეებისა და მესამე მხარის წარმომადგენლების მიერ ერთობლივად შექმნილი საერთაშორისო ორგანოს მიერ იმ ფაქტობრივი მონაცემებისა და გარემოებების გამოკვლევაში, რომლებიც საფუძვლად უდევს საერთაშორისო დავას.** აღნიშნული გამოკვლევის შესახებ დგება სპეციალური ანგარიში, რომელიც წარედგინება მოდავე მხარეებს.

საერთაშორისო გამოძიება საერთაშორისო სამართლის შედარებით ახალი ინსტიტუტია, რომელიც დამოუკიდებელი სახით პირველად გაითვალისწინა 1899 წლის ჰააგის კონვენციამ, რაც განმტკიცდა შემდგომში 1907 წლის კონვენციაში.

საერთაშორისო საგამოძიებო კომისიები იქმნება სპეციალური შეთანხმებით მოდავე მხარეებს შორის. ამ შეთანხმებაში ზუსტად არის განსაზღვრული გამოსაკვლევი ფაქტები, დგინდება კომისიის შექმნის წესი და მუშაობის ხანგრძლივობა, ასევე, მის წევრთა უფ-

ლებამოსილება. თითოეული მხარე ნიშნავს კომისიის ორ წევრს, რომელთაგან მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს მისი მოქალაქე. დანიშნული წევრები ერთობლივად ირჩევენ თავმჯდომარეს. ხმათა გაყოფის შემთხვევაში, მხარეები ირჩევენ მესამე სახელმწიფოს, რომელიც ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს. თუ ასეთ შემთხვევაშიც ვერ იქნება მიღწეული შეთანხმება მხარეებს შორის, მაშინ თითოეული მათგანი ცალცალკე ირჩევენ მესამე სახელმწიფოებს, რომლებიც ურთიერთშეთანხმებით ირჩევენ თავმჯდომარეს. თუ ეს უკანასკნელნი ვერ შეთანხმდებიან ორი თვის განმავლობაში, თითოეული მათგანი წარმოადგენს ორ კანდიდატს, მომრიგებელი სამართლოს მუდმივმოქმედი პალატის წევრების სიიდან. ამასთან, ეს არ უნდა იყოს არც მოდავე სახელმწიფოების მიერ დანიშნული წევრები და არც მათი მოქალაქეები. ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარე აირჩევა წილისყრით²⁸⁰.

ზოგადად, საერთაშორისო საგამოძიებო პროცედურასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მისი შემდეგი მახასიათებლების აღნიშვნა: მას მხარეები მიმართავენ ნებაყოფლობით; კომისიები იკვლევენ საერთაშორისო დავების მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებს; ისინი იქმნება დროებით, კონკრეტულად იმ საკითხის განსახილველად, რომლისთვისაც ისინი შეიქმნა; კომისიის შემადგენლობა ისეთია, რომ მასში ჭარბობს ნეიტრალური ელემენტი, ხოლო თავმჯდომარის ფუნქციას ახორციელებს მესამე სახელმწიფოს წარმომადგენელი (რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი). კომისიის ანგარიში შეიცავს რეკომენდაციებს და მას არ აქვს სავალდებულო ძალა.

რაც შეეხება **საშემთანხმებლო პროცედურას**, ეს არის დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალება, რომელიც მდგომარეობს მხარეთა მიერ პარიტეტულ საწყისებზე შექმნილი საშემთანხმებლო კომისიების მიერ დავების განხილვაში, რომლის შემადგენლობაში, როგორც წესი, შედიან მესამე სა-

²⁸⁰ The 1907 Hague Convention for the Pacific Settlement of International Disputes, Art. 45.

ხელმწიფოების წარმომადგენლები და რომლის მიზანია მხარეთა შეთანხმების პროექტის შემუშავება საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით.

ისტორიულად, საშემთანხმებლო პროცედურას საფუძვლად დაედო საგამოძიებო პროცედურა. კერძოდ, ჰააგის 1907 წლის კონვენციის მიღების შემდეგ საერთაშორისო დავების გადაწყვეტის პრაქტიკა წავიდა საგამოძიებო კომისიის კომპეტენციის გაფართოების გზით და, ფაქტების გამოკვლევის გარდა, მიანიჭა მას ასევე დავის გადაწყვეტის პირობების შემუშავებისა და მხარეთათვის შეთავაზების ფუნქცია. სწორედ ეს გახდა წინაპირობა იმისა, რომ ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის კიდევ ერთი დამოუკიდებელი ინსტიტუტი. მას შემდეგ დაიღო არა ერთი მრავალმხრივი თუ ორმხრივი ხელშეკრულება, რომელთაც სახელდებით გაითვალისწინეს საშემთანხმებლო პროცედურა.

საშემთანხმებლო პროცედურას ბევრი საერთო ნიშანი აქვს საგამოძიებო პროცედურასთან. ისინი ემყარებიან საერთო ორგანიზაციულ საფუძველს. საგამოძიებო კომისიების მსგავსად, საშემთანხმებლო კომისიების წევრებიც, უმეტეს შემთხვევაში, არ არიან მოდავე სახელმწიფოთა მოქალაქეები. მესამე სახელმწიფოთა ერთ-ერთი წარმომადგენელი აირჩევა თავმჯდომარედ.

თავად საშემთანხმებლო პროცედურა შეიძლება მოიცავდეს ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის ელემენტსაც. შესაბამისად, ნათელია, რომ საშემთანხმებლო პროცედურა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე საგამოძიებო, ვინაიდან მისი ფუნქციები არ შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტების გამოკვლევით, არამედ უპირატესად მდგომარეობს მხარეთათვის დავის გადაწყვეტის შესაძლო წინადადებების შეთავაზებაში.

მიუხედავად იმისა, რომ საშემთანხმებლო პროცედურასა და შუამავლობას აქვს ერთი და იგივე მიზანი, რაც მდგომარეობს მხარეთათვის დავის გადაწყვეტის შესაძლო გზების დასახვაში,

ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისგან ორგანიზების წესით, თავად პროცედურის განმახორციელებელი სუბიექტებითა და მათი პასუხისმგებლობის ხარისხით დავის მშვიდობიანი დარეგულირების მიმართ.

საშემთანხმებლო კომისიის შემადგენლობაში პარიტეტულ საწყისებზე შედიან როგორც მხარეთა წარმომადგენლები, ისე მესამე სახელმწიფოთა მოქალაქეები, რომლებსაც ნიშნავენ ან ირჩევენ მოდავე მხარეები. შუამავლობა კი ხორციელდება ექსკლუზიურად ნეიტრალური მხარის მიერ. საშემთანხმებლო კომისიის მუშაობა დარეგულირებულია შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, ხოლო შუამავლობის პროცედურა არ არის რეგლამენტირებული და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია მხარეთა სპეციალურ შეთანხმებაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, განსხვავებულია ასევე შუამავლისა და საშემთანხმებლო კომისიის წევრთა სამართლებრივი მდგომარეობა და პასუხისმგებლობა განსახორციელებელი პროცედურის მიმართ. კერძოდ, როდესაც მხარეები არ ეთანხმებიან შუამავლის წინადადებებს ან თავს იჩენს სხვა სირთულეები, იგი უფლებამოსილია უარი თქვას დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობაზე. მაშინ როდესაც საშემთანხმებლო კომისია ვალდებულია ბოლომდე მიიყვანოს დანყებული საქმე და წარუდგინოს მხარეებს ანგარიში დავის გადაწყვეტის შესაძლო გზის შესახებ, მიუხედავად იმისა, მიიღებენ თუ არა ამ წინადადებას მხარეები.

ძირითადი მრავალმხრივი დოკუმენტი, რომელიც ახდენს საშემთანხმებლო პროცედურის რეგლამენტირებას, არის 1949 წლის შესწორებული ზოგადი აქტი „საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ“. ის ითვალისწინებს ხუთი წევრისგან შემდგარ კომისიას, რომელთაგან თითოს ნიშნავენ მოდავე მხარეები, ხოლო სამი წევრი აირჩევა მხარეთა შეთანხმებით მესამე სახელმწიფოთა მოქალაქეებიდან. ეს უკანასკნელნი უნდა იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები, არ უნდა ჰქონდეთ მუდმივი ბინადრობის

უფლება დაინტერესებული სახელმწიფოების ტერიტორიაზე და არ უნდა იყვნენ მათ საჯარო სამსახურში. სწორედ ასეთი წევრების რიცხვიდან ნიშნავენ მხარეები კომისიის თავმჯდომარეს.

ზოგადი აქტი ითვალისწინებს *მუდმივმოქმედი და სპეციალური* კომისიების არსებობას. მუდმივმოქმედი საშემთანხმებლო კომისია იქმნება ერთ-ერთი მხარის თხოვნით ექვსი თვის განმავლობაში, ხოლო სპეციალური – ერთ-ერთი მხარის მიერ განცხადების წარდგენის დღიდან სამი თვის განმავლობაში, თუ დავის წარმოშობის მომენტისთვის მუდმივმოქმედი კომისია არ არის შექმნილი. თუ მითითებულ ვადებში კომისია არ შეიქმნება, მაშინ შესაბამისი დანიშვნები უნდა განხორციელდეს მხარეთა მიერ არჩეული მესამე სახელმწიფოს მიერ. მხარეები ასევე შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ეს ფუნქცია განახორციელოს გაეროს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ, ხოლო სესიებს შორის პერიოდში – პირმა, რომელიც თავმჯდომარეობდა უკანასკნელ გენერალურ ასამბლეას.

შეიძლება მოხდეს ისეც, რომ მხარეები ვერც ამ პროცედურაზე შეთანხმდნენ. ასეთ შემთხვევაში, თითოეული მათგანი უთითებს მესამე სახელმწიფოს, ხოლო ეს უკანასკნელი ერთობლივად ნიშნავენ კომისიის წევრებს. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან სამთვიან ვადაში, თითოეული მათგანი წარადგენს იმდენ კანდიდატს, რამდენიც უნდა დაინიშნოს და საკითხი წყდება წილისყრით.

საგულისხმოა, რომ კომისიის მიერ დავის განხილვა უნდა წარმოებდეს შეჯიბრობითობის პრინციპის დაცვით. მხარეები შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ აგენტების, მრჩეველების, ტექნიკური ექსპერტების მიერ. მათ ასევე უფლება აქვთ მოითხოვონ ნებისმიერი პირის დაკითხვა, რომლის ჩვენებასაც ისინი მიიჩნევენ საქმისთვის სასარგებლოდ. ამასთან, მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ კომისიის მუშაობას და წარუდგინონ მას საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

კომისიის მუშაობის შედეგები ფიქსირდება ოქმებსა და ანგარიშებში, რომლებიც გადაეცემა მხარეებს. კლასიკური საშემთანხმებლო კომისიების მუშაობა სრულდება დავის გადაწყვეტის კონ-

კრეტული პირობების შემუშავებით ან მხარეთათვის მშვიდობიანი გადაწყვეტის სხვა საშუალებების შესახებ რეკომენდაციის მიცემით. შესაძლებელია, ასევე, რომ კომისიის მუშობა საერთოდაც უშედეგოდ დასრულდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი და მხარეებს არ აქვთ მისი გათვალისწინების ვალდებულება.

ყველა ზემოთ განხილული ელემენტი განაპირობებს საერთაშორისო საგამოძიებო და სამემთანხმებლო პროცედურების მოქნილობასა და ეფექტიანობას, რის გამოც, ისინი, ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის სხვა საშუალებებზე მეტად მისაღები აღმოჩნდეს მხარეთათვის.

6. საერთაშორისო არბიტრაჟი

საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ 1899 და 1907 წლების ჰააგის კონვენციების მიხედვით, **საერთაშორისო არბიტრაჟის** მიზანია სახელმწიფოებს შორის დავის გადაწყვეტა თავად მხარეთა მიერ არჩეული მოსამართლეების მიერ და სამართლის პატივისცემის საფუძველზე²⁸¹. არბიტრაჟის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი არის ის, რომ ეს არის პროცედურა, რომლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა მხარეთათვის. სწორედ ეს საერთო ნიშანი აქვს არბიტრაჟს სასამართლოსთან, რის გამოც, არბიტრაჟსა და სასამართლო განხილვას, ჩვეულებრივ, დავების გადაწყვეტის მავალდებულებელ საშუალებებს უწოდებენ²⁸².

მართალია, არბიტრაჟი და სასამართლო განხილვა ამ თვალსაზრისით ერთგვაროვან სისტემას წარმოადგენენ, დავების გადაწყვეტის ეს ორი საშუალება სტრუქტურულად განსხვავდება ერთ-

²⁸¹ The 1899 and 1907 Hague Conventions for the Pacific Settlement of International Disputes, Art. 15 and Art. 37 (მუხლები მითითებულია კონვენციების თარიღების შესაბამისად).

²⁸² Handbook on the Peaceful Settlement of Disputes between States (OLA/COD/2394), United Nations, New York, 1992, 55.

მანეთისგან. არბიტრაჟის ფორმირება ხდება მოდავე სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმების (კომპრომისის) საფუძველზე. შესაბამისად, მხარეები ინარჩუნებენ ერთგვარ კონტროლს პროცესზე, რაც გამოიხატება სწორედ მათ მიერ არბიტრების დანიშვნაში. ამის საწინააღმდეგოდ, სასამართლო განხილვა უკავშირდება წინასწარ ფორმირებულ სასამართლოებსა და ტრიბუნალებს, რომელთა დაკომპლექტებაში მხარეები არ მონაწილეობენ, ვინაიდან ისინი შექმნილია მათი სადამფუძნებლო აქტების საფუძველზე. განსხვავდება ასევე თავად საარბიტრაჟო და სასამართლო პროცესები, გამოსაყენებელი სამართლის წყაროები და ა.შ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არბიტრაჟი განეკუთვნება საერთაშორისო სამართლის უძველეს ინსტიტუტებს, რომელიც გამოიყენებოდა ძველ მსოფლიოში (ჩინეთი, ძვ. საბერძნეთი, ძვ. რომი), ხოლო თანამედროვე საერთაშორისო სასამართლო არის ახალი საერთაშორისოსამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც დასაბამს იღებს საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი პალატის სტატუტიდან²⁸³.

არბიტრაჟი, როგორც მუდმივმოქმედი საერთაშორისო დაწესებულება, დამკვიდრდა 1899 და 1907 წლების ჰააგის კონვენციებით. თუმცა, გარდა კონვენციებისა, მას, როგორც სახელმწიფოთა შორის დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებას, იცნობს არა ერთი მრავალმხრივი თუ ორმხრივი საერთაშორისო აქტი.

კონვენციებით შეიქმნა *მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო*. სასამართლოს კანცელარიას წარმოადგენს საერთაშორისო ბიურო, რომელსაც ხელმძღვანელობს მუდმივმოქმედი ადმინისტრაციული საბჭო. სასამართლოს წევრები ინიშნებიან 6 წლის

²⁸³ ისტორიულად, პირველ საერთაშორისო სასამართლო დაწესებულებად ითვლება საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი პალატა, რომელიც ფუნქციონირებდა 1920 წლის 13 დეკემბერს ერთა ლიგის ასამბლეის მიერ მიღებული სტატუტის შესაბამისად. პალატა იყო ვერსალის სისტემის განუყოფელი ნაწილი და მოქმედებდა ერთა ლიგის ავტონომიური ორგანოს სტატუსით. პალატამ იარსება 1946 წლამდე, როდესაც მისმა ყველა მოსამართლემ გაეროს გენერალურ მდივანს წარუდგინა განცხადება გადადგომის შესახებ გაეროს საერთაშორისო სასამართლოს დაარსებასთან დაკავშირებით.

ვადით ჰააგის კონვენციების ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ. თითოეული სახელმწიფო ნიშნავს არა უმეტეს ოთხ წევრს. ისინი უნდა იყვნენ საერთაშორისო სამართლის აღიარებული სპეციალისტები და ჰქონდეთ მაღალი მორალური თვისებები.

მხარეთა თანხმობა არბიტრაჟზე შეიძლება გამოიხატოს დავის წარმოშობამდე ან მას შემდეგ. ყველაზე გავრცელებული მეთოდია ხელშეკრულებაში კომპრომისული ნორმის გათვალისწინება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, მათ შორის წარმოშობილი ყველა ან ზოგიერთი კატეგორიის დავა დაუქვემდებარონ საარბიტრაჟო განხილვას. თუმცა, როგორც აღინიშნა, მხარეებს ასევე შეუძლიათ გაითვალისწინონ არბიტრაჟისთვის მიმართვა დავის წარმოშობის შემდეგ, სპეციალური შეთანხმების, ე.წ. „კომპრომისის“ საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტი შეიცავს ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა სასამართლოს შემადგენლობა, ვაკანსიების შევსების წესი, მოდავე მხარეთა აგენტების დანიშვნა, სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხები, სასამართლოს მუშაობის წესი, მათ შორის, სამართალწარმოების ენა, გამოსაყენებელი სამართალი, სასამართლოს ადგილმდებარეობა და ადმინისტრაციული ასპექტები, სასამართლო ხარჯების საკითხი, სასამართლოს გადანყვეტილებათა სავალდებულო ხასიათი და მხარეთა უფლება-მოვალეობები. ეს არის იმ ელემენტების ჩამონათვალი, რომლებსაც, როგორც წესი, უნდა ითვალისწინებდეს „კომპრომისი“, თუმცა მხარეებს შეუძლიათ არ გაითვალისწინონ ყველა ეს ასპექტი ან კიდევ, პირიქით, დამატებით გაითვალისწინონ სხვა პირობებიც.

საარბიტრაჟო სამართალწარმოება შეიძლება განახორციელოს მხარეთა მიერ დანიშნულმა ერთმა არბიტრმა ან რამდენიმე არბიტრმა ერთად, რომლებიც ქმნიან საარბიტრაჟო სასამართლოს. ძირითადად, არბიტრთა რაოდენობა განისაზღვრება კენტი რიცხვით და, როგორც წესი, ეს არის 3 ან 5 არბიტრი. პირველ შემთხვევაში თითოეული მხარე ნიშნავს თითო არბიტრს, ხოლო მეორე შემთხვევაში – ორ-ორს. მესამე ან, შესაბამისად, მეხუთე არბიტრი, რომელიც ხშირად თავმჯდომარეობს კიდევ საარბიტრაჟო სასა-

მართლოს, ინიშნება მხარეთა ერთობლივი გადაწყვეტილებით ან მათ მიერ მანამდე დანიშნული არბიტრების მიერ. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მესამე ან მე-ხუთე არბიტრის დანიშვნის უფლებამოსილება გადასცენ მესამე სახელმწიფოს, რათა ხელი არ შეეშალოს საარბიტრაჟო სამართალწარმოების დაწყებას.

ზოგიერთი საარბიტრაჟო სასამართლო დაკომპლექტება ხდება მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო სასამართლოში არსებული წინასწარ განსაზღვრული არბიტრთა სიიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ იქნება საარბიტრაჟო სასამართლო დაკომპლექტებული, არბიტრების ეროვნულობისა და კვალიფიკაციის საკითხებს მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ზოგიერთ შემთხვევაში, მხარეები ასევე ითვალისწინებენ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ მათ მიერ დასანიშნი არბიტრები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „კომპრომისში“ შეიძლება განერილი იყოს საარბიტრაჟო სამართალწარმოების პროცედურა, თუმცა მისი შემდგომი დეტალები თავად საარბიტრაჟო სასამართლოზეა დამოკიდებული. რაც შეეხება სამართალწარმოების დროს გამოსაყენებელ სამართალს, როგორც წესი, „კომპრომისებში“ ვხვდებით მითითებებს საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებს. თუ არბიტრაჟის შესახებ შეთანხმებაში არაფერია ნათქვამი გამოსაყენებელი სამართლის შესახებ, მაშინ საარბიტრაჟო სასამართლომ საქმისწარმოებისას უნდა იხელმძღვანელოს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდების 38-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებებით²⁸⁴.

მხარეები პროცესზე წარმოდგენილნი არიან აგენტების მიერ, რომლებიც, თავის მხრივ, ნიშნავენ თანაშემწეებს ან მრჩეველებს, რამდენადაც ამას მოითხოვს საქმის გარემოებები. აგენტების მიერ წერილობითი თუ ზეპირი შუამდგომლობების დაყენების წესს, რიგი-

²⁸⁴ აღნიშნულ მოთხოვნას ითვალისწინებს 1949 წლის შესწორებული ზოგადი აქტის 28-ე მუხლი.

თობას და ვადებს განსაზღვრავს თავად საარბიტრაჟო სასამართლო. საჭიროებისამებრ, პროცესზე შეიძლება დაიკითხონ მხარეთა მოწმეები, ასევე ექსპერტები, რომლებიც გამოთქვამენ თავიანთ კომპეტენტურ მოსაზრებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

„კომპრომისში“ შეიძლება გათვალისწინებული იყოს საარბიტრაჟო სასამართლოს ადგილმდებარეობა ან პირველი სხდომის გამართვის ადგილი, ხოლო შემდგომი სამართალწარმოების ადგილს განსაზღვრავს თავად სასამართლო. როგორც წესი, ეს საკითხი წყდება ადმინისტრაციული და ფინანსური ფაქტორების გათვალისწინებით. სასამართლოებს, ჩვეულებრივ, აქვთ სამდივნოები, რომლებიც ასრულებენ ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლის როლს მხარეებსა და სასამართლოს შორის. მათვე ეკისრებათ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხასიათის საკითხების მოგვარება (სასამართლოსთვის წარსადგენი დოკუმენტების მოწესრიგება, თარჯიმნების მოწვევა და ა.შ.).

არბიტრაჟის ხარჯები შემდეგნაირად ნაწილდება მხარეთა შორის: ისინი თავად ფარავენ საკუთარ ხარჯებს (როგორცაა, მაგალითად, ადვოკატთა და თარჯიმანთა მომსახურების ხარჯი, ექსპერტთა ანაზღაურება, მტკიცებულებათა შეგროვებაზე განეული ხარჯი, მგზავრობა და მხარეთა მიერ პირადად გასაწევი სხვა ხარჯი). რაც შეეხება საერთო საპროცესო ხარჯებს (როგორცაა არბიტრების ანაზღაურება, მდივნისა და საარბიტრაჟო სასამართლოს მოხელეთა ანაზღაურება და ა.შ.), მათი გაყოფა, როგორც წესი, თანაბრად ხდება მხარეებს შორის. თუმცა შესაძლებელია ზოგიერთი „კომპრომისი“ ითვალისწინებდეს თითოეული მხარის მიერ დანიშნული არბიტრის ანაზღაურებას თავად ამ მხარის მიერ.

არბიტრაჟის გადაწყვეტილება არის მხარეთათვის სავალდებულო. ამ საკითხთან მიმართებით, ყველა „კომპრომისს“ აქვს საერთო მიდგომა. გადაწყვეტილება დგება წერილობითი ფორმით. მას შეიძლება ერთვოდეს ზოგიერთი არბიტრის განსხვავებული ან განსაკუთრებული აზრი. საარბიტრაჟო სასამართლოს აქვს საკუთარი გადაწყვეტილების ინტერპრეტირების კომპეტენციაც.

საარბიტრაჟო პროცედურის ბოლო ეტაპია არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება. დავის ხასიათის გათვალისწინებით, მხარეებმა შეიძლება „კომპრომისში“ გაითვალისწინონ არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად გადასადგმელი ნაბიჯები. 1907 წლის ჰააგის კონვენციის თანახმად, ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მხარეებს შორის არბიტრაჟის გადაწყვეტილების ინტერპრეტირების ან აღსრულების თვალსაზრისით, უნდა წარედგინოს ისევე საქმის განმხილველ არბიტრაჟს, თუ მხარეები სხვა რამეზე არ არიან შეთანხმებული.

7. სასამართლო განხილვა

საერთაშორისო სასამართლო ეს არის მუდმივმოქმედი სასამართლო ორგანო, რომელიც შედგება განსაზღვრული ვადით არჩეული პირებისგან. იგი განიხილავს საქმეებს, რომელთაც მოდავე მხარეები ნებაყოფლობით გადასცემენ მას და მისი გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხარეთათვის. ამასთან, საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების გადაწყვეტილებები საბოლოოა და, როგორც წესი, გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ერთადერთი გამონაკლისი ამ წესიდან ეხება თავად გადაწყვეტილების განმარტებასთან ან მის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხს, რაც შეიძლება გახდეს შემდგომი გადაწყვეტილებების მიღების წინაპირობა იმავე სასამართლოს მიერ²⁸⁵. სწორედ გადაწყვეტილებათა უაპელაციო ხასიათი განასხვავებს სასამართლო განხილვას არბიტრაჟისგან, რომლის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საერთაშორისო სასამართლოში, თუ ამაზე მხარეები გააკეთებენ შესაბამის დათქმას „კომპრომისში“.

²⁸⁵ Chorzow Factory Case (Germany v. Poland), P.C.I.J. Series A, No. 13, 1928, 4; საჩივარი კონტინენტურ შელფთან დაკავშირებულ საქმეზე 1982 წლის 24 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილების გადახედვისა და განმარტების თაობაზე (Tunisia v. Libya), I.C.J. Reports 1985, 192.; თხოვნა თავშესაფრის საქმეზე 1950 წლის 20 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე (Columbia v. Peru), I.C.J. Reports 1950, 395.

სასამართლო განხილვის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ, ვინაიდან საერთაშორისო სასამართლოები და ტრიბუნალები წინასწარ შექმნილი დაწესებულებებია, *ad hoc* სასამართლოებთან შედარებით, რომელთა შესაქმნელად გარკვეული დრო არის საჭირო, ისინი იმთავითვე უფრო ეფექტიანი არიან სასწრაფო საკითხების გადასაწყვეტად, როგორცაა, მაგალითად, დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შუალედური ღონისძიებების გატარება. გარდა ამისა, საერთაშორისო სასამართლოები აყალიბებენ ერთიან პრაქტიკას, რაც, თავის მხრივ, საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ წყაროდ გვევლინება.

თანამედროვე პირობებში საერთაშორისო სამართალწარმოება ხორციელდება, უპირატესად, *გაეროს საერთაშორისო სასამართლოს* მიერ. ის ფუნქციონირებს გაეროს წესდების XIV თავის, საკუთარი სტატუტისა და 1946 წელს შემუშავებული რეგლამენტის თანახმად და წარმოადგენს გაეროს მთავარ სასამართლო ორგანოს, რაც არ გამორიცხავს გაეროს ფარგლებში სხვა სასამართლო ორგანოების შექმნას. ამასთან, სპეციალური ხასიათის საერთაშორისო შეთანხმებების ფარგლებში, შესაძლებელია სპეციალური სასამართლოების შექმნა.

გაეროს საერთაშორისო სასამართლო შედგება 15 წევრისგან, რომლებიც ქმნიან დამოუკიდებელ მოსამართლეთა კოლეგიას. ისინი არიან მაღალი მორალური თვისებების მქონე პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ მოსამართლისთვის დადგენილ მოთხოვნებს საკუთარ ქვეყანაში ან არიან საერთაშორისო სამართლის სფეროში აღიარებული სპეციალისტები.

სასამართლოს ადგილმდებარეობაა ჰააგა. თუმცა, ეს არ უშლის მას ხელს შეასრულოს თავისი ფუნქციები ნებისმიერ სხვა ადგილას. მთელი შემადგენლობით სხდომების გამართვის გარდა, სტატუტი ითვალისწინებს ასევე პალატების შექმნის შესაძლებლობას.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, ძირითადად, განიხილავს ხელშეკრულებების გამოყენებასა და განმარტებასთან დაკავშირებულ საკითხებს ან ისეთ დავებს, რომ-

ლებიც უკავშირდება ტერიტორიულ და სასაზღვრო საკითხებს, საზღვაო დავებს, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე საკუთარი მოქალაქეების დიპლომატიური დაცვის საკითხებს, ძალის გამოყენების საკითხებს, ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ზოგიერთი პრინციპის დარღვევის საკითხებს.

საერთაშორისო სასამართლოების მიერ განსახილველ საკითხთა წრეს ითვალისწინებს სხვადასხვა საერთაშორისო აქტები, რომელთა ფარგლებში ფუნქციონირებს ესა თუ ის სასამართლო, შესაბამისი აქტით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით. მაგალითად, ასეთ სასამართლოთა რიცხვს მიეკუთვნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო²⁸⁶ და ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო²⁸⁷, რომელთა იურისდიქციაში შედის ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევების განხილვა მათი დამფუძნებელი კონვენციების დებულებათა შესაბამისად.

საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების მიერ საქმეთა განხილვა ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელმწიფოები ცნობენ მათ იურისდიქციას. ცნობა, როგორც წესი, გამოიხატება მოდავე სახელმწიფოთა შორის სპეციალური შეთანხმებით მათ შორის არსებული დავის სასამართლოსთვის გადაცემის შესახებ, შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტში (ხელშეკრულებაში, კონვენციაში) კომპრომისული დებულების არსებობით, რაც სასამართლოსთვის უნილატერალური გადაწყვეტილებით მიმართვის საშუალებას იძლევა ან ნებისმიერი სხვა გზით. მაგალითად, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოებს შეუძლიათ სასამართლოს იურისდიქცია წინასწარ ცნონ სავალდებულოდ კონკრეტულ სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება

²⁸⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიქმნა 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით.

²⁸⁷ ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო შეიქმნა 1969 წლის 22 ნოემბრის ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციით.

ხელშეკრულების განმარტებას, საერთაშორისო სამართლის ნებისმიერ საკითხს, ისეთი ფაქტის არსებობას, რომლის დადგენის შემთხვევაში სახეზე იქნება საერთაშორისო ვალდებულების დარღვევა, საერთაშორისო ვალდებულების დარღვევის გამო შესაბამისი კომპენსაციის სახეობასა და მოცულობას. აღნიშნულ საკითხებზე სასამართლოს იურისდიქციის ცნობა მთლიანად კონკრეტულ სახელმწიფოზე დამოკიდებული და ეს ნება ფორმდება შესაბამისი დეკლარაციის სახით. ასეთი დეკლარაცია ვალდებულებას აკისრებს მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ასევე წარადგინეს მსგავსი დეკლარაცია. სავალდებულო იურისდიქციის ცნობის შესახებ ფაქულტატური დებულებები გვხვდება როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან, ისე ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულ სასამართლოსთან დაკავშირებით²⁸⁸.

ზემოთ დასახელებული მაგალითებისგან განსხვავებით, არსებობს ხელშეკრულებები, რომლებთანაც მიერთებით სახელმწიფოები ავტომატურად აღიარებენ შესაბამისი ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედი საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციას. მაგალითად, ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულებების ხელმოწერით სახელმწიფოები ავტომატურად ცნობენ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს²⁸⁹ იურისდიქციას იმ დავების მიმართ, რაც უკავშირდება ამ ხელშეკრულებების გამოყენებასა და განმარტებას.

საერთაშორისო სასამართლო თუ ტრიბუნალი იწყებს სამართალწარმოებას ორივე ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შეთანხმება არსებობს მოდავე სახელმწიფოებს შორის. კერძოდ, თუ მხარეებს აღიარებული აქვთ

²⁸⁸ შესაბამისად, 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 46-ე მუხლი და 1969 წლის 22 ნოემბრის ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კონვენციის 62-ე მუხლი.

²⁸⁹ მისი ძველი სახელწოდებაა ევროპის თანამეგობრობის მართლმსაჯულების სასამართლო (Court of Justice of the European Union), შემოკლებით – CJEU. სასამართლოს ადგილსამყოფელია ლუქსემბურგი.

სასამართლოს, მაგალითად, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს, სავალდებულო იურისდიქცია ამა თუ იმ დავის მიმართ, ასეთ შემთხვევაში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს ცალმხრივად ერთ სახელმწიფოს. თუმცა, თუ ასეთი წინასწარი შეთანხმება არ არსებობს მხარეებს შორის, მაშინ საქმისწარმოების დასაწყებად საჭიროა მხარეთა შეთანხმება. ხშირად ხდება ისე, რომ მოპასუხე მხარე სადავოდ ხდის სასამართლოს იურისდიქციის საკითხს, რაზეც გადაწყვეტილებას იღებს თავად საქმის განმხილველი სასამართლო.

საერთაშორისო სასამართლოს, რომელიმე საერთაშორისო სუბიექტის თხოვნით, შეუძლია გასცეს საკონსულტაციო მოსაზრება სახელმწიფოებს შორის არსებულ საერთაშორისო დავასთან დაკავშირებული კონკრეტული სამართლებრივი საკითხის თაობაზე. მართალია, ასეთ მოსაზრებას არ აქვს სავალდებულო ძალა არც მხარეთათვის და არც ინიციატორი საერთაშორისო სუბიექტისთვის, თუმცა მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დავის გადაწყვეტის თვალსაზრისით.

როგორც, წესი, საერთაშორისო სასამართლოზე ხელი არ მიუწვდებათ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან კონკრეტული სასამართლოს დამფუძნებელი აქტის ხელმომწერები. თუმცა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს შემთხვევაში, გაეროს წესდების 93-ე მუხლის მე-2 პუნქტი აძლევს საშუალებას გაეროს არანევრ სახელმწიფოს მიუერთდეს სასამართლოს სტატუსს გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი პირობებით, უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით. თავად სასამართლოს სტატუსის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სახელმწიფოებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, უშიშროების საბჭოს მიერ დადგენილი პირობებისა და მოქმედი ხელშეკრულებების დებულებების შესაბამისად. გარდა ამისა, მესამე სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს პროცესში ჩართვა, თუ მას მიაჩნია, რომ საქმეზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მის სამართლებრივ ინტერესზე.

როგორც გაეროს მთავარ მართლმსაჯულების ორგანოს, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს აქვს კვაზი-სააპელაციო უფლებამოსილება გაეროს სისტემაში არსებული ადმინისტრაციული ტრიბუნალების გადაწყვეტილებების მიმართ.

უმეტეს შემთხვევებში, საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსასრულებლად, რომელთაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სავალდებულო ძალა აქვთ, სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა გარკვეული ქმედების შესრულება. თუმცა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლოს ზოგჯერ გამოაქვს დეკლარაციული ხასიათის გადაწყვეტილებები, რომლებითაც იგი ადგენს სამართლის სახელმძღვანელო პრინციპებს კონკრეტული დავის გადაწყვეტის მიზნით.

ზემოთ მოყვანილი მახასიათებლების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთაშორისო სასამართლო, არბიტრაჟთან ერთად, წარმოადგენს დავების გადაწყვეტის ეფექტიან, შედეგზე ორიენტირებულ საშუალებას, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო მშვიდობისა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფის საქმეში.

8. დავების გადაწყვეტა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში

გაეროს წესდების 33-ე მუხლის თანახმად, დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალებაა **რეგიონული სააგენტოებისა და შეთანხმებებისთვის მიმართვა**, რაც გულისხმობს **დავების გადაწყვეტას საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში**.

თავად „რეგიონული შეთანხმებების“ ცნება გულისხმობს რეგიონულ მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, რომელთა ფარგლებშიც კონკრეტული რეგიონის სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, ურთიერთშორის დავები გადაწყვიტონ მშვიდობიანი გზით საამისოდ უფლებამოსილი საერთაშორისო სამართალსუბიექტობის მქონე მუდმივმოქმედი დაწესებულების ან რეგიონული

საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის გარეშე²⁹⁰. რაც შეეხება „რეგიონულ სააგენტოს“, ის გულისხმობს მრავალმხრივი ხელშეკრულებით რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას, რომელსაც აქვს უფრო ფართო ფუნქციები საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით და მათ შორისაა დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ფუნქცია²⁹¹. აღნიშნულ სააგენტოებს აქვთ დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საკუთარი მექანიზმები. ისინი ითვალისწინებენ დავების გადაწყვეტის იმ დიპლომატიურ საშუალებებს, რომლებიც ზემოთ იყო განხილული, ან ქმნიან კონკრეტულად ამ მიზნის მისაღწევად სპეციფიკური ფუნქციებით აღჭურვილ მუდმივმოქმედ ორგანოებს.

რეგიონული შეთანხმებები და სააგენტოები, ასევე, გულისხმობს იმ მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო სამართლის კონკრეტულ სფეროებთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორცაა, მაგალითად, ადამიანის უფლებების დაცვა, ეკონომიკური ინტეგრაცია და სხვ. ასეთ აქტებს მიეკუთვნება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია, ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია, ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულება და სხვა აქტები, რომელთაგან ზოგიერთი ქმნის დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ისეთ საშუალებას, როგორცაა საერთაშორისო სასამართლო.

რეგიონული შეთანხმებებისა და სააგენტოებისთვის მიმართვის გათვალისწინება დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებათა შორის აძლევს წევრ სახელმწიფოებს შესაძლებლობას, თავიანთი შეხედულებით გამოიყენონ ეს საშუალებები რეგიონულ დონეზე.

²⁹⁰ მაგალითად, 1975 წლის ხელშეკრულება დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ, 1948 წლის ამერიკის ხელშეკრულება მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ (ბოგოტას პაქტი) და ა.შ.

²⁹¹ ასეთი რეგიონული ორგანიზაციებია, მაგალითად, ევროპის საბჭო, ევროკავშირი, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა, ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია, აფრიკული ერთობის ორგანიზაცია.

რასაკვირველია, პირველ რიგში, ისინი მიმართავენ იმ მექანიზმს, რომელსაც პირდაპირ ითვალისწინებს შესაბამისი რეგიონული სამართლებრივი აქტი.

1.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

მნიშვნელოვანია საკითხი გაეროს წესდების იმ დებულებების ჰარმონიზაციის შესახებ, რომლებიც ეხება, ერთი მხრივ, რეგიონული სააგენტოებისა და შეთანხმებებისათვის მიმართვას, ხოლო, მეორე მხრივ, თავად გაეროს ორგანოების კომპეტენციას დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის თვალსაზრისით. ეს აქტუალური საკითხია, ვინაიდან ზოგიერთი რეგიონული ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ნაწილი ამჯობინებს, დავის არსებობის შემთხვევაში პირდაპირ მიმართოს გაეროს უშიშროების საბჭოს, რეგიონული მექანიზმების გვერდის ავლით. შესაბამისად, არსებული პრაქტიკა მიუთითებს იმ ტენდენციაზე, რომ გარკვეულწილად დაბალანსდეს „რეგიონული“ და „უნივერსალური“ მიდგომები. რასაკვირველია, როდესაც მხარეები იმთავითვე შეთანხმდებიან, რომ მათ შორის ნებისმიერი დავა გადაწყდეს რეგიონულ დონეზე და არ ცვლიან ამ პოზიციას მთელი რეგიონულ პროცედურის მანძილზე, ასეთ შემთხვევაში საკითხი მარტივად დგას. ვითარება რთულდება, როდესაც ერთ-ერთ მხარეს გაკეთებული აქვს დათქმები რეგიონულ ფორუმთან დაკავშირებით და გამოთქვამს ინტერესს, პირდაპირ მიმართოს უნივერსალურ ფორუმს, კერძოდ კი – გაეროს უშიშროების საბჭოს. ასეთი შემთხვევისთვის უშიშროების საბჭოს შემუშავებული აქვს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, მას შეაქვს აღნიშნული საკითხი თავის დღის წესრიგში. მხარეებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ და თუ დავას არ მიუღწევია ისეთი სიმწვავისთვის, რამაც შეიძლება რეალურად შეუქმნას საფრთხე საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას, საბჭომ შეიძლება გადასცეს საქმე რეგიონულ ფორუმს, თუმცა საკითხი რჩება მის დღის წესრიგში, სათანადო ზედამხედველობის ქვეშ. დავის განმხილველი რეგიონული ორგანიზა-

ცია განხილვის შედეგებთან დაკავშირებით წერილობით ანგარიშს უგზავნის უშიშროების საბჭოს.

დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის აღნიშნული პრაქტიკა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ თუ დავა იმდენად გამწვავდება, რომ რეალურ საფრთხეს შეუქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას ან თუ ერთ-ერთი მხარე მიიჩნევს, რომ დავა რეგიონულ დონეზე ველარ გადაწყდება, უშიშროების საბჭოს მცდელობა შეუძლია დაიქვემდებაროს დავა ისე, რომ მას აღარ დასჭირდება წინასწარი კონსულტაციების გამართვა საკითხის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

ზოგადად, გაეროს ფარგლებში დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის ფუნქციას უშიშროების საბჭოსთან ერთად, ასევე ახორციელებს *გენერალური ასამბლეა* და, რიგ შემთხვევებში, *გენერალური მდივანი*.

უშიშროების საბჭო უფლებამოსილია მიიღოს მხოლოდ რეკომენდაციები, რომელთა უდიდესი მნიშვნელობა დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საკითხში ეჭვსგარეშეა. საბჭო დავას განიხილავს: ა) იმ შემთხვევაში, თუ მას მიმართავენ მხარეები ან მესამე სახელმწიფოები; ბ) საკუთარი ინიციატივით, საერთაშორისო დავის ან ვითარების არსის გასარკვევად; გ) გაეროს გენერალური მდივნის მიმართვით; დ) გენერალური ასამბლეის რეკომენდაციით, რომელსაც უფლება აქვს მიაპყროს საბჭოს ყურადღება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველ დავებსა და ვითარებებზე.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საბჭოს უფლება აქვს მოსთხოვოს მხარეებს დავა გადაწყვიტონ გაეროს წესდების 33-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საშუალებით; ურჩიოს მხარეებს, თუ რომელ საშუალებას უნდა მიმართონ მათ მიერ უკვე გამოყენებული მექანიზმების გათვალისწინებით და გაუწიოს მხარეებს რეკომენდაცია დავის გადაწყვეტის პირობების შესახებ; მხარეთა თხოვნით შეიმუშავოს რეკომენდაციები ნებისმიერ დავასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელ ფუნქციას საბჭო

ახორციელებს ისეთი დავების მიმართაც, რომლებიც არ უქმნის საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას, თუმცა, ამ შემთხვევაში საბჭო დავას განიხილავს მხოლოდ მაშინ, თუ ასეთი განხილვის ინიცირება მოხდება მხარეთა მიერ.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის კუთხით, საბჭო თავის ფუნქციებს ახორციელებს როგორც უშუალოდ თავის სხდომებზე, ისე საამისოდ სპეციალურად შექმნილი ორგანოების მეშვეობით, როგორცაა „კეთილი სამსახურის“ კომიტეტები, სპეციალური კომისიები, შუამავლები და ა.შ. ეს ორგანოები ვალდებული არიან იმოქმედონ საბჭოს სახელით, მათთვის დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. დაგეგმილი ღონისძიებებისა და რეკომენდაციების, ასევე, მუშაობის შედეგების შესახებ ისინი ანგარიშვალდებული არიან საბჭოს წინაშე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, *გენერალური ასამბლეა* ასევე მონაწილეობს დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის პროცესში, თუმცა გარკვეული შეზღუდვებით. კერძოდ, არ უნდა მოხდეს საბჭოსა და ასამბლეის ფუნქციათა დუბლირება. გაეროს წესდების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, როდესაც საბჭო ასრულებს თავის ფუნქციებს რომელიმე დავის გადაწყვეტის თვალსაზრისით, გენერალურ ასამბლეას არ აქვს უფლება შეიმუშაოს რაიმე რეკომენდაცია იმავე საკითხზე, თუ ამას საბჭო არ მოითხოვს. თუ საბჭო განსახილველ საკითხს მოხსნის დღის წესრიგიდან, მაშინ ასამბლეას კვლავ უჩნდება უფლებამოსილება განიხილოს აღნიშნული საკითხი და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები. გარდა ამისა, ნებისმიერი საკითხი, რომელიც მოითხოვს აქტიურ მოქმედებას, ასამბლეამ უნდა გადასცეს საბჭოს მის განხილვამდე ან მას შემდეგ.

აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ დავების გადაწყვეტის თვალსაზრისით, გენერალურ ასამბლეას ენიჭება უშიშროების საბჭოს სუბსიდიური ორგანოს მნიშვნელობა.

საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საქმეში გარკვეული როლი შეუძლია შეასრულოს გაეროს მთავარ ადმინისტრაციულ თანამდებობის პირს – *გაეროს გენერალურ მდივანს*.

თავისი ძირითადი კომპეტენციის გარდა, გენერალურ მდივანს გაეროს წესდების 99-ე მუხლის თანახმად, უფლება აქვს უშიშროების საბჭოს აცნობოს ნებისმიერი საკითხის შესახებ, რომელიც, მისი აზრით, შეიძლება დაემუქროს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. ბუნებრივია, პირველ რიგში, ასეთ საკითხებს მიეკუთვნება საერთაშორისო დავები და ვითარებები.

გენერალური მდივანის კომპეტენცია საერთაშორისო დავების დარეგულირების თვალსაზრისით, პირველ რიგში, მდგომარეობს შუამავლობასა და „კეთილი სამსახურის“ განწესებაში. ჩვეულებრივ, გენერალური მდივანი ასრულებს საშემთანხმებლო ფუნქციებს უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის დადგენილებით და იშვიათად – საკუთარი ინიციატივით. მან ეს ფუნქცია შეიძლება შეასრულოს პირადად ან სპეციალური წარმომადგენლების მეშვეობით.

ყველა აღწერილი მექანიზმისა და მათი მოქნილობის გათვალისწინებით, უდავოა, რომ გაეროს აქვს სოლიდური შესაძლებლობა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საქმეში, რაც არაერთხელ დაუმტკიცებია თავისი არსებობის მანძილზე.

1.2. არაბულ სახელმწიფოთა ლიგა

არაბულ სახელმწიფოთა ლიგა, რომელიც შეიქმნა 1945 წლის 22 მარტს შესაბამისი პაქტის საფუძველზე და აერთიანებს ახლო და შუა აღმოსავლეთის ყველა დამოუკიდებელ არაბულ სახელმწიფოს, წარმოადგენს პირველ რეგიონულ პოლიტიკურ ორგანიზაციას. მართალია, ლიგის პაქტი მიღებულ იქნა გაეროს წესდების ხელმოწერამდე, თუმცა მისი დებულებები სრულად შეესაბამება როგორც წესდების მიზნებსა და პრინციპებს, ისე მის რეგულაციებს რეგიონული ორგანოებისა და შეთანხმებების თუ დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ²⁹².

²⁹² The Pact of the League of Arab States (იგივე, the Charter of the Arab League), 22 march 1945. პაქტის ტექსტი იხ., <http://avalon.law.yale.edu/20th_century/arableag.asp> [01.02.2023]

პაქტის მე-5 მუხლის თანახმად, „აკრძალულია ძალის გამოყენება დავების გადაწყვეტის მიზნით, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ლიგის ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოს შორის...“. ზოგადად, ლიგის წევრ სახელმწიფოებს შორის დავები შეიძლება გადაწყდეს როგორც ტრადიციული გზით, რასაც ითვალისწინებს გაეროს წესდების 33-ე მუხლი, ისე მისი განხილვით ლიგის საბჭოს ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის უმაღლეს ორგანოს. თავად დავები იყოფა ორ ჯგუფად. პირველი ეს არის დავები, რომლებიც არ ეხება სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. ხოლო მეორე კატეგორიას განეკუთვნება ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს ომში ლიგის წევრ სახელმწიფოებს შორის ან მათსა და მესამე, ანუ არაწევრ სახელმწიფოს შორის. ორივე კატეგორიის დავები შეიძლება განხილულ იქნეს რეგიონულ დონეზე, ლიგის საბჭოს მიერ, თუმცა, მათი განხილვის პროცედურა განსხვავებულია. კერძოდ, ისეთი დავების განხილვა, რომლებიც არ ეხება სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, საბჭოს მიერ ხდება მხოლოდ მხარეთა მხრიდან მიმართვის შემთხვევაში. საბჭოს მიერ ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო და საბოლოოა, ანუ, საბჭო ასრულებს საერთაშორისო საარბიტრაჟო ან სასამართლო ინსტანციის როლს. თავად მხარეებს არ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ საბჭოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში.

რაც შეეხება მეორე კატეგორიის დავებს, ანუ ისეთებს, რომლებიც ქმნიან ომის საშიშროებას, საბჭოს მათი განხილვა შეუძლია საკუთარი ინიციატივით. თუმცა, ასეთ შემთხვევაში საბჭო გამოდის შემთანხმებელი ინსტანციის სახით და სთავაზობს მხარეებს „კეთილ სამსახურს“, შუამავლობას, საგამოძიებო ან სამშემთანხმებლო პროცედურებს. შესაბამისად, მის გადაწყვეტილებებს არ აქვს მათთვის სავალდებულო ძალა.

აღნიშნულ ფუნქციებს საბჭო ახორციელებს უშუალოდ ან ამ მიზნით შექმნილი დამხმარე ორგანოების მეშვეობით. ასევე უნდა

აღინიშნოს, რომ მართალია, პაქტი სახელდებით არ ითვალისწინებს ლიგის გენერალური მდივნის მონაწილეობას დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საქმეში, თუმცა ხშირად საბჭო თავისი შიდა რეგულაციების მეშვეობით აქტიურად რთავს მას ამ პროცესში, განსაკუთრებით კი – შუამავლობისა და საგამოძიებო მისიების შესასრულებლად შექმნილი სპეციალური ორგანოების ფარგლებში.

1.3. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია შეიქმნა 1948 წლის 30 აპრილს, როდესაც ხელი მოეწერა მის წესდებას²⁹³. წესდების მე-6 თავი ეძღვნება დავების მშვიდობიან გადაწყვეტას. 23-ე მუხლის თანახმად, ამერიკის სახელმწიფოთა შორის წარმოშობილი საერთაშორისო დავები უნდა დაექვემდებაროს წესდებით გათვალისწინებულ მშვიდობიან პროცედურებს, რაც არ აკნინებს წევრ სახელმწიფოთა უფლება-მოვალეობებს, დადგენილს გაეროს წესდების 34-ე და 35-ე მუხლებით. წესდებაში საგანგებოდ არის მითითებული უშუალო მოლაპარაკებების, „კეთილი სამსახურის“, შუამავლობის, საგამოძიებო და საშემთანხმებლო პროცედურების, არბიტრაჟისა და სასამართლო განხილვის შესახებ. ის, გაეროს წესდების მსგავსად, ითვალისწინებს მხარეთა შესაძლებლობას, მიმართონ დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის სხვა საშუალებებსაც. 26-ე მუხლი მიუთითებს „მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ“ 1948 წლის 30 აპრილის ამერიკის ხელშეკრულებაზე (იგივე, „ბოგოტას პაქტი“), რომელიც დეტალურად არეგულირებს ზემოთ ჩამოთვლილ პროცედურებს დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის სხვა, ზოგადი ხასიათის პრინციპებთან ერთად.

ორგანიზაციის წესდებით შექმნილია მუდმივმოქმედი საბჭო, რომელშიც შედის წევრ სახელმწიფოთა თითო წარმომადგენელი და რომელიც აღჭურვილია დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის უფ-

²⁹³ Charter of the Organization of American States, Signed at Bogota, 30 April 1948. <<https://treaties.un.org/doc/Publication/UNTS/Volume%20119/volume-119-I-1609-English.pdf>> [01.02.2023]

ლებამოსილებით. საბჭო თავის ფუნქციებს ახორციელებს მხარეთა ინიციატივით. თუ რომელიმე ან ყველა მხარე ითხოვს „კეთილ სამსახურს“, მაშინ საბჭო უწევს მათ რეკომენდაციას, თუ რომელი პროცედურა იქნება კონკრეტული დავის გადასაწყვეტად ყველაზე მეტად მიზანშეწონილი და ეფექტიანი. ამ ფუნქციების განსახორციელებლად, საბჭომ დავაში ჩართული სახელმწიფოების თანხმობით, შეიძლება განახორციელოს საგამოძიებო ღონისძიებები ერთ-ერთი ან ყველა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მას ასევე შეუძლია, მხარეთა თანხმობით, შექმნას *ad hoc* კომისიები, რომელთა შემადგენლობა და მანდატი ასევე უნდა შეთანხმდეს მხარეებთან.

თუ საბჭოს ან კომისიის მიერ რეკომენდებული დავის გადანწყვეტის საშუალება არ იქნება მისაღები ერთ-ერთი მხარისათვის ან ეს უკანასკნელი განაცხადებს, რომ ამ პროცედურით ვერ მოგვარდა დავა, საბჭო ამის შესახებ ატყობინებს გენერალურ ასამბლეას. საინტერესოა ასევე ორგანიზაციის გენერალური მდივნის ფუნქციები დავების მშვიდობიანი გადანწყვეტის თვალსაზრისით. კერძოდ, 1985 წლის ოქმით²⁹⁴, რომლითაც ცვლილებები განხორციელდა წესდებაში, გენერალური მდივნის ფუნქციები დაუახლოვდა გაეროს გენერალური მდივნის შესაბამის ფუნქციებს, რაც მოწმობს მისი კომპეტენციის გაზრდის ტენდენციას დავების მშვიდობიანი გადანწყვეტის თვალსაზრისით.

1.4. აფრიკის ერთობის ორგანიზაცია

აფრიკის ერთობის ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1963 წლის 25 მაისს, წარმოადგენს დამოუკიდებელი აფრიკის კონტინენტურ სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციას. იგი აერთიანებს კონტინენტის ყველა სახელმწიფოს და წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს გაერთიანებას თანამედროვე მსოფლიოს რეგიონულ ორგანიზაციათა შორის.

²⁹⁴ 1985 Protocol of Amendment to the Charter of the Organization of American States, იხ., <<https://iea.uoregon.edu/treaty-text/1985-protocol-1948-organizationamericanstatesentxt>> [01.02.2023]

ორგანიზაციის წესდებაში განმტკიცებულ ძირითად პრინციპთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სადავო საკითხების მშვიდობიან გადაწყვეტას მოლაპარაკებების, შუამავლობის, საშემთანხმებლო პროცედურისა და არბიტრაჟის გზით²⁹⁵. როგორც ვხედავთ, ორგანიზაციის წესდება, გაეროს წესდებისგან განსხვავებით, განამტკიცებს დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის მხოლოდ ოთხ საშუალებას, რაშიც ვლინდება კიდევ აფრიკის სახელმწიფოთა ურთიერთობების სპეციფიკური ხასიათი.

აფრიკის სახელმწიფოთა მიერ კონფლიქტის დარეგულერების საერთაშორისო პრაქტიკაში ერთგვარ ნოვაციას წარმოადგენს ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული *შუამავლობის, საშემთანხმებლო და საარბიტრაჟო კომისია*. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კომისიას აქვს ინსტიტუციის სახე და წარმოადგენს აფრიკის ერთობის ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ მუდმივმოქმედ ორგანოს, წევრი სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებთან, საგარეო საქმეთა მინისტრებსა და ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოსთან ერთად. კომისიის შემადგენლობას, სტრუქტურასა და უფლებამოსილებას განსაზღვრავს სპეციალური ოქმი, რომელსაც ხელი მოეწერა ქაიროში, წევრი სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურების პირველ კონფერენციაზე 1964 წლის 21 ივლისს და რომელიც წარმოადგენს წესდების განუყოფელ ნაწილს. კომისია შედგება 21 წევრისაგან, რომლებიც აირჩევიან წევრი სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურების კონფერენციის მიერ ხუთი წლის ვადით, ხელახალი არჩევის უფლებით. ამასთან, მასში არ უნდა შედიოდეს ერთი სახელმწიფოს ერთზე მეტი მოქალაქე. მათი რიცხვიდან კონფერენცია ირჩევს კომისიის თავმჯდომარესა და მის ორ მოადგილეს, რომლებიც ქმნიან ბიუროს. ბიურო პასუხისმგებელია მხარეებთან კონსულტაციების გამართვაზე დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალების ძიების პროცესში. გარდა ამისა,

²⁹⁵ Charter of the Organization of African Unity, 25 May 1963, 479 U.N.T.S. 39, entered into force 13 September 1963, იხ., <http://hrlibrary.umn.edu/africa/OAU_Charter_1993.html> [01.02.2023]

კომისია ნიშნავს მდივან-რეგისტრატორს და შეუძლია ასევე დანიშნოს სხვა თანამდებობის პირები, რომელთაც მიიჩნევს საჭიროდ.

კომისიაში განხილვას ექვემდებარება დავები მხოლოდ წევრ სახელმწიფოთა შორის. ინიციატორი შეიძლება იყოს რომელიმე მხარე ან მხარეები ერთობლივად, მინისტრთა საბჭო ან სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურები. თუ დავა განსახილველად გადაეცა კომისიას, ხოლო ერთ-ერთი ან მეტი მხარე არ ეთანხმება ასეთ გადაცემას, ბიურო საქმეს განსახილველად გადასცემს მინისტრთა საბჭოს. მეორე მხრივ, მხარის თანხმობა შეიძლება გამოიხატოს მხარეთა წინასწარი შეთანხმებით, კომისიისთვის საქმის *ad hoc* გადაცემით ან დავის სხვა მხარისგან, მინისტრთა საბჭოსა ან ასამბლეისგან თანხმობის *post factum* მიღებით. კომისია ახორციელებს საგამოძიებო ფუნქციას მისთვის დაქვემდებარებული დავების მიმართ.

ოქმში ერთმანეთისგან არის გამიჯნული შუამავლობის, საშემთანხმებლო და საარბიტრაჟო პროცედურები. ესენი არის ალტერნატიული პროცედურები და მხარეებს შეუძლიათ მიმართონ ერთ-ერთ ან ყველა მათგანს.

საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის მექანიზმის გასაუმჯობესებლად 1993 წელს შეიქმნა *კონფლიქტების პრევენციის, მართვისა და გადაწყვეტის მექანიზმი (Mechanism for Conflict Prevention, Management and Resolution)*, რაც იყო აფრიკის კონტინენტის გამოძახილი მსოფლიოში მიმდინარე პროცესების განვითარების პარალელურად, დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებების გაძლიერების მოთხოვნის მიმართ. ეს მიუთითებს აფრიკის კონტინენტის მზაობაზე, თავად, კონტინენტის ფარგლებში გადაწყვიტოს საკუთარი პრობლემები ოპერატიულად და ეფექტიანად.

გარდა ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული მექანიზმებისა, აფრიკის ერთობის წევრი სახელმწიფოები მიმართავენ ასევე დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ტრადიციულ საერთაშორისოსამართლებრივ საშუალებებს.

1.5. დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა ევროპაში

ევროპის საბჭო. ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა 1957 წლის 29 აპრილს სტრასბურგში ხელი მოაწერეს „დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ ევროპულ კონვენციას“²⁹⁶. კონვენცია განასხვავებს სამართლებრივ დავებს, როგორც ეს არის განმარტებული მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტში და სხვა (არასამართლებრივ) დავებს. სამართლებრივ დავებთან მიმართებით, კონვენციის წევრი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, ცნონ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია. ამის მიუხედავად, ასეთი დავის მხარეებს შეუძლიათ საშემთანხმებლო პროცედურის გამოყენება მანამ, სანამ დავას გადასცემენ სასამართლოს.

არასამართლებრივი ხასიათის დავებთან დაკავშირებით²⁹⁷, ევროპული კონვენცია ითვალისწინებს შემდეგ საშუალებებს: ა) საშემთანხმებლო პროცედურა, თუ მხარეები არ შეთანხმდებიან დავის საარბიტრაჟო სასამართლოსთვის გადაცემაზე საშემთანხმებლო პროცედურის გვერდის ავლით და ბ) არბიტრაჟი, რომელსაც მხარეები მიმართავენ, როდესაც დავა ვერ გადაწყდება საშემთანხმებლო პროცედურის შედეგად. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მხარეები ვერ შეთანხმდნენ, პირველ რიგში, საშემთანხმებლო პროცედურის გამოყენებაზე ან კიდევ საშემთანხმებლო პროცედურამ რეალურად შედეგი ვერ გამოიღო.

აღსანიშნავია, რომ კონვენციის წევრ სახელმწიფოს უფლება არ აქვს არ ცნოს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია სამართლებრივი ხასიათის დავებთან დაკავშირებით. ამავე დროს, კონვენცია იძლევა იმის საშუალებას, რომ მისი რატიფიცირებისას მხარემ გააკეთოს დათქმა იმის თაო-

²⁹⁶ European Convention for the Peaceful Settlement of Disputes, 29 April 1957, Strasbourg, Council of Europe, European Treaty Series No. 23.

²⁹⁷ დავები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტში.

ბაზე, რომ ის არ ცნობს არბიტრაჟსა და საშემთანხმებლო პროცედურას. ზოგიერთმა სახელმწიფომ მიმართა კიდევ ამ გზას და მათ გააკეთეს ასეთი დათქმები²⁹⁸.

თუ მხარეები შეთანხმდებიან დავის გადაწყვეტის სხვა მშვიდობიან საშუალებაზე, ასეთ შემთხვევაში კონვენციის დებულებები არ გამოიყენება. ერთადერთი შეზღუდვა ამ თვალსაზრისით მდგომარეობს იმაში, რომ სამართლებრივი ხასიათის დავებთან დაკავშირებით მხარეები უნდა შეთანხმდნენ ისეთ პროცედურაზე, რომელიც სრულდება მხარეთათვის სავალდებულოდ შესასრულებელი გადაწყვეტილების მიღებით.

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო). ეუთოს 1975 წლის ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტის თანახმად, ნევრი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას ურთიერთშორის დავა მოაგვარონ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად მშვიდობიანი, ოპერატიული და სამართლიანი საშუალებით, როგორცაა მოლაპარაკება, შუამავლობა, საგამოძიებო და საშემთანხმებლო პროცედურა, არბიტრაჟი, სასამართლო განხილვა ან სხვა საშუალება მათი არჩევით, მათ შორის, ნებისმიერი საშუალება, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან წინასწარ²⁹⁹.

თუ მხარეები გონივრულ ვადაში ვერ შეძლებენ დავის უშუალო მოლაპარაკებებით გადაწყვეტას ან შესაბამის პროცედურაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მათგანს შეუძლია მოითხოვოს ეუთოს ფარგლებში „დავის გადაწყვეტის მექანიზმის“ შექმნა, რის შესახებაც ატყობინებს მეორე მხარეს ან მხარეებს. მხარეები აქტიურად მონაწილეობენ „მექანიზმის“ ნევრების არჩევაში, კერძოდ, მათ აქვთ რამდენიმე შემოთავაზებულ კანდიდატზე უარის თქმის უფლება.

²⁹⁸ არბიტრაჟსა და საშემთანხმებლო პროცედურის შესახებ დათქმა გააკეთეს ბელგიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, მალტამ, ნიდერლანდებმა, სლოვაკეთმა, შვედეთმა და გაერთიანებულმა სამეფომ.

²⁹⁹ Conference on Security and Co-operation in Europe Final Act, Helsinki 1975, part V. Peaceful settlement of disputes.

თუმცა, შესაბამისი რეგულაციებით ასევე განმტკიცებულია, რომ მხარეთა მიერ კანდიდატების დაწინებამ, საბოლოო ჯამში, ხელი არ უნდა შეუშალოს „მექანიზმის“ ჩამოყალიბებას.

მას შემდეგ, რაც „მექანიზმი“ შეიქმნება, ის გამოითხოვს მხარეებისგან ინფორმაციას, რომელიც მას საშუალებას მისცემს, მოახდინოს დავის გადანყვეტის შესაბამისი პროცედურის იდენტიფიცირება, რის შესახებაც ის მხარეებს აძლევს ზოგადი ან კონკრეტული ხასიათის რეკომენდაციებს. თუ მხარეები შეთანხმდებიან, მათ შეუძლიათ აღჭურვონ „მექანიზმი“ საგამოძიებო და ექსპერტის ფუნქციებით, ასევე მიანიჭონ მის გადანყვეტილებებს სავალდებულო ძალა დავის ნაწილობრივ თუ მთლიანად გადანყვეტის თვალსაზრისით.

არის შემთხვევები, როდესაც დავის მშვიდობიანი გადანყვეტის პროცესში ერთვება ისეთი ორგანო, როგორცაა *მაღალი თანამდებობის პირების კომიტეტი*. ეს შემთხვევებია, როდესაც: ა) „მექანიზმის“ მიერ შემუშავებული რეკომენდაციის მიმართ კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მიუხედავად, მხარეები ვერ შეძლებენ დავის გადანყვეტას გონივრულ ვადაში, რის შესახებაც აცხობინებენ „მექანიზმს“. ასეთ დროს ნებისმიერ მხარეს შეუძლია საქმის გარემოებების შესახებ აცნობოს კომიტეტს; ბ) მიუხედავად იმისა, რომ ერთი მხარე ითხოვს „მექანიზმის“ შექმნას, ის არ შეიქმნება, თუ მეორე მხარე ამის წინააღმდეგია იმ მიზეზით, რომ დავა ეხება ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული თავდაცვის, გარკვეულ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის უფლებისა და იურისდიქციის გავრცელების საკითხებს. ასეთ შემთხვევაში დავის ნებისმიერ სხვა მხარეს შეუძლია საქმე გადასცეს კომიტეტს; გ) როდესაც სახეზეა დავა, რომელიც საფრთხეს უქმნის ეუთოს წევრი სახელმწიფოების მშვიდობას, უსაფრთხოებასა და სტაბილურობას, ასეთი საქმე დავის ნებისმიერმა მხარემ შეიძლება გადასცეს კომიტეტს, რაც, თავის მხრივ, ხელს არ უშლის სხვა სახელმწიფოს, საკითხი დააყენოს „მექანიზმის“ წინაშეც.

ევროკავშირი. ევროკავშირის, როგორც რეგიონული სააგენტოს მიზანი მდგომარეობს მშვიდობის შენარჩუნებაში, კონ-

ფლიქტების პრევენციასა და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში გაეროს წესდების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად³⁰⁰.

წვერი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, რომ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების ინტერპრეტირებასა და აღსრულებასთან დაკავშირებით მათ შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა არ გადასცენ სხვა ორგანოს, გარდა თავად ხელშეკრულებით გათვალისწინებულისა.

ევროკავშირის სიტემაში ორი ორგანოა პასუხისმგებელი საერთაშორისო დავების გადაწყვეტაზე. ესენია: **ევროკავშირის კომისია** და **მართლმსაჯულების სასამართლო**. თუ ევროკავშირის წვერი სახელმწიფო მიიჩნევს, რომ სხვა წვერი სახელმწიფო არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მან, პირველ რიგში, უნდა მიმართოს კომისიას. კომისია შეიმუშავებს დასაბუთებულ მოსაზრებას სამი თვის ვადაში, თუმცა, ეს მოსაზრება არ არის საბოლოო. თუ კომისია დაარღვევს ამ ვადას ან მომჩივანი ან მოპასუხე სახელმწიფო არ ეთანხმება კომისიის მოსაზრებას, საქმე შეიძლება გადაეცეს მართლმსაჯულების სასამართლოს.

გარდა ზემოთ მითითებული შემთხვევისა, სასამართლო კომპეტენტურია გადაწყვიტოს ნებისმიერი დავა მხარეთა შორის, რომელიც ეხება ხელშეკრულების საგანს მატერიალური გაგებით, თუ საკითხის სასამართლოსთვის გადაცემა გათვალისწინებულია მხარეთა შორის სპეციალური შეთანხმებით. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წვერი სახელმწიფო არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებით დაეკისრება შესაბამისი ღონისძიებების გატარების ვალდებულება. სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხარეთათვის.

აღსანიშნავია ევროკავშირის როლი მშვიდობიანი გარემოს შენარჩუნების თვალსაზრისით არა მარტო წვერ, არამედ ასევე არაწვერ სახელმწიფოებს შორის. კერძოდ, ევროკავშირის ხელშეკრუ-

³⁰⁰ ევროკავშირის ხელშეკრულების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 1992 წლის 7 თებერვალი, მასტრიხტი.

ლების მე-8 მუხლის თანახმად, ორგანიზაციამ უნდა დაამყაროს განსაკუთრებული ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან, აყვავებული გარემოსა და კარგი სამეზობლოს შექმნის მიზნით, რაც ემყარება ევროკავშირის ფასეულობებს და თანამშრომლობაზე დამყარებულ მშვიდობიან და მჭიდრო ურთიერთობებს. მსოფლიო მშვიდობის განმტკიცების საქმეში ევროკავშირის როლის გაძლიერება იყო სწორედ ლისაბონის ხელშეკრულების დადების მიზანი, რომელსაც ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს 2007 წლის 13 დეკემბერს³⁰¹ და რომელმაც ცვლილებები შეიტანა ევროკავშირის ხელშეკრულებასა (*Treaty on European Union*) და ევროგაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაში (*Treaty establishing the European Community*). ამ უკანასკნელს დაერქვა „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება“ (*Treaty on the Functioning of the European Union – TFEU*).

იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონული სააგენტოს უპირველეს ფუნქციას წარმოადგენს წევრ სახელმწიფოებს შორის ადგილობრივი დავების გადაწყვეტა, ევროკავშირის, როგორც სამეზობლოში კრიზისების მმართველისა და დავების მომგვარებლის, ფუნქციის ეფექტიანი შესრულება მოითხოვს გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღების მექანიზმის არსებობას³⁰². ამ თვალსაზრისით, მთავარი ორგანოა საგარეო საქმეთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის საბჭოს ერთ-ერთ კონფიგურაციას. მას, სხვა კატეგორიის საბჭოებისგან განსხვავებით, ხელმძღვანელობს არა წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები, არამედ საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის კავშირის უმაღლესი წარმომადგენელი (*High Representative of the Union for Foreign Affairs and Security Policy*), რომლის წინადადების საფუძველზეც საბჭო

³⁰¹ Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community, signed at Lisbon, 13 December 2007.

³⁰² Steven Blockmans and Ramses A Wessel? The European Union and Peaceful Settlement of Disputes in its Neighborhood: the Emergence of a New Regional Security Actor? 83, იბ., <<https://www.utwente.nl/en/bms/pa/research/wessel/wessel73.pdf>> [01.02.2023]

უფლებამოსილია მიიღოს სათანადო ზომები საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში. თავის მხრივ, უმაღლესი წარმომადგენლის აღნიშნული წინადადება ემყარება ევროპის საბჭოს შესაბამის მოთხოვნას, რაზეც ნევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვეტილება მიიღონ არა ერთხმად, არამედ ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით, რაც ამარტივებს თავად გადაწყვეტილების მიღების პროცედურას. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ უმაღლესი წარმომადგენლის ინსტიტუტის შედარებით დამოუკიდებელი ხასიათის მიუხედავად, ევროკავშირის ნებისმიერი ქმედება, მათ შორის, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებით, მაინც დამოკიდებულია მისი წევრი სახელმწიფოების თანხმობაზე.

ევროკავშირის ხელშეკრულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნებისმიერი წევრი სახელმწიფო, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის კავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ან ეს უკანასკნელი კომისიის მხარდაჭერით უფლებამოსილია დააყენოს საბჭოს წინაშე საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, ასევე, წარუდგინოს მას სათანადო ინიციატივები და წინადადებები. საგულისხმოა, რომ უმაღლესი წარმომადგენელი, ამავე დროს, არის ევროკომისიის *ex officio* ვიცე-პრეზიდენტი. უმაღლესი წარმომადგენლისა და ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის ფუნქციების კომბინაცია უდავოდ არის ლისაბონის ხელშეკრულების ერთ-ერთი საკვანძო და მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც ხელს უწყობს არა მხოლოდ ევროკავშირის საგარეო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას, არამედ, ასევე, უზრუნველყოფს მჭიდრო თანამშრომლობას თავად ორგანიზაციის ფარგლებში.³⁰³

³⁰³ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უფრო დეტალურად იხ., J Paul, EU Foreign Policy after Lisbon: Will the New High Representative and the External Action Service Make a Difference? (2008) 2 Centre for Applied Policy Research (CAP) Policy Analysis; C. Kaddous, Role and Position of the High Representative of the Union for Foreign Affairs and Security Policy under the Lisbon Treaty, in S. Griller and J Ziller (eds), The Lisbon Treaty: Constitutionalism without a Constitutional Treaty? (Vienna, Springer, 2008), 206; Whit-

თავი X.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისოსამართლებრივი მექანიზმები

1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარების ტენდენციები

XX საუკუნეში საერთაშორისოსამართლებრივი სისტემის ევოლუციამ და პროგრესულმა განვითარებამ განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გამოიწვია საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების შექმნის პროცესში ჰუმანური ფასეულობების მნიშვნელობის ზრდა. პიროვნების დაცვა ნებისმიერი ძალადობისგან, მისი ღირსებისა და თავისუფლების უზრუნველყოფა საერთაშორისო საზოგადოების მთავარი საზრუნავია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის თანახმად, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე წარმოადგენს ამ ორგანიზაციის მთავარ მიზანს.³⁰⁴ უფრო მეტიც, გაეროს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან ურთიერთთანამშრომლობით თუ დამოუკიდებლად დაიცვან მიზნები, რომლებიც გაეროს ქარტიითაა განსაზღვრული. გაეროს წევრი სახელმწიფოები შეუერთდნენ სხვადასხვა უნივერსალურ და რეგიონულ საერთაშორისო შეთანხმებას ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ.³⁰⁵ ეს შეთანხმებები

man and Juncos, *The Lisbon Treaty and the Foreign, Security and Defence Policy: Reforms, Implementation and the Consequence of (non-) Ratification* (2009) 14 *European Foreign Affairs Review* 25, 32.

³⁰⁴ გაეროს ქარტია, 1945, პირველი მუხლი.

³⁰⁵ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966 წელი); საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (1966 წელი); კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1966 წელი); კონ-

მოიცავს სხვადასხვა არსებით (მატერიალურ) უფლებებს და მათი იმპლემენტაციის პროცედურებს.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისოსამართლებრივი განვითარების ყველაზე დატვირთული ეპოქა მეორე მსოფლიოს ომის შემდგომი პერიოდია, რომელსაც უკავშირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა და მასთან ერთად უამრავი საერთაშორისო შეთანხმება ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით.

დღესდღეობით თითქმის ყველა სახელმწიფო თანხმდება ადამიანის უფლების არსებით საკითხებზე, კერძოდ:

- ინდივიდის ღირსება არის ძირითადი ფასეულობა, რომლის დაცვასაც უნდა შეეცადოს თითოეული სახელმწიფო განურჩევლად ეროვნებისა, რასისა, სქესისა, პოლიტიკური თუ სხვა კუთვნილებისა და ა.შ;
- აუცილებელია არსებობდეს მისწრაფება სხვადასხვა ჯგუფებისა და ხალხების ფუნდამენტური უფლებების სრულყოფისა და დაცვისკენ;
- რასობრივი დისკრიმინაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გაუსაძლის მდგომარეობას;
- არც ერთი სახელმწიფო არ უნდა ჩაებას ადამიანის უფლებათა სერიოზულ, განმეორებად და ფართომასშტაბურ ხელყოფაში, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად რთულია ზოგიერთი სახელმწიფოსთვის ადამიანის უფლებათა სრული პატივისცემის მიღწევა;
- ადამიანის უფლებათა ფართომასშტაბიანი დარღვევის შემთხვევაში საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა გამოიყენოს მშვიდობიანი ინტერვენციის უფლება.³⁰⁶

ვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისი ჩადენისათვის დასჯის შესახებ (1948 წელი); კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აღმოფხვრისა და დასჯის შესახებ (1984 წელი); ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ (1950 წელი); ევროპის კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აღმოფხვრისა და დასჯის შესახებ (1987 წელი); ამერიკის კონვენცია ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ (1969 წელი).

³⁰⁶ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის

XX საუკუნეში ადამიანის უფლებათა განვითარების პირობითად 4 ეტაპი გამოიყოფა:

- I – გაეროს ქარტიის დამტკიცებიდან გვიან, 1950-იან წლებამდე. ეს პერიოდი ხასიათდება დასავლეთის დომინანტობით. რეგიონულ დონეზე ამ პერიოდში მოხდა სწორედ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიღება, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის სფეროში.
- II – 1955 -1966 წლები. ეს ეტაპი დაიწყო სოციალისტური ჯგუფის გაძლიერებით გაეროში და დასრულდა ორი საერთაშორისო პაქტის მიღებით: საერთაშორისო პაქტი პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებათა შესახებ, და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ.
- III – 1974 წლიდან 1990-იან წლებამდე. ის ხასიათდებოდა განვითარებადი ქვეყნების პრივილეგიებით.
- IV – დაიწყო ცივი ომის დასრულებით, ხასიათდება საერთაშორისო ლეგიტიმიზაციისთვის ადამიანის უფლებათა პატივისცემის აუცილებელ პირობად აღიარების შესახებ ფართო კონსენსუსის გამომჟღავნებით.³⁰⁷

გაეროს გენერალური ასამბლეის ერთ-ერთი პირველი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღება, რომელიც აბსოლუტურად მისაღები იქნებოდა სხვადასხვა იდეოლოგიის სახელმწიფოებისთვის (მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი), სხვადასხვა ერებისთვის, რომელთაც ძალიან განსხვავებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური სისტემები გააჩნიათ (მაგალითად, დასავლეთის ქვეყ-

საერთაშორისოსამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისთვის, თბილისი, 2017, 48.

³⁰⁷ იქვე, 61-62.

ნები და ეთიოპია, საუდის არაბეთი, ავღანეთი), სხვადასხვა რელიგიური მრწამსის სახელმწიფოებისთვის (ქრისტიანები, მუსულმანები, ბუდისტები და სხვა). აღნიშნული დოკუმენტი თარიღდება 1948 წლით და ორი ძირითადი მახასიათებელი გააჩნია: ერთი ეხება მის ფორმალურ სტრუქტურას, ხოლო მეორე, მის შინაარსს.³⁰⁸

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია სახელმწიფოებისთვის სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, მიუხედავად ამისა, ის დიდი მნიშვნელობისაა ადამიანის უფლებათა პოპულარიზაციის თვალსაზრისით. მან ჩამოაყალიბა ერთიანი და უნივერსალური კონცეფცია იმ ფასეულობებისა, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოებმა თავიანთ შიდა სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბებაში.

დეკლარაციაში არსებული უფლებების კლასიფიკაცია, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:³⁰⁹

■ **სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები:**

- სიცოცხლის უფლება;
- წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის უფლება;
- მონობისა და ძალმომრეობითი მორჩილების აკრძალვის უფლება;
- თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება;
- თავისუფალი გადაადგილების უფლება;
- მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება;
- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;
- აზრისა და გამონათქვამის თავისუფლება;
- მშვიდობიანი შეკრებისა და ასოციაციების თავისუფლება;
- საკუთრების უფლება;
- კანონის წინაშე თანასწორობის უფლება და ა.შ.

³⁰⁸ იქვე, 62-63.

³⁰⁹ Ковлер А., Международная правосубъектность индивида: продолжение дискуссии, Международное право XXI века, Киев, 2006, 247.

■ **ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები:**

- შრომის უფლება;
- შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების შექმნის უფლება;
- პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება;
- განათლების უფლება;
- დედობისა და ჩვილი ბავშვის ყოლის უფლება;
- სამედიცინო და სოციალური მომსახურების უფლება და ა.შ.

■ **კოლექტიური უფლებები:**

- მშვიდობის უფლება;
- გენოციდისა და აპარტიდის აკრძალვის უფლება;
- ერის თვითგამორკვევის უფლება;
- ეროვნულ უმცირესობათა უფლება და ა.შ.

2. ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური მექანიზმები

ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალურ მექანიზმებად მიიჩნევა გაეროს სახელშეკრულებო ორგანოები, რომელთა ფუნქციაა, მონიტორინგი გაუწიოს სახელმწიფოებს, თუ რამდენად ზედმინევით ასრულებენ ისინი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს.³¹⁰

სახელშეკრულებო ორგანოები შექმნილია ხელშეკრულების საფუძველზე და უშუალოდ დაკავშირებულია ხელშეკრულებასთან. ეს ორგანოები წარმოადგენს დამოუკიდებელი ექსპერტების კომიტეტებს, რომლებიც აკვირდებიან სახელმწიფოს მიერ რვა ძირი-

³¹⁰ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისოსამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 72.

თადი საერთაშორისო ხელშეკრულებითა და ფაკულტატური ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.³¹¹

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებში იგულისხმება გაეროს ფარგლებში მოქმედი კომიტეტები, როგორცაა ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი, რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, ბავშვთა უფლებების კომიტეტი, წამების წინააღმდეგ კომიტეტი, წამების პრევენციის კომიტეტი, მიგრანტ მუშაკთა უფლებების კომიტეტი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კომიტეტი (შემდგომ ქვეპარაგრაფებში მოცემულია ზოგიერთი მათგანის დეტალური მიმოხილვა).

თითოეული კომიტეტი შედგება დამოუკიდებელი ექპერტებისგან, რომელთა შერჩევის დროს მხედველობაში მიიღება რეგიონული დანაწილების პრინციპი და თანაბარი წარმომადგენლობა სხვადასხვა სამართლებრივი სისტემებიდან. თითოეული კომიტეტის წევრთა რაოდენობა მერყეობს 10-დან 23-მდე. სახელშეკრულებო ორგანოს წევრები ირჩევიან შესაბამისი ხელშეკრულების ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ ფიქსირებული ან განახლებადი ვადით.³¹²

კომიტეტები იხილავენ შემდეგი სახის განაცხადებს:

- სახელმწიფოთა მიერ წარდგენილი პერიოდული მოხსენებები;
- სახელმწიფოთა განაცხადები მეორე სახელმწიფოს მიერ ზემოაღნიშნული კონვენციების დარღვევის შესახებ;
- ინდივიდუალური განაცხადები.³¹³

³¹¹ საქართველოს რეფორმების ასოციაცია – GRASS, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები, თბილისი, 2014, 23; ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 72.

³¹² ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 73-74.

³¹³ იქვე, 74; ჯიქია მ., ინდივიდის სტატუსი თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, თბილისი, 2011, 44.

ზემოაღნიშნული მექანიზმები შეიძლება ძალზედ ეფექტური იყოს გარკვეულ საკითხებში, კერძოდ:

- იმ სახელმწიფოებსა და იმ პრობლემებზე კონცენტრირება, რომლებიც იმსახურებენ დეტალურად შესწავლას;
- სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, არა-სამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების ყურადღების მიპყრობა ადამიანის უფლებათა დაცვის გარკვეულ საკითხებზე;
- სახელმწიფოებზე ზეწოლა მათი თანმიმდევრული სტიმულირების მიზნით, რათა გაუმჯობესდეს ამ კონკრეტულ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა დაცვის მაჩვენებელი;
- ახალი საერთაშორისო კონვენციებისა თუ რეზოლუციების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.³¹⁴

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დადებით მხარეებთან ერთად არსებობს გარკვეული უარყოფითი მხარეები, რომლებიც ახასიათებს ზემოაღნიშნულ მექანიზმებს, ესენია:

- მათი საბოლოო გადაწყვეტილებები სუსტია, რაც განპირობებულია მათი ზოგადი ან დიპლომატიური ხასიათით;
- სხვადასხვა ჯგუფების ან ინდივიდების მოხსენებები ხშირად ამ ჯგუფების წრიდან არ ვრცელდება უფრო ფართო მასშტაბით საზოგადოებაში.³¹⁵

2.1. ადამიანის უფლებათა კომიტეტი

1946 წელს გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ შეიქმნა ადამიანის უფლებათა კომისია, რომელსაც ადამიანის უფლებათა ქარტიის შემუშავება დაევალა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი იყო, რომელიც 1966 წელს მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, ხოლო ძალაში შევიდა 1976 წელს.

³¹⁴ იქვე, 74.

³¹⁵ იქვე, 75.

პაქტის ფაკულტატური ოქმი მოიცავს მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების განხილვის მექანიზმსა და ინდივიდუალური საჩივრების კონტროლს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა კომიტეტს.³¹⁶

კომიტეტის მიზანს წარმოადგენს ზედამხედველობა გაუნიოს პაქტის მონაწილე სახელმწიფოების მიერ პაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას. ის შედგება 18 დამოუკიდებელი ექსპერტისგან, რომლებიც მიუკერძოებლად ახორციელებენ თავიანთ მოვალეობას. კომიტეტის წევრთა უფლებამოსილების ვადაა 4 წელი, კომიტეტი თავისი ფუნქციების განსახორციელებლად მოქმედებს საგანგებოდ შემუშავებული პროცედურის წესების საფუძველზე.³¹⁷

კომიტეტის ფუნქციებს წარმოადგენს:

- სახელმწიფოების მიერ პაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ პერიოდული მოხსენებების განხილვა;³¹⁸
- პაქტის მონაწილე სახელმწიფოების შეტყობინებების განხილვა ამა თუ იმ სხვა სახელმწიფოს მიერ, პაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შესახებ, თუ ამ სახელმწიფოს აღიარებული აქვს ამ მუხლით დადგენილი წესი;³¹⁹
- განიხილავს პაქტის მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციაში მყოფ პირთა ინდივიდუალურ განაცხადებს ამ სახელმწიფოს მიერ მათი უფლებების დარღვევის შესახებ.³²⁰

³¹⁶ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966, მუხლი 28.

³¹⁷ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისოსამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 77.

³¹⁸ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966, მუხლი 40.

³¹⁹ იქვე, მუხლი 41.

³²⁰ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი, 1966.

ადამიანის უფლებათა კომიტეტი წარმოადგენს გაეროს დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც გაეროს სხვა ორგანოებთან თანამშრომლობს. ის ადგენს ფაქტებს და სამართლის ნორმათა საფუძველზე ახდენს მათ კვალიფიცირებას. მისი კომპეტენცია და მისი ფუნქციონირების საფუძველები განსაზღვრულია საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მისი ფაკულტატური ოქმითა და კომიტეტის დროებითი წესდებით.³²¹

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი ამ პაქტის საფუძველზე შექმნილ ადამიანის უფლებათა კომიტეტს ანიჭებს უფლებას მიიღოს და განიხილოს შეტყობინებები პაქტის მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციაში მყოფ ცალკეულ პირთაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი პაქტში აღნიშნული ამა თუ იმ უფლების დარღვევის მსხვერპლი არიან. არცერთ ასეთ შეტყობინებას კომიტეტი არ მიიღებს, თუ იგი ეხება პაქტის მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც არ არის ამ ოქმის მონაწილე. აგრეთვე, არ მიიღებს შეტყობინებას იმ შემთხვევაში, თუ არ არის ამონაწერი სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება ან თუ შეტყობინებაში აღძრული საკითხი განხილულ იქნა საერთაშორისო მოწესრიგების სხვა პროცედურის შესაბამისად. კომიტეტი თავის შეხედულებას საკმაოდ კატეგორიულად აცალიბებს, მაგრამ მისი გადაწყვეტილებების შესრულება სახელმწიფოებისთვის სავალდებულო არ არის.³²²

2021 წლის გაეროს მონაცემებით კომიტეტში შეტანილია 3727 შეტყობინება, რომელთაგანაც 1737 განხილვა დასრულებულია, ხოლო 1990 – განხილვის პროცესშია. დასრულებული საქმეებიდან, 1289 შემთხვევაში დადგინდა პაქტით გათვალისწინებული უფლების დარღვევა.³²³

³²¹ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისოსამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 76.

³²² იქვე, 80-81.

³²³ UN Treaty Body Database. იხ., <<https://bit.ly/3XnJOt4>> [09.02.2023]

1.2. რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი

1965 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენცია, რომელიც ძალაში 1969 წელს შევიდა, მას შემდეგ, რაც 27 ქვეყანამ მოაწერა ხელი. 1990-იანი წლების ბოლოს კონვენციის რატიფიკაცია და მიერთება მოახდინა 128 სახელმწიფომ, რაც საერთო ჯამში გაერთიანებული ერების წევრთა სამ მეოთხედს შეადგენს. 2023 წლის მონაცემებით კი 188 სახელმწიფო წარმოადგენს ზემოაღნიშნული კონვენციის წევრს.

რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის საფუძველზე შეიქმნა რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი,³²⁴ რომელიც მიზნად ისახავს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ რასობრივი დისკრიმინაციის, განსაკუთრებით რასობრივი სეგრეგაციისა და აპართეიდის პრაქტიკის აკრძალვასა და აღმოფხვრას. კომიტეტი შედგება 18 დამოუკიდებელი ექსპერტისგან, რომლებიც აირჩევიან 4 წლის ვადით. კომიტეტის შემადგენლობიდან 9 წევრის გადარჩევა ხდება ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, რათა შენარჩუნებულ იქნეს ბალანსი განგრძობადობასა და ცვლილებას შორის, კომიტეტის შემადგენლობასთან მიმართებით. ამავდროულად, გაუთვალისწინებელი ვაკანსიის შესავსებად, სახელმწიფო, რომლის ექსპერტიც აღარ არის კომიტეტის შემადგენლობაში, თავის მოქალაქეთაგან ნიშნავს ახალ ექსპერტს, რისთვისაც საჭიროა კომიტეტის თანხმობა. კომიტეტის წევრები მოქმედებენ პირადი უფლებამოსილების ფარგლებში და შეიძლება მოხდეს მათი გადარჩევა.³²⁵

კომიტეტი მოქმედებს პროცედურის წესების მიხედვით.³²⁶ კომიტეტი განიხილავს:

³²⁴ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენცია, 1965, მუხლი 14.

³²⁵ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 91.

³²⁶ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, 1965, მუხლი 10.

- კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წარდგენილ მოხსენებებს ზემოაღნიშნული კონვენციის შესრულების შესახებ;
- კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს შეტყობინებას სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შესახებ;³²⁷
- კონვენციის მონაწილე ამა თუ იმ სახელმწიფოს იურისდიქციაში მყოფ ინდივიდთა ან მათი ჯგუფის შეტყობინებას შესაბამისი სახელმწიფოს მიერ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევის შესახებ. ამგვარი რამ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სახელმწიფო კონვენციის მონაწილეა.

ფიზიკურმა პირმა ან პირთა ჯგუფმა, რომლის უფლებები დაირღვა, კომიტეტისადმი მიმართვამდე უნდა ამონუროს დარღვეულ უფლებათა აღდგენისთვის ქვეყნის შიგნით არსებული საშუალებები. კონვენცია ასევე ითვალისწინებს სახელმწიფოების უფლებას, ჩამოაყალიბონ ეროვნული ორგანო, რომლის კომპეტენციაშიც შევაკერძო პირთა ან პირთა ჯგუფის შეტყობინებების მიღება იმ შემთხვევაში, თუ ყველა სხვა ლოკალური საშუალება ამონურულია. თუ მოსარჩელე მხარემ ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხი აღნიშნული ორგანოდან, საქმე კომიტეტს გადაეცემა განსახილველად.³²⁸

კერძო პირებისა და პირთა ჯგუფების შეტყობინებების განხილვა რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა 1982 წლიდან დაიწყო, როდესაც ნევრი სახელმწიფოების მიერ აღიარებული იქნა კომიტეტის კომპეტენცია ამ სფეროში. კომიტეტი კონფიდენციალურად აწვდის ცნობებს შესაბამის სახელმწიფოს ამგვარი კომუნიკაციის შესახებ, თუმცა არ ავლენს მომჩივანი პირის ან პირთა ჯგუფის ვინაობას, მათი ნებართვის გარეშე. მას შემდეგ,

³²⁷ იქვე, მუხლი 11.

³²⁸ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისოსამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 92-93.

რაც სახელმწიფო წარმოადგენს საკუთარ ახსნა-განმარტებებს, თვალსაზრისსა და შესაძლო გადაწყვეტის გზებს, კომიტეტი იხილავს საკითხს და იძლევა დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც საბოლოოდ გადაეცემა როგორც ფიზიკურ პირს ან პირთა ჯგუფს, ასევე შესაბამის სახელმწიფოს.³²⁹

გაეროს 2022 წლის მონაცემებით, კომიტეტში შეტანილია 81 შეტყობინება 21 სხვადასხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელთაგანაც 40 შეტყობინების განხილვა დასრულდა და მათგან 24 შემთხვევაში დადგინდა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა.³³⁰

1.3. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციას, რომელიც 1979 წელს მიიღო გენერალურმა ასამბლეამ, ხშირად ქალთა უფლებათა საყოველთაო ბილსაც უწოდებენ. იგი შედგება პრეამბულისა და 30 მუხლისგან, განმარტავს ქალთა დისკრიმინაციის მნიშვნელობას და მის აღმოსაფხვრელად ადგენს განრიგს ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის.

კონვენციის რატიფიცირება გულისხმობს სახელმწიფოების მიერ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად მთელი რიგი ზომების მიღებას, კერძოდ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში სახელმწიფოს მიერ ქალთა უფლებების დაცვის გარანტიების შექმნას და ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის უზრუნველყოფას.³³¹

ზემოაღნიშნული კონვენცია ერთადერთი ხელშეკრულებაა, რომელიც ამყარებს ქალთა რეპროდუქციულ უფლებას. კულტურასა და ტრადიციას ახასიათებს, როგორც გენდერული როლებისა და ოჯახური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე ზემოქმედების მქო-

³²⁹ იქვე, 93-94.

³³⁰ UN Treaty Body Database. იხ., <<https://bit.ly/3jMiOWu>> [09.02.2022]

³³¹ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისოსამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 95.

ნე ძალად. ეს დოკუმენტი აღიარებს ქალთა უფლებას, შეიძინოს, შეიცვალოს ან შეინარჩუნოს საკუთარი და შვილების ეროვნება. მონაწილე სახელმწიფოები ასევე თანხმდებიან, მიიღონ შესაბამისი ზომები ქალთა ტრეფიკინგისა და ექსპლუატაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ.³³²

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე შეიქმნა ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი. ეს უკანასკნელი ზედამხედველობას უწევს იმას, თუ როგორ ასრულებენ სახელმწიფოები კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. კომიტეტი შედგება 23 დამოუკიდებელი ექსპერტისგან, რომლებიც აირჩევიან 4 წლის ვადით.

არჩევნების ჩატარებამდე სამი თვით ადრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი სახელმწიფოებს მიმართავს წინადადებით, რომ მათ ორი თვის განმავლობაში წარმოადგინონ კომიტეტში ასარჩევ ექსპერტთა კანდიდატურა. წარმოდგენილი კანდიდატებიდან გენერალური მდივანი ადგენს სიას და წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებაში გენერალური მდივანი იწვევს მონაწილე სახელმწიფოთა სხდომას. სხდომა უფლებამოსილია აირჩიოს კომიტეტის ექსპერტები, თუ სხდომას ესწრება მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი. ამ სხდომაზე არჩეულად ჩაითვლებიან ის პირები, რომლებიც მიიღებენ ხმათა უმრავლესობას. არჩეული ექსპერტებიდან კომიტეტის თავმჯდომარე კენჭისყრით გამოავლენს 11 წევრს, რომელიც თავის უფლებამოსილებას განახორციელებს ორი წლის განმავლობაში, დანარჩენი 12 წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს 4 წლის განმავლობაში.³³³

კომიტეტი განიხილავს:

- სახელმწიფოთა მოხსენებებს კონვენციის დებულებების შესრულებისათვის სახელმწიფოს მიერ გატარებულ

³³² იქვე.

³³³ იქვე, 96-97.

საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ თუ სხვა ღონისძიებათა შესახებ;³³⁴

- ინდივიდუალურ შეტყობინებებს ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების ხელყოფის შემთხვევაში.³³⁵

წვერი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, კონვენციის ძალაში შესვლიდან 1 წელიწადში კომიტეტს წარუდგინონ მოხსენება, ხოლო შემდგომ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. სახელმწიფოთა მიერ წარდგენილი მოხსენებების მიმართ მიღებული გადანწყვტილებები სარეკომენდაციო ხასიათს ატარებენ.

ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე შეტანილ იქნა 66 ინდივიდუალური განაცხადი, რომელთაგანაც 24 დაუშვებლად იქნა ცნობილი; 16 დასრულებული განაცხადიდან, 15 შემთხვევაში დადგინდა კონვენციით დადგენილი უფლების დარღვევა, ხოლო დღევანდელი მონაცემებით განხილვის პროცესში არსებული განაცხადების რიცხვი შეადგენს 26-ს.³³⁶

1.4. წამების წინააღმდეგ კომიტეტი

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1984 წლის 10 დეკემბერს. დღესდღეობით ამ კონვენციას ჰყავს 173 წვერი სახელმწიფო. კონვენციის თანახმად, შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომელიც შედგება 10 ექსპერტისაგან. კომიტეტი განიხილავს:

- წვერი სახელმწიფოების მიერ წარდგენილ მოხსენებებს გატარებული ღონისძიებების შესახებ;

³³⁴ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, 1979, მუხლი 18.

³³⁵ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ფაკულტატური ოქმი, მუხლი 2.

³³⁶ იბ., <<http://www.ohchr.org/EN/HRBodies/CEDAW/pages/cedawindex.aspx>> [01.02.2023]

- კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს შეტყობინებას სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შესახებ (ასეთი შემთხვევა ჯერჯერობით არ ყოფილა);
- ინდივიდუალურ შეტყობინებებს ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების ხელყოფის შემთხვევაში.³³⁷

კონვენციის წევრი სახელმწიფოები კომიტეტს მოხსენებას წარუდგენენ ზემოაღნიშნული კონვენციის რატიფიცირებიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო შემდგომ ყოველ 4 წელიწადში ერთხელ.

გაეროს 2022 წლის მონაცემების შესაბამისად, 1984 წლიდან კომიტეტში შეტანილია 1126 შეტყობინება 43 სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელთა შორის 356 განხილვა შეწყვეტილია, 127 არ იქნა ცნობილი დასაშვებად, 445 განხილვა დასრულებულია, რომელთაგანაც 179 შემთხვევაში დადგინდა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა.³³⁸

3. ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონული მექანიზმები

1.1. რეგიონული ორგანიზაციების ზოგადი დახასიათება

ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები რეგიონულ დონეზე უფრო სრულყოფილია, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა დაცვის პანამერიკული კომისია და სასამართლო, ადამიანის უფლებათა დაცვის აფრიკული კომისია და სასამართლო. ზემოაღნიშნული მექანიზმები წარმოადგენენ სასამართლო ფუნქციებით აღჭურვილ მონიტორინგის ორგანოებს.³³⁹

³³⁷ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აღმოფხვრისა და დასჯის შესახებ კონვენცია, 1984, მუხლი 22.

³³⁸ UN Treaty Body Database. იხ., <https://bit.ly/3DVabje> [09.02.2023]

³³⁹ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისოსამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 105.

ზემოაღნიშნულ რეგიონულ მექანიზმებს შორის ყველაზე სრულყოფილი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოა. არცერთი წევრი სახელმწიფო არ უარყოფს ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვან როლს ადამიანის უფლებათა სფეროში ევროპის კონტინენტის მასშტაბით. ის ავითარებს ადამიანის უფლებების პატივისცემას და მიისწრაფვის მისი გარანტიების უზრუნველყოფისკენ ისეთ განსხვავებულ ქვეყნებში როგორცაა გაერთიანებული სამეფო და რუსეთი, საფრანგეთი და სლოვაკეთი, გერმანია და მაკედონია. სასამართლო თანდათანობით გავლენას ახდენს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების ჰარმონიულობაზე.³⁴⁰

ამერიკაში, კომისია და სასამართლო ასევე ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი სასამართლო მნიშვნელობა ისეთივე არსებითი და სრულყოფილი არ არის, როგორც ევროპულ სასამართლოში.³⁴¹ სხვადასხვა სიძნელეების მიუხედავად ადამიანის უფლებათა დაცვის პანამერიკულმა კომისიამ და სასამართლომ არსებითი წვლილი შეიტანა ადამიანის უფლებათა სფეროში. მათ მიერ მიღებულ იქნა ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, კერძოდ, ლათინური ამერიკის ქვეყნების საქმეებთან დაკავშირებით, სადაც დღესაც პრობლემებია დემოკრატიასთან, კანონის უზენაესობასთან და ადამიანის უფლებათა პატივისცემასა და დაცვასთან დაკავშირებით.³⁴²

1.2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია და სასამართლო

1.2.1. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის ზოგიერთი ასპექტები

1950 წლის 4 ნოემბერს ქ. რომში ევროპის საბჭოს ეგიდით ხელი მოეწერა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას, რომლის მიზანია ადამიანის უფლებათა

³⁴⁰ იქვე.

³⁴¹ იქვე, 106.

³⁴² იქვე.

დაცვა და სასამართლოს უზენაესობის ხელშეწყობა.³⁴³ ევროპული კონვენცია ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს, ამჟამად კონვენციის მონაწილეა 47 სახელმწიფო, რომელთათვისაც იგი წარმოშობს იურიდიულ ვალდებულებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ერთად მიღებულია კონვენციის 16 დამატებითი ოქმი, რომლებიც ადგენენ ადამიანის მატერიალურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ასევე განამტკიცებენ ევროპული სასამართლოს საზედამხედველო მექანიზმებს.³⁴⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოქმედებასთან დაკავშირებით საყურადღებოა კონვენციის პირველი მუხლი, რომლის თანახმადაც: „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველას უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I ნაწილში განსაზღვრული უფლებებითა და თავისუფლებებით.“³⁴⁵ ამ დებულებიდან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი საკითხები, როგორცაა:

- კონვენციის გამოყენება „ყველას“ მიმართ;
- კონვენციის მოქმედების ტერიტორიული ფარგლები;
- სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულება, ყველა უზრუნველყოს კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით.³⁴⁶

ტერმინი „ყველა“, რომელიც გამოყენებულია კონვენციის პირველ მუხლში, მოიცავს არა მხოლოდ მოქალაქეებს, არამედ უცხოელებს, მოქალაქეობის არმქონე პირებს და ქმედუუნარო პირებს. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა თავიანთი იურისდიქციის

³⁴³ ევროპის საბჭოს წესდება, პრეამბულა, პირველი და მე-2 მუხლები.

³⁴⁴ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 107-108.

³⁴⁵ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 1950, მუხლი 1.

³⁴⁶ კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004, 12-13.

ფარგლებში ყველა უნდა უზრუნველყონ კონვენციის I ნაწილში განსაზღვრული უფლებებებითა და თავისუფლებებით.³⁴⁷ ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრება პასუხისმგებლობა თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ნებისმიერი პირის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევისთვის.³⁴⁸ კონვენციის პირველი მუხლის მიუხედავად, ევროპული კონვენციის მე-16 მუხლი ადგენს, რომ დასაშვებია უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადი ნებისმიერი პირისგან, პირთა ჯგუფისგან ან არასამთავრობო ორგანიზაციისგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით აღიარებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი.³⁴⁹

ფიზიკური პირების წრე ძალიან ფართოა, ვინაიდან არ არსებობს შემზღუდველი გარემოებანი, როგორცაა ასაკი,³⁵⁰ მოქალაქეობა, ქმედუნარიანობა. არ არის აუცილებელი დადგინდეს სტაბილური სამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და პირს შორის.³⁵¹ განმცხადებელი შეიძლება არ იყოს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს მოქალაქე, თუ იგი დავობს წევრი სახელმწიფოს მიერ მისი უფლებების დარღვევის თაობაზე. სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებითაა განპირობებული, რომ სასამართლოს განაცხადით მიმართა 120-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქემ.³⁵²

³⁴⁷ Robertson A., Merrills J., *Human Rights in Europe: A Study of the European Convention on Human Rights*, 1993, 27-28.

³⁴⁸ Carrilo Salcedo J.A., *The European System of Protection of Human Rights*, in: *Judicial Protection of Human rights at the National and International Level*, Vol. I, 1991, 364.

³⁴⁹ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 109.

³⁵⁰ *T v. the United Kingdom*, Judgment of December 19, 1999.

³⁵¹ *Ekbatani v. Sweden*, Judgement of May 26, 1988.

³⁵² კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004, 109.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სახელმწიფოს იურისდიქცია და ტერიტორია შეიძლება ემთხვეოდეს ერთმანეთს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ (*Loizidou v. Turkey*)³⁵³ განაცხადა, რომ სახელმწიფოს იურისდიქცია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ტერიტორია. ხსენებული საქმე ეხებოდა საკუთრების უფლების დაცვას ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე, რომელიც ოკუპირებულია თურქეთის მიერ. როგორც ცნობილია ამ ტერიტორიაზე, რომელიც გამოცხადდა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკად, განთავსებული იყვნენ თურქეთის სამხედრო შენაერთები.³⁵⁴ ამ საქმესთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ: „კონვენციის ობიექტებისა და მიზნის გათვალისწინებით, ხელშემკვრელ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ასევე შეიძლება დადგეს, როდესაც სამხედრო მოქმედების შედეგად – მიუხედავად იმისა, კანონიერია თუ უკანონო – სახელმწიფო ახორციელებს ეფექტიან კონტროლს თავისი ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიაზე კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ვალდებულება გამომდინარეობს ასეთი კონტროლის ფაქტიდან, იმის მიუხედავად, იგი ხორციელდება სახელმწიფოს მიერ უშუალოდ, მისი შეიარაღებული ძალების, თუ მისდამი დაქირავებული ადგილობრივი ადმინისტრაციის მეშვეობით.“³⁵⁵

ევროპული სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დაცვა იმ ტერიტორიაზე, რომელზეც იგი ახორციელებს იურისდიქციას, თუმცა არ განეკუთვნება ამ სახელმწიფოს.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ განმცხადებელი თვითონ უნდა წარმოადგენდეს კონვენციის მსხვერპლს, ანუ უნდა მოქმე-

³⁵³ *Loizidou v. Turkey*, Judgment of March 23, 1995.

³⁵⁴ *Jacobs F., White R., The European Convention on Human Rights*, 1996, 21.

³⁵⁵ *Loizidou v. Turkey*, Judgment of March 23, 1995.

დებდეს თავისი ინტერესებიდან გამომდინარე. „მსხვერპლთან“ მიმართებით სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდა 2 ცნება: „პოტენციური“ და „ირიბი“ (არაპირდაპირი).³⁵⁶

პოტენციურ მსხვერპლად განმცხადებელი განიხილება, როდესაც არსებობს რეალური ზიანის მიყენების საფრთხე, რომელიც მას შეიძლება დაემუქროს მომავალში. განმცხადებლის აზრით, კანონის ან სხვა სამართლებრივი აქტის მოქმედების შესაძლებლობა საფრთხეს უქმნის კონვენციით განმარტებული უფლებების გამოყენებას. სასამართლო ასეთ შემთხვევაში ძალზე ყურადღებით უდგება „რეალური საფრთხის“ არსებობას, ვინაიდან მის კომპეტენციაში არ შედის *in abstracto* საქმის განხილვა.³⁵⁷

არაპირდაპირ (ირიბი) მსხვერპლად მიიჩნევიან მსხვერპლის უახლოესი ნათესავები იმ შემთხვევაში, თუ:

- დარღვეულია სიცოცხლის უფლება – თუ პირი დაიღუპა და ნათესავების მიერ ინიცირებული სასამართლო განხილვის საგნად გვევლინება დაღუპვის გარემოებანი;
- განმცხადებელი გარდაიცვალა სასამართლოში მიმართვის შემდეგ და ნათესავები აგრძელებენ საქმეს.³⁵⁸

წარმოადგენს თუ არა განმცხადებელი მსხვერპლს 34-ე მუხლის თანახმად, დასაშვებობის სტადიაზე განიხილება. მაშინვე განიხილება წარმოადგენს თუ არა მოპასუხე სათანადო მხარეს. იმ შემთხვევაში თუ დადგინდა, რომ განმცხადებელი ან მოპასუხე არ აკმაყოფილებს სავალდებულო კრიტერიუმებს, საქმე არსებითად არ განიხილება.

ადამიანის უფლებათა კონვენციის პირველი მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფოებმა უნდა „უზრუნველყონ“ კონვენციით გათვა-

³⁵⁶ კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004, 109.

³⁵⁷ *Klass and Others v. Germany*, Judgment of 6 September 1978.

³⁵⁸ კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004, 110.

ლისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ამ ფორმულირებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი განიმარტა ისე, რომ იგი სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ, არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც.³⁵⁹ ამ მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია არა მხოლოდ თავი შეიკავოს კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევისგან (ნეგატიური ვალდებულება), არამედ უნდა უზრუნველყოს მათი დაცვა, მათ შორის, მესამე მხარის მიერ (პოზიტიური ვალდებულება).³⁶⁰ თუ ევროპულ კონვენციაში განმტკიცებული უფლებები დაირღვა მესამე მხარის მიერ (ფიზიკური ან იურიდიული პირი), სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს დარღვეული უფლებების ეფექტიანი დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში დგება თავად სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც ვერ უზრუნველყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება გამომდინარეობს ევროპული კონვენციის მე-2, მე-3, მე-8 და მე-11 მუხლებიდან. თუმცა პოზიტიური ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას კონვენციის სხვა დებულებების საფუძველზეც.

1988 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა ორგანიზაციის – პლატფორმა „ექიმები სიცოცხლისთვის“ განაცხადი ავსტრიის წინააღმდეგ (Plattform „Arzte fur das Leben“ v. Austria),³⁶¹ რომელიც ეხებოდა შეკრების თავისუფლებას (კონვენციის მე-11 მუხლი). ევროპულ სასამართლოში განაცხადი შეიტანა ავსტრიელ ექიმთა ასოციაციამ, რომელიც აბორტის საწინააღმდეგო კამპანიას ეწეოდა. განაცხადი ეხებოდა ასოციაციის ორ

³⁵⁹ ვილდჰაბერი ლ., ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 2002, 59-60.

³⁶⁰ Harris D., O'Boyle M., Warbrick C., Law of the European Convention on Human rights, 1995, 19.

³⁶¹ Plattform „Arzte fur das Leben“ v. Austria, Judgment of June 21, 1988.

დემონსტრაციას, რომელთა ჩატარებას ხელი შეუშალა ამ კამპანიის მონინალმდევე ჯგუფმა. განაცხადში ასოციაცია ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული უფლების დაცვა. თუმცა ავსტრიის სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ მე-11 მუხლი არ აკისრებდა სახელმწიფოს ვალდებულებას, დაეცვა დემონსტრანტები. სახელმწიფომ დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ ხელი არ შეუშლა ამ დემონსტრაციების ჩატარებას.³⁶²

ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება შემდეგი სახის იყო: „მშვიდობიანი შეკრების ჭეშმარიტი, ეფექტიანი თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ჩაურევლობის მოვალეობით. სახელმწიფოს როლის წმინდა ნეგატიური კონცეფცია შეუთავსებელი იქნება მე-11 მუხლის ობიექტსა და მიზანთან. მე-8 მუხლის მსგავსად, მე-11 მუხლი ზოგიერთ შემთხვევაში მოითხოვს პოზიტიურ ღონისძიებათა გატარებას, ინდივიდებს შორის ურთიერთობის სფეროშიც კი, თუ არსებობს ამის საჭიროება.“³⁶³

ევროპული სასამართლოს ამ გადანყვეტილებამ ნათელი მოჰფინა სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულების ფარგლებს. ამ გადანყვეტილებით ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი მონანილე სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ არამედ პოზიტიურ ვალდებულებას ე.ი. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დემონსტრაციის მშვიდობიანი ჩატარება, მათ შორის, დაიცვას დემონსტრანტები მათი იდეური მონინალმდევეებისგან.³⁶⁴

ევროპული კონვენციის მიხედვით, ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებები სავალდებულოა მხოლოდ სასამართლო დავა-

³⁶² ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისოსამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 114-115.

³⁶³ Plattform „Arzte für das Leben“ v. Austria, Judgment of June 21, 1988.

³⁶⁴ Merrills J., The development of International Law by the European court of Human rights, 1993, 105-106.

ში მონაწილე სახელმწიფოებისთვის. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან კონკრეტული პროცესის მხარეები, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს იყენებენ პრაგმატული მოსაზრებით.³⁶⁵

ევროპული სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე, ის ამ გადაწყვეტილების მეშვეობით განმარტავს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსს. კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებით ევროპული სასამართლო ადგენს სტანდარტს, რომლის მნიშვნელობა სცილდება კონკრეტულ სასამართლო საქმეს.³⁶⁶

კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა შინაარსის დადგენაში ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გამო, რომ კონვენცია არის არა სტატიკური, არამედ „ცოცხალი“ დოკუმენტი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მიღებულია 1950 წელს, იგი იურიდიულად სავალდებულო პირველი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტია, რომელმაც საერთაშორისო დონეზე განამტკიცა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ამ პერიოდთან მოყოლებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვა როგორც უნივერსალურ, ასევე რეგიონულ დონეზე მნიშვნელოვნად განვითარდა, განმტკიცდა ადამიანთა უფლებრივი გარანტიები, გაფართოვდა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსი და მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გამონაკლისი არ არის. მისი მიღებიდან გასული ხუთი ათწლეულის განმავლობაში ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებშიც იცვლებოდა საზოგადოებრივი ცნობიერება, მიდგომა ამა თუ იმ ზნეობრივი ფასეულობებისადმი. მათთან ერთად შეიცვალა ადამიანის უფლებათა შინაარსი, გაფართოვ-

³⁶⁵ კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004, 165.

³⁶⁶ Ireland v. The United Kingdom, Judgment of January 18, 1978.

და ის გარანტიები, რომლებიც პირს ენიჭება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.³⁶⁷

ბუნებრივია, რომ ევროპულ სასამართლოს ჯეროვანი პასუხი უნდა გაეცა აღნიშნული ცვლილებისთვის, რაც შეუძლებელი იყო სასამართლოს მიერ საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ზნეობრივი ფასეულობების კვალდაკვალ ევროპული კონვენციით დაცული უფლებებისთვის უფრო ფართო შინაარსის მინიჭების გარეშე. ამისათვის ევროპული კონვენციის საზედამხედველო ორგანოებმა ჩამოაყალიბეს და განავითარეს ევროპული კონვენციით განმტკიცებული უფლებების „დინამიკური“ განმარტების კონცეფცია. სასამართლომ თავის ერთ-ერთ საქმეში მიუთითა, რომ მხედველობაშია მისაღები კონვენციის სპეციალური ხასიათი, კერძოდ, კონვენცია „ცოცხალი“ დოკუმენტია, რომლითაც უნდა განიმარტოს დემოკრატიული სახელმწიფო დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.³⁶⁸ სასამართლომ უარყო კონვენციის სტატიკური, ისტორიული განმარტების იდეა. შესაბამისად, ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ კონცეფციებს ევროპული სასამართლო იმ მნიშვნელობით განმარტავს, რაც ასახავს ევროპული საზოგადოების დღევანდელი განვითარების დონეს და არა იმ მნიშვნელობით, რომელიც კონვენციის მიღების დროს არსებობდა.³⁶⁹

ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების შიდა პრაქტიკა ადასტურებს, რომ სახელმწიფოები თვალყურს ადევნებენ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რის შედეგადაც ახდენდნენ თავიანთი კანონმდებლობის კორექტირებას ამ პრეცედენტების მიხედვით.³⁷⁰

³⁶⁷ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 117; ჯიქია მ., ინდივიდის სტატუსი თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, თბილისი, 2011, 65.

³⁶⁸ Van der Musselle v. Belgium, Judgment of November 23, 1983.

³⁶⁹ კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004, 170.

³⁷⁰ იქვე, 186.

ამის დასტურად შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოყვანა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა პრაქტიკიდან. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (*Marcks v. Belgium*),³⁷¹ რომელიც ეხებოდა კანონიერი და უკანონო შვილების უფლებრივ მდგომარეობას ევროპული კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლების შესაბამისად. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, რომელმაც აკრძალა დისკრიმინაცია კანონიერ და უკანონო შვილებს შორის, არა მხოლოდ ბელგიამ შეცვალა თავისი სამემკვიდრეო კანონმდებლობა, არამედ ნიდერლანდებმაც შეიტანა ცვლილება სამოქალაქო კოდექსში, რომლითაც გაუქმდა დისკრიმინაციული მოპყრობა კანონიერ და უკანონო შვილებს შორის მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებით.³⁷²

1.2.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფორმირების წესი და ფუნქციები

1998 წლამდე მოქმედებდა კონვენციის ორსაფეხურიანი საზედამხებველო სისტემა: ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. პირველი განიხილავდა განაცხადის დასაშვებობას, ხოლო მეორე არსებითად იხილავდა მას.³⁷³

1994 წელს მიღებულ იქნა მე-11 დამატებითი ოქმი, რომლის თანახმადაც, ორსაფეხურიანი სისტემა შეიცვალა ერთსაფეხურიანი სისტემით. 1998 წლის 1 ნოემბრიდან ზემოაღნიშნული ოქმი შევიდა ძალაში, რის შედეგადაც გაუქმდა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და ფუნქციონირება დაიწყო მუდმივმოქმედმა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ.³⁷⁴

³⁷¹ *Marcks v. Belgium*, Judgment of June 13, 1979.

³⁷² Wyrozumska A., *Impact of Case-Law of the organs of the European Convention on Human Rights on Domestic law and the National Judge*, *Judge and International Law*, 1998, 146.

³⁷³ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 121.

³⁷⁴ იქვე.

სასამართლო შედეგება იმდენი მოსამართლისგან, რამდენი წევრი სახელმწიფოც ჰყავს კონვენციას. მათ ირჩევს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა 9 წლის ვადით. მოსამართლეები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ პირადად და არა როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლები. სასამართლოს საქმიანობა განისაზღვრება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 დამატებითი ოქმითა და 1998 წლის 1 ნოემბერს ძალაში შესული რეგლამენტით.³⁷⁵

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემადგენლობაში ფუნქციონირებს კომიტეტი, პალატა და დიდი პალატა, თითოეულ მათგანს თავისი ფუნქციები გააჩნია, კერძოდ:

- კომიტეტი განიხილავს, აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი დასაშვებობის კრიტერიუმებს. მისი გადაწყვეტილება საბოლოოა.
- პალატა შედგება 7, ხოლო დიდი პალატა – 17 მოსამართლისგან. ორივე მათგანი საქმეს განიხილავს არსებითად.

ევროპული სასამართლოს კომპეტენციაში შედის ორი სახის განაცხადების განხილვა:

- სახელმწიფოთაშორისი განაცხადები;³⁷⁶
- ინდივიდუალური განაცხადები.³⁷⁷

კონვენციის 33-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია განსახილველად მიიღოს ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს განაცხადი მეორე მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციის გარანტირებული უფლებების დარღვევის შესახებ. ამ სახის განაცხადების ობიექტი შეიძლება იყოს:

- მეორე სახელმწიფოში საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული პრაქტიკა. ასეთ შემთხვევაში არ დგება კონკრეტული მსხვერპლის მითითების საჭიროება. საქმეზე ირლანდია გა-

³⁷⁵ იქვე, 121-122.

³⁷⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950, მუხლი 33.

³⁷⁷ იქვე, მუხლი 34.

ერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*) სასამართლომ აღნიშნა, რომ დარღვევა წარმოშვა კანონმა, რომელიც უშვებს, ადგენს და ახორციელებს ისეთ ზომებს, რომლებიც შეუთავსებელია კონვენციით დადგენილ უფლებებთან და თავისუფლებებთან.³⁷⁸

- ადამიანის უფლებათა დარღვევის კონკრეტული ფაქტების არსებობა. 1982 წელს სკანდინავიის ქვეყნებმა, საფრანგეთმა და ნიდერლანდებმა შეიტანეს განაცხადი თურქეთის წინააღმდეგ, რაც ეხებოდა ხელისუფლებაში სამხედრო რეჟიმის მოსვლის შედეგად არსებულ ვითარებას.³⁷⁹

სახელმწიფოთაშორისი განაცხადები უფრო აქტუალური იყო იმ პერიოდში, როდესაც სახელმწიფოს არ ჰქონდა აღიარებული ინდივიდუალური განაცხადების განხილვის კომპეტენცია. სწორედ ამ მიზეზით იყო განპირობებული სახელმწიფოთაშორისი განაცხადების საფუძველზე დამრღვევი სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.³⁸⁰

ევროპული სასამართლოს ოფიციალური მონაცემების თანახმად, 1959 წლიდან 2022 წლამდე სასამართლოში წარდგენილია 1019471 ინდივიდუალური განაცხადი, რომელთაგან 901168 განაცხადმა ვერ დააკმაყოფილა დასაშვებობის კრიტერიუმები, ხოლო გადანყვეტილება გამოტანილ იქნა 56154 საქმეზე. ამ უკანასკნელის 40% ნაწილდება თურქეთის, რუსეთისა და იტალიის წინააღმდეგ. აღნიშნული დასრულებული საქმეებიდან 84% შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს მიერ კონვენციითა და მისი ფაკულტატური ოქმებით დაცული უფლებების დარღვევა.³⁸¹

³⁷⁸ კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004, 108.

³⁷⁹ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 123.

³⁸⁰ იქვე, 124.

³⁸¹ ECHR, Overview 1959-2021. იხ., <https://www.echr.coe.int/Documents/Overview_19592021_ENG.pdf> [09.02.2023]

აღნიშნული სტატისტიკა ხაზს უსვამს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს მნიშვნელობას ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.

1.3. ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია, პანამერიკული კომისია და სასამართლო

ადამიანის უფლებათა დაცვის პანამერიკული სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო 1948 წლის აპრილში კოლუმბიაში, კერძოდ, ბოგოტაში ადამიანის უფლებათა დაცვის მოვალეობათა შესახებ ამერიკული დეკლარაციის მიღებით. 1959 წელს შეიქმნა ადამიანის უფლებათა პანამერიკული კომისია, რომელმაც 1965 წლიდან დაიწყო სხვადასხვა უფლებათა ხელყოფის შესახებ წარდგენილი შეტყობინებების განხილვა.³⁸²

1969 წელს ამერიკული სახელმწიფოთა ორგანიზაციის ეგიდით მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1978 წლის 18 ივლისს. დღესდღეობით კონვენციას ჰყავს 25 წევრი სახელმწიფო. კონვენციის 33-ე მუხლის საფუძველზე შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის ორი ორგანო: ადამიანის უფლებათა პანამერიკული კომისია და სასამართლო. ეს უკანასკნელი შედგება 7 წევრისგან, რომელთაც ირჩევენ 6 წლის ვადით.³⁸³ დღესდღეობით კომისიისა და სასამართლოს კომპეტენცია განისაზღვრება ადამიანის უფლებათა პანამერიკული კონვენციის შესაბამისად.³⁸⁴

კონვენციის თანახმად, კომისიის კომპეტენციას წარმოადგენს:

- ინდივიდუალური განაცხადების მიღება, ანალიზი და გამოძიება კონკრეტული უფლებების დარღვევის შესახებ;

³⁸² ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისოსამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 124.

³⁸³ ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია, 1969, მუხლი 52.

³⁸⁴ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისოსამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 125.

- ნევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის დაკვირვება და თითოეული ნევრი ქვეყნის შესახებ წლიური ანგარიშის გამოქვეყნება;
- ნევრი სახელმწიფოებისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში რეკომენდაციების გაცემა;
- პანამერიკულ სასამართლოში სხვადასხვა საქმეების განსახილველად წარდგენა.³⁸⁵

პანამერიკული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეთა შორის ერთ-ერთს წარმოადგენს ლოპეს ალვარესი ჰონდურასის წინააღმდეგ (*Lopez Alvarez v. Honduras*).³⁸⁶ 2003 წლის 7 ივლისს ადამიანის უფლებათა პანამერიკულმა კომისიამ პანამერიკულ სასამართლოს წარუდგინდა 2000 წლის 13 დეკემბერს მიღებული განაცხადი, რომლის თანახმადაც ჰონდურასის სახელმწიფოს ბრალი ედებოდა ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის მე-5, მე-8, მე-13, 24-ე და 25-ე მუხლების ხელყოფაში. კონვენციის 62-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად, პანამერიკულ სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება, განიხილოს ზემოაღნიშნული საქმე, ვინაიდან ჰონდურასი 1977 წლის 8 სექტემბრიდან წარმოადგენს ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს.

ზემოაღნიშნული საქმის განხილვის შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ ჰონდურასის სახელმწიფომ ხელყო ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციით განსაზღვრული შემდეგი უფლებები:

- პირადი თავისუფლების უფლება;³⁸⁷
- ადამიანური მოპყრობის უფლება;³⁸⁸
- მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება;³⁸⁹
- გამოხატვის თავისუფლება.³⁹⁰

³⁸⁵ იქვე, 125-126.

³⁸⁶ *Lopez Alvarez v. Honduras*, Judgment of February 1, 2006, <<http://www.corteidh.or.cr>> [01.02.2023]

³⁸⁷ ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია, 1969, მუხლი 7.

³⁸⁸ იქვე, მუხლი 5.

³⁸⁹ იქვე, მუხლი 8.

³⁹⁰ იქვე, მუხლი 13.

საქმეში ბარიოს ალტოსი პერუს წინააღმდეგ (*Barrios Altos v. Peru*)³⁹¹ სასამართლომ დაადგინა, რომ პერუს სახელმწიფოს მიერ დარღვეულ იქნა ვალდებულება, დაეცვა ამერიკის კონვენციის მე-4, მე-5, მე-8, მე-13 და 25-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს სიცოცხლის უფლებას, ადამიანური მოპრყობის უფლებას, მიუკერძოებელი სასამართლოს უფლებას, გამონატვის თავისუფლებასა და სასამართლოს დაცვის უფლებას. წინა საქმის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც სასამართლომ გააჩნდა უფლებამოსილება განეხილა საქმე, ვინაიდან პერუს სახელმწიფო წარმოადგენს ამერიკის კონვენციის წევრ სახელმწიფოს 1978 წლის 28 ივლისიდან.

მირნა მაკ ჩანგი გვატემალის წინააღმდეგ (*Myrna Mack Chang v. Guatemala*)³⁹² – 1996 წლის 5 მარტს პანამერიკულმა კომისიამ სასამართლოს წარუდგინა 1990 წლის 17 სექტემბერს მიღებული განაცხადი. სასამართლომ დაადგინა, რომ გვატემალის სახელმწიფოს მიერ ხელყოფილ იქნა ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის მე-4, მე-5, მე-8 და 25-ე მუხლები. გვატემალა კონვენციის წევრია 1978 წლის 25 მაისიდან.

როშელ მასაკრი კოლუმბიის წინააღმდეგ (*Rochele Massacre v. Colombia*)³⁹³ – 2006 წლის 10 მარტს პანამერიკულმა კომისიამ განსახილველად წარუდგინა სასამართლოს 1997 წლის 8 ოქტომბერს მიღებული განაცხადი, რომლის მიხედვითაც სასამართლოს უნდა დაედგინა, დააღრვია თუ არა კოლუმბიის სახელმწიფომ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები: სიცოცხლის უფლება, მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება და სასამართლოს დაცვის უფლება. პანამერიკულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული უფლებები ხელყოფილ იქნა სახელმწიფოს მხრიდან.

³⁹¹ *Barrios Altos v. Peru*, Judgments of March 14, 2001.

³⁹² *Myrna Mack Chang v. Guatemala*, Judgment of November 25, 2003.

³⁹³ *Rochele Massacre v. Colombia*, Judgment of May 11, 2007.

1.4. ადამიანის უფლებათა აფრიკული ქარტია, კომისია და სასამართლო

აფრიკის კავშირმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული აფრიკული სისტემისა და სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში. აფრიკის ერთობის ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1963 წელს დეკოლონიზაციის პირობებში. აღნიშნული ორგანიზაციის მიერ 1981 წელს მიღებულ იქნა ადამიანისა და ხალხთა უფლებათა აფრიკული ქარტია, რომელიც ძალაში შევიდა 1986 წლის 21 ოქტომბერს.

ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტია ამერიკის კონვენციის მსგავსად ქმნის ორსაფეხურიან სისტემას, რომლის შემადგენლობაში შედიან ადამიანის უფლებათა აფრიკული კომისია და ადამიანის უფლებათა აფრიკული სასამართლო.³⁹⁴

ადამიანის უფლებათა აფრიკული კომისია შეიქმნა 1987 წელს და მის შემადგენლობაში შედის 11 დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელთაც ირჩევენ 6 წლის ვადით.³⁹⁵ კომისიის მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვა და მათი ხელშეწყობა რეგიონში.³⁹⁶ ამ მიზნის მისაღწევად კომისიის ფუნქციები განისაზღვრა შემდეგნაირად:

- ადამიანის უფლებათა დაცვა;
- ადამიანის უფლებათა პოპულარიზაცია;
- ადამიანის უფლებათა აფრიკული ქარტიის ინტერპრეტაცია.³⁹⁷

კომისია თავისი ფუნქციების განსახორციელებლად იკრიბება წელიწადში ორჯერ, გაზაფხულზე და შემოდგომაზე. ყველა შეხვედრა იმართება სხვადასხვა სახელმწიფოში, რაც ხელს უწყობს კომისიის ხელმისაწვდომობას საზოგადოებისთვის, სახელმწიფოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.³⁹⁸

³⁹⁴ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისოსამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 130.

³⁹⁵ ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტია, 1981, მუხლი 31.

³⁹⁶ იქვე, მუხლი 30.

³⁹⁷ იქვე, მუხლი 45.

³⁹⁸ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის

ადამიანის უფლებათა აფრიკული ქარტიის 59-ე მუხლის მიხედვით ადამიანის უფლებათა აფრიკული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ზომები კონფიდენციალურია, სანამ არ იქნება ნება დართული აფრიკული გაერთიანების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურთა ასამბლეის მიერ.³⁹⁹ ზემოაღნიშნული მუხლის შესაბამისად აფრიკული კომისიის სხდომები იყოფა საჯაროდ და დახურულად. საჯარო სხდომების დროს განიხილება კომისიის მოღვაწეობა, რომელიც ეხება ადამიანის უფლებათა აფრიკული ქარტიის პოპულარიზაციას. სხდომის ეს ნაწილი მოიცავს კომისიის წევრებისა და 62-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილ მოხსენებებს. დახურული სხდომის დროს კომისია განიხილავს ინდივიდუალურ განაცხადებს, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებათა აფრიკული ქარტიით გათვალისწინებული უფლებების ხელყოფას ქარტიის წევრი სახელმწიფოების მხრიდან. ზემოაღნიშნულის განხილვის შემდგომ მიღებული გადაწყვეტილებები შეტანილია ყოველწლიურ მოხსენებაში, რომელიც წარედგინება აფრიკული გაერთიანების ასამბლეას. ისინი საჯარო ხდება მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდება, როგორც წლიური მიმოხილვა.⁴⁰⁰

1998 წელს მიღებული იქნა ქარტიის დამატებითი ოქმი, რომელიც რატიფიცირება 2003 წლის დეკემბერში 15 სახელმწიფომ განახორციელა, ხოლო ძალაში შევიდა 2004 წლის 25 იანვარს. აღნიშნული ოქმის პირველი მუხლის საფუძველზე შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

სასამართლოს შემადგენლობაში შედის თერთმეტი მოსამართლე, რომლებიც აირჩევიან „მაღალი მორალური თვისებისა და პრაქტიკული თუ თეორიული კომპეტენციის, ადამიანის და ხალხების უფლებათა სფეროში გამოცდილების მქონე ალიარე-

საერთაშორისო სასამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 131.

³⁹⁹ ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტია, 1981, მუხლი 59.

⁴⁰⁰ Viljoen F., Recent Developments in the African regional Human Rights System, "African Human Rights Law Journal", 2004, 344-345.

ბულ იურისტთა შორის“.⁴⁰¹ აფრიკული სასამართლოს ყველა მოსამართლე უნდა იყოს რომელიმე წევრი სახელმწიფოს მოქალაქე. ისინი ირჩევიან ექვსი წლის ვადით, თუმცა გამოიყენება როტაციის პრინციპი, რომლის თანახმადაც ოთხი მოსამართლე გადაირჩევა ყოველ ორ წელიწადში.⁴⁰²

ქარტიის დამატებითი ოქმის თანახმად, მოსამართლეებს ეკრძალებათ ისეთ საქმეთა მოსმენა, რომლებშიც ისინი ადრე ჩართულნი იყვნენ ნებისმიერი სახით. მოსამართლეებს, საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, ენიჭებათ დიპლომატიური იმუნიტეტი, მათი ამ თანამდებობაზე მუშაობის მთელი ვადის განმავლობაში. ისინი არ აგებენ პასუხს რომელიმე გადაწყვეტილებასა და რეკომენდაციაზე, რომლებსაც ისინი მიიღებენ მათი ფუნქციების შესრულების შედეგად.⁴⁰³ კომისიისგან განსხვავებით, სასამართლოს შეიძლება ჰქონდეს მუდმივი ადგილსამყოფელი, თუმცა მას შეიძლება მიენიჭოს მუშაობის უფლება ნებისმიერ წევრ სახელმწიფოში.⁴⁰⁴

სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება სასამართლოში წარდგენილ ყველა დავასა თუ საქმეზე, რომელიც დაკავშირებული იქნება ქარტიის, ოქმისა და ადამიანის უფლებათა ნებისმიერ სხვა კონვენციათა განმარტებასა და გამოყენებასთან.⁴⁰⁵

კომისიასა და სახელმწიფოებს სასამართლოს წინაშე ავტომატური **Locus standi** აქვთ. დაგეგმილია, რომ კერძო პირების მიერ წარდგენილი საჩივრები თავდაპირველად წარედგინება კომისიას ადამიანისა და ხალხების უფლებათა ქარტიის 55-ე მუხლის თანახმად. მიუხედავად ამისა, ოქმი სასამართლოს შესახებ მოიცავს გამონაკლისი იურისდიქციის გამოყენების შესაძლებლობას ინდი-

⁴⁰¹ ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის დამატებითი ოქმი, 1998, მუხლი 10.

⁴⁰² იქვე, მუხლი 14.

⁴⁰³ იქვე, მუხლი 15.

⁴⁰⁴ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისოსამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 133-134.

⁴⁰⁵ ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის დამატებითი ოქმი, 1998, მუხლი 3.

ვიდეების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ინდივიდთა ჯგუფების მიერ წარდგენილ საქმეთა მიმართ⁴⁰⁶ იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოში საქმის განხილვა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომისია მოამზადებს ანგარიშს ან მიიღებს გადანყვეტილებას, ახალი სისტემის მუშაობა ჰგავს ევროპის საბჭოს იმ პრაქტიკას, რომელსაც იგი იყენებდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მეთერთმეტე ოქმის ძალაში შესვლამდე.⁴⁰⁷

სასამართლოს გადანყვეტილებები სავალდებულო და საბოლოო და მიიღება ხმათა უმრავლესობით (თუმცა მათ შეიძლება ერთოდეს მოსამართლეთა ინდივიდუალური და განსხვავებული შეხედულებები). სასამართლოს ნებისმიერი გადანყვეტილების განხორციელება უნდა გააკონტროლოს აფრიკის ერთობის ორგანიზაციის მინისტრთა საბჭომ, ასამბლეის სახელით.⁴⁰⁸ სასამართლოს მუშაობასთან დაკავშირებული რეგულარული ანგარიშები წარედგინება ასამბლეას. ანგარიშებში ყურადღება გამახვილებული იქნება იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც არ ემორჩილებიან სასამართლო გადანყვეტილებას.⁴⁰⁹

⁴⁰⁶ იქვე, მუხლი 6.

⁴⁰⁷ ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისოსამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, თბილისი, 2017, 134-135.

⁴⁰⁸ ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის დამატებითი ოქმი, 1998, მუხლი 27.

⁴⁰⁹ იქვე, მუხლი 28.

ბიბლიოგრაფია

1. ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010
2. ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2013
3. ბრაუნლი ი., საერთაშორისო სამართლის პრინციპები, მე-7 გამოცემის თარგმანი, საია, თბილისი, 2010
4. გეფერიძე დ., ხაზალია ა., თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, თბილისი, 2020
5. დევიძე ა., მირიანაშვილი გ., ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2019
6. ვილდჰაბერი ლ., ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 2002
7. კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004
8. კორკელია კ., საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თსუ, თბილისი, 1998
9. მალანჩუკი პ., აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, მე-7 შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2005
10. პატარაია დ., თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2007
11. პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, თბილისი, 2012
12. სანიკიძე ზ., თავდაცვის, როგორც ძალის გამოყენების კანონიერი უფლების, განმარტების პრობლემები. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N2, 2010
13. საქართველოს რეფორმების ასოციაცია – GRASS, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები, თბილისი, 2014
14. სირაძე ე., შიდა და საერთაშორისო ნორმათა კოლიზია სანაპირო სახელმწიფოს მიერ ტერიტორიულ წყლებში იურისდიქციის განხორციელების დროს, თბილისი, 2010
15. ძამაშვილი ბ., თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემწყობი გარემოებები საქართველოში, თბილისი, 2017

16. ჯავახიშვილი პ., საერთაშორისო ხელშეკრულებათა საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის აქტუალური საკითხები (სამეცნიერო ნაშრომთა კრებული), თბილისი, 2020
17. ჯიქია მ., ინდივიდის სტატუსი თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, თბილისი, 2011
18. ჯიქია მ., ყუფარაძე გ., ევროკავშირის საგადასახადო სამართალი და ვიშეგრადის საგადასახადო პოლიტიკა, თბილისი, 2016
19. ჯიქია მ., ინდივიდუალური განაცხადის მნიშვნელობა ფიზიკური პირის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის ფარგლების განსაზღვრისათვის, „უნივერსალი“, თბილისი, 2017
20. Aust A., *Handbook of International Law*, 2nd ed., Cambridge University Press, 2010
21. Abbott K.W., Snidal D., *Hard and Soft Law in International Governance*, International Organization, Vol. 54, 2000
22. Akehurst M., *Jurisdiction in International Law*, BYIL 46, 1972
23. Aust A., *Handbook of International Law*, Cambridge University Press, 2005
24. Abi-Saab G., *The Concept of “International Crimes” and its Place in Contemporary International Law*, 1989
25. Bedjaoui M., *Responsibility of States, Fault and Strict Liability*, EPIL 10, 1987
26. Blockmans St., *The European Union and Peaceful Settlement of Disputes in its Neighborhood: the Emergence of a New Regional Security Actor?*
<<https://www.utwente.nl/en/bms/pa/research/wessel/wessel73.pdf>>
27. Bull H., Kingsbury B., Roberts A., (eds), *Hugo Grotius and International Relations*, 1990
28. Cassesse A., *International Law in Divided World*, Oxford University Press, 1986
29. Castellino J., Allen S., *Title to Territory in International Law: A temporal Analysis*, 2002
30. Carly A., *Interwar German Theories of International Law: The Psychoanalytical and Phenomenological Perceptions of Hans Kelsen and Carl Schmitt*, 1995
31. Carley P., *Self-Determination Sovereignty, Territorial Integrity and the Right to Secession*, Report from a Roundtable Held in Conjunction

- with the U.S. Department of States' Policy Planning Staff, United States Institute of Peace, Peace works No. 7. 1996
32. Crawford J., *The International Law Commission's Articles on State Responsibility*, Cambridge, 2002
 33. Cogan J.K., Hurd I., Johnstone I., *The Oxford Handbook of International Organizations* 1 edn., Oxford University Press, 2016
 34. Carrilo Salcedo J.A., *The European System of Protection of Human Rights*, in: *Judicial Protection of Human rights at the National and International Level*, Vol. I, 1991
 35. Day A.J., *Border and Territorial Disputes*, 2nd edition, London, 1987
 36. Dörr O., Schmalenbach K., *Vienna convention on the law of treaties*. Berlin: Springer, 2011
 37. Fleck D., *Implementing International Humanitarian Law: Problems and Priorities*, *International Review of the Red Cross*, March-April 1991, No. 281
 38. Geek W.K., *Diplomatic Protection*, *EPIL* 1, 1992
 39. Greenwood Ch., *Sources of International Law: An Introduction (Outline)*, 2008 https://legal.un.org/avl/pdf/ls/greenwood_outline.pdf
 40. Greve W. G., *Epochen der Völkerrechtsgeschichte*, Nomos Verlag, Baden-baden, 1984
 41. Goodlad A., *Hong Kong: Britain's Legacy, China's Inheritance*, *The World Today* 50, 1994
 42. Guggenheim P. *Traité de Droit International Public* / P. Guggenheim, T. II. Genève, 1954
 43. Jacobs F., White R., *The European Convention on Human Rights*, 1996, 21
 44. Harris D., O'Boyle M., Warbrick C., *Law of the European Convention on Human Rights*, 1995
 45. Hartwig M., *Panama Canal*, *EPIL* 12, 1990
 46. Haverland C. *Secession*. Amsterdam. *Encyclopedia of Public International Law*, 2000
 47. Hailbronner, *Sanctions and third parties and International Public Order*, *Archiv des Völkerrechts*, 1992
 48. *Handbook on the Peaceful Settlement of Disputes between States (OLA/COD/2394)*, United Nations, New York, 1992
 49. Hyde C.C., *International Law*, 2nd edition, Boston, 1947

50. Hyde C.C., The Adjustment of the „I'm Alone“ Case, *American Journal of International Law*, Vol. 29, No. 2, 1935
51. Kaddous C., Role and Position of the High Representative of the Union for Foreign Affairs and Security Policy under the Lisbon Treaty, in S. Griller and J. Ziller (eds), *The Lisbon Treaty: Constitutionalism without a Constitutional Treaty?* Vienna, Springer, 2008
52. Kaikabod K.H., *Interpretation and Revision of International Boundary Decisions*, Cambridge, 2007
53. Kenneth W. Abbott and Duncan Snidal, *Hard and Soft Law in International Governance*, *International Organization*, Vol. 54, 2000
54. Klabbbers J., *International Law*, Cambridge University Press, 2013
55. Kohen M. G., *Secession International Law perspectives*. New York. Cambridge University Press, 2006
56. Klabbbers J., Treaties, conclusion and entry into force, In *Max Planck encyclopedia of public international law*, Oxford University Press, 2008
57. Lauterpacht H., *International Law and Human Rights*, London, 1950
58. Linderfalk U., The application of international legal norms over time: the second branch of intertemporal law, *Netherlands International Law Review*, 58, No. 2, 2011
59. Marxsen Ch., *Territorial Integrity in International Law – Its Concept and Implications for Crimea*, Max-Planck-Institut für ausländisches öffentliches Rech und Völkrecht, 2015
60. Malanczuk P., *Akehurst's Modern Introduction to International Law*, 7th edn., Routledge, 1997
61. Malanczuk P., *Akehurst's modern introduction to international law*. Routledge, 2002
62. Merrills J., *The development of International Law by the European court of Human Rights*, 1993
63. Mehdi R. *Cours de droit international public*
<<http://perso.orange.fr/ceric/enseignements/archives/dipl2003.pdf>>
64. McWinney E., *United Nations Law Making: Cultural and Ideological Relativism and International Law* McNair A.D., *The Stimson Doctrine of Non-recognition*, 1993
65. McNaire L. *The law of Treaties*, 1961
66. Milanovic M., *The Spatial Dimension: Treaties and territory*. In *Research Handbook on the Law of Treaties*, Edward Elgar Publishing, 2014

67. O'Connell D.P., *International Law*, 2nd Edition, London, 1970
68. Oppenheim L., *International law*, 7th ed. By H. Lauterpacht, Vol. I Peace: Longmans, Green & Co., 1948
69. Orakhelashvili A., *Akehurst's Modern Introduction to International Law*. Routledge, 2018
70. Preiser W., *History of the Law of Nations: Ancient Times to 1648*, EPIL, 1995
71. Paul J., *EU Foreign Policy after Lisbon: Will the New High Representative and the External Action Service Make a Difference?* 2008
72. Robertson A., Merrills J., *Human Rights in Europe: a Study of the European Convention on Human Rights*, 1993
73. Rustemeyer A., *Wilson's Fourteen Points*, EPIL I, 1984
74. Sabine G.H., Thorson T.L., *A History of Political Theory*, 4th edition, 1973
75. Sperduti G., *Responsibility of States for Activities of Private Law Persons*, EPIL 10, 1987 Shaw M., *International Law*, 6th Edition, Cambridge University Press, Cambridge, 2008, 487
76. Shaw M.N., *International Law*, 8th edn., Cambridge University Press, 2017
77. *The Kuwait Crisis – Basic Documents*, eds. Lauterpacht E., Greenwood C., Weller M., Bethlehem D., Cambridge, 1991
78. Viljoen F., *Recent Developments in the African Regional Human Rights System*, "African Human Rights Law Journal", 2004
79. Watts C., Arthur H., *The legal position in international law of heads of states, heads of governments and foreign ministers*. Martinus Nijhoff, 1994
80. Wyrozumska A., *Impact of Case-Law of the Organs of the European Convention on Human Rights on Domestic Law and the National Judge*, *Judge and International Law*, 1998, 146
81. Weil P., *Towards Relative Normativity in International Law?* 77 *Am. J. Int'l L.*, 1983
82. Wilson W., 65th Cong., 2d sess., *Congressional Record Vol. 56*, 8. 1.1918, 681
83. Zemanek K. *Unilateral Legal Acts Revisited*, *International Law: Theory and Practice. Essays in Honour of Eric Suy*, Martinus Nijhoff Publishers, The Hague/Boston/London, 1998

84. Бараташвили Д., Международно-правовые принципы мирного сосуществования, Международная жизнь, N1, 1996
85. Батычко В. Т. Международное право, Конспект лекций. Таганрог: ТТИ ЮФУ, 2011
86. Бекашев К.А. Международное публичное право, Москва, 2003
87. Волосов М.Е. Односторонний акт / М.Е. Волосов // Российская юридическая энциклопедия / Под ред. А. Я. Сухарева, Москва, 1999
88. Голубев Н.Н., Международные конгрессы и конференции, Очерки истории и практики, Москва, 1995
89. Додонов В.Н. Международное право: словарь-справочник / В.Н. Додонов, В.П. Панов, О.Г. Колосов Ю.М., Договорная инициатива в международных отношениях, Государство и право, N12, 1971
90. Ковлер А., Международная правосубъектность индивида: продолжение дискуссии, Международное право XXI века, Киев, 2006
91. Ладыженский А.М., Блищенко И.П., Мирные средства разрешения споров между государствами, Москва, 1962
92. Левин Д.Б., История международного права, Москва, 1998
93. Лукашук И.И., Международное право (Общая часть), Москва, 2005 Румянцев // Под общ. ред. В.Н. Трофимова, Москва, 1997
94. Ушаков Н. А., Международное право: Учебник. Москва, Юрист, 2000
95. Серре Ж., Дипломатический протокол, Москва, 1991

სამართლებრივი აქტები:

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 1950
3. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, 1969
4. ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია, 1981
5. ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის დამატებითი ოქმი, 1998
6. ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია, 1989
7. განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ იუნესკოს კონვენცია, 1960
8. დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომელიც ეხება სახელმწიფოებს შორის მეგობრულ ურთიერთ-

- ბებს და თანამშრომლობას გაეროს წესდების შესაბამისად, 1970
9. ევროპის საბჭოს წესდება, 1948
 10. ევროკავშირის რასობრივი თანასწორობის დირექტივა, 2000
 11. ევროკავშირის დირექტივა დასაქმების სფეროში თანასწორობის შესახებ, 2008
 12. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, 1966
 13. ევროპის კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აღმოფხვრისა და დასჯის შესახებ, 1987
 14. ერთა ლიგის ასამბლეის რეზოლუცია „საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის, თავდასხმაზე უარის თქმისა და ურთიერთდახმარების შესახებ“, 26/09/1928
 15. ვენის კონვენცია ხელშეკრულებებზე სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ, 1978
 16. ინტერ-ამერიკული ხელშეკრულება თავდასხმაზე უარის თქმისა და საშემთხმებლო პროცედურის შესახებ, 10/10/1933
 17. კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისი ჩადენისათვის დასჯის შესახებ, 1948
 18. კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აღმოფხვრისა და დასჯის შესახებ, 1984
 19. კონვენცია უნარშეზღუდულ პირთა უფლებების შესახებ, 2006
 20. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, 1965
 21. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, 1966
 22. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი, 1966
 23. ქალთა წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, 1979
 24. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ფაკულტატური ოქმი, 1994
 25. საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის დისკრიმინაციის კონვენცია, 1958
 26. საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენცია, 1969
 27. საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენცია

28. საქართველოს კონსტიტუცია, 1995
29. საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, 2009
30. Additional Protocol relative to Non-intervention adopted at the Inter-American Conference for the maintenance of Peace held in 1936
31. Charter of the Organization of American States, 30 April 1948
32. Charter of the Organization of African Unity, 25 May 1963
33. Covenant of League of Nations, 28 June 1919
34. Convention on Rights and Duties of States, 1933
35. Declaration of American Principles, 1938
36. Declaration on the Granting of Independence to Colonial Countries and Peoples, New York, 14 December 1960
37. Declaration on the Inadmissibility of Intervention in the Domestic Affairs of States and the Protection of Their Independence and Sovereignty (2131 (XX)), adopted at the 1408th plenary meeting of the UN General Assembly Twentieth Session, 21 December 1965
38. European Parliament, Treaty of Brussels (Merger Treaty), 8 April 1965
39. European Parliament, Treaty of Rome (EEC), 25 March 1957
40. European Parliament, Treaty on European Union (TEU) / Maastricht Treaty, 7 February 1992
41. European Convention for the Peaceful Settlement of Disputes, 29 April 1957, Strasbourg, Council of Europe, European Treaty Series No. 23
42. General Treaty for the Re-Establishment of Peace between Austria, France, Great Britain, Prussia, Sardinia and Turkey, and Russia (1855-1856), 30.03.1856
43. Helsinki Final Act, OSCE, 01/08/1975
44. Manila Declaration on the Peaceful Settlement of Disputes between States, General Assembly resolution 37/10 of 15 November 1982
45. Montevideo Convention on the Rights and Duties of States, 1933
46. North Atlantic Treaty Organization, The North Atlantic Treaty, 4 April 1949
47. Protocol of Amendment to the Charter of the Organization of American States, 1985
48. The Hague Conventions for the Pacific Settlement of International Disputes, 1899

49. The Hague Convention for the Pacific Settlement of International Disputes, 1907
50. The Pact of the League of Arab States, 22 march 1945
51. Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community, 13 December 2007
52. United Nations, Charter of the United Nations, 24 October 1945
53. United Nations, Vienna Convention on the Law of Treaties between States and International Organizations or between International Organizations, 21 March 1986
54. UN General Assembly Resolution A/RES/48/141, 20 December 1993

საერთაშორისო ორგანიზაციების
მონსენებები და ანგარიშები:

1. Report of the Special Committee on Principles of International Law concerning Friendly Relations and Co-operation among States, Document A/5746, 16 November 1964
2. Report of the Special Committee on Principles of International Law concerning Friendly Relations and Co-operation among States, Document A/6799, 26 September 1967
3. ICJ Reports, 1949
4. ICJ Reports, 1980
5. ICJ Reports, 1986
6. ICJ Reports, 1997
7. ICJ Reports, 2007
8. ECHR, Overview 1959-2021

სასამართლო პრეცედენტი:

1. Advisory Opinion Concerning Reservations to the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide, International Court of Justice (ICJ), 28 May 1951
2. Belilos v Switzerland, ECHR, No. 10328/83, Judgment of 29 April 1988
3. Barrios Altos v. Peru, Judgments of March 14, 2001
4. Case Concerning Barcelona Traction, Light, and Power Company, Ltd, Belgium versus Spain, Judgement of July 24, 1964.
<<https://www.icj-cij.org/en/case/50/judgments>>

5. Chorzow Factory Case (Germany v. Poland), 26/07/1926, <<https://www.icj-cij.org/en/pcij-series-a>>
6. Columbia v. Peru, Judgement of November 20, 1950, <<https://www.icj-cij.org/en/case/7>>
7. Corfu Channel Case, Judgement of March 25, 1948, <<https://www.icj-cij.org/en/case/1/judgments>>
8. Delimitation of the Maritime Boundary between Bangladesh and Myanmar in the Bay of Bengal (Bangladesh/Myanmar) Case No. 16, Judgment of 14 March 2012
9. Ekbatani v. Sweden, Judgement of May 26, 1988
10. Gustave Caire (France) v. United Mexican States, 13/06/1929, <https://legal.un.org/riaa/cases/vol_V/540_Caire.pdf>
11. Harry Roberts (USA)v. United Mexican States, 2/11/1926, <https://legal.un.org/riaa/cases/vol_IV/77-81.pdf>
12. Home Frontier and Home Missionary Society of the United Brethren in Christ (USA) v. Great Britain, 18/12/1920, <https://legal.un.org/riaa/cases/vol_VI/42-44_Brethren.pdf>
13. Iranian Hostage Case, Judgement of May 24, 1980, <<https://www.icj-cij.org/en/case/64>>
14. Ireland v. The United Kingdom, Judgment of January 18, 1978
15. Klass and Others v. Germany, Judgment of 6 September 1978
16. Loizidou v. Turkey, Judgment of March 23, 1995
17. Lopez Alvarez v. Honduras, Judgment of February 1, 2006, <<http://www.corteidh.or.cr>>
18. L.F.H. Neew and Pauline Neer (USA) v. United Mexica States, 15/10/1926, <https://legal.un.org/riaa/cases/vol_IV/60-66.pdf>
19. Maritime Delimitation and Territorial Questions (Qatar v Bahrain), Jurisdiction and Admissibility, ICJ Rep. 1994
20. Marcks v. Belgium, Judgment of June 13, 1979
21. Myrna Mack Chang v. Guatemala, Judgment of November 25, 2003
22. Plattform „Arzte fur das Leben“ v. Austria, Judgment of June 21, 1988
23. Rainbow Warrior Case (New Zeland/France), 09/07/1986, <http://legal.un.org/riaa/cases/vol_XX/215-284.pdf>
24. Rochele Massacre v. Colombia, Judgment of May 11, 2007
25. S.S. "I'm Alone" Case (United States, Canada), 30/06/1993, 05/01/1935, <https://legal.un.org/riaa/cases/vol_III/1609-1618.pdf>

26. Thomas H. Youmans (U.S.A.) v. United Mexican States, 23 November 1926, <https://legal.un.org/riaa/cases/vol_IV/110-117.pdf>
27. The Spanish Zone of Morocco Case, <https://legal.un.org/ilc/documentation/english/a_cn4_169.pdf>
28. Tunisia v. Libya, Judgement of November 14, 1982, <<https://www.icj-cij.org/en/case/63>>
29. Reparation of Injuries Suffered in Service of the U.N., Advisory Opinion, 1949 I.C.J. 174 (Apr. 11), <<https://www.icj-cij.org/en/case/4/advisory-opinions>>
30. T v. the United Kingdom, Judgment of December 19, 1999
31. Van der Mussele v. Belgium, Judgment of November 23, 1983

ინფორმაციის წყაროები:

1. <www.old.infocenter.gov.ge>
2. <www.nordics.info>
3. <www.coe.int>
4. <www.europe.eu>
5. <https://european-union.europa.eu/principles-countries-history/principles-and-values/founding-agreements_en>
6. <https://european-union.europa.eu/institutions-law-budget/institutions-and-bodies/types-institutions-and-bodies_en>
7. <www.nato.int>
8. <www.oecd.org>
9. <<https://stats.oecd.org/glossary/index.htm>>
10. <www.osce.org>
11. <www.un.org>
12. <<https://www.un.org/en/about-us/specialized-agencies>>
13. <www.uai.org>
14. <<https://bit.ly/3XnJOt4>>